კვირის პალიტრა
მზე
N29 (267) 21/VII.-27/VII.2005. ფასი 60 თ.

1168
2005

ტრაგედია ზეკვეთილში —
შოკლის ინსტინქტი, გმირობა, გადარჩენილი ბავშვები და... ვერსიები

„გურამი ვაქკაცური ხასიათის გამო დაიღუბა... ცურვა არ იცოდა...“

„ზღვა ღელავდა... ტალღამ ლევანი შვილს დააშორა...“

„ამის გამგონე მარინას გული გაუსკდა...“

ლუბა ელიაშვილის ახალი დეტექტივი: მანიაკის ძლვენი

დასვენება

„ადამიანმა ჩემი აზაკიდან უკვე ინტენსიურად უნდა ივარჯიშოს...“

4 ათასი ანეკდოტის „ავტორი“ ყბაჩო ტელეშოუებს იუმორს უწუნებს

ბაკურიანი

სასტუმრო მელისი

საქართველოს საუნაგლო თქვენი სიტყვასაუბრისა
ლაა ჯანრთელობისა საქართველოში

ტელ: (995 32) 94 23 55 მობ: (899) 248 686
E-mail: ttsivtsivadze@yahoo.com

№29 (267)
21 - 27 ივლისი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ახალი ტაქტიკა პოლიციაში ანუ „1.000 ოქრო იმას, ვინც ბაში-აჩუკს დაგვაჭერინებს...“ 3
ერთი კითხვა 4
ტრაგედია
ტრაგედია ურეკში – მშობლის ინსტინქტი, გმირობა, გადარჩენილი ბავშვები და... ვერსიები 6
ჭრელი მსოფლიო 10
პრობლემა
ქართველი და უცხოელი მეცნიერები ბორჯომში დედამიწის გარღვეულ ქერქს სწავლობენ – გაიღვიძებს თუ არა იალბუზის მიძინებული ვულკანი? 10
კრიმინალი
- ბრალდებულმა დანაშაულში ჯერ მეგობარს დააღო ხელი, შემდეგ კი მკვლელად საკუთარი თავი გამოაცხადა 12
- „ამ ამბის შემდეგ, სასაფლაოზე გამეღვიძა... მერე შევიტყვე, რომ ის მომიკლავს“ 14

სახე
4 ათასი ანეკდოტის „ავტორი“ ყბაჩო ახალ ტელეშოუებს იუმორს უწუნებს 16
გზავნილები
„დედაჩემი ჩემს კუბოს კიბეზე არახრახებს“ 18
შემოქმედი
დაბრუნება – ჯაბა იოსელიანის საბედისწერო დაბადების დღე, გადარჩენის ერთი პროცენტი და თენგიზ კიტოვანის სიძით დაინტერესებული ჯორჯო არმანი 22
დასვენება
- „ახლა იმ ასაკში აღარ ვარ...“ ანუ რა უქმნის დისკომფორტს ნატო გელაშვილს ზღვაზე 24
- „ამ დროს მარტო დასვენებაზე ვფიქრობ და არა სხვა რამეზე...“ 25

ადამიანი
„ცხონებულმა მამაჩემმა რომ გაიგოს, მე თბილისში „ვტაქსაობ“, საფლავში ამოტრიალდება...“ 27
ცხოვრება
„ტკივილი გულიდან იწყება, მთელ მკერდს მოედება და მუცელში „ბროვდება“ 28
ჯანმრთელობა
- ადამიანი დიდი გულით 30
- სილამაზის სეზონი 31

საკითხავი ქალებისთვის
- რას გვეუბნება ხელები? 32
- ვასუფთავებთ, ვატენიანებთ, ვკვებავთ 33

ტრაგედია ურეკში – მშობლის ინსტინქტი, გმირობა, გადარჩენილი ბავშვები და... ვერსიები

დაბა შეკვეთილში 18 ივლისს მომხდარმა ტრაგედიამ არც ერთი ადამიანი არ დატოვა გულგრილი. ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ სრულიად უცხო ადამიანთა გზები იკვეთება. ამ შემთხვევაში, ტრაგიკულმა მოვლენამ სამი ასეთი ადამიანის ბედი დაუკავშირა ერთმანეთს.

6

„ამ დროს მარტო დასვენებაზე ვფიქრობ და არა სხვა რამეზე...“

„...ძალიან თეთრი კანი მაქვს და ამის გამო თავდაპირველად, სოლარიუმში დავდივარ რამდენიმე დღე, შესაგუებლად. როცა კანი შეფერადდება, ამის შემდეგ მივდივარ ზღვაზე და ვირუჯები. ერთხელ მალამოების წასმაც კი დამჭირდა...“

25

4 ათასი ანეკდოტის „ავტორი“ ყბაჩო ახალ ტელეშოუებს იუმორს უწუნებს

„შაბათის შოუში“ სასაცილო ტიპაჟები არიან. ნორმალურია „ნიკას შოუს“ დასაწყისიც. თუმცა დიდი ხანია, რაც არც ერთ გადაცემაზე გულიანად არ მიცინია. ხშირად „დიშოვი“ იუმორს მიმართავენ...“

16

ჯაბა იოსელიანის საბედისწერო დაბადების დღე... თენგიზ კიტოვანის სიძით დაინტერესებული ჯორჯო არმანი

„ზურაბ წერეთელს მოეწონა, მითხრა, მოსკოვმა აუცილებლად უნდა გაგიცნოსო... გამოფენის გახსნა მაღალ დონეზე მოეწყო, ეს სერიოზული დარბაზია, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სადაც მუდმივ ექსპოზიციაში კიდია ცნობილი ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის, რვა ფიროსმანი, შაგალი, კანდინსკი და ა.შ.“

22

ტაქარი
შეიძლება თუ არა „წმინდა წერილის“ საკუთარი აზრით განმარტება? 34
საგანძური
ქართული ფარმაცევტიკის ტრადიციები და მუზეუმად გამოცხადებული აფთიაქისთვის ზემოდან მაცქერალი ქალაქის თავები 35
ასპარეზი
არჩილ არველაძე – „ტრაბზონსფორის“ ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერი 38
ქართული დეტექტივი
ლუბა ელიავილი. მანიაკის ძღვენი (გაგრძელება) 42
ვარსკვლავი
სარა ბრაიტმანი: კოსმოსში რუსებთან ერთად? სიამოვნებით! 46
ბომონდი 47
ავტო 49
სენი
„აშშ-ის ყველაზე საშიში მტერი“ – ჯვაროსნული ლაშქრობა ნარკოტიკების წინააღმდეგ 50
ბახუსი
გოჩა თანდარაშვილი სიმთვრალეში გაბედნიერდა 52
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 53
ფავორიტები
„ველური რუნის“ ვნებანი 54
მოდური პროფესია
პრომოუტერი, რომელიც პროდიუსერს ეძებს 56
ტესტი
ერთგული მკითხველი 57
ვერნისაჟი
შუამავალი ცეცხლსა და თიხას შორის 58
ასტროლოგია
როდის შევიჭრათ თმა? 59
ჰოროსკოპი
კვირის (21-27 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60
სკანვორდი 61
იუმორი 62
ტესტი
როგორია თქვენი პედაგოგიური იდეალი? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„ცხონებულმა მამაჩემმა რომ გაიგოს, მე თბილისში „ვტაქსაობ“, საფლავში ამოტრიალდება...“

„თავიდან მანქანა ამ საქმიანობისთვის არ მიყიდია, უბრალოდ, ძალიან დაკილალე „მეშოკების“ ზურგით ზიდვით... გარეთ დახლი მქონდა და ხილ-ბოსტნეულით ვვაჭრობდი. ჰოდა, მანქანით შევიმსუბუქე შრომა. შარშან, როცა გარე ვაჭრობა აკრძალეს, ვფიქრობდი, თუ რით მერჩინა თავი. ჰოდა, ფულის შოვნის ამ ხერხს მივმართე. აბა, რა უნდა მექნა?..“

27

არჩილ არველაძე – „ტრაბზონსფორის“ ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერი

„იმ პერიოდში, სერიოზული საბაბის გარეშე სკოლის დატოვება ცოტა პრობლემატური იყო და გაპარვა გადავწყვიტეთ სამედიცინო კაბინეტიდან, რომლის ფანჯარასაც გისოსი არ ჰქონდა. კაბინეტში შესულებმა ფანჯარა გამოვაღეთ და მედდას ვუთხარით – გვცხელა-თქო, არადა, გარეთ თოვლი იდო. ამ დროს, შოთამ გადახტომა მოასწრო“.

38

სარა ბრაიტმანი: კოსმოსში რუსებთან ერთად? სიამოვნებით!



ცნობილი მომღერალი, მიუზიკლის მეფის, ენდრიუ ლოიდ უებერის ყოფილი მეუღლე მსმენელს მალე ახალ ალბომს – „ჰარამხანა“ წარუდგენს. სხვათა შორის, რუსეთში მას სხვა საქმეებიც ელის...

46

მანიაკის ძღვენი

ლუბა ელიავილი

ვიდრე „ტვინშერყეულ სულელს“ დამიძახებდნენ, ჯობს, მათი ვიზიტი შევწყვიტო, – გავიფიქრე და ნაზად გავიღიმე:

– კარს კარგად დავკეტავ და შუაღამისას კიბეზე აღარ ვირბენ, – ვუპატაკე პოლიციელებს და კარისკენ გავუძეხი.

42

ახალი ცვლილება პოლიციაში

ანუ „1.000 ოქრო იმას, ვინც ბაში-აჩუკს დაგვაჭერინებს...“



როგორც იქნა, ჩვენც მივხვდით, რომ შიშველი ენთუზიაზმით ქართული კრიმინალისტიკა შორს ვერ წავა და თუ ფინანსური დაინტერესება არ ექნა, შენი გულისათვის ხელსაც არავინ გაანძრევს. მივხვდით, მაგრამ სირცხვილიც კია, ვიღაც ამერიკელმა FBI-ელებმა გვასწავლონ ასე მუშაობა!.. სად იყო მაშინ ამერიკა, 1.000 ოქროთი მოხიბლულმა თიმსალ-მაკომ რომ ბაში-აჩუკი ჩაუშვა, – სოფლის ბოლოს რომ ქვრივი მელანო ცხოვრობს, იმასთან დაძვრებაო...

დღევანდელი ჩვენი „ბაში-აჩუკი“, რომელმაც 10 მაისს, თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარა ისროლა, ჯერ არ ჩანს, მაგრამ 150.000 ლარი იმდენად დიდი თანხაა, რომ თუ ჭკუა აქვს, თავისი ფეხით უნდა მივიდეს შს მინისტრთან. არ მივა და, ნაცნობი, მეზობელი ან საერთოდ, ოჯახის წევრი მიაბრძანებს – აბა, 150 ათასი ლარი ქუჩაში ხომ არ ყრია...

ასე, თქვე დალოცვილებო, დააწესეთ ჯილდოები და ყველა დანაშაული უმალ გაიხსნება. და საერთოდ, დროა, შს სამინისტრომ ოფიციალურად გამოაქვეყნოს დანაშაულის სიმძიმის მიხედვით ჯილდოს ტარიფები. მაგალითად, ამდენი ხანია, ვებრძვით სიგარეტის კონტრაბანდას, მაგრამ უშედეგოდ. ჩემი აზრით, თითოეული მწეველის ჩაშვებით უნდა დავიწყოთ და ასე მივიდეთ ბოროტების სათავეებამდე.

რომ დავინახავთ ქუჩაში, კაცი „ტროიკას“ ან „დონსკი ტაბაკს“ ეწევა, იმწამსვე დაურეკოთ პატრულს; ჩაუტარდება ჩხრეკა და დანაშაულის სიმძიმეც დადგინდება: თუ მხოლოდ ორი ღერი აქვს, მაშინ მომხმარებლად ჩაითვალება, რადგან ამ ორიდან ერთს ეწევა და მეორეს კი მოგცემს, რომ სთხოვო, მაგრამ უნამუსო ხომ არა ხარ, ბოლო ღერი გამოართვა?! ხოლო თუ ორ ღერზე მეტი აქვს, ე.ი. გამავრცელებელია და შენც ორმაგ ჯილდოს მიიღებ – 20 თეთრს!

ხუთი ასეთის ჩაშვება უკვე ერთი ლარია. ლარად კი კაი ერთ „პაჩკა“ უაქციზო სიგარეტს იყიდი და სახლში მოსწევ მარტო, რომ ცოლმაც არ ჩაგიშვას და ქმრის ხარჯზე 20 თეთრის გაკეთება არ მოინდომოს. აი, ასე უნდა პოლიციის მუშაობა.

კიდევ ერთი მეთოდი მომწონს პოლიციის მუშაობაში, რომელიც თვითონ პრეზიდენტმა დანერგა: დახვია ხელი მთელ პოლიციას და ზღვისპირეთში ჩაიყვანა. გადასარევი ნაბიჯია: წინა წლებში იმდენი ძარცვა ხდებოდა პლაჟზე, რომ საცოდავი დამსვენებელი საფულიან-მობილურიანად შედიოდა ზღვაში. მართალია, ამის მერე არც ფული ვარგოდა და არც მობილური, მაგრამ დაკარგვას ხომ მაინც სჯობია?!

აბა, წელს გაბედოს ვინმემ ქურდობა, როცა ერთ დამსვენებელზე 3-4 პოლიციელი მოდის, თანაც რომ ვერ იცნონ, გადაცმული დადის, უფრო სწორად, გახდილი. ეს ორმაგად სასარგებლოა: დანაშაულსაც ვებრძვით და პოლიციელებსაც ვასვენებთ ზღვაზე. მართალია, ბოროტმოქმედის დაკავებისას, ან იარაღს საიდან დააძრობენ, ან „ქსივას“, რთული სათქმელია, მაგრამ ეს ალბათ, მათი პროფესიული საიდუმლოა და ნუ ჩავეძიებით...

მთავარი ის არის, რომ ბატონმა პრეზიდენტმა თვითონ მოუჭრა ყველა გზა პლაჟზე გამდიდრების მსურველებს და უთხრა: – ტყუილად თავს ნუ შეიწუხებთ, დაეტიეთ თბილისშიო... ისე, ის ქურდებიც ხომ ცოდონი არიან: ყველა თუ ზღვაზე ისვენებს, იმათ რაღა ესაქმებათ ამ თაკარაში?! თუმცა, რატომაც არა?! ადრე მათი ნახევარი მაინც მიდიოდა ზღვაზე, ახლა ყველანი ერთად რჩებიან ჩვენი დაკეტილი ბინების „დარაჯებად“...

P.S. *სატელეფონო ზარი პოლიციის განყოფილებაში:*

– ბატონო პოლიციელო, ჩემი მეზობლის კარს ქურდები აღებენ.

– მითხარით მისამართი და გამოვდივართ.

– ჯერ თქვენ მითხარით, რამდენს მომცემთ ჩაშვებისთვის ჯილდოს?

– 50 ლარს.

– არა. მაგას მირჩევნია, გავიდე იმ ქურდებთან და ვუთხრა, რომ ზედა მეზობლის ბინაც ცარიელია. ისინი უფრო მეტს გადამიხდიან...

პროვოკატორი

დააბრუნებენ თუ არა საქართველოში მილიონ ემიგრანტს?

— გავრცელებული ინფორმაციით, ქართველ ემიგრანტებს უცხოეთის ქვეყნებიდან სამშობლოში იძულების წესით დააბრუნებენ. განა, საქართველო მზად არის მათ მისაღებად?

სალომე ზურაბიშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— საქართველოს პრეზიდენტმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ უცხოეთში გაქცეული ადამიანები სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ. ეს პროცესი უნდა დაიწყოს და ჩვენ მათ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების პირობები უნდა შევუქმნათ. მაგრამ მილიონი ადამიანის ერთდროულად ჩამოსვლამ გარკვეული პრობლემები შეიძლება წარმოშვას. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირთან აქტიური მოლაპარაკებები დაიწყო. იმიგრანტებსაც აქვთ თავიანთი უფლებები, ამიტომ არ შეიძლება, მათ წინააღმდეგ მიზანმიმართული დევნა განახორციელონ. ევროპის ქვეყნები, მათი კანონმდებლობიდან გამომდინარე, საზღვრებს ვერ ჩაკეტავენ, ამიტომ იმიგრანტების საკითხი სერიოზული განხილვის საგანი გახდება. საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსულოებმა ისედაც შეზღუდეს ვიზების გაცემა. ჩვენი ინფორმაციით, არსებობს კორუფციული გარიგებების ფაქტები, როცა უცხოეთში წასვლის მსურველებს არაკანონიერად ახდევინებენ სოლიდურ თანხებს და ეს ფული კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში ხვდება. ამ პრობლემათა სრული პაკეტი ხელისუფლებამ ჩვენი მოქალაქეების უფლებათა დაცვის კონტექსტში უნდა გადაწყვიტოს. ■

რამდენი მერი ეყოლება ქალაქს?

— რეფერენდუმის ჩაშლის შემთხვევაში, ოპოზიცია მერის ალტერნატიული არჩევნებით იმუქრება. თქვენ ფიქრობთ, რომ ქალაქში შესაძლებელია ორხელისუფლებიანობა?

ფიქრია ჩიხრაძე, *ახალი მემარჯვენეები:*

— საზოგადოების დიდი ნაწილი მომხრეა პირდაპირი არჩევნების. ჩვენ ვეცდებით, ეს რეფერენდუმის გზით კიდევ ერთხელ დავანახვოთ ხელისუფლებას. სავარაუდოდ, ხელისუფლების მორჩილი ცესკო ამის უფლებას არ მოგვცემს, არც სასამართლოს ობიექტური დასკვნის იმედი გვაქვს, მაგრამ ამით არ შემოვიფარგლებით. შევაგროვებთ ნახევარ მილიონამდე ხელმოწერას და წარვუდგენთ პარლამენტს. უმრავლესობა ამ ადამიანების ნების წინააღმდეგ ვერ წავა. თუ მათი აზრისა და სურვილის იგნორირება მოხდება, მერის დანიშვნის პარალელურად ჩავატარებთ ალტერნატიულ არჩევნებს. ვნახოთ, როგორ გაძლებს პრეზიდენტის დანიშნული მერი ხალხის რჩეულის გვერდით. ტექნიკურად, ალტერნატიული არჩევნების ჩატარება რთული არ არის. თუ ხელისუფლებას ქალაქის ორხელისუფლებიანობა მორიგი აგრესიის სურვილს გაუჩენს და ძალადობრივ მცდელობასაც ექნება ადგილი, ხალხი თავის კანდიდატს თავადვე დაიცავს. ■

„დიდხანს დუმილს არ ვაპირებ“

— ვალერი გელაშვილი მის ტელეფონზე განხორციელებულ მუქარის ზარებსაც ახსენებდა. რესპუბლიკური პარტიის წევრებისთვის ამ ზარების ავტორის სახელი არ უცნობებია?

დავით უსუფაშვილი, *რესპუბლიკური პარტია:*

— ჯერ კიდევ მაშინ, როცა გელაშვილი ვილნიუსში იმყოფებოდა, მას დაურეკეს და უთხრეს, საქართველოში ჩამოსვლისთანავე აგაფეთქებთო! სატელეფონო საუბრიდან 5 წუთის შემდეგ, ვალერიმ დამირეკა და მუქარასთან დაკავშირებით ინფორმაცია მომაწოდა. გარდა ამისა, მე მაქვს სხვა ყურადსაღები ცნობებიც, რომელთაც სამართალდამცავებს გადავცემ. მე ამ დეტალებს არ ვახმაურებ, მოგვიანებით სამართალდამცველებმა რომ არ განაცხადონ, დეტალების გახმაურების გამო, ოპერატიული მუშაობის განხორციელება ვეღარ შევძელითო. რამდენიმე დღე ამ ინფორმაციის გახმაურებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ — მხოლოდ რამდენიმე დღე, დიდხანს დუმილს არ ვაპირებ. თეორიული შანსი იმისა, რომ გამოძიება სწორი მიმართულებით წარიმართოს, კიდევ არსებობს, თუმცა, სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელთა ქმედება არაადეკვატურია, რაც ეჭვის საფუძველს გვაძლევს. ჩვენ არ გვსურს, ხელისუფლება კისერმოტეხილი და დამხობილი ვიხილოთ, რესპუბლიკელებს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში უნდათ არჩევნებში გამარჯვება, ის კი, რაც ჩვენ გარშემო ხდება — ცემა, დასისხლიანება, ადამიანების სასიკვდილოდ გამეტება, — ბარბაროსობაა, რომელიც ხელისუფლებას თავადვე უკან დაუბრუნდება. ■

რისთვის ამზადებენ ინაიშვილს?

— შუალედურ არჩევნებში მონაწილე სახელისუფლებო კანდიდატთა სია ფაქტობრივად, შედგენილია. ოპოზიციას ძლიერი კონკურენტები ეყოლება?

დავით ბერძენიშვილი, *პარლამენტის წევრი:*

— ხელისუფლებამ ხუთივე ოლქში მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური ფიგურები დაასახელა. ბიძინა ბრეგაძე შს მინისტრის მოადგილეა და მთელი სამინისტრო, ისნის რაიონში მისი გამარჯვებისთვის იბრძოლებს. კობა ხაბაზი სახელმწიფო მინისტრია და მის დასახელებას ქობულეთში აპირებენ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის — პალიკო კუბლაშვილის ძმა, კოტე კუბლაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, მას ტყიბულის მაჟორიტარულ არჩევნებში გასამარჯვებლად ამზადებენ. რაც შეეხება ჯემალ ინაიშვილს, ის ბათუმში გია მასალკინს დაუპირისპირდება. ის რეალური კონკურენტია, თუმცა, მასალკინს ვერ

მოუგებს. აჭარაში რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაკოტრებულია, ეს იმითაც დასტურდება, რომ ბათუმში კანდიდატურა ვერ მოძებნეს და გარედან მიიყვანეს მეტ-ნაკლებად რეიტინგული ფიგურა. არსებობს ინფორმაცია, რომ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელს შემდგომში დაწინაურებასაც უპირებენ, თუმცა მანამდე, არჩევნებია, რომელიც ოპოზიციამ უნდა მოიგოს. ჩვენ შიდაარჩევნების შედეგად, სწორედ ისეთ კანდიდატებს წამოვაყენებთ, რომელთაც სახელისუფლებო კანდიდატები ნორმალურ საარჩევნო პირობებში ვერ მოუგებენ. ■

ვის გამოსახავენ 200-ლარიან კუპიურაზე

— რაში გვჭირდება 200-ლარიანი კუპიურა, რომელზე გამოსასახი ცნობილი მოღვაწეების პორტრეტებიც, გაცხარებული კამათის საფუძვლად იქცა?

რომან გოცირიძე, *ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:*

— ჩვენ გადავდივართ ევროსტანდარტებზე — როგორი მონეტები და ქაღალდიც აქვს ევროს, ისეთს გამოვუშვებთ. ახლა 200-ლარიანი კუპიურა გვჭირდება, რადგან ლარის გამყარების შემდეგ, მას ისეთივე დატვირთვა ექნება, როგორიც რამდენიმე წლის წინ, 100-ლარიანს ჰქონდა. მასზე გამოსახულ ცნობილ პიროვნებას კი, საზოგადოება აირჩევს. ჩვენს ფულზე ძირითადად, მეფეები და პოეტები არიან გამოსახული; როდესაც ამ კუპიურებს უყურებ, გექმნება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს ისტორია მხოლოდ სამეფო დინასტიის წარმატებებსა და კარგ ლექსებზეა აგებული. მიმაჩნია, რომ ფულის ნიშნებზე სხვა ქართველი მოღვაწეებიც უნდა ვიხილოთ, თუნდაც — ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი ან ექვთიმე თაყაიშვილი. ჯორჯ ვაშინგტონი — ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდი პიროვნება — ერთდოლარიანზეა გამოსახული. ვფიქრობ, ყველაზე დიდი პიროვნება ყოველდღიურად უნდა ხვდებოდეს ადამიანის თვალს... დავით აღმაშენებელი 100-ლარიანზე გამოვხატეთ, მაგრამ ის საზოგადოების დიდ ნაწილს არც კი უნახავს... მინდა რანგითი კომპონენტები დავარღვიოთ და ფული თემატურადაც მრავალფეროვანი გავხადოთ. ■

„თუ ქართულ კინოს ეშველება, მე თანამდებობიდან წავალ“...

— პრეზიდენტი „ქართულ ფილმს“ სახელმწიფო ქონების მითვისებაში ადანაშაულებს. როგორც ამბობენ, სააქციო საზოგადოების თავკაცის თანამდებობიდან თქვენი წასვლის საკითხიც შეიძლება დაისვას...

რეზო ჩხეიძე, *„ქართული ფილმის“ ხელმძღვანელი:*

— მინდა, საზოგადოებამ გაიგოს: ის 92 კინოთეატრი, რომელიც ჩვენს დაქვემდებარებაშია, არავის მიუტაცებია. ეს ქონება ისტორიულად ეკუთვნოდა საქართველოს კინოკომიტეტს. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში „სახკინო“ გაუქმდა და ჩამოყალიბდა კინოკორპორაცია, რომელსაც ეკუთვნოდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა კინოთეატრი. მოგვიანებით, შეიქმნა საქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“, რომელიც კინოკორპორაციის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა. ეს მოხდა კანონიერი გზით, არსებობს პარლამენტის გადაწყვეტილებაც ამასთან დაკავშირებით. „ქართული ფილმი“ წლების განმავლობაში, ბიუჯეტიდან არ ფინანსდებოდა, ამიტომ ჩვენ ბევრის გაკეთება ვერ შევძელით, თუმცა, შეზღუდული რაოდენობით მხატვრულ ფილმებსაც ვიღებდით და დოკუმენტურსაც. თუ ვინმეს აქვს საეჭვო კითხვები, მზად ვართ განმარტების მისაცემად. ჩემი ერთადერთი სურვილი, ქართული კინოს აღმავლობაა, მნიშვნელობა არ აქვს, მე ვიქნები ამ თანამდებობაზე თუ არა. ჩვენ ხელისუფლებას თანამშრომლობას ვთავაზობთ. ომის გამოცხადება და ბრძოლა არ გვსურს. ■

ტრაგედია დაკვეთილში

მშობლის ინსტინქტი, გმირობა, გადარჩენილი ბავშვები და... ვერსიები

დაბა შეკვეთილში 18 ივლისს მომხდარმა ტრაგედიამ არც ერთი ადამიანი არ დატოვა გულგრილი. ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ სრულიად უცხო ადამიანთა გზები იკვეთება. ამ შემთხვევაში, ტრაგიკულმა მოვლენამ სამი ასეთი ადამიანის ბედი დაუკავშირა ერთმანეთს. ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" სარეკლამო სამსახურის უფროსი, ლევან ჩერქეზიშვილი, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, გურამ თოფჩიშვილი და მარინა ქურდაძე, ლევანის შვილის გადარჩენას შეეწირნენ...

მარი ჯაფარიძე
ნათია ქივიძე

ჟურნალისტებს ხშირად გვიწევს ინტერვიუს ჩაწერა ისეთ დროს, როცა სამძიმრის თქმასთან ერთად, იძულებული ვართ, დიქტოფონიც ჩავრთოთ და უზომოდ დამწუხრებულ ადამიანებს მომხდარი ტრაგედიის შესახებ კომენტარი ვთხოვოთ. ლევან ჩერქეზიშვილის ოჯახი რუსთავში ცხოვრობს და მის მეუღლეს, რომელიც ტრაგედიის დროს, დაბა შეკვეთილში ქმარ-შვილთან ერთად იმყოფებოდა, შინ ვეწვიეთ და მივუსამძიმრეთ.

ნინელი ჩერქეზიშვილი:

— ვიცით, რომ უზომოდ გიჭირთ საუბარი, მაგრამ იქნებ, მაინც გაიხსენოთ, რა მოხდა იმ ტრაგიკულ დღეს?

— რის გახსენებას მთხოვთ? ლევანისგან კარგის მეტი, არაფერი მახსოვს. 13 წლის წინ შექმნილი ბედნიერი ოჯახი თავზე დამენგრა. გულის სიღრმეში ყოველთვის მეშინოდა ამ ბედნიერების. უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი და ვშიშობდი, ღმერთს ჩემთვის ლევანი არ წაერთმია. ასეც მოხდა... ერთი კვირის ჩასული ვიყავით შეკვეთილში. იმ დღეს ზღვა ღელავდა. მართალია, ძალზე დიდი ტალღები არ იყო, მაგრამ ბავშვები წყალში არ შევუშვი. ისინი ზღვის ნაპირზე ქვიშაში თამაშობდნენ. უფროსი, თენგო 12 წლისაა, თორნიკე — 9-ის. სწორედ პატარა შეითრია ზღვიდან წამოსულმა ტალღამ. ლევანი ბავშვის გადასარჩენად გაიქცა და ხელი ჩასჭიდა მას, მაგრამ მეორედ წამოსულმა ტალღამ ისინი ერთმანეთს დააშორა. ბავშვის მისახმარებლად მეც ზღვაში შევედი, მივწვდი და ჩავეჭიდე, ლევანი კი წყალმა ჩაითრია. ის უბედური, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, ლევანის გამო დაიღუპა. მე ბავშვი ნაპირზე გამოვათრიე და ლევანის შველა ვეღარ შევძელი...



ლევან ჩერქეზიშვილი შვილებთან — თენგოსა და თორნიკესთან და მეგობართან — კობა ჩალაძესთან ერთად

— როგორც შევიტყვეთ, სანაპიროზე გამოცხადებული იყო, რომ იმ დღეს ბანაობა არ შეიძლებოდა.

— არავის არაფერი უთქვამს ამის შესახებ... მეტს ვეღარაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ჩემი სიყვარული დავკარგე, ლევანის ქვრივი მქვია და მის გარეშე ცხოვრება უნდა ვისწავლო. შვილებს ეს ტრაგიკული დღე უნდა დავავიწყო და მხოლოდ მე უნდა მახსოვდეს, ლევანთან შეხვედრამდე...

ჩერქეზიშვილებთან, ლევანის უამრავი მეგობარი იყო თავმოყრილი. კობა ჩალაძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც ბოლო დღეებში, ლევანთან ერთად იმყოფებოდა, ზღვიდან გამორიყულ მეგობარს ეხმარებოდა და მის გადასარჩენად ბოლო იმედს ებღაუჭებოდა.

კობა ჩალაძე:

— ტრაგედიის წინადღეს, მე და ლევანი ერთად ვიყავით. დღის ბოლოს, სასტუმროში მიმიყვანა, სადაც ცოლშვილთან ერთად ისვენებდა. შემდეგ, ჩემს ბინამდე მიმიყვანა. მანქანიდან რომ გადმოვედი, ძრავის დაქოქვის ხმა ვერ გავიგონე და უკან მივიხედე. ლევანი ხელით დაყრდნობოდა გვერდითი სკამის საზურგეს და წინ გადახრილი მიყურებდა. ისეთი საყვარელი იყო იმ მომენტში, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, რომ მომინდა, ძმაკაცურად ჩავხუტებოდი...

რის გახსენებას მთხოვთ? ლევანისგან კარგის მეტი, არაფერი მახსოვს. 13 წლის წინ შექმნილი ბედნიერი ოჯახი თავზე დამენგრა. გულის სიღრმეში ყოველთვის მეშინოდა ამ ბედნიერების. უზომოდ გვიყვარდა ერთმანეთი და ვშიშობდი, ღმერთს ჩემთვის ლევანი არ წაერთმია. ასეც მოხდა...

მიგბრუნდი, მანქანის კარი გამოვაღე, ჩავჯექი და ერთმანეთს გადავეხვიეთ. რა ვიცოდი, თუ უკანასკნელად ვხედავდი ცოცხალს?.. მეორე დღეს, ასე, 12 საათი იქნებოდა, რომ ტელეფონზე ვურეკავდი და არ მპასუხობდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ, მისი ნომრიდან ჩემს მობილურზე დაირეკა და ნინელიმ ყურმილში შემზარავი ხმით იკივლა – კობა, მიშველე, ლევანი დაიხრჩო!.. ამ დროს, ქობულეთში ვიმყოფებოდი და ტაქსით გავქანდი შეკვეთილში. ზღვიდან გამოყვანილი სამი ადამიანის ცხედარი იქვე სანაპიროზე ერთმანეთის გვერდით იყო დასვენებული... ლევანი ქვიშაზე პირქვე იწვა, ნინელი კი გვერდით მისჯდომოდა და დასტიროდა. ვერ ვიჯერებდი ლევანის დაღუპვას და ვცადე, დახმარება გამეწია მისთვის. ჩავუტარეთ ხელოვნური სუნთქვა, ფეხებით დავკიდეთ და ამის შემდეგ პირიდან წყალი წამოუვიდა. თითქოს სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი დაედო და მომეჩვენა, რომ პულსიც ისინჯებოდა. ვყვიროდი – ნუ გეშინიათ, გადარჩება-მეთქი!.. ნინელი ძლიერი ქალი ყოფილა. არ დაიბნა და პანიკა არ აუტეხია, ბოლო წუთამდე იბრძოდა ლევანის გადასარჩენად. ჩემი მისვლიდან მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოვიდა „სასწრაფო დახმარებ-ის“ მანქანა ოზურგეთიდან, მაგრამ უკვე გვიან იყო. სანაპიროზე არც სამაშველო სამსახურის თანამშრომლები დამინახავს... როდესაც ბოლო იმედი გადაგვეწურა და მივხვდით, რომ ლევანი დავკარგეთ, ნინელიმ მთხოვა, ბავშვებისთვის მიმეხედა. ისინი სასტუმროში თავიანთ ოთახში იყვნენ და თურმე იქიდან ადევნებდნენ თვალყურს მომხდარ ტრაგედიას. ჩემი ხმაც ესმოდათ, – გადარჩება-მეთქი, – რომ ვამბობდი და იმედიანად იყვნენ. მე რომ მათთან აცრემლებული მივედი, მაშინ მიხვდნენ, რომ მამა დაეღუპათ და ორივე ჩამეხუტა. თორნიკე ჩემი ნათლულია, სწორედ მის გადასარჩენად დაიღუპა ლევანი.

— **ამ ტრაგედიის სხვადასხვა ვერსია არსებობს. იქნებ, თქვენ იცოდეთ ზუსტად, მაინც რა მოხდა?**

– როცა ეს ტრაგედია დატრიალდა, მე იქ არ ვიმყოფებოდი, მაგრამ ნინელისგან რაც ვიცი, იმას გიამბობთ. თურმე, ბავშვები პლაჟზე, ქვიშაში თამაშობდნენ. ტალღას თორნიკე მოუტაცებია. მამამისი ბავშვის გადასარჩენად გაიქცა, მაგრამ წყალმა ისიც ჩაითრია. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ლევანის გადასარჩენად ზღვაში გადაეშვა. ასევე ლევანის საშველად, ზღვაში შევიდა იმ დროს პლაჟზე მყოფი ახალგაზრდა ქალბატონი, რომელსაც წელზე გასაბერი რგოლი ჰქონდა დამაგრებული. იქვე დედამისი, შუახნის ქალბატონი, მარინა ქურდაძე იმყოფებოდა. როდესაც შენიშნა, რომ ლევანი და გურამი იღუპებოდნენ, როგორც ჩანს, შვილის დაკარგვის შეეშინდა და მის დასახმარებლად, თვითონაც ზღვაში შევიდა. სამწუხაროდ, ეს ქალბატონიც დაიღუპა... მიმაჩნია, რომ იმ დასასვენებელ სახლს, რომლის საგზურიც საკმაოდ სოლიდური თანხა ღირს, აუცილებლად უნდა ჰყავდეს სამაშველო სამსახური და ექიმი. ასე რომ ყოფილიყო, არც ერთი ადამიანი არ დაიღუპებოდა. არც ერთმა მათგანმა ცურვა არ იცოდა.

მე რომ მათთან აცრემლებული მივედი, მაშინ მიხვდნენ, რომ მამა დაეღუპათ და ორივე ჩამეხუტა (კობა, თორნიკე, თენგო და ლევანი)

სამძიმრის სათქმელად, მეორე დაღუპულის, საპატრულო პოლიციის თანამშრომლის, გურამ თოფჩიშვილის ოჯახსაც ვეწვიეთ. ერთადერთი ვაჟის დამკარგავ მშობლებს ნუგეშად მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ მათი შვილი გმირულად დაიღუპა, საფრთხეში ჩავარდნილი ადამიანების გადასარჩენად საკუთარი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე და შეეწირა კიდეც სტიქიასთან ბრძოლას.

ნიკო კოგიაშვილი, *გარდაცვლილის – გურამ თოფჩიშვილის ბიძა:*

– გურამი 1981 წლის 3 თებერვალს დაიბადა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, პოლიციის აკადემიაში განაგრძო სწავლა. მოგვიანებით, კრიმინალური სამსახურის სტაჟიორად დაინიშნა, შემდეგ, საგზაო პოლიციის მესამე განყოფილებაში მუშაობდა. პატრულის ჩამოყალიბების პირველსავე დღიდან კი, აქ მოღვაწეობდა, მცხეთა-მთიანეთის სამმართველოში. მე მისი ბიძა კი ვარ, მაგრამ მისი ოცმეთაურიც ვიყავი. გურამი ჩემს ხელშია გაზრდილი. მეუღლე არ ჰყავდა. ჰყავს მშობლები და ერთი და – 22 წლის შორენა. ყველანაირად დადებითი პიროვნება იყო. ყოველთვის ცდილობდა, რომ ყველაფერში მოწინავე ყოფილიყო. ორი თვის წინ, სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა და ფულადი პრემიითაც დააჯილდოვა. ახლაც, საბუთები მზადდებოდა, რომ ისევ მადლობა გამოეცხადებინათ

სანიმუშო მუშაობისთვის... ძალიან პუნქტუალური, მოწესრიგებული ახალგაზრდა, ჩამოყალიბებული პიროვნება იყო. სამსახურში არასოდეს აგვიანებდა. თუკი რაიმე შემთხვევა ხდებოდა, ყოველთვის პირველი გარბოდა, არაფერს ერიდებო-

ახლაც, საბუთები მზადდებოდა, რომ ისევ მაღლობა გამოეცხადებინათ სანიმუშო მუშაობისთვის... (გურამ თოფჩიშვილი)

და. ურეკში მივლინებით იყო წასული. ესეც მისი ინიციატივით მოხდა. იქ პატრულირებას დაბა შეკვეთილში აწარმოებდნენ. გურამი და მისი მეწყვილე, სოსო გუდიშვილი, იქაური დაცვის თანამშრომლებს ესაუბრებოდნენ, რომ უეცრად, სანაპიროდან ყვირილის ხმა მოესმათ და მაშინვე იქით გაიქცნენ. ძალზე დიდი ღელვა ყოფილა და ზღვაში ორი ბავშვი იხრჩობოდა. სოსო მაშველების მოსაყვანად გაქცეულა, ორ წუთში უკან რომ მიბრუნებულა, გურამს უკვე ტანთ გახდილი ჰქონდა და ზღვისკენ გარბოდა. მაშველებს დაუძახიათ – ზღვაში არ შეხვიდე, დაიღუპებიო! – მაგრამ გურამს არავისთვის დაუგდია ყური და მაინც შესულა წყალში. ერთ-ერთი ბავშვი აიყვანა ხელში და მისი გამოყვანისას, ცოტა რომ უკლდა ნაპირზე გამოსვლას, იქ მყოფმა ერთ-ერთმა დამსვენებელმა, შუახნის ქალბატონმა, მარინა ქურდაძემ სამაშველო რგოლი გადაუგდო, მაგრამ უკან გამობრუნება ვეღარ მოასწრო და ტალღამ ეს ქალიც ჩაითრია. გურამმა ბავშვი გამოიყვანა და ისევ უკან შებრუნდა, ქალბატონი მარინას გამოსაყვანად, მაგრამ ის ქალი უკვე წყალს დაუფარავს. გურამმა ნაპირზე გამოსვლა სცადა, მაგრამ ვეღარ შეძლო... მასთან და იმ ქალბატონთან ერთად, ბავშვების მამა, ლევან ჩერქეზიშვილიც დაიღუპა. გურამის ნათესავებიდან ეს ამბავი პირველად მე გავიგე, სამმართველოს უფროსმა დამირეკა და ეს უბედურება შემატყობინა. სხვა ნათესავებს ტელევიზიით მოუსმენიათ ეს ინფორმაცია და მშობლებისთვის უცნობებიათ. ისეთი კონტაქტური ადამიანი იყო, სულ 4 დღის ჩასული იყო ურეკში და უკვე მთელ სანაპირო ზოლს იცნობდა თურმე, ყველასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა...

გურამის გახსენება მის თანამშრომლებსა და მეგობრებსაც ვთხოვეთ.

ლევან კაპუსაძე:

– რაც საპატრულო პოლიცია დაარსდა, მე და გურამი ერთ ცვლაში ვმუშაობდით და თავიდანვე დავმეგობრდით. უზომოდ უყვარდა სიცოცხლე და მეგობრები. სიყვარულის დიდი უნარი ჰქონდა. ძალზე ენაკვიმატი და მხიარული ადამიანი იყო. როცა მასთან ერთად ვიყავი, ათას რამეზე ხუმრობდა და დროს სულ სიცილში ვატარებდით. ძალიან მოუსვენარი ადამიანი იყო, სულ სადღაც ეჩქარებოდა, თითქოს წინასწარ გრძნობდა საფრთხეს და ყველაფრის მოსწრება უნდოდა. მხოლოდ დაოჯახება ვერ მოასწრო. ახლო მომავალში აპირებდა ცოლის მოყვანას... საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ჯერ ისევ შოკში ვარ. ეს ამბავი 11 საათზე მომხდარა. დაახლოებით 12 საათზე ვურეკავდი, მაინტერესებდა, როგორ მოეწყვნენ. ტელეფონზე ზარი გადიოდა, მაგრამ არავინ მპასუხობდა. ამ დროს, თურმე, უკვე გარდაცვლილი ყოფილა... მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ტრაგედია მოხდა, ჩვენთვის, ვინც გურამის გვერდით ვმუშაობდით, ის გმირად დარჩება, მან მოყვასის გამო გაწირა თავი. ერთი ბავშვი გადაარჩინა, მერე ქალის დახსნას ცდილობდა...

ავთო გაშელეიშვილი:

– პატრულში მუშაობა აღარ უნდოდა. ამბობდა – გული მიგრძნობს, ამ სამსახურში უნდა მოვკვდე, ამიტომ აქედან გადასვლა მინდაო... ვერ მოასწრო ჩანაფიქრის განხორციელება. საცოდავს, არც ერთი ოცნება არ ახდენია... ცურვა არ იცოდა. აუზზე საბანაოდ რომ მივდიოდით, წყალში არც ჩადიოდა და როგორ გაბედა იმ აღელვებულ ზღვაში შესვლა, ვერ გამიგია... ვამაყობთ, რომ ასეთი გმირი მეგობარი გვყავდა.

დავით მიდელაური, *საპატრულო პოლიციის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს უფროსი:*

– პირველ რიგში, ის უნდა აღვნიშნო, რომ გურამი ძალზე კარგი ადამიანი იყო და შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი ვაჟკაცური ხასიათის გამო დაიღუპა. ძალზე შემართული სულის ახალგაზრდა იყო, თუკი რაიმე კონფლიქტურ სიტუაციას წააწყდებოდა, ყოველთვის პირველი ჩაერეოდა.

— თქვენ ალბათ მომხდარის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია გექნებათ...

– დიახ, რა თქმა უნდა. იმ დღეს ურეკში საკმაოდ დიდი მოქცევა იყო. მაშველებმა საზოგადოება გაფრთხილეს, რომ ზღვაში არ შესულიყვნენ, მაგრამ როგორც შემდეგ თქვეს, ლევან ჩერქეზიშვილის შვილები მაინც ცურავდნენ. როგორც კი წყალმა ისინი შორს გაიტაცა, მამა პანიკაში ჩავარდა და ბავშვებს შეჰყვა. როგორც ჩანს, მან კარგად არ იცოდა ცურვა და ძალიან გაუჭირდა. ამ ხმაურზე, გურამიც და მისი მეწყვილეც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ. იქვე ნავი იყო და მათ ზღვაში შესვლა ამ ნავით გადაწყვიტეს, მაგრამ ნავთან ნიჩბები არ აღმოჩნდა და ამ საშუალება-

აუზზე საბანაოდ რომ მივდიოდით, წყალში არც ჩადიოდა და როგორ გაბედა იმ აღელვებულ ზღვაში შესვლა, ვერ გამიგია... (გურამ თოფჩიშვილი წინა პლანზე მეგობართან ერთად)

ზე ხელი აიღეს. როცა სოსო მაშველების ჯგუფისკენ დახმარების სათხოვნელად გაიქცა, გურამს ტანსაცმელი გაუხდია და ზღვაში შესულა. ამან ეტყობა, შეაშინა იქ მყოფი შუახნის ქალბატონი, ის წყალში შევიდა და გურამს სამაშველო რგოლი გადაუგდო. მერე ისიც ტალღამ გაიტაცა და გურამი მის მისაშველებლად შებრუნდა უკან. როგორც ჩანს, ის ქალი მას ჩაეჭიდა და წყალში ჩაითრია. გურამმა ბავშვი გადაარჩინა, მაგრამ იმ ქალბატონს ვერ დაეხმარა და სამწუხაროდ, თვითონაც დაიღუპა... თურმე, ყველა ეძახდა – არ შეხვიდე, დაიღუპებიო! – მაგრამ მან თავისი მოვალეობა პირნათლად, კაცურად შეასრულა...

გურამის მეწყვილეს, **სოსო გუდიშვილს** *შეკვეთილში ტელეფონით დავუკავშირდით. აი, რა გვითხრა მან:*

– ჩვენი სამოქმედო უბანი, დაბა შეკვეთილი იყო. იქ მისვლიდან რამდენიმე წუთში, წივილ-კივილი გავიგონეთ. თურმე, ვიღაც იხრჩობოდა. ქვესადგურით მაშველები და „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. იქვე ნავი იყო და გვინდოდა, იმით შევსულიყავით წყალში, მაგრამ ნიჩბები არ დაგვხვდა: ღელვის დროს, ზღვაში ნავით შესვლა ხომ არც შეიძლებოდა... უკან რომ მივიხედე, გურამი უკვე ზღვაში შედიოდა. დავუძახე – არ შეხვიდე-მეთქი! – მაგრამ მან არ მომისმინა, მხოლოდ მომაძახა – ტანსაცმელი, იარაღი და ტელეფონი მანდ დავტოვე და მიხედეო... სიმართლე გითხრათ, დეტალურად არც მახსოვს, რა მოხდა. მაშველებმა ცოტათი დააგვიანეს. სამივე ადამიანის ცხედარი მათ გამოიტანეს ზღვიდან... ის ამბავი, თითქოს გურამი ზღვაში ხელმეორედ შებრუნდა, ტყუილია: გურამი ზღვიდან რომ გამოსულიყო, უკან აღარ შევუშვებდი...

მარინა ქურდაძე წარმოშობით ხაშურიდან გახლავთ. ის შვილთან, ნინო ფხოველიშვილთან და ორ შვილიშვილთან ერთად ისვენებდა შეკვეთილში. მარინა ქურდაძე დაიღუპა, ნინო საბედნიეროდ, გადაურჩა სტიქიას... ტელეფონით ხაშურში დავუკავშირდით ქალბატონი მარინას დას, ქალბატონ იზოს:

– შემიძლია გიამბოთ ის, რაც ნინოსგან შევიტყვე. იმ დღეს, პლაჟზე საკმაოდ ბევრი ხალხი ყოფილა და ზღვაშიც ბევრი დამსვენებელი იყო ჩასული. როდესაც ლევანის შვილი ტალღამ შეითრია, ბავშვის დედას ყვირილი დაუწყია. ლევანი საშველად წყალში შევარდა. ბავშვი დედამ ნაპირზე გამოიყვანა, მაგრამ ლევანი ზღვის ფსკერისკენ წავიდა. ამის დამნახავი, პატრული დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში, მაგრამ სამწუხაროდ, ლევანს გული ჰქონდა გახეთქილი და

მარინა 50 წლის იყო. მისი მეულლე მოსკოვში იმყოფება და ახლა მასთან დაკავშირებასაც ვერ ვახერხებთ, რომ ცოლის დაღუპვის ამბავი შევატყობინოთ

მშველელს უკვე მხოლოდ მისი ცხედრის გამოტანა მოუხდა... ეს ამბავი ნაპირიდან საკმაოდ შორს ხდებოდა და

ხანდახან ფსკერს ფეხით სწვდებოდა, ცოტას დედაც ეხმარებოდა. ასე ახერხებდა ნინო იმას, რომ დროგამოშვებით, წყლის ზედაპირზე ამომხტარიყო და ჰაერი ჩაესუნთქა. ბოლოს, გადარჩენის იმედი გადაეწურა და დედას დაუძახა – დედა, მგონი ვიღუპებითო. ამის გამგონეს, მარინას გული გაუსკდა, წყალი ისეთი რაოდენობით არ ჰქონდა ნაყლაპი, რომ სიკვდილი ამას გამოეწვია... მარინა 50 წლის იყო. მისი მეუღლე მოსკოვში იმყოფება და ახლა მასთან დაკავშირებასაც ვერ ვახერხებთ, რომ ცოლის დაღუპვის ამბავი შევატყობინოთ. ნინოს შვილები ამ ამბავს ნაპირიდან ადევნებდნენ თვალყურს და გამოსულ დედას ჰკითხეს – შენ რომ გამოხვედი, ბებია რატომ არ გამოვიდაო? ნინომ მათ ტყუილი უთხრა და ბავშვებმა დღემდე არ იციან, რომ ბებია დაიღუპა... გარდაცვლილები ნაპირზე დაგვიანებით მოსულმა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა გამოიყვანეს. ეს არის ის, რაც მე ვიცი მომხდარი ტრაგედიის შესახებ.

მკითხველი ალბათ მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ თვითმხილველები

ნინო მაღალი გოგონაა, ამიტომ ხანდახან ფსკერს ფეხით სწვდებოდა, ცოტას დედაც ეხმარებოდა... ბოლოს, გადარჩენის იმედი გადაეწურა და დედას დაუძახა – დედა, მგონი ვიღუპებითო. ამის გამგონეს, მარინას გული გაუსკდა, წყალი ისეთი რაოდენობით არ ჰქონდა ნაყლაპი, რომ სიკვდილი ამას გამოეწვია...

პატრულს ძალა გამოელია. თვითონაც ჩაძირვა დაიწყო. ნინოს ყვირილი დაუწყია – მიეშველეთო! – მაგრამ წყალში შესვლა ვერავინ გაბედა. ნინომ ხელი დაავლო სამაშველო რგოლს, წყალში შევიდა და რგოლი პატრულს გადაუგდო. ამ დროს, ნინოც ზღვამ ჩაითრია. დედამისი ზღვის ტალღებს არ შეუშინდა და შვილის საშველად დაუფიქრებლად გადაეშვა წყალში. მალე დედაშვილი ერთად აღმოჩნდნენ. მარინა ხელს ჰკრავდა ნინოს, რომ ნაპირისკენ გამოეყვანა... ნინო მაღალი გოგონაა, ამიტომ

ცოტა განსხვავებულად გადმოგვცემენ მომხდარი ტრაგედიის ცალკეულ მომენტებს. მაგრამ ჩვენ შეგნებულად არ შეგვიტანია კორექტივები მათ მონათხრობში, რადგან ბუნებრივია, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ჩავარდნილ ადამიანს, მისი აღწერისას შეიძლება, ცალკეული უზუსტობა მოუვიდეს. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, მთავარი ხომ ის სავალალო შედეგი გახლავთ, რომელიც სტიქიასთან შებრძოლებას მოჰყვა: კიდევ სამი ჩვენი სისხლი და ხორცი დავკარგეთ...

■

ᲞᲝᲚᲘᲔᲗᲘᲚᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲙᲔᲢᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲐᲛᲘᲜᲫᲣᲠᲔᲛᲡ

თურმე, პოლიეთილენის პაკეტის დასამზადებლად მხოლოდ 1 წამი ყოფილა საკმარისი; მისი გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა, 20 წუთს შეადგენს. აი, ელემენტებად პაკეტის დაშლის პროცესი კი, 100-400 წელს გრძელდება(!)... მხოლოდ ერთ ქვეყანაში – საფრანგეთში წელიწადში 15 მლრდ პოლიეთილენის პაკეტს იყენებენ. ამ ციფრმა ქვეყნის პარლამენტარებს იმისკენ უბიძგა, რომ შეემუშავებინათ აღნიშნული ტარის აკრძალვის კანონი. პროექტის თანახმად, თითოეულ მოვაჭრეს ან ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც პოლიეთილენის პაკეტს გამოიყენებს და ამით გარემოს დაბინძურებას შეუწყობს ხელს, 100-ევროიანი ჯარიმა უნდა დაეკისროს. ■

ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲐᲓ

აშშ-ში ყოველწლიურად 1,316 მლნ ახალი სახლი იყიდება. ქვეყნის ვაჭრობის სამინისტროს ცნობით, ახალაშენებული სახლების რეალიზაცია 0,2%-ით გაიზარდა. სახლის საშუალო ფასი წლევანდელ გაზაფხულზე, 230,8 ათას დოლარს შეადგენდა, რაც 3,8 %-ით აღემატება 2004 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. ე.წ. პირველად ბაზარზე გაყიდვის რაოდენობა, უძრავი ქონების ბაზრის საერთო ბრუნვის 15%-ს აღწევს. ■

ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲡᲔᲘᲡᲛᲣᲠᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲔᲑᲘᲪ ᲒᲕᲘᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ. ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡᲒᲐᲚᲛᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ 11 ᲪᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲡᲔᲘᲡᲛᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲗ ᲕᲘᲒᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲙᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲝᲤᲘᲖᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲛᲝᲔᲥᲪᲐ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲕᲐᲠᲔᲑᲘ ᲧᲐᲖᲑᲔᲒ-ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲠᲚᲕᲔᲕᲐᲡ (ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲛᲐᲜᲢᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲔᲠᲥᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲔᲪᲐᲠ ᲠᲚᲕᲔᲕᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ. ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲓᲠᲔᲙᲐᲓᲘ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ) ᲨᲔᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲔᲘᲡᲛᲣᲠ ᲡᲐᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲔᲜ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲣᲚ ᲥᲔᲠᲥᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ



ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲔᲑᲡ �თᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲐᲚᲑᲣᲖᲘᲡ ᲛᲘᲫᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲣᲚᲯᲐᲜᲘ?

ᲔᲛᲐ ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, *ერთიანი სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსი:*

– ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერების აზრი ორად იყოფა. ერთნი მიიჩნევენ, რომ არსებობს დედამიწის ქერქის რღვევა დაწყებული თურქეთიდან, ირანის გავლით და ჩრდილოეთ კავკასიამდე (ამ პერიმეტრს ზუსტად ემთხვევა ყაზბეგ-ბორჯომის მონაკვეთი). მე-



ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲠᲚᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲥ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲕᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐ, ᲮᲓᲔᲑᲐ ᲓᲔᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲛᲣᲮᲢᲕᲐ



ორენი კი ფიქრობენ, რომ ასეთი რღვევა საერთოდ არ არსებობს.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება სიმართლის დადგენა და სწორედ ამ მიზნით, უცხოელი კოლეგების ხელშეწყობით, ბორჯომის რეგიონში ზაფხულის განმავლობაში ჩავატარებთ ექსპერიმენტებს, რაც საშუალებას მოგვცემს ზუსტად შევისწავლოთ ამ ტერიტორიის სეისმური მდგომარეობა.

— თუ რღვევა ნამდვილად არსებობს, შეგიძლიათ გვითხრათ, რა სიღრმეზეა გარღვეული დედამიწის ქერქი და რა პროცესების პროვოცირება შეუძლია მას?

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მეცნიერული გათვლებით საქართველოსა და მთელ კავკასიაში დაახლოებით 32 სეისმურად საშიში რღვევა არსებობს. ჩვეულებრივ ეს გახლავთ სიღრმისეული რღვევები, რომლებიც დედამიწის მანტიამდე აღწევს. წინასწარი გათვლებით, ყაზბეგი-ბორჯომის რღვევის სიღრმე 40-50 კილომეტრს უნდა აღწევდეს. ზოგჯერ დედამიწის ქერქის რღვევა რელიეფშიც კარგად ჩანს. მიზეზებს რომ ჩავულრმავდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ერთი მილიონი წელია, რაც არაბეთის ნახევარკუნძული ჩრდილოეთით, წელიწადში 25 მილიმეტრი სიჩქარით მოძრაობს, რაც დედამიწის დეფორმაციას იწვევს. როდესაც დედამიწის ქერქი დეფორმაციის მაქსიმალურ ზღვარს აღწევს, იბზარება, ტყდება და წარმოიქმნება მიწისძვრები. ამ პროცესს თან სდევს რელიეფის შეცვლა, მთების ამოზიდვა და ა.შ. ჩვეულებრივ, რღვევები იქ შეიმჩნევა, სადაც დიდია დაძაბულობა, ხდება დეფორმაციის დაგროვება და შემდეგ განმუხტვა. იმისათვის, რომ შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის სეისმური საშიშროება, განვსაზღვროთ, სად შეიძლება მოხდეს მიწისძვრა, რა სიხშირით ან როგორი სიძლიერისა, ზუსტად უნდა ვიცოდეთ აქტიური რღვევების მდებარეობა. თუმცა რღვევების არსებობის ფაქტი ქალაქების მშენებლობის, ნავთობსადენის გაყვანისა თუ კაშხლების აღმართვის აკრძალვას სულაც არ ნიშნავს. სეისმურად გაცილებით აქტიური რეგიონებია იაპონია და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთი სანაპირო — კალიფორნია, სადაც ცათამბჯენებია აღმართული და ატომური სადგურებია აგებული. ზუსტი სეისმური სურათი ჩვენ ყველა დეტალის გათვალისწინებაში დაგვეხმარება და შენობები ისე უნდა ავაგოთ, რომ მიწისძვრის დროს მისი დაზიანება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი.

— ბოლო დროს, ბევრს ლაპარაკობენ იალბუზის — მიძინებული ვულკანის გააქტიურების შესახებ. რას ფიქრობენ ამ საკითხზე სამეცნიერო წრეებში?

— თავდაპირველად ითვლებოდა, რომ იალბუზი მილიონი წლის წინ გააქტიურდა. ახლა მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დედამიწის ასაკი ბევრად ახალგაზრდაა და ეს პროცესი 100 ათასი წლის წინ წარიმართა. დღეს რუსი მეცნიერების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იალბუზზე ვულკანური პროცესები არ დასრულებულა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ვულკანი უთუოდ გაიღვიძებს და ამოიფრქვევა. პროცესები შესაძლოა წლების განმავლობაში მიმდინარეობდეს და ისე ჩაცხრეს, რომ ვულკანის გამოღვიძება არ გამოიწვიოს. თუმცა, სამეცნიერო თვალსაზრისით, ეს საკმაოდ საინტერესო საკითხია და შესწავლას საჭიროებს: არსებობს თუ არა კავკასიონზე სიღრმისეული რღვევა და რა ტერიტორიას მოიცავს იგი. ■

„პროსტატ ჰელსი“

მაქსიმუმი ჯანმრთელობა
და მინიმუმი პრობლემები



✔ გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას და აგაცილებთ შეგუებებით მოვლენებს პროსტატაში.
✔ აფერხებს პროსტატის ქსოვილის პათოლოგიურ ზრდას, რაც თავის მხრივ, ამცირებს შარდ-სასქესო ტრაქტზე კომპრესიას და არეგულირებს მოშარდვის მოთხოვნის სიხშირეს.
✔ თრგუნავს ნინამდებარე ჯირკვალში ანთებით მოვლენებს.
✔ ასტიმულირებს ტესტოსტერონის გამომუშავებას, რითაც განაპირობებს სექსუალური პოტენციისა და სპერმატოგენეზის აღდგენას.
✔ ამცირებს ადენომის გაავთვისებიანობის რისკს.

[illegible]

Schiff 60

„შიფის“ პროდუქციის შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ ქვემოთ მითითებულ მისამართებზე, სხვა შემთხვევაში თავი აარიდეთ ფალსიფიკაციას, რისი აღმოჩენისთანავე, გთხოვთ შეგვატყობინოთ.

[illegible]

გაგიუდეს
გაგაკვდეს

ბრალდებულმა დანაშაულში ჯერ მეგობარს დააღო ხელი, შემდეგ კი მკვლელად საკუთარი თავი გამოაცხადა

„მე ფეხში ვესვრი და ფული ისე წავართვათო – გვითხრა"...

1977 წელს დაბადებულ ბექა ნუცუბიძესა და 1974 წელს დაბადებულ ზაურ გივიაშვილს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამ კვირაში საბოლოო განაჩენი გამოუტანა. ნუცუბიძე ყაჩაღობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო გივიაშვილი — მხოლოდ ყაჩაღობისთვის გაასამართლეს.

დანაშაული თბილისში 1999 წელს, მოხდა. საქმის განხილვა კი 2000 წლიდან აქამდე გაჭიანურდა. ამის მიზეზი, საქმეში არსებული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები გახლდათ. გამოძიება მკვლელობაში ნუცუბიძეს სდებდა ბრალს, ის კი დანაშაულში მეგობარს ამხელდა. ამ გაურკვევლობის დასადგენად, საქმე ხელახალ ძიებაში დაბრუნდა. ბოლოს და ბოლოს, ჩადენილი დანაშაული სასამართლოს განაჩენში ამგვარად დაფიქსირდა:

22 წლის ბექა ნუცუბიძემ, 24 წლის ზაურ გივიაშვილმა და 25 წლის რამაზ ლეშკაშელმა წინასწარ მოილაპარაკეს და თბილისში, რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ერთ-ერთი სავალუტო ჯიხურის დაყაჩაღება განიზრახეს. როგორც განაჩენშია აღნიშნული, 1999 წლის 15 სექტემბერს, შეთანხმებისამებრ, ისინი სავალუტო ჯიხურის თანამშრომელზე ბადრი კობახიძეზე თავდასხმასა და მისთვის სავალუტო ჯიხურის საბრუნავი ფულის, მათი ვარაუდით, დაახლოებით 10 ათასი ლარისა და სხვა ფასეული ნივთების დაუფლებას აპირებდნენ.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა გადაინაწილეს როლები და შეთანხმდნენ, რომ კობახიძეზე თავდასხმას დილის საათებში განახორციელებდნენ მაშინ, როცა ის თავისი ავტომანქანის გამოსაყვანად მივიდოდა საკაძის ქუჩაზე მდებარე სახლის ეზოსთან. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დილის 7 საათზე, უკვე 16 სექტემბერს, ნუცუბიძე, გივიაშვილი და ლეშკაშელი წინასწარ დათქმულ ადგილებზე განლაგდნენ და კობახიძეს ჩაუსაფრდნენ. საქმის მასალების თანახმად, ნუცუბიძეს თან ჰქონდა უკანონოდ შეძენილი, „მარგოლინის" სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

დაახლოებით 08.50 საათზე, კობახიძე სახლიდან გამოვიდა. მას ხელში ეჭირა პოლიეთილენის პარკში გახვეული, სავალუტო ჯიხურის საბრუნავი თანხა – 9.113 ლარი. იმ დროს, როცა კობახიძემ გადაკვეთა ქუჩა და მანქანის გამოსაყვანად, გაემართა იქვე, საკაძის ქუჩაზე მდებარე სახლისკენ, მას ნუცუბიძე მიუახლოვდა. კობახიძე მაშინვე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე და ბოროტმოქმედისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა. მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელები იარაღიდან გასროლის შესახებ მოლაპარაკებულები არ იყვნენ, ნუცუბიძემ, დანარჩენ პირებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, კობახიძეს პისტოლეტი დაუმიზნა და ზედიზედ სამჯერ გაისროლა. კობახიძეს ტყვიები გულმკერდისა და ბეჭის არეში მოხვდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, მის სხეულზე 5 ჭრილობა დაფიქსირდა. ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული დაზიანებები სასიკვდილო აღმოჩნდა და ის შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ, ნუცუბიძე, ლეშკაშელი და გივიაშვილი მისცვივდნენ ძირს დავარდნილ კობახიძეს, აიღეს გარდაცვლილის ხელიდან გავარდნილი, ფულით სავსე ცელოფანის პარკი, ასევე კობახიძის კუთვნილი 200 დოლარი, ოქროს ძეწკვი, 70-დოლარიანი ტყავის საფულე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ავტომანქანის მართვის მოწმობა, ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი და 100-დოლარიანი „ერიქსონის" ფირმის მობილური ტელეფონი. ლეშკაშელი და გივიაშვილი მაშინვე მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, ხოლო ნუცუბიძე, იმაში დასარწმუნებლად, რომ კობახიძე ნამდვილად მკვდარი იყო, მივიდა მასთან და რამდენჯერმე სახეში ხელი გაარტყა. როცა დარწმუნდა, რომ ის ნამდვილად გარდაცვლილი იყო, დაუყოვნებლივ დატოვა იქაურობა.

ნუცუბიძე თანამზრახველებთან ერთად, ცოტნე დადიანის ქუჩაზე სამარშრუტო ტაქსიში ჩაჯდა და კინოთეატრ „საქართველოსთან" მდებარე, კიკვიძის ბაღთან ჩავიდა. ბაღში ბოროტმოქმედებმა გატაცებული თანხა და ნივთები ერთმანეთში გაინაწილეს. თითოეულს 2.600 ლარი ერგო.

სამართალდამცავებმა სამივე თავდამსხმელი დააკავა. წინასწარი გამოძიების შემდეგ საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაეცა. 2000 წლის სექტემბრის განაჩენით, რამაზ ლეშკაშელი და ბექა ნუცუბიძე დამნაშავეებად ცნეს და ჩადენილი ყაჩაღობისთვის 11-11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. რაც შეეხება კობახიძის მკვლელობის ფაქტს, ამ ნაწილში საქმე პროკურატურას დამატებითი ძიებისთვის დაუბრუნდა.

გამოძიების პერიოდში, **ნუცუბიძემ** თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, მკვლელობაში კი გივიაშვილს დასდო ბრალი და სამართალდამცავებს ასეთი ჩვენება მისცა:

„წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ. კერძოდ, ვაღიარებ ვალუტის გადამცვლელზე ყაჩაღურ თავდასხმას, მაგრამ დამამძიმებელ გარემოებებში მის განზრახ მკვლელობაში დამნაშავე არ ვარ...

დაახლოებით 1-2 წელია, რაც ჩემს სამეზობლოში გავიცანი რამაზ ლეშკაშელი. ჩემი ქუჩის მახლობლად ცხოვრობს. ადრე მას არ ვიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 6-8 წელია, იმ უბანში ვცხოვრობ. იმავე პერიოდში გამაცნო ლეშკაშელმა ზაურ გივიაშვილიც. ის რამაზის კლასელი აღმოჩნდა. ერთხელ რამაზმა მასთან სახლში ამიყვანა წვეულებაზე. იმ დღიდან, სამივე დავმეგობრდით, ერთმანეთთან ძალიან კარგი და ახლო ურთიერთობა გვქონდა.

1999 წლის 11-12 სექტემბერს, ე.ი.

შემთხვევამდე 4-5 დღით ადრე, შინ დამირეკა ლეშკაშელმა და მითხრა – ეზოში ჩამოდი, შენთან საქმე გვაქვსო. როცა ჩავედი, ზაურ გივიაშვილთან სახლში ასვლა შემომთავაზა დასალაპარაკებლად. მაშინ მითხრეს გივიაშვილმა და ლეშკაშელმა, რომ იყო ერთი „ვალუტჩიკი“, რომლის ვინაობა ჩემთვის არ უთქვამთ. „ვალუტჩიკს“ პარკით ფული დააქვს თან და დავაყაჩაღოთ, ფული წავართვათო, – შემომთავაზეს. მე მათ წინადადებას დავთანხმდი. შევთანხმდით, რომ 13 სექტემბერს საღამოს შევიკრიბებოდით, მივიდოდით ჯიხურთან, დავკვირდებოდით „ვალუტჩიკს“, გავყვებოდით სახლში, გავიგებდით მის მისამართს და მეორე დილით დავხვდებოდით

და წავართმევდით ფულს. მაგრამ ისე მოხდა, რომ 13 სექტემბერს, დილით შემეძინა ქალიშვილი და ამის გამო, იმ საღამოს „ვალუტჩიკს“ ვეღარ გავყევით. ამიტომ გეგმის განხორციელება 15 სექტემბრისთვის გადავდეთ... ჯერ კიდევ არ ბნელოდა, როცა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელზეც მითხრეს – ის არისო, ჩაჯდა მანქანაში და გაემგზავრა. მოთეთრო, პატარა ტომარაში გახვეული რაღაც, იღლიის ქვეშ ჰქონდა ამოდებული. მაშინვე გავაჩერეთ ტაქსი და მძღოლს ვუთხარით, იმ მანქანას გაჰყევითქო. დავინახეთ, სად გაჩერდა „ვალუტჩიკი“ და რომელ სახლშიც შევიდა. ამის შემდეგ მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დილას ადრე შევხვდებოდით ერთმანეთს მეტრო „ღრმაღელესთან“ და მივიდოდით „ვალუტჩიკის“ სახლთან...

როცა ერთმანეთს შევხვდით, გივიაშვილმა თქვა – იარაღი მაქვს სამი ტყვიითო. როგორც ვიცი, „მარგოლინი“ იყო. გივიაშვილმა გვითხრა – მე ფეხში დავჭრი „ვალუტჩიკს“ და ისე წავართვათ ფულიო. შევთანხმდით, რომ გივიაშვილი ესროდა „ვალუტჩიკს“, შემდეგ მე და რამაზი მივცვივდებოდით მას, წავართმევდით ფულს და გავიქცეოდით...

დილის 7 საათზე, მართლაც შევხვდით ერთმანეთს და დათქმულ ადგილზე მივედით. გივიაშვილი მარტო გაჩერდა „ვალუტჩიკის“ სახლის ქვემოთ, იქ, სადაც მისი მანქანა იყო დაყენებული, მე და ლეშკაშელი ოდნავ ზემოთ გავჩერდით. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მატულობდა ხალხი ქუჩაში. სახლიდან ვიღაც მოხუცი მამაკაცი გამოვიდა და ქუჩას გაუყვა. ვიღაც ქალიც დავინახე, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. დაახლოებით 9.00 საათისთვის, „ვალუტჩიკი“ მარტო გამოვიდა სახლიდან. თუ რა ტანსაცმელი ეცვა, არ მახსოვს. მანქანისკენ წავიდა, ხელში იგივე პარკი ეჭირა. გივიაშვილი მივიდა მასთან, შეეცადა, პარკი წაერთმია მისთვის, მაგრამ „ვალუტჩიკმა“ წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ გივიაშვილმა უბიდან თუ საქამრიდან ამოიღო იარაღი და ესროლა „ვალუტჩიკს“. ჯერ ერთხელ ესროლა. „ვალუტჩიკი“ ცოტა ხანი ფეხზე იდგა. მაშინ გივიაშვილმა ორჯერ ზედიზედ გაისროლა მისი მიმართულებით. ამ დროს მე და ლეშკაშელი მივრბოდით მათკენ. ყველაფერი ძალიან მოკლე ხანში მოხდა. როცა მათთან მივრბინეთ, „ვალუტჩიკი“ უკვე ძირს ეგდო პირქვე. იქვე ეგდო პარკი, რომელშიც ფული უნდა ყოფილიყო. მე პარკს ვტაცე ხელი და ქვემოთ გავიქეცი. თითქმის უკან მომყვებოდა ლეშკაშელიც, ხოლო სულ უკან მორბოდა გივიაშვილი.“

ამ ჩვენების შემდეგ, ნუცუბიძე გამოძიებამ ისევ დაჰკითხა, მაგრამ ამჯერად, მან თქვა, რომ გივიაშვილი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ ყოფილა და აღნიშნა, რომ მასთან და ლეშკაშელთან ერთად დანაშაულში ვინმე გია მონაწილეობდა. სასამართლო პროცესზე ბექა ნუცუბიძემ კვლავ შეცვალა ჩვენება: კოლეგიას მოახსენა, რომ მკვლელობა გივიაშვილს არ ჩაუდენია, ცეცხლსასროლი იარაღი „მარგოლინი“ თავად ჰქონდა და ამის შესახებ მისმა თანამზრახველებმა არაფერი იცოდნენ. რაც შეეხება წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ზემოთ მოყვანილ ჩვენებას, ნუცუბიძე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი მას პროკურატურის მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლით ხსნიან. ადვოკატის თქმით, პროკურატურა დაინტერესებული იყო მკვლელობაში გივიაშვილის დადანაშაულებით და ამიტომაც მოსთხოვეს ნუცუბიძეს ასეთი ჩვენების დაწერა.

ზურაბ როსტიაშვილი:

„როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო გამოძიების დროს, ნუცუბიძემ თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ მას განზრახული არ ჰქონდა კობახიძის მოკვლა. როგორც ნუცუბიძე ამბობს, ლეშკაშელმა და გივიაშვილმა მომხდარის შემდეგ უსაყვედურეს კიდეც მას – რატომ არ გვითხარი, თუ იარაღი გქონდაო? ნუცუბიძეს უპასუხია – ყოველი შემთხვევისთვის მქონდა წამოღებული და თქვენთვის რომ მეთქვა, საჭიროდ არ მივიჩნიე, იარაღი უბრალოდ, შესაშინებლად წამოვიღე და ტყვია ძიძგილაობის დროს გამივარდაო.

რაც შეეხება ფაქტის თვითმხილველებს, მათი ჩვენებებიდან ჩანს, რომ მათ მხოლოდ სროლის შემდეგ ნახეს სამივე პიროვნება დაზარალებულთან ერთად და ამდენად, არ უნახავთ, თუ რა ვითარებაში და როგორ მოხდა გასროლა. აქედან გამომდინარე, არ დასტურდება ის გარემოება, რომ კობახიძე ნუცუბიძემ დამამძიმებელ გარემოებაში მოკლა“.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი სასამართლოში მეორე განსასჯელის – გივიაშვილის ინტერესებსაც იცავდა. ის აცხადებდა, რომ გივიაშვილი ყაჩაღობაში კი არა, ძარცვაში იყო დამნაშავე და აქედან გამომდინარე, მუხლის გადაკვალიფიცირებაც მოითხოვა. თუმცა, ადვოკატის პოზიცია კოლეგიამ არ გაიზიარა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ნუცუბიძე 104-ე მუხლით ცნო დამნაშავედ და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო გივიაშვილს ჩადენილი ყაჩაღობისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. განაჩენი მსჯავრდებულებმა და ადვოკატმა როსტიაშვილმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს. ყაჩაღობის მუხლის, ძარცვის მუხლზე გადაკვალიფიცირებაზე პალატის მოსამართლეებმაც განაცხადეს უარი, რადგან მათი თქმით, ამის საფუძველი საქმეში არ არსებობდა. თუმცა, მათ მსჯავრდებულებს სასჯელი 3-3 წლით მაინც შეუმცირეს.

■

დაგვეხმარონ კონფლიქტის მოგვარებაში, რაც შეიძლება ხშირად უნდა შეგვახვედრონ ერთმანეთს, ყველა სხვა მხარის მონაწილეობის გარეშე. არსად არ გადაწყდება ეს კონფლიქტი – არც ჟენევაში, არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში. იგი უნდა გადაწყდეს სოხუმსა და თბილისში.

— შეხვედრების დროს ალბათ ტრადიციულ კავკასიურ სუფრასთანაც შეიკრიბეთ... სადღეგრძელოებიც იყო?

– უმაგისობა ნამდვილად არ ყოფილა. თუმცა, თავდაპირველად, მეც კი გამიჭირდა თუნდაც, ჭიქის აწევა მათთან ერთად, მაგრამ როგორც კი ეს ბარიერი გადავლახეთ, ურთიერთობა ნორმალურად აეწყო. სუფრის დეტალებს არ მოვყვები, მაგრამ ორივე მხრიდან გულწრფელი კეთილგანწყობა იგრძნობოდა.

— ბაგაფშის მოწოდება ჟენევის შეხვედრის წინ, დავივიწყოთ პოლიტიკა და ეკონომიკის ენით ვისაუბროთო, ბევრმა რუსების მორიგ ხრიკად მონათლა...

– არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ეს რუსების ხრიკი იყო. მხოლოდ პოლიტიკური საკითხების განხილვას რომ მივუძღვენით 12 წელი, რა შედეგებამდეც მივედით, კარგად ჩანს. ეკონომიკური მხარე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ არ გახლავთ მთავარი, ურთიერთობების მოგვარებისას. ეს არის ხელშემწყობი ფაქტორი, ომით გახლეჩილი ორი მხარის შესარიგებლად. მთავარია, ნდობის აღსადგენად გადავდგათ ნაბიჯი. დამერწმუნეთ, არანაირ პროექტს არ უწერია განხორციელება, თუკი ერთმანეთის მიმართ ელემენტარული ნდობა არ გაგვიჩნდება. ეს კი გაჩნდება უშუალო ურთიერთობის, პლუს ერთობლივი ეკონომიკური (თუნდაც მცირე) პროექტების წყალობით. როგორც კი ქართულ-აფხაზურ მცირე ბიზნესჯგუფებს ერთიანი ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდებათ, შეგვეძლება, ზოგადად, ეკონომიკური რეაბილიტაციის ფართომასშტაბიან პროექტებზეც ვიმსჯელოთ. მცირე პროექტები უკვე არსებობს და მალე განხორციელდება კიდეც.

— რა აზრის ბრძანდებით რკინიგზის გახსნის თაობაზე, რომელსაც აფხაზებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს? საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 28 აპრილს თბილისში სომეხ კოლეგა ბაღდასარიანთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარების პროცესში პოლიტიკური პროგრესის მიღწევის შემთხვევაში, მზადაა, განიხილოს ეს საკითხი.

– შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში ექსპერტები დაიწყებენ ამ თემაზე მუშაობას და ორივე მხარის ვარიანტებს წარმოადგენენ. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საკითხი პოლიტიკურ დონეზე განიხილება.

— ზოგი ფიქრობს, რომ რკინიგზის გახსნა ქართული მხრიდან შეცდომა იქნება, რასაც „დათბობა“ არ მოჰყვება....

– ვფიქრობ, ქართულ მხარეს მართებს, ბევრად უფრო სულგრძელი იყოს. ჩვენ უნდა შევძლოთ, პირველი ნაბიჯი გადავდგათ შერიგების გზაზე. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ კონფლიქტს, რომელიც 1992 წლის დასაწყისში შედგა, ქართულმა მხარემაც შეუწყო ხელი გაუთვლელი ნაბიჯებით. მაგრამ ახლა ჩვენი ინტერესი საქართველოს გამთლიანება გახლავთ, რადგან ამის გარეშე ქვეყნის განვითარება შეუძლებელია. საქართველოს პრეზიდენტმაც ამიტომ დასახა თავის უმთავრეს მიზნად ქვეყნის გამთლიანება, ამიტომაც, პირველად ჩვენ უნდა გადავდგათ ნაბიჯი. ეს უკვე დავიწყეთ, როდესაც შეიარაღებული პარტიზანული ფორმირებები განვაიარაღეთ. ეს ძალზე რთული გახლდათ და ვრწმუნდებით, რომ აფხაზური მხარე ამ ნაბიჯს აფასებს.

— საინტერესოა, რა ბედი ელის აფხაზეთში არსებულ იმ სანატორიუმებს, სასტუმროებსა და დასასვენებელ სახლებს, რომლებიც უკვე გაყიდულია ან იყიდება რუს ბიზნესმენებსა და მაღალჩინოსნებზე? რამდენად აწუხებს ეს საკითხი ე.წ. აფხაზეთის თვითგამოცხადებულ მთავრობას?

– ეს ყველაფერი საერთაშორისო სამართლებრივი და ელემენტარული იურიდიული თვალსაზრისითაც არის უკანონო და ეს მათაც შესანიშნავად იციან, ვინც აფხაზეთში იყიდა რამე. ამიტომაც არ აწარმოებენ აფხაზეთში სერიოზულ კაპიტალდაბანდებას. ჩვენც ამ მხრივ მაინცდამაინც არ ვღელავთ. მართალია, პირდაპირ ხელის შეშლა არ შეგვიძლია, მაგრამ ვფლობთ ყველა ინფორმაციას და თავისუფლად ვახერხებთ იმის გატანას საერთაშორისო არენაზე. რაც ხდება აფხაზეთში, ეს არის უკანონობა და ამჟამინდელ ნებისმიერ კაპიტალდაბანდებას აფხაზეთში ხვალ დაკარგვის რისკი ემუქრება. ასევე ფიქრობს სოხუმის მთავრობაც, თუმცა, ამას პირდაპირ არ (ვერ) აცხადებს, რადგან მათ ინტერესებში შედის, ამ გზით რაც შეიძლება მეტი ფული შეიტანონ ბიუჯეტში. მოგეხსენებათ, რა მძიმე მდგომარეობაც აქვთ მათ ხაზინაში.

— როგორც მახსოვს, თქვენ ჯერ კიდევ ჟენევაში წასვლამდე განაცხადეთ, სანამ აფხაზებს არ უხელმძღვანელებს პროაფხაზური ორიენტაციის ლიდერი, პრობლემის მოგვარებაზე ფიქრიც კი ილუზიაა. რას ფიქრობთ, სოხუმის მთავრობაში იგრძნობა იმ ძალების მოსვლა, რომელიც აფხაზების გადარჩენის გასაღებს საქართველოსთან ტრადიციულ ურთიერთობაში მოძებნის?

– ეს ძალა უკვე მოსულია სოხუმში, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მათ არ აქვთ საშუალება, დღესვე მოახდინონ თავიანთი პროაფხაზური პოლიტიკის რეალიზაცია. აქედან გამომდინარე, მათ სჭირდებათ განსაზღვრული დრო და ჩვენც მეტი მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ არსებულ ვითარებას. არა მგონია, დრო გაიწელოს. ჩემი აზრით, ერთ წელიწადში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები უფრო სერიოზულ ეტაპზე გადავა...

— აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით თუ იმსჯელეთ?

– არა. თუმცა, დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შამბას განვუმარტე, რომ ეს საკითხი ქართულ საზოგადოებაში აქტიური განხილვის საგანია, რომ ქართველები სერიოზულად ფიქრობენ აფხაზებთან გვერდიგვერდ მშვიდობიან ცხოვრებას და მოვუწოდე მას, ხელი შეუწყოს იმავე პროცესის დაწყებას აფხაზურ საზოგადოებაში. შამბას პოზიციიდან გამომდინარე, სტატუსზე მსჯელობა მათ, ისე აღარ აღიზიანებს, როგორც ეს არძინბას დროს ხდებოდა.

— როგორ ფიქრობთ, რა ზეგავლენას მოახდენს ბუშის ჩამოსვლა კონფლიქტის მოგვარების პროცესზე?

– ეს იქნება კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში საერთაშორისო საზოგადოებრიობის უმაღლესი მხარდაჭერა. კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. რუსეთი იგრძნობს, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ხოლო აფხაზებს, მგონი, უკეთესი გარანტია აღარც სჭირდებათ იმისთვის, რათა დარწმუნდნენ, რომ საქართველო მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს კონფლიქტის მოგვარებას...

■

ტიკად იყო ნაცემი და ეს გამოძიებამაც დაადასტურა. მიუხედავად ამისა, პროკურატურა მაინც არასწორად აფიქსირებს ფაქტებს საბრალდებო დასკვნაში. არ შეიძლებოდა, ელიბეგიანს რომელიმე ძმის მოკვლის განზრახვა ჰქონოდა, მით უმეტეს, რომა ბერენციანის, რადგან საქმის მასალების მიხედვით, ის აწ გარდაცვლილის ძმამ სცემა. თუკი ვინმეს მოკვლას განიზრახავდა, მაშინ ეს მოკლულის ძმა იქნებოდა. ცხადია, რომ აქ საქმე გვაქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადამეტებასთან და არა განზრახ მკვლელობასთან. მით უმეტეს, რომ არანაირი შურისძიების მოტივი საქმეში არ იკვეთება“.

რაც შეეხება მკვლელობის იარაღს, ბრალდებულმა განაცხადა, რომ დანა მან ჩხუბის დროს მიწაზე შემთხვევით იპოვა, აიღო და მოიქნია. ისიც განაცხადა – დანა იქ მყოფთაგან ერთადერთს მე მქონდა, მახსოვს, რომა ბერენციანს სხეულში ჩავარტყი და შესაძლებელია, ის მის ძმასაც მოხვდაო. აღსანიშნავია, რომ მანამ, სანამ ელიბეგიანს პოლიცია დააკავებდა, მას ჩადენილ დანაშაულში მისივე მეგობრები ამხელდნენ. თავის დროზე, სამართალდამცავებმა ერთ-ერთი მათგანი – დავრიშიანიც დააკავეს და მას რატიკ ბერენციანის სხეულის განზრახ დაზიანებისთვის ბრალი წაუყენეს. თუმცა, მოგვიანებით სამართალდამცავებმა მიიჩნიეს, რომ დავრიშიანისთვის ბრალის წაყენება ნაადრევი იყო, რადგან გამოძიებას იმ ეტაპზე, საკმარისი მტკიცებულება არ ჰქონდა მოპოვებული. დავრიშიანი კი თავს დამნაშავედ არ ცნობდა. ის, ისევე, როგორც მატინიანი, მკვლელობაში გაქცეულ ელიბეგიანს ადებდა ხელს და აცხადებდა – დავინახე, როგორ ამოიღო დანა და სხეულში ჩაარტყა რომა ბერენციანს. მასვე ამხელდნენ მოკლულის ძმის დაჭრის ფაქტშიც.

ამ დროისთვის, ორივე მათგანმა შეცვალა ჩვენება. ახლა ამბობენ, რომ მხოლოდ ჩხუბის თვითმხილველები არიან. რაც შეეხება წინა ჩვენებებს, ამას პროკურატურის მხრიდან ზეწოლის ფაქტით ხსნიან.

ამჟამად, 22 წლის სეირან ელიბეგიანს თბილისის საქალაქო სასამართლო ასამართლებს. პროცესზე ჯერჯერობით მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო სხდომებზე დაზარალებული რატიკ ბერენციანი არ ცხადდება, რასაც განსასჯელის მხარე ეჭვის თვალით უყურებს. განსასჯელის ადვოკატის თქმით, დაზარალებულს გამოძიებისთვის არაერთი, ერთმანეთისგან განსხვავებული ჩვენება აქვს მიცემული, რაც მის ერთადერთ სურვილზე – როგორმე დაუმძიმოს ბრალი განსასჯელს – მიუთითებს.

თავად დაზარალებულის პოზიცია ასეთია: ადგილი ჰქონდა ჯგუფურ დანაშაულს და მომხდარ მკვლელობაში მხოლოდ ელიბეგიანი არ არის დამნაშავე.

■

ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის მეპატრონე დააყაჩაღეს

19 ივლისს, გორში თავს დაესხნენ ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის მეპატრონეს. როგორც თავად დაზარალებული – პაატა ქურდაძე აღნიშნავს, დილით, თავის საცხოვრებელ კორპუსთან მას 3 შეიარაღებული, ნიღბიანი ბოროტმოქმედი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა ქურდაძე ჯერ ავტომატების კონდახებით სცემეს, შემდეგ კი დიდი ოდენობით თანხა წაართვეს. დაზარალებული, „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადამ ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანა.

ექიმების თქმით, ქურდაძეს ქალა-ტვინის ძლიერი დაზიანება, თავის დახურული ტრავმა და მრავალი ნაჟღენთი ჭრილობა აღენიშნება.

დააკავეს ცნობილი ნარკორეალიზატორი

პოლიციამ დედაქალაქში მოქმედი, როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნარკორეალიზატორი – 41 წლის გელა ფირცხალავა დააკავა. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავების მომენტში ფირცხალავა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ჩხრეკისას კი, მას 2 ნატეხი სუბოტექსი აღმოუჩინეს. პოლიციამ ჩხრეკა ფირცხალავას საცხოვრებელ ბინაშიც ჩაატარა. შინ მას სარეალიზაციოდ გამზადებული ერთი აბი და ოთხი ნატეხი სუბოტექსი, 7 აბი ტრამალი და 16 აბი რელადრომი აღმოაჩნდა. სამართალდამცავთა ცნობით, აღმოჩენილი ნივთიერებები ფსიქოტროპული საშუალებების ჯგუფს მიეკუთვნება. ბინიდან ასევე ამოღებულია ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა – 4.705 დოლარი და 130 ევრო. იქვე იპოვეს „პსმ“ სისტემის პისტოლეტის ორი მჭიდი 8 ვაზნით და პისტოლეტ „პარაბელუმის“ ვაზნები.

16 წლის გოგონას ცეცხლსასროლი იარაღიდან დაცვის თანამშრომელმა ესროლა

18 ივლისს, სამართალდამცავებმა კერძო დაცვის სამსახურის – „ჯოანის“ თანამშრომელი – 31 წლის ზაზა გულიაშვილი დააკავეს. მათი ინფორმაციით, გულიაშვილმა, რომელიც ამ დროს ნასვამი გახლდათ, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავის არეში დაჭრა 16 წლის თამთა გურგენიძე. ამის შედეგად გოგონამ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო. გასროლის მიზეზს სამართალდამცავები ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. მათი თქმით, მიმდინარეობს ძიება და დეტალები უახლოეს მომავალში დადგინდება. რაც შეეხება გულიაშვილს, ის პოლიციამ მაშინვე დააკავა და მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ცეცხლსასროლი იარაღიც ჩამოართვა. დანაშაულის იარაღი, პისტოლეტი „გოლდსტარი“ გახლავთ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურა ჩაატარებს.

21 წლის ახალგაზრდას მამის მკვლელობაში ადანაშაულებენ

18 ივლისს, პოლიციის თანამშრომლებმა საკუთარი მამის მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 21 წლის თემურ კალაშოვი დააკავეს. პროკურატურის ინფორმაციით, მან მამა ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა. მკვლელობა ყვარლის რაიონის სოფელ კუჭატანის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. 53 წლის გურამ კალაშოვს შვილის მიერ ნასროლი ტყვია მუცლის არეში მოხვდა და ის ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, სანადირო თოფი რეგისტრირებული არ გახლდათ. მკვლელობის იარაღი პოლიციამ ეჭვმიტანილის დაკავების დროს ამოიღო. მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიებას კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო აწარმოებს.

■

ყბაჩოსთან შეხვედრა მოულოდნელობებით აღმოჩნდა სავსე. ჯერ მთხოვა გარეკანზე ჩემს ფოტოს ნუ მოათავსებთო, შემდეგ ანეკდოტების მაგივრად, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და მშენებლობაზე მესაუბრა, ბოლოს კი, ფოტორეპორტიორობაც ითავა და საკუთარ თავს ფოტოები თავადვე გადაუღო. ჩვენი შეხვედრა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდში (სსიფ) შედგა. სსიფ მსოფლიოს ბანკის დაფინანსებით საქართველოში პროექტებს 1996 წლიდან ახორციელებს. რა აკავშირებს ყბაჩოს სსიფ-თან?

4 ათასი ანეკდოტის „ავტორი“ ყბაჩო ახალ ტელეშოუებს იუმორს უწუნებს

ლელა ჭანკოტაძე

— მეხუთე წელია, რაც საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდში (სსიფ) ვმუშაობ. ფონდი მოიცავს მთელ საქართველოს და ის საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

— როგორ მოხვდი სსიფ-ში?

— გამოცხადდა ვაკანსია საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში. შერჩევის საფუძველზე დავიწყე მუშაობა. მოთხოვნებში შედიოდა: ინგლისურისა და კომპიუტერის ცოდნა, კომუნიკაბელურობა, გამოცდილება. მინდოდა, სტაბილური სამსახური და მოვძებნე კიდეც. ახლა ყოველი წუთი დაგეგმილი მაქვს. შაბათ-კვირას ტელევიზიაში ვმუშაობ, დანარჩენი დღეები კი — სსიფ-ში.

— აქ მომსვლელი ადამიანებისთვის ყბაჩოსთან შეხვედრა ალბათ, ნამდვილი სიურპრიზია?

— ცხადია. ვერ წარმოუდგენიათ ხოლმე, რომ ყბაჩო მათ ესაუბრება მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის საკრებულოს შესახებ. ახლა სოციალური განვითარების სპეციალისტი ვარ და დასავლეთ საქართველოზე ვმუშაობ. ჩვენ ხელს ვუწყობთ, ვასწავლით შესასრულებელ მიკროპროექტებს და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებს. ვხვდებით ხალხს, ჩავდივართ სოფლებში, ვსაუბრობთ, მათ პრობლემებს ვეცნობით; სსიფ-ის საქმიანობაში შედის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების რეაბილიტაცია, სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და სპეციალიზებული (ფიზიკურად და გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისთვის) სკოლების რეაბილიტაცია, მათი ინვენტარით და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

— სსიფ-ზე საუბრით მკითხველი რომ არ გადავლალოთ, ჯობს იმ პერიოდში გადავინაცვლოთ, როცა ხალხი დილიდან საღამომდე ელოდა, როდის დაიწყებოდა „პა-სეანსი“.

— „პა-სეანსი“ ქართულ ტელესივრცეში ახალი ხილი იყო. ხალხს მაშინ სატირა მოსწონდა. ჩვენ ეკრანიდან ვამბობდით იმას, რის ხმამაღლა თქმასაც ბევრი ვერ ახერხებდა. ეს ურთულესი პერიოდი გახლდათ. სახელმწიფო ტელევიზიის მესამე სართულზე ერთ პატარა ოთახში ვმუშაობდით. მოგვცეს ძველი, საიზოლაციო ლენტით „დასკოჩილი“ კამერა და უსახური განათება. მერე „II არხის“ ხელმძღვანელობასთან პრობლემები შეგვექმნა და „იატაკქვეშეთში“ გადავინაცვლეთ. მაშინ მამუკა ღლონტს პურის მოედანზე ჰქონდა სარდაფი. იქ ჩამოყალიბდა „მაესტრო“ და იქვე გადავიღეთ „პა-სეანსის“ რამდენიმე გადაცემაც. ფაქტობრივად, არაფრისგან ვაკეთებდით საქმეს.

— რატომ შეწყდა „პა-სეანსი“?

— ყველაზე კარგი გადაცემაც ალბათ, ოდესმე უნდა დასრულდეს. ჩვენც ვიცოდით, „პა-სეანსი“ მუდმივად რომ არ გაგრძელდებოდა. მსახიობებს ოჯახები და შვილები გვყავდა, მაგრამ ენთუზიაზმზე ვმუშაობდით. უფულოდ მუშაობა კი დამიჯერეთ, ძალიან ძნელია. თორემ პოპულარობა ნამდვილად არ გვაკლდა და არც გადაცემა იყო დაბალრეიტინგული. ეთერში ოთხშაბათს გავდიოდით. ხალხი სულმოუთქმელად ელოდა განმეორებით ჩვენებას. მერე გვირეკავდნენ და უამრავ მადლობას გვეუბნებოდნენ. ახლა ბევრი ტოქშოუ გაკეთდა. უკვე კონკურენციაა. ახლებს აქვთ საშუალება, კარგი გადაცემა გააკეთონ, რაც ჩვენ არ გვქონდა. სცენარზე რამდენიმე ადამიანი მუშაობს, შეუძლიათ დაიქირაონ საუკეთესო რეჟისორები. საერთოდ, ძნელია იუმორის კეთება. მაყურებლის გაცინება

ამ კოლექტივთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს...

იოლი როდია. მაგალითად, ჩემი გაცინება რთულია. 4000-ზე მეტი ანეკდოტი მაქვს მოყოლილი და ცხადია, ანეკდოტებზე აღარ მეცინება. შეიძლება გამეცინოს, როცა დათო გოგიჩაიშვილი იწყებს გადაცემას. „შაბათის შოუში“ სასაცილო ტიპაჟები არიან. ნორმალურია „ნიკას შოუს“ დასაწყისიც. თუმცა დიდი ხანია, რაც არც ერთ გადაცემაზე გულიანად არ მიცინია. ხშირად „დიშოვი“ იუმორს მიმართავენ მაშინ, როცა შეუძლიათ თავიანთი შოუების ხერხემლად სატირა აქციონ.

— შენს გადაცემაზე რას იტყვი? როგორია მისი რეიტინგი?

— არ ვიცი. ის, რასაც ახლა ვაკეთებ, ჩემთვის ახალია. ვცდილობ, შთამბეჭდავი ტიპაჟი შევქმნა. მე „გეპეის“ თეატრში გავიზარდე. ასე რომ, დიდი სკოლა მაქვს გავლილი და ეს ბევრს მავალდებულებს. ნამდვილად ვიცი, რომ ყბაჩო ე.ი. ყბიანი კაცი პოპულარულია. მე ბავშვთა გასართობ ცენტრშიც ვმუშაობ. იქაც ყოველთვის ვგრძნობ, რომ ბავშვები ყბაჩოსთან დამაკაცებას ცდილობენ, ე.ი. უყვართ, მოსწონთ.

— ყბიანი კაცი — ყბაჩო — იმდენად გაიგივდა შენთან, რომ ძნელი იქნება მისგან გათავისუფლება. ამაზე თუ გიფიქრია?

— შევქმნი რაღაც ისეთს, რაც უფრო პოპულარული გახდება. სხვანაირად ვერც წარმომიდგენია. მაშინ მსახიობი აღარ ვიქნები.

— ყბაჩოს ხშირად გეძახიან?

— ახლობლები, მეგობრები მომმართავენ ასე. ზოგჯერ ყბაჩო ვარ სამსახურშიც. ადრე ყიფშიძეს მეძახდნენ, ყიფშიძის ქუჩას ყველა მეკითხებოდა. ეს გამარჯობასავით იყო. ამასთან დაკავშირებით კურიოზიც მახსენდება. გვქონდა ანეკდოტი. ნარკომანთან ბავშვი მიდიოდა და ცხვირზე თითს აჭერდა. ნარკომანი ეუბნებოდა: გაფუჭდება, გაფუჭდებაო. ბოლოს თვითონ მიიჭირა ცხვირზე თითი და თქვა: ხომ გითხარი გაფუჭდება-მეთქი. ერთ დღეს სამარშრუტო ტაქსით ვიმგზავრე. ჩემ წინ მჯდარი ასაკოვანი ქალი მიღიმოდა. ამას შეჩვეული ვარ და ყოველთვის მადლობას ვეუბნები ღმერთს, იმის გამო, რომ ჩემი დანახვა ხალხს სიამოვნებას ანიჭებს. დედაჩემის ხნის ქალი გახლდათ. ბოლოს გააჩერებინა მძღოლს. სანამ ჩავიდოდა, ცხვირზე თითი მომაჭირა და მკითხა: „გაფუჭდება?“ ის ჩავიდა, მე კი თავი ველარ ავწიე.

— ახლა უხამს ანეკდოტებს ჰყვები. რატომ?

— თავიდან ვამბობ: ბავშვები მოაცილეთ ტელევიზორებს-მეთქი. მაყურებელი ჩემს ახალ გადაცემას ძალიან მწვავე რეაქციით შეხვდა. არის ხალხი, ვინც კატეგორიულად აცხადებს, რომ ეს საშინელებაა. არის ისეთი კატეგორიაც, რომელიც სიამოვნებით მისმენს. გამუდმებით ვცდილობ, ბინძური ანეკდოტები ისე მოვყვე, ისეთი მინიშნებებით, რომ უწმაწური სიტყვები არ ვიხმარო.

— რთულია ანეკდოტების შერჩევა?

— 4000-ზე მეტი ანეკდოტი მაქვს მოყოლილი. ცხადია, არც ერთი არ დამიმახსოვრებია. ინტერნეტში ერთი საათი მჭირდება, რომ ანეკდოტები შევაგროვო და შემდეგ გადაცემაში ვკითხულობ. ყველაზე რთულია მათი გადმოქართულება. უცხოური ანეკდოტი მაყურებელს ისე უნდა მივაწოდო, თითქოს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა.

— რატომ არ გადახვედი სხვა არხზე? ვიცი, რომ შემოთავაზებები გქონდა.

— ამ კოლექტივთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს; 15 წელია, ერთად ვართ, ჩემი მეგობრები არიან. მართალია, ანაზღაურება სხვა არხებზე გაცილებით მეტია, მაგრამ ამის გამო ერთიანი გუნდიდან წასვლა, ღალატად მიმაჩნია. ჩვენთან ხელფასები მცირეა. ხანდახან ის მცირეც არ გვაქვს, მაგრამ თუ კარგად ვართ, ერთად ვართ, თუ გვიჭირს, მაშინაც ერთად ვართ. ■

მარი ჯაფარიძე

მისი წყევლა ამიხდა

„დედაჩემი ჩემს კუბოს კიბეზე არახრახებს“

„არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოსცდა: — ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო“, — ასე ამბობდა ზურიკელა ოლღა ბებიას შესახებ (ნ. დუმბაძე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“). თუმცა, ბევრი მკითხველის აზრით, წყევლა მაინც უარყოფითად მოქმედებს მათ ცხოვრებაზე და თავიანთ უიღბლობას სწორედ ამას აბრალებენ.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში წყევლას ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. დაწყევლის განსაკუთრებული რიტუალიც კი არსებობს. სვანეთში ამას ხატზე გადაცემას ეძახიან. ამ რიტუალს მხოლოდ მამაკაცები ატარებენ და ისეთი შემზარავი სანახავი და მოსასმენია, რომ თუ ერთხელ დაესწარით, არასოდეს დაგავიწყდებათ. ხალხში გავრცელებული აზრით, მამაკაცის წყევლა აუცილებლად ახდება და ვაი იმას, ვისაც ასეთი რისხვა დაატყდება თავს... ვნახოთ, როგორ აუხდა წყევლა 25 წლის თამთას.

წყევლა ქათმის ქურდობისთვის

„უკვე დიდი გოგო ვიყავი, მაგრამ ბავშვობის ასაკიდან ვერ გამოვდიოდი. მესამე კურსის სტუდენტი გახლდით, როცა ჩემს ორ მეგობარ გოგოსთან ერთად, ბებიასთან დასასვენებლად წავედი დუშეთში. ბევრი სტუმარი იყო ქალაქიდან ჩამოსული. გოგონები მშვენივრად ვერთობოდით. ერთხელ, საღამოს, „ბირჟაზე“ ვისხედით და ათას ამბავს ვყვებოდით. უცებ მომშივდა. რატომღაც ძალზე მომინდა შემწვარი ქათმის ხორცი. ბებოს ქათმები არ ჰყავდა. ამიტომ გადავწყვიტე, მეზობლის საქათმიდან ჩასუქებული ვარია მომეპარა. გოგონებიც ავიყოლიე და მალე ჩანაფიქრი სისრულეში მოვიყვანეთ. ბებიაჩემი გადაირია — უნამუსოდ იქცევი, სხვისი ქათამი რომ შეჭამო, არ შეგერგებაო, — მაგრამ ვინ დაუგდო ყური? ისე გემრიელად შევახრამუნეთ, რომ ლამის ძვლებიც შემოგვეჭამა. დილით მეზობლის წყევლამ გაგვაღვიძა — არ გაიხაროს ჩემი ქათმის მომპარავმაო! — გაყვიროდა ქალი. — მაგის მეტი არაფერი ჭამოს მისმა პირმაო! — ბანს აძლევდა კაცი. — გაუხმეს ენა-პირი ჩემი ვარიის შეჭმისთვისო! — ქოთქოთებდა დედაკაცი. — მოსტყდეს ის მარჯვენა, რომლითაც ქათამი მოიპარაო! — კვერს უკრავდა ქმარი. რა თქმა უნდა, ყურადღებაც არ მიგვიქცევია მათი წყევლისთვის... იმ დღეს ტყეში გასეირნება გადავწყვიტეთ. ერთ ადგილზე ფეხი დამიცდა და მთის ფერდობზე დავგორდი. კარგა ხანს ვიკოტრიალე. ყვირილის დროს კბილებს შორის ენა მომყვა და ლამის მოვიკვნიტე. მარჯვენა ხელი ორ ადგილას მოვიტეხე. მთელი ზაფხული ჩამშხამდა. ენა ისე გამისივდა, პირში აღარ მეტეოდა და ისე ვბლუყუნებდი, ვერ გაარჩევდი, რას ვამბობდი. ხელი კი ძლივს შემიხორცდა და ახლაც წვიმიანი ამინდის დროს მახსენებს ხოლმე, როგორ შევყავი სწორედ ეს ხელი საქათმეში და მსუქანი ვარია გამოვათრიე... აი, ასე ამიხდა წყევლა. ამის შემდეგ აღარაფერი მომიპარავს“.

საპატრულო პოლიცია ხალხს მხსნელად და იმედად რომ მოევლინა, ეს უკვე არახალია, მაგრამ თუ ძალზე წვრილმანი საქმის გამო შეაწუხებთ მათ, შესაძლოა, დაგწყევლონ კიდეც. პატრულის წყევლა თურმე, ძალზე სახიფათო ყოფილა და მომენტალურად აგიხდებათ. გვიამბობს 40 წლის დალი.

„თქვენი მტერი დაწყევლოს პატრულმა“...

„სულ ახლახან 40 წელი შემისრულდა და იუბილე მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში აღვნიშნე. ჩემი მანქანით ვიყავი წასული. თბილისში საკმაოდ გვიან დავბრუნდი. მანქანაში 4 მეგობარი ივჯდა ჩემთან ერთად. შუა გზაში მანქანა გაფუჭდა. ვერაფერი გავუგე. ხან კაპოტი ავხადე და მოტორში ჩავიჭყიტე, ხან მიწოლით ვცადე დაქოქვა, მაგრამ მაგდანას ლურჯასავით გაჩერდა და გზის გაგრძელება „აღარ ისურვა“. გამვლელ მანქანებს ხელს ვუწევდით, მაგრამ არავინ გაგვიჩერა. მერე ერთმა მეგობარმა მოიფიქრა — მოდი, პატრულში დავრეკოთ, აუცილებლად გვიშველიანო. მეორემ თქვა — თუ ვეტყვით, რომ მანქანა გაგვიფუჭდა, არ მოვლენ, ამიტომ რაღაც ისეთი მოვიფიქროთ, რომ ვაიძულოთ, დაგვეხმარონო. ჭკუაში დაგვივჯდა ეს აზრი. დავრეკეთ და მოვატყუეთ, თითქოს ავარია მოხდა და „საქმის გარჩევა“ გვჭირდებოდა. ცოტა ხანში მოვიდნენ. როდესაც სიმართლე შეიტყვეს, მივხვდით, რომ არ მოეწონათ, ტყუილად რომ გამოვიძახეთ. თუმცა, მაინც დაგვეხმარნენ და როგორც იქნა, მანქანა დავქოქეთ. მადლობა რომ გადავუხადეთ, ერთმა მოგვაწყევლა — არ გეღირსოთ სახლში მისვლაო! გაოცებული დავრჩით, ასე დედაკაცივით რომ დაიწყევლა და გულიანად ვიცინეთ კიდეც. მაგრამ ცოტა ხანში სულაც აღარ გვქონდა სასაცილოდ საქმე: გზაზე „აწყვეტილი“ „კამაზი“ მოდიოდა და შეგვეჯახა. ღვთის მადლით, არავინ დაშავებულა, მაგრამ მანქანა კარგა გვარიანად დაზიანდა. იძულებული ვიყავით, ისევ პატრულისთვის გვეხმო საშველად. იგივე წყვილი მოვიდა. ისევ ჩვენ რომ დავხვდით — ახლა მართლა დაჭეჭყილი მანქანით, — გულიანად იცინეს. თუმცა, ჯერ კი შეშფოთდნენ და როცა გაიგეს, ყველანი ჯანმრთელად ვიყავით, მერე დადგნენ სიცილის გუნებაზე. იმ ღამით მართლა

ვერ მივედით შინ და მხოლოდ დილის 11 საათზე, დაღლილ-დაქანცულებმა და ძალაგამოცლილებმა მივაღწიეთ. აი, რა ყოფილა პატრულის წყევლა. თქვენი მტერი დაწყევლონ მაგათ...“

სიყვარული საუკეთესო გრძნობაა, მაგრამ არ ვიცი, ამ „საუკეთესოში“ შედის თუ არა სხვისი ქმრის სიყვარული... მოკლედ, თუ ყველაფერი კარგად აეწყო და საყვარელ ადამიანზე გათხოვების იმედი გაგიჩნდათ, გაითვალისწინეთ ძველი გამონათქვამი – საქმის დაწყების წინ გადახდილ ზეიმს, საქმის დასასრულს გადახდილი ლხინი სჯობსო...

დამუნჯებული საყვარელი, „კუკლა“ ცოლი და ახდენილი წყევლა

„ცხოვრება ისე აეწყო, რომ ვერა და ვერ მოვახერხე გათხოვება. 30 წლის ასაკში, ერთი ცოლშვილიანი კაცი შემიყვარდა. ჰოდა, როცა ფიზიკური ურთიერთობა შემომთავაზა, ბევრი აღარ მიფიქრია – უყოყმანოდ დავთანხმდი. ამის შემდეგ, ძალზე ბევრი პრობლემა გამიჩნდა. ჯერ იყო და ოჯახის წევრებისთვის უნდა ამეხსნა, რატომ ვაგვიანებდი შინ ასე ხშირად, როცა წინათ, შებინდებამდე უკვე სახლში ვიყავი; რატომ მოვუხშირე ტელეფონზე ლაპარაკს და ტირილს... იმიტომ ვღვრიდი ცრემლს, რომ ჩემი საყვარლის ცოლზე ვეჭვიანობდი. თუ გავიგებდი, რომ სადმე ერთად მიდიოდნენ ან სტუმრები უნდა ჰყოლოდათ შინ, ვიბოღმებოდი და მაშინვე ტირილს ვიწყებდი. პატარა მიზეზიც კი საკმარისი იყო, რომ საყვედურებით ამევსო. ჩემი ქალწულობა ხომ სულ ცხვირში ძმრად ვადინე – წარამარა ვახსენებდი, რომ მისი გულისთვის დიდი მსხვერპლი გავიღე... ამასობაში, მთელი 3 წელი გავიდა. ჩემი და მისი ოჯახის საერთო ნაცნობებისგან ვიგებდი, რომ ოჯახში სიტუაცია დაძაბული იყო. ცოლ-ქმარი წარამარა ჩხუბობდა და არც რძალ-დედამთილი ცხოვრობდა მთლად შეხმატკბილებულად. გადავწყვიტე, გურამის დედასთან გარკვეული ურთიერთობა ჩამომეყალიბებინა. ერთ საღამოს, როცა ვიცოდი, რომ ცოლ-ქმარი შინ არ იყო, ქალბატონ ლალისთან დავრეკე და გულახდილად ვუამბე ჩემი და მისი შვილის ურთიერთობის შესახებ. მან ჩვეულებრივად მიიღო ეს ამბავი და ისიც კი შემომთავაზა, ერთმანეთს შევხვდეთ, მინდა, ახლოს გაგიცნოო. რამდენიმე დღის შემდეგ, ლალი ჩემთან სახლში დავპატიჟე. ოჯახს ვუთხარი – ახლობელი ქალბატონი გვესტუმრებამეთქი. ლალი კი გავაფრთხილე, რომ არაფერი დასცდენოდა. დედამ ძალზე კარგად მიიღო ლალი. სუფრა გაგვიწყო და მარტო დაგვტოვა. სტუმარიც აღფრთოვანებული დარჩა ჩვენი ბინით, სტუმართმოყვარეობით, ჩემი გარეგნობითა და თვისებებით... ამის შემდეგ, მე და ლალი დამეგობრდით და გურამისგან მალულად ერთმანეთს ვეკონტაქტებოდით. აქედან გამომდინარე, სულ ზეპირად ვიცოდი, რა ხდებოდა მათ ოჯახში. ერთ მშვენიერ დღეს, ლალიმ მაუწყა – ჩემი რძალი გაიქცა და დაიბარა, აღარასოდეს დავბრუნდებიო... გამიხარდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ეს კიდევ ერთი, მორიგი „გაქცევა“ იყო და სულ მალე უკან დაბრუნდებოდა, მაგრამ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. გურამი ცოლს გაეყარა. იმედი მომეცა, რომ ცოტა დრო გავიდოდა და ჩვენ დავქორწინდებოდით. მე და გურამი ძველებურად ვხვდებოდით ერთმანეთს და ისევ მეფიცებოდა, მიყვარხარო. მისი განქორწინებიდან 2 წელი იყო გასული, როცა ერთ საღამოს, გულში ჩამიკრა და მითხრა – ცოლი უნდა მოვიყვანო, მარტო ყოფნა აღარ მინდაო. სიხარულისგან დავმუნჯდი. მეორე დღეს, ყველა მეგობარს თუ ნაცნობს დავურეკე და შევატყობინე – ვთხოვდები-მეთქი. სიხარულისგან მეცხრე ცაზე ვარსკვლავებს ვწყვეტდი. ერთი კვირის შემდეგ კი გავიგე, რომ... ცოლი მოიყვანა... ლამის გავგიჟდი. მწუხარებისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, დავურეკე, მაგრამ არც კი უცდია, აეხსნა, რატომ მოიქცა ასე. თაფლობის თვეს ნუ ჩამიმწარებო, – მითხრა. – არ გეღირსოს თაფლობის თვის დამთავრება-მეთქი! – მივაწყევლე და ყურმილი დავუკიდე. რამდენიმე დღის შემდეგ, ახალდაქორწინებული ცოლ-ქმარი სტუმრად მიუწვევიათ. უკან დაბრუნებისას, ავტოავარიაში მოხვედრილან. მთელი თვე, ორივემ საავადმყოფოში გაატარა. ლალის რომ დავურეკე, თავს ვიდანაშაულებდი და სინანულს გამოვთქვამდი იმის გამო, რომ დავწყევლე. მან დამაშშვიდა, – ნუ ინერვიულებ, წყევლა-კრულვა არც პირველ ცოლს დაუკლია და შენ რომ მოეყვანე ცოლად, შესაძლოა, მის ადგილზე ახლა შენ ყოფილიყავიო... ეჰ, ნეტავ მე მოვეყვანე და ვყოფილიყავი საავადმყოფოში, მერე რა?.. გარკვეული პერიოდის შემდეგ გურამმა ისევ სცადა ჩემთან დაკონტაქტება, მაგრამ ვერ მივართვი! ჰყავდეს თავისი „კუკლა“ ცოლი და იყოს თავისთვის. მალე მეც გავთხოვდები და თუ არავინ დამწყევლა, იმედია, ბედნიერად ვიცხოვრებ“.

შემდეგმა გზავნილმა ერთი ჩემი მეგობრის ბებია გამახსენა, რომელსაც შეეძლო, ნებისმიერ სიტყვაზე წყევლა გაერითმა. როგორც ჩანს, გარითმული წყევლაც ისევე ზუსტად მისდის ადრესატს, როგორც გაურითმავი.

სექსი ტაქსიში და გარითმული წყევლა

„ტაქსის მძღოლი ვარ. უკვე დიდი ხანია, ამ „თანამდებობაზე“ ვმუშაობ და რაღა არ გადამხდენია თავს. უცოლო მამაკაცი ვარ. როგორც იქნა, 32 წლის ასაკში შევაბი ერთი გოგო და ოჯახის შექმნაზე დავითანხმე. იცით, რამდენი ვიწვალე? ჯერ მხოლოდ შორიდან ვიცნობდი ნუკრის (ასე ერქვა ჩემს საცოლეს). ვიჩალიჩე, რომ დავახლოებოდი. გავიცანი, ძლივს მოვაწონე თავი, მაგრამ მერე დედამისი გაჯიუტდა. რატომღაც სასიძოდ არ მოვწონდი – პროფესიას მიწუნებდა. ვეუბნებოდი, ექიმსა და ინჟინერზე მეტი შემოსავალი მაქვს, შენს შვილს დედოფალივით ვაცხოვრებ-მეთქი. მაინც ჯიუტად გაიძახოდა, არა და არაო... მერე ხან ყვავილებით მოვთაფლე, ხან ძვირფასი საჩუქრებით, ზოგჯერ ერთ-ორ თბილ სიტყვას ვეტყოდი და როგორც იქნა, ისიც გადმოვიბირე. სასიმამრო თავიდანვე ჩემს „ბანაკში“ იყო. ნუკრი დავნიშნე და ქორწილის დღეც დავთქვით. ღირსშესანიშნავ თარიღამდე მთელი თვე იყო. ამიტომ დღე და ღამე ვმუშაობდი, რომ ფული მეშოვა და ყველაფრისთვის ლაზათი შემეძინა. ქორწილამდე ზუსტად ერთი კვირა იყო დარჩენილი, როდესაც ღამის 12 საათზე ახალგაზრდა წყვილმა ამიწია ხელი. უკანა სავარძელზე მოთავსდნენ თუ არა, ერთმანეთს ჩაეხვევნენ. კარგა ხანს ვითმინე, მაგრამ უკვე „ზედმეტებში“ გადავიდნენ. იმათი ხვნეშა-კვნესა ვეღარ ავიტანე, მანქანა გავაჩერე, უკანა კარი გამოვაღე და – აბა, გადმობარგდით-მეთქი! – ვუთხარი. – ვა, უკვე მოვედითო? – მაშინ ასწია თავი ბიჭმა. ისე ვიღრიალე, გადმოეთრიეთ-მეთქი, რომ საკუთარი ხმის შემეშინდა. ეტყობა, ძალიან გაბრაზებული სახე მქონდა, რადგან უსიტყვოდ „გადმოლაგდნენ“. გოგო თან ტანისამოსს ისწორებდა, თან რაღაცას ბურტყუნებდა. ბოლოს, მომაწყევლა: დაგვანებე თავი, არ გეღირსოს ქალიო!.. ხელი ჩავიქნიე და გზას გავუდექი. მეორე დღეს, ჩემმა საცოლემ დამირეკა და მითხრა – იცი, რა, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ დღეს ვახტანგს უნდა გავყვე ცოლადო. – ქალო, ვინ არის ვახტანგი-მეთქი? – შევყვირე ნანულას ქმარი გურამივით („შაბათის შოუ“) და თვალები თავისით ამიტრიალდა ზევით. სიბრაზისგან გავლურჯდი, მაგრამ თურმე ამ დროს, ჩემი საცოლე უკვე ვახტანგის მანქანაში იჯდა და შორს მიქროდა...

ამ ამბიდან უკვე 6 წელი გავიდა. დღემდე უცოლო ვარ. ასე ამიხდა კლიენტის წყევლა. რას ვერჩოდი „ეს-

ექსავათ“ თავისთვის, მე ხომ არაფერი მაკლდებოდა!..“

თურმე, ყველაზე სწრაფად, ზუსტად და შეუცდომლად სიდედრის წყევლა ხვდება მიზანში. მოეფერეთ სიდედრებს, თორემ, მერე გვიან იქნება...

„ცეცხლი ჭამე, მდუღარე დააყოლე და „სოროკსედმოიში“ დაიძინე...“

„ახლა რომ დავიწყო მოყოლა, როგორ მიყვარს ჩემი სიდედრი და როგორ ვატარებ მის სურათს გულის ჯიბით, რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ აფერისტი მკითხველი შემოგერიათ და რაღა თქმა უნდა, არც ამ მესიჯს დამიბეჭდავთ. არადა, როგორ მინდა, იმ ქალბატონმა „დედიკომ“ წაიკითხოს, ძალიან ერთგულად რომ კითხულობს „გზავნილებს“ და ხანდახან ზოგიერთ ამბავზე თითს რომ დამიდებს და ჟურნალში ცხვირს რომ ჩამაყოფინებს ხოლმე – წაიკითხე, ნახე, როგორ უნდა ოჯახისა და ცოლ-შვილის პატივისცემაო. თავის თავს არ ახსენებს ხოლმე (ხათრიანია ძალიან). ადრე „სიძე-სიდედრიანი“ რომ გქონდათ თემად, მაშინ მოგწერათ ჩემზე მესიჯი. ახლა მინდა, სამაგიერო გადავუხადო. მოკლედ, რაც „დავნათესავდით“, მას შემდეგ მოსვენება დამაკარგვინა. თუ დამჯდარი დამინახა, აუცილებლად დამასაქმებს. წამოწოლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუ ჭამის დროს შემნიშნა – შენ ჭამე ცეცხლიო, – მომაწყევლის ხოლმე. თუ აბაზანაში ვარ, – შენ გადაგიარა მდუღარემ; თუ მძინავს, – შენ იძინე, რავარც ჩემს ქმარს, მურადიეს სძინავს „სოროკსედმოიშიო“; თუ წყალს ვსვამ, – დალიე მოუნელებელიო; თუ ნასვამი ვარ, – ჩაგისკდა ეგ ამოუვსები სტომაქიო; თუ შინიდან გავდივარ, სიყვარულით მომაძახებს ხოლმე, – შენ წადი მიქელასთანო!.. აი, ასე „სიამტკბილობით“ ვცხოვრობთ. მე კი ხმასაც არ ვიღებ, რადგან დუმილი ოქროა და თანაც, რეგვენთან გინდ გილაპარაკია, გინდ – არა... ამას წინათ, შინ მხოლოდ მე და „დედიკო“ ვიყავით. ერთმანეთის ფერება-ლოცვა-კურთხევაში ამოგვდიოდა სული. ჯერ ვდუმდი და ვუსმენდი. მერე მომბეზრდა მისი მოსმენა, თანაც გული მომეცა, მისი შვილი (ჩემი ცოლი) შინ რომ არ იყო და ავფეთქდი – ქალო, შენ როდის უნდა მოიშალო ჩემი ლანძღვა-გინება-მეთქი? მოულოდნელობისგან ენა ჩაუვარდა, მაგრამ მალევე მოეგო გონს და ისევ შემომიტია – შე უტიფარო, ენის შემობრუნებასაც ბედავო? – ქალო, წადი, თავი დამანებე, ხელში არ შემომაკვდე-მეთქი, – ვუთხარი და რომ არ გაჩერდა, გადავწყვიტე, გავრიდებოდი. სასწრაფოდ ფეხსაცმელი ჩავიცვი, მანქანის გასაღებს დავწვდი და მომესმა – შენ იარე ბნელში და უკუნშიო!.. ერთი, შენი დედაც-მეთქი!.. – მივაგინე და წამოვედი. დავქოქე მანქანა და გადავწყვიტე, ძმაკაცთან გავივლი, მერე ქალებში წავალთ-მეთქი. სანზონაში მანქანას ფარები ჩაუქრა. ვერა და ვერ ავანთე. ავდექი და ასე უშუქოდ მივაღწიე გლდანის მე-4 მიკრორაიონამდე. თან ჩემს სიდედრს ვაგინებდი – შენი ჯიში და ჯილაგი!.. – რა ბედზე მომაწყევლა-მეთქი. წარმოიდგინეთ, მისი ყველა წყევლა რომ ბოლოსავით ახდეს, რა დამემართება. იქნებ, შერცხვეს, თავის თავს რომ ამოიცნობს?!.“

ახლა კი, მოკლე მესიჯებს გადავხედოთ.

მგონი, ენა მიხმება...“

„ჩემს შეყვარებულს დადუ ჰქვია. მასაც ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ დედამისი ჩემთან შეხვედრას უშლის. ერთმანეთს მალულად ვხვდებით. ის დედიკოს ვერ ელევა. ამის გამო ჩემთან დაშორებას აპირებს. ალბათ ხუთჯერ მაინც ლამის დავუჩოქე, რომ არ დამშორებოდა. ერთხელ ისეთ კარგ ხასიათზე იყო, რომ პირობაც კი მომცა – 23 ნოემბერს, გიორგობას, ცოლად გამოგყვებიო, მაგრამ დედამისმა ტვინი გაუბურღა – იმას რომ გაჰყვე, ჩვენ დაგვკარგავო. ამასაც მეტი რა უნდოდა?.. ერთი კვირაა, შოკში ვარ. მისი დაკარგვა არ მინდა, მის გარეშე ჩემი გული სასაფლაოდ იქცევა. დადუ, მიყვარხარ და შენთან მინდა. ნუ მიმატოვებ. ბურნუთა“.

„მე და ზურამ ერთმანეთი თქვენი საშუალებით გავიცანით. ერთმანეთი შეგვიყვარდა თავს ბედნიერად ვგრძნობდით. ოქტომბერში ქორწილი გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ გუშინ ცოლი მოიყვანა. თურმე, ჩუმად გაპარულან. აბა, მე ისე როგორ გავჩერდებოდი, რომ არ მიმელოცა? ავდექი და დავურეკე. მითხრა – უზომოდ მიყვარხარ, მოვა დრო და ყველაფერს აგიხსნიო. დღეს მთელი დღეა, შეხვედრას მთხოვს, რომ ამიხსნას, რატომ მოიქცა ასე. მე კი ერთს ვიტყვი, ისევ თქვენი საშუალებით – ცოლიანო მამაკაცებო, თავი დამანებეთ და ცოლებს მიხედეთ! თუ ამ მესიჯს გამომიქვეყნებთ, ჩათვალეთ, რომ ერთი გულმოკლული გოგოს სიცოცხლეს აზრი მიეცით. ლელაკო“.

„არ ვიცი, ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა, მაგრამ ფაქტია, რომ სიყვარულში არ მიმართლებს. ორჯერ მიყვარდა და ორჯერვე – ის, ვინც ამას არ იმსახურებდა“...

„მარი, სიცოცხლეს მოგცემ, ოღონდ დამიბეჭდე: მაგდა მ-შვილო და ნათია მ-ძე ანუ ნაჩო და მაჩო, რომ ააჭრელეთ თლუღის ღობეები თქვენი სახელებით, ახლა მოგიწევთ, გვერდზე მიუწეროთ – ნიკა და ლაშა... თავნება გოგონებო, გვენატრებით. ძველი ბიჭები, ძმები მოვრჯულდით. ძმაკაცებს 23 წელია, დაქალები გვიყვარს... მარი, ხომ ხარ „ბრატი“, ძმურად, დაბეჭდე, რა! ეკვდებით. ეს ოროსანი ბიჭები ისეთი მონდომებით ვსვამდით მესიჯში სასვენ ნიშნებს, რომ სიცილით მოკვდებოდი, რომ დაგენახა. ხომ იცი, ჟურნალისტი ხარ და თავის გამოჩენა გვინდოდა. მესიჯს ხან მე ვწერდი, ხან – ლაშა. სულ 3 თეთრი გვაქვს ანგარიშზე, ლაშა ლოცულობს, შთამაგონებელი სახით – ნეტავ, გაიგზავნოსო! „ვსიო“, ვგზავნით! ლაშა იმასაც ამბობს, თუ გაიგზავნა, მარის ემინემის მაისურს ვაჩუქებო. იცი, რა პატივია? პატივისცემით, ძმები“.

„ჩემი წყველა აუხდა ერთ ვაჟბატონს. სამი წელი სიყვარულს მეფიცებოდა და როცა მეც სიგიჟემდე შემიყვარდა, მაშინ „დამადო“ – ცოლად სხვა მოიყვანა. გამწარებული ეკლესიაში წავედი და სანთლები დავანთე. თან ღმერთს ვთხოვდი – ვინც ჩვენ შორის დამნაშავეა, შვილის სიყვარული არ აღირსო-მეთქი. იცოცხლე, აუხდა ჩემი წყველა. უკვე სამი წელია, შვილის მოლოდინში არიან და თურმე, გოგო უშვილო ყოფილა... ახლა ძალიან ვნანობ. მამაოსთანაც ვიყავი და მოვინანიე. მე 2 ანგელოზივით შვილი მყავს. პატივისცემთ, „მელო“.

„19 წლის ვიყავი, როცა მატარებელში გაცნობილი ბიჭი 4 საათის განმავლობაში, შეხვედრას მთხოვდა. კატეგორიული უარი ვუთხარი. მატარებლიდან რომ ჩამოვედი, დამიძახა და ხმამაღლა დამწყევლა – არ გეღირსოს გათხოვებაო!.. ახლა უკვე 44 წლის ვარ და ისევ გაუთხოვარი, თუმცა, დასაწუნი სულაც არ ვარ. მგონია, რომ სწორედ მისი წყველა ამიხდა. მანანა“.

„8 წლის წინ, ერთმა ბიჭმა დამწყევლა – არ გეღირსოს გათხოვებაო!.. ეჰ, გავყოლოდი ცოლად, რას ვერჩოდი?.. მას შვილები ჰყავს, მე კი ისევ გასათხოვარი ვარ. ასე მიწია კაცის წყევლამ“.

„ერთ ბიჭს ძალზე ცივად მოვექეცი. ისიც, ადგა და დამწყევლა – არ გეღირსოს კაცის ალერსიო!.. რა ყოფილა კაცის წყევლა! დავდივარ ასე კენტად. მეკოცნა, არ მერჩივნა?..“

„ჩემი მეზობლის წყევლა მაშინ ამიხდა, როცა 10 ბიჭს ცხვირწინ ჩავუარე საზამთროთი ხელში და... ძირს გავიშხლართე.

საზამთროც გასკდა და მეც ლამის ზედ მივყევი. მარუსა“.

„ჩვენი ურთიერთობა ტელეფონით დაიწყო. მერე ერთმანეთს შევხვდით. მე სიგიჟემდე შემიყვარდა. ჩემზე ბედნიერი არავინ მეგონა, როცა ერთხელ თვითონაც გამომიტყდა სიყვარულში. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ტელეფონის ნომერი გამოცვალა და... დაიკარგა. დამტოვა გაურკვეველ სიტუაციაში. მინდა, თქვენი საშუალებით ხმა მივაწვდინო და ვუთხრა: თენგო, გამოჩნდი! ის მაინც ამიხსენი, რატომ მომექეცი ასე? თუ წაიკითხავ, მიხვდები, ვინც ვარ. მე შენ „დათუნიას“ და „სიხარულოს“ გეძახდი, შენ კი – „ფისუნია“ დამარქვი“.

„ერთ ტიპს ვუყვარდი და ვინაიდან მე საპასუხო გრძნობა არ მქონდა, დამწყევლა: თუ ჩემი ცოლი არ გახდები, კაცი არ გეღირსოსო!... უკვე 24 წლის ვარ და ველოდები, როდის დაკარგავს სანდროს მიერ 5 წლის წინ ნათქვამი წყევლა ძალას. ეჭვი მაქვს, კიდევ 5 წელი მომიწევს ეულად ბორიალი... ნინუცა“.

„მე ძალზე შორს ვიმყოფები – საბერძნეთიდან გწერთ. როცა გასათხოვარი ვიყავი, ხშირად ჩავდიოდი სისულელეებს. ამის გამო დედა ხშირად მწყევლიდა. ყურადღებას არასოდეს ვაქცევდი. ერთხელ, შეყვარებულს დედისგან მალულად შევხვდი. ამის შესახებ რომ შეიტყო, ინსტიტუტში წასვლის წინ მომაწყევლა – წადი და მიწაში იარეო!... უკან არ მივბრუნდი, რადგან, ვიცოდი, რომ მომხვდებოდა. მეტროში რომ ჩავედი, შუქი გამოირთო. მეტროს ამოსასვლელამდე მთელი გვირაბი ფეხით გამოვიარე. თუ დამიჯერებთ, შინ დაბრუნებისას ისევ გვირაბში ყოფნის დროს გამოირთო შუქი. შინ ისეთი გამწარებული მივედი, დანა პირს არ მიხსნიდა. დედას ვუსაყვედურე, პასუხად კი აი, რა მივიღე: – დედის წინ მორბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის ფერი ძაღლიო. ერთხელ კი, დედამ ასე დამწყევლა – შენნაირი შვილი შეგეძინოს, რომ იწვნიო, რა ცუდ დღეში ვარ მეო!.. სწორედ ჩემნაირ შვილს ვზრდი ახლა და თანაც – ბიჭს. შიშით შვილს არ ვწყევლი, რომ ჩემს დღეში არ ჩავარდეს. რიტა“.

„მე ქამელეონა ვარ, ქუთაისიდან. როცა დათოს დავშორდი და ვუთხარი, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, ძალიან გაბრაზდა და მითხრა – ჩემ გარდა, ვერავისთან გაიხარებო. სამწუხაროდ, მართლა ასეა. სულ დათო მელანდება და ძალიან მენატრება, მაგრამ მე მას გული ძალზე ვატკინე. ახლა ბაკურიანში ვისვენებ და აქ ერთი ბიჭი მომეწონა, მაგრამ ჩემი მოწადინების მიუხედავად, ვერ შევიყვარე. ვგრძნობ, რომ დათოს წყევლა სიცოცხლის ბოლომდე ძალაში იქნება“.

„ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემმა დამავალა, რომ გარაჟის სარდაფში ჯემიანი ქილები ჩამეტანა, თან გამაფრთხილა – იცოდე, ქილები არ დაამტვრიო, არ დამღუპოო... კიბეზე ჩასვლას მთელი საათი მოვუნდი. როგორც იქნა, მეხუთე სართულიდან პირველზე ჩავედი. ამ დროს დავინახე მეზობელი ქალი, რომელიც ცნობილია იმით, რომ ძალზე თარსია და იცოცხლე, „სართულიანი“ წყევლაც იცის. მისი დანახვისთანავე გავიფიქრე – ვაიმე, ჩემო თავო, ახლა კი აღარაფერი გიშველის-მეთქი. როგორც იქნა, სარდაფშიც ჩავედი. ქილები კიბეზე დავაწყე, რომ სათითაოდ თაროზე შემელაგებინა. უცებ, ორი ქილა თითქოს თავისით „გადმოხტა“ და „წარსულს ჩაჰბარდა“... დედა ვერ დავარწმუნე, რომ ყველაფერი, ჩვენი თარსი მეზობლის ბრალი იყო და არა – ჩემი. თეკლა, დუშეთი“.

„თუ ვინმემ წყევლა იცის, ერთ-ერთი ყველაზე მაგარი, დედაჩემია. იმდენი მწყევლა, – ენა გაგიხმესო, რომ მგონი, მართლა მიხმება... ასე გამიმეტა დედაჩემმა და თქვენც გირჩევთ, გზაში არსად გადაეყაროთ“.

„12 წლის ვიყავი, როცა ჩემს 10 წლის მეზობელ გოგოს დავცინე – რა არის, ამხელა გოგო ხარ და კიდევ საცვალში ისველებ-მეთქი. ადგა და მომაწყევლა. მეორე დილით, რომ გამეღვიძა და ჩემი სველი ზეწარი ვნახე, სიმწრის სიცილ-ტირილი ამივარდა. იმის შემდეგ, აღარავის დავცინი. ბათუმი“.

„ძალზე გამიხარდება, თუ ჩემი მეგობრის წყევლა ამიხდება, რადგან მეუბნება – შენი თავი მაჩვენა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტადო! აბა, ვის გყავთ ასეთი კარგი „დამაწყევარი“?.. თამუნა“.

„მინდა, ჩემი უიღბლო ცხოვრების შესახებ მოგიყვეთ. ჩემს კორპუსში ჩემზე უფროს ბიჭს ვუყვარდი. მე კი სხვას გავყევი ცოლად, რადგან არ მინდოდა, დედის სურვილის წინააღმდეგ წავსულიყავი. სამწუხაროდ, მეუღლე უვარგისზე უვარგისი აღმოჩნდა. მონდომებით ვცდილობდი, მისი ურაყოფითი თვისებების დაფარვას. ხშირად ვფიქრობ, რომ სწორედ ჩემი მეზობელი ოჯახის წყევლა მომდევს მთელი ცხოვრება. მეც დანაშაულად ვგრძნობ თავს. ჩემს უვარგის მეუღლეს გავეყარე და ახლა მარტო ვარ. მე შვილები მაინც მყავს, ჩემგან დაწუნებული კაცი კი დღემდე მარტოა. ირმა“.

„ჩემი აზრით, წყევლა „მისავალი“ სულაც არ არის. ადამიანს რაც ბედის წიგნში უწერია, არ ასცდება, გინდ დაწყევლონ, გინდ დალოცონ. ყოველ დილით დედაჩემი ჩემს „კუბოს“ კიბეზე „აარახრახებს“, მერე „ჩამოარახრახებს“ ხოლმე – თანაც დღეში რამდენჯერმე, მაგრამ ჩემზე არ მოქმედებს... რა ვიცი, აბა, მე ასე მგონია და სხვების მესიჯებს რომ წავიკითხავ, იქნებ, აზრი შემეცვალოს... გიო“.

„არ ვიცი, ვინ დამწყევლა, მაგრამ აშკარაა, რომ მიხდება: ვინც მე მომწონს, იმას მაგრად „ვკიდივარ“, ვისაც ვუყვარვარ, იმას მე ვერ ვიტან. მაგრად ცუდად ვარ. ბარბი“.

„2 თვის წინ, მაგარ ავარიაში მოვყევი. ჰოდა, ტვინის შერყევის გარდა, ხელიც მოვიტეხე. როცა გარეთ გასვლა შევძელი, მეგობარი ბიჭი შემხვდა და მკითხა – ბოლო ზარზეც (წელს სკოლა დავამთავრე) თაბაშირით იქნებიო? – რას მეუბნები, მწყევლი-მეთქი?.. მე თაბაშირი არ მომხნეს, ის კი მაგრად კაიფობდა. დედაჩემი მართალი ყოფილა, კაცის წყევლა „მისავალიაო“, რომ ამბობს. ბუბუ, თელავი“.

„10 წლის წინ, ერთ ბიჭს უზომოდ ვუყვარდი. მე კი არ ვიკადრე და ვგრძნობ, რომ მისი წყევლა უკან დამდევს. ალბათ სისულელეა, მაგრამ შემოთავაზებულმა თემამ ეს ამბავი გამახსენა. მინდა ვუთხრა: ყველაფერს ძალიან ვნანობ. არასოდეს დამავიწყდება ის საოცარი ზამთარი, ქაშუეთის ტაძარი და იები... შენი ნაღვლიანი მზერა და ცრემლები... მაპატიე, თუ შეგიძლია. მაშინ ალბათ ძალზე პატარები ვიყავით.“

„მარი, გადავწყვიტე, გაგებუტო. ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ „გზავნილებს“, შენც ძალიან მიყვარხარ და ბევრჯერ გამოვგზავნე მესიჯი. შენ კი ერთიც არ დამიბეჭდე. უკვე აღარ გენდობი. მაკა. ნუკრიანი“.

„მთელი ცხოვრება, შეცდომებს ვნანობ და მაინც ყოველ ნაბიჯზე ვცდები... ხოლო „გზავნილებს“ რომ ვკითხულობ, ვხვდები, რომ სხვის შეცდომებზე ცხოვრებას ვსწავლობ. მიხარია, რომ არსებობთ. კრისტი“.

„არასოდეს დაწყევლოთ შვილები. მე ანა ვარ, ორი ქალიშვილის დედა. პატარები რომ იყვნენ, უფროსმა გოგომ გამაბრაზა და დავწყევლე – არ გეღირსოს დედობა-მეთქი!.. ახლა ის 40 წლისაა. 18 წლის წინ გათხოვდა და შვილი არ ჰყავს. ძალზე კარგი ოჯახი აქვს და მის ბედნიერებას მხოლოდ შვილი აკლია. ძალზე ვნანობ, რომ დავწყევლე“...

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ – ახდენილი სიზმარი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მოგვიყევით ყველაზე უცნაური და დაუჯერებელი ამბები. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.



დაბრუნება

მოსკოვში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გამოფენილმა გიორგი კვერნაძის ნამუშევრებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მას, მხატვრობაში ახალი ტერმინი, ლირიკული მონუმენტალისტი უწოდეს. მისი, 1997 წლამდე შესრულებული ნამუშევრების გამოფენები ბევრ ქალაქსა და ქვეყანაში მოეწყო, მათ შორის, ავსტრიასა და ნორვეგიაში, რომელთაგან ყველა გაყიდულია კერძო კოლექციებში და ზოგიც მუზეუმში. მოსკოვში კი ცნობილი დიზაინერის ჯორჯო არმანის წარმომადგენლებისგან წინადადება მიიღო ხანგრძლივ თანამშრომლობაზე. მას ღმერთმა უხვად დაანათლა მრავალმხრივი ნიჭიც და მომხიბვლელი გარეგნობაც. იმ სახლში, სადაც ბიძინა კვერნაძის უკვდავი მელოდიები იქმნებოდა, ახლა გოგი კვერნაძე თავის, შეიძლება მომავალში შედევრებად აღიარებულ სურათებს ქმნის.

ჯაბა იოსელიანის საბედისწერო დაბადების დღე, გადარჩენის ერთი პროცენტი და თენგიზ ჯიტოვანის სიძით დაინტერესებული ჯორჯო არმანი

ნუცა თოფჩიშვილი

— ბატონო გოგი, თქვენი ნამუშევრების გამოფენამ მოსკოვში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რატომ მოეწყო ზურაბ წერეთლის ცნობილ დარბაზში და როგორ მიიღეთ ეს წინადადება?

— ჩემი პედაგოგი ზურაბ ლეჟავა დაინტერესებული იყო, გამოფენა მომეწყო. გაუთავებლად მეჩიჩინებოდა, რატომ არ აკეთებო. ჩემი ბოლოდროინდელი ნამუშევრების ნახვის შემდეგ, ძალიან გააქტიურდა. შემომთავაზა მოსკოვი. მეც იმავეს ვფიქრობდი. სნობური ქალაქის ამბავი მოგეხსენებათ, თუ დედამიწას წრეს არ დაარტყამ, რაგინდ გენიოსიც არ უნდა იყო, არ გაღიარებენ, დაგისტვენენ. ზურა ლეჟავამ მითხრა, ზურაბ წერეთელს დავუკავშირდები და შენს ნამუშევრებს ვაჩვენებო. როცა თბილისში ჩამოვიდა, მამაჩემმა *(ბიძინა კვერნაძე. — ავტ.)* მოიყვანა სახლში. როცა დაათვალიერა, ძალიან გაუკვირდა, შეკვეთები რომ არ მქონდა; რატომ არ კიდია სასტუმროებშიო? სასტუმრო „მერიოტისგან“ მქონდა შემოთავაზება, მაგრამ არ დავთანხმდი, რადგან მოსკოვზე გასვლას ვაპირებდი. ზურაბ წერეთელს მოეწონა, მითხრა, მოსკოვმა აუცილებლად უნდა გაგიცნოსო და დამპირდა, რომ თავის დარბაზში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მოაწყობდა. ჯერ ოქტომბერში დაიგეგმა, მაგრამ მაკას *(მეუღლე, მაკა კიტოვანი. — ავტ.)* ავადმყოფობამ შემიშალა ხელი. შემდეგ იანვარში გადავწყვიტე და ისევ ოჯახურმა პრობლემებმა არ მომცა საშუალება. ბოლოს, მაისში გადაწყდა, რომელიც მოსკოვში მხატვრებისთვის ყველაზე ცუდი სეზონი ყოფილა. გამოფენის გახსნა მაღალ დონეზე მოეწყო, ეს სერიოზული დარბაზია, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სადაც მუდმივ ექსპოზიციაში კიდია ცნობილი ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის, რვა ფიროსმანი, შაგალი, კანდინსკი და ა.შ.

— პრესასა და ტელევიზიაში გაჟღერდა, რომ ცნობილი დიზაინერის, ჯორჯო არმანის წარმომადგენლებისგან შეთავაზება მიიღეთ თანამშრომლობაზე.

— არმანის მთავარი დიზაინერი დამიკავშირდა და შემომთავაზეს მოსკოვში, არმანის სამსართულიან ბუტიკში ჩემი ათი ნამუშევრის დაკიდება. იქ გამოფენილია არმანის ავეჯი, მისი სახელობის ნივთები, ტანსაცმელი. ოლიგარქების შეკვეთებზე მუშაობენ. მიმდინარეობს მოლაპარაკების პროცესი. წინასწარ არაფერზე არ მინდა საუბარი.

— ხომ არ არის ლაპარაკი არმანის ტანსაცმლის კოლექციის გაფორმებაზე?

— მოლაპარაკების პირველ ეტაპზე ითქვა, რომ ჩემთან ხანგრძლივი თანამშრომლობა სურთ. ერთ-ორ წელიწადზე არ არის ლაპარაკი. თავად ჯორჯო არმანს თუ შევხვდი, ეს მაშინ გამოჩნდება.

— არმანის წარმომადგენლების გარდა, სხვამ თუ შემოგთავაზათ რაიმე სერიოზული წინადადება?

— პიენორდ რიკარდოს ფირმის გენერალური დირექტორი რუსეთში დამიკავშირდა. ეს, სერიოზული ფირმაა, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აქვთ წარმომადგენლობა. შემომთავაზეს მოსკოვში კიდევ ერთი გამოფენის მოწყობა მათი დაფინანსებით. გამოფენამდე კი მთხოვეს ღვინის ფესტივალებში მონაწილეობის მიღება, თან თავიანთ ღვინის ეტიკეტებში სურთ ცვლილებების შეტანა. ამ საკითხზეც ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ესეც მოლაპარაკების პროცესია. შთაბეჭდილებების წიგნში ბევრი ჩანაწერი იყო, სადაც სურვილს გამოთქვამდნენ ჩემი ნამუშევრების შეძენაზე. ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, რომ დარბაზიდან სურათი გაყიდულიყო, ეს, კომერციული დარბაზი არ არის. ისე, მილიონერი ვეგონე ყველას *(იცინის)*.

— თქვენ რაღაც პერიოდი გაჩერებული იყავით, არ ხატავდით. რა იყო ამის მიზეზი?

— ათი წელი არ ვხატავდი. სხვა საქმიანობას ვეწეოდი, თან ომის პერიოდი დაემთხვა და სურვილი არ მქონდა ხატვის.

ვიცოდი, რომ დავუბრუნდებოდი, მაგრამ როდის იქნებოდა ეს, არ ვიცოდი (რობერტ სტურუასთან და მამასთან — ბიძინა კვერნაძესთან ერთად)

— ამაზეა ნათქვამი, როცა ქვემეხები ქუხან, მუზები დუმანო?

— მუზის დუმილის შესახებ, რა მოგახსენოთ, მაგრამ ცუდი დრო იყო. მერე ვიავადმყოფე და აბასთუმანში მოვხვდი. ალბათ, ღმერთის წყალობა იყო და, დავიწყე ხატვა. ასე დავუბრუნდი ჩემს საქმეს. მართალი რომ გითხრათ, ყოველთვის ვიცოდი, რომ დავუბრუნდებოდი, მაგრამ როდის იქნებოდა ეს, არ ვიცოდი.

— საერთოდ, ხელოვნებაში წარმატების მიღწევა და აღიარება, რთულია — ფერწერაში კი ათასჯერ უფრო ძნელი. როგორ თვლით, თქვენი წარმატება ბედის საჩუქარი ხომ არ არის?

ზურაბ წერეთელს მოეწონა, მითხრა, მოსკოვმა აუცილებლად უნდა გაგიცნოსო...

— უფალი ყველა ხელოვანს თავის ბედს განუსაზღვრავს და მიზანდასახულობასაც. ჩემზე აბსოლუტურად არ მოქმედებს არც კრიტიკა და არც ის, რომ არმანის წარმომადგენლებს მოეწონათ ჩემი ნამუშევრები, ამას სრული გულახდილობით გეუბნებით. რა თქმა უნდა, წარმატება სასიამოვნოა, მაგრამ მხატვარი თავიდან მზად არის, რომ შეიძლება აღიარება საერთოდ არ მიიღოს და წარმატების ნაცვლად სტვენა-სტვენით გამოაგდონ საგამოფენო დარბაზიდან. ყველა შემოქმედმა თავისი ქმნილების ფასი იცის. ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენი გენიოსი მხატვარი თავს დაანებებდა მხატვრობას და სხვა საქმეს მოჰკიდებდა ხელს.

— თუ შეიძლება გაიხსენეთ თქვენი პირველი ნაბიჯები მხატვრობაში. როგორც ამბობენ, სერიოზულად მხატვრობით მოსკოვში ყოფნისას დაინტერესდით, როცა დედას სასტუმროში სახატავი რვეული და ფანქრები მოსთხოვეთ.

— საერთოდ, სბავშვო ბაღშიც ვხატავდი, მაგრამ ეს სხვა გრძნობა იყო. და ამას მხატვრობა არ ერქვა. სბავშვო გამოფენებშიც ვიღებდი მონაწილეობას და პირველ ადგილებზეც გავდიოდი. მოსკოვზე რომ მეკითხებით, პირველად კავკასიონს რომ გადავუფრინე, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მივიღე, რომ მთების ხატვა დავიწყე. 12 წლის ასაკში გულის არეში ტკივილები დამეწყო. ჩემმა მშობლებმა ორი წლის მანძილზე არ დატოვეს თუკი ვინმე კარგი ექიმი იყო. ისეთი ტკივილები მქონდა, პირველი სიყვარულის დროს რომ გაქვს, თუმცა იმ დროს არავინ მიყვარდა. ტკივილთან სასიამოვნოც იყო და თან აუტანელიც. მერე დავაკვირდი, რომ ხატვის დროს უფრო მიმძაფრდებოდა. დროთა განმავლობაში გაქრა და იმის გრძნობა დამიტოვა, რომ მხატვრობისთვის ვიყავი დაბადებული.

— ბიძინა კვერნაძის ოჯახში და მისი ჰანგების ქვეშ გაზრდილს, მუსიკასთან უშუალო შეხება გაქვთ. მართალია, ფუნდამენტური მუსიკალური განათლება არ მიგიღიათ, მაგრამ არაჩვეულებრივად უკრავთ. საინტერესოა, თქვენს მხატვრობაში მუსიკას რა როლი აქვს?

— ჩემი საქმე — მხატვრობა, მუსიკას შეიცავს. ერთი შეხედვით არ ჩანს, მხატვრობა მუსიკაც და პოეზიაცაა, თუ თავისი რიტმი, თავისი მელოდია, ჰარმონია, ჟღერადობა და განწყობილება აქვს. მუსიკა მესმის, სხვაზე მეტად, იქნებ უფრო მშველის. ბევრი დიდი მხატვრის სურათებში დამალულ მუსიკას ვხედავ.

— ბევრ მხატვარს ბახუსი ეხმარება შემოქმედებით წვაში. თქვენს შემთხვევაში როგორ არის საქმე?

— ბახუსი ნამდვილად არ მეხმარება მხატვრობაში, სხვათა შორის, ბევრ რამეში უკან დამხია, მაგრამ რაღაცაში დამეხმარა კიდეც. შემოქმედება დიდი ტვირთია. თუ შემოქმედი არა ხარ, ამას ვერ გაიგებ. ვინც არის, ის კი მიხვდება, რისი თქმა მინდა. ზოგჯერ საჭიროა ტვინი დაასვენო და გათიშო იმ ინფორმაციისგან, რაც მოდის. ამას ხომ გაძლება უნდა. ნიჭი საშიშიცაა. გადახედეთ, მხატვრების ნახევარზე მეტს როგორ აქვს ცხოვრება დამთავრებული. ერთი შეცდომაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

— თავისუფალი ადამიანი, ბოჰემური ცხოვრება, საზოგადოების მიერ დაწესებული ჩარჩოების მსხვრევა... ხელოვანი, მხატვარი ჩვეულებრივ ხალხში ასეთ ასოციაციას იწვევს.

— ჩარჩოს ვერ ვიტან. თავისუფლებას რაც შეეხება, თავისუფალი ადამიანი არ არსებობს. ღმერთმა ისე შექმნა სამყარო, რომ ბუნებაშიც არ არის არაფერი თავისუფალი. მიწაზე ბალახი რომ აიღო, ისიც მზეზეა დამოკიდებული და ა.შ. ადამიანის სული ხორცზეა დამოკიდებული და სიკვდილზე. ბოლომდე თავისუფლება არ არსებობს. რაც შემეხება მე, სხვაზე თავისუფალი ნამდვილად ვარ, როგორც ყველა ტუსაღი ცდილობს ციხიდან გაქცევას, მეც მთელი ცხოვრება ვცდილობ, ჩარჩო-ჭაობს გავექცე.

— თუ გქონიათ ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, როცა უფალმა დიდი გამოცდის წინაშე დაგაყენათ?

— ასეთი შემთხვევა მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, ერთი წელი სასმელს არ გავეკარები-მეთქი. მუშაობა როცა არ მიდის, მაშინ ეტანები ალკოჰოლს. იმ დროს ხშირად მიწევდა დალევა. დავიფიცე ღვთისმშობლის ხატზე. თურმე ხატზე დაფიცება არ შეიძლება. დამესიზმრა სწორედ ეს ხატი, თითქოს თვალში რაღაცა მომხვდა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი. პირველი რაც გავიფიქრე, ველარ დავხატავ-მეთქი. გამეღვიძა და ვგრძნობ, რომ ეს სიზმარი ამიხდება. დილიდან მირეკავენ და სხვადასხვა ადგილას მეპატიჟებიან. სიზმარი მახსოვს და არავის მივყვები. საღამოს გადამავიწყდა. ჯაბა იოსელიანის დაბადების დღეზე დამპატიჟეს. წყნეთიდან უკან დაბრუნებისას მეგობრის მანქანაში ჩავჯექი. ისიც ნასვამი იყო. გზაში ჩაეძინა თურმე. მე, მიტრიალებული უკან მჯდომ მეგობრებს ველაპარაკები. უცებ მოვიხედე და ხე გავჭერით შუაში, თვალი დავარტყი და სიზმარში განცდილი ტკივილი და ყველაფერი რაც ვნახე, ხელახლა განმეორდა. ღამის სამ საათზე საავადმყოფოში მიმიყვანეს. იქ შემთხვევით კუზანოვი დაგვხვდა. გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ არ დაბრმავდება, მაგრამ თქვენი ბედი, აქ რომ დაგხვდითო. გადარჩენის ერთი პროცენტი იყო, მე ვგრძნობდი, რომ გადავრჩებოდი. სიზმარში ყველაფერი კარგად დამთავრდა. ეს ერთეული სიზმარი არ იყო; სიზმრები ძირითადად მაფრთხილებს და მიხდება. ცხადია, რომ ეს ქვეყანაც არსებობს და ისიც. ეს რომ ასე არ იყოს, სასწაულებიც არ მოხდებოდა. ■

სითბოსა და ზაფხულის მოყვარულ ნატო გელაშვილს არ უყვარს ზამთრის კურორტებზე სიარული. ვერ იტანს სიცივეს, თოვლსა და უკომფორტობას. იზიდავს ზღვა და მზე. თუმცა, ბოლო დროს, მთაში დასვენებაც შეუყვარდა. მისთვის იდეალური დასვენებაა, სიწყნარეში წიგნის კითხვა...

„ახლა იმ ასაკში აღარ ვარ...“ ანუ რა იქმნის დისკომფორტს ნატო გელაშვილს ზღვაზე

ეკა მინდაძე

— ნატო, ამ ზაფხულს სად მიდიხარ დასასვენებლად?

— პირადად მე, წინასწარ არ ვიცი, სად დავისვენებ. მალე ურეკში კონცერტი მაქვს და ალბათ, 5 დღით ბავშვებთან ერთად წავალ. აგვისტოს ბოლოს, მათ კეჩხობში წაყვანასაც ვგეგმავ. იმედი მაქვს, ბავშვების გარეშეც მოვახერხებ სადმე დასასვენებლად წასვლას.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან, 20 დღე კეჩხობში მყავდა წაყვანილი ბავშვები, ხოლო შემდეგ — ქობულეთში. მართალი გითხრა, ამ დროს, დასვენების მაგივრად, უფრო ვიღლები. როცა ბავშვებთან ერთად ვარ, განსაკუთრებით ზღვაზე, ძალიან ვიძაბები. საკუთარ თავზე ნაკლებად ვფიქრობ და მუდამ „ჰოპ-სტოპზე“ ვდგავარ, რომ არაფერი მოიწიონ. აქედან გამომდინარე, მე მხოლოდ მაშინ ვისვენებ, როცა ბავშვები თან არ მახლავს. ასეთი დასვენება მოვახერხე მარტში: ბავშვების გარეშე ეგვიპტეში ვიყავი წასული.

— საკურორტო რომანი ხომ არ გქონია ოდესმე?

— არა. არადა, ამგვარი რამ ხდება. ძალიან ბევრ ჩემს ახლობელს გაუცნია თავისი გულის სწორი დასვენების დროს, შემდეგ დაოჯახებულან და დღემდე ბედნიერები არიან. აი, პირადად მე კი, ამგვარი რამ არ შემმთხვევია.

— ბავშვობაში ყველაზე მეტად რისი თამაში გიყვარდა?

— მიყვარდა „7 ქვის“ თამაში.

— სად უფრო გიყვარს დასვენება — მთაში თუ ზღვაზე?

— ზღვაზე. ძალიან მიყვარს წყალი და ამიტომაც ვამჯობინებ ზღვას. სხვათა შორის, მთაც მიყვარს, განსაკუთრებით 2 წელია, რაც მივხვდი, თუ რამდენად ძვირფასია ჩემთვის მთის კურორტი. აქამდე ამას ვერ ვაფასებდი, იმიტომ, რომ ჩემთვის წარმოუდგენელი იყო მთაში დასვენება, მაგრამ დღეს ჩემთვის მთის კურორტი აუცილებელია.

— გატყობ, გარუჯვაც გიყვარს...

— ძალიან, მაგრამ ბავშვებთან ერთად ამას ვერ ვახერხებ. მაგალითად, ეგვიპტიდან ისეთი შავი ჩამოვედი, ბავშვებმა ძლივს მიცნეს. ალბათ იმიტომ, რომ იქ მათ გარეშე ვიყავი და ჩემი თავისთვის მოვიცალე.

— მერე არ დაიწვი?

— არა. ადრე ბევრჯერ დავმწვარვარ. ახლა იმ ასაკში აღარ ვარ, რომ გარუჯვის გულისთვის თავი მოვიკლა. როცა ზღვაზე თეთრი ჩავდივარ, პირველ დღეს მზეზე მხოლოდ 15 წუთი ვჩერდები, მეორე დღეს — 10 წუთით მეტხანს, მესამე დღეს — უფრო მეტს და ასე, ნელ-ნელა ვეპარები მზეს.

— კარგად ცურავ?

— კი. ვგიჟდები, ისე მიყვარს ცურვა. ბავშვობაში ცურვის დროს, ტალღამ ჩამითრია და ძლივს გადამარჩინეს. ეს ფაქტი იმდენად ჩამრჩა გულში, რომ მას შემდეგ, ზღვაში ღრმად შესვლას ვეღარ ვბედავდი. ბოლო 2 წელია, რაც გადავლახე ეს შიში და კვლავ დავიწყე ზღვაში შორს გაცურვა.

— დასასვენებლად წასულს, ალბათ გცნობენ ხოლმე. ეს დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?

— კი, როგორ არა! ხშირ შემთხვევაში, ეს მაკომპლექსებს კიდეც, რადგანაც ასეთ დროს, შენს გემოზე ვერ მოიქცევი იმის გამო, რომ გცნობენ და ასე თუ ისე, ყველას ყურადღების ცენტრში ხარ. სხვათა შორის, არც გარუჯვას მაცლიან ხოლმე: დავწვები თუ არა მზეზე გასარუჯად, მაშინვე მოდის ვიღაცა და მთხოვს სურათის ერთად გადაღებას. მეც უარს ვერ ვეუბნები. ავდგები, ჩავიცვამ და სურათს ვიღებ. ამის შემდეგ, მალევე მეორე მომმართავს იმავე თხოვნით. მასთან ერთადაც ვიღებ სურათს... მაგრამ მარტო ამით როდი მთავრდება — ასე გრძელდება თითქმის მანამ, სანამ პლაჟზე ვიმყოფები. ბოლოს, იმდენად ვმწარდები, რომ ვამბობ — არც გარუჯვა მინდა და არც არაფერი-მეთქი, სასწრაფოდ ვიცვამ და ნომერში ვბრუნდები...

— ზამთარში სად ისვენებ ხოლმე?

— ზამთრის კურორტებისგან თავი შორს მიჭირავს. იმდენად მცივანა ვარ, რომ საშინელ დისკომფორტს მიქმნის თოვლი და საერთოდ, სიცივე.

— ყველაზე მეტად საქართველოს რომელი კუთხის ნახვა გინდა?

— არ ვყოფილვარ რაჭაში. დიდი სიამოვნებით წავიდოდი შოვში. გარდა ამისა, ძალიან მაინტერესებს სვანეთისა და ხევსურეთის ნახვაც.

— რომელ ქვეყანას აირჩევდი დასასვენებლად?

— ტაილანდის რომელიმე კუნძულს ავირჩევდი.

— ზაფხულში ყველაზე მეტად რისი მირთმევა გიყვარს?

— მიყვარს ჩაცივებული საზამთრო, ნესვი, ცივი ყავა და ცივი რძე. კერძებიდან — სალათები და ავჯაფსანდალი.

— ნაყინი არ გიყვარს?

— არა. სხვათა შორის, არც ბავშვობაში ვგიჟდებოდი ნაყინზე.

— როგორი დიასახლისი ხარ? გიყვარს სახლის დალაგება?

— რა თქმა უნდა. მით უმეტეს, რომ

მიყვარს ჩაცივებული საზამთრო, ნესვი, ცივი ყავა და ცივი რძე...

მტვერზე საშინელი ალერგია მაქვს, ამის გამო იძულებული ვარ, ყოველ დილა-საღამოს დავალაგო ბინა.

— დილაობით თუ ვარჯიშობ?

— არა. შარშან თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობდი კუს ტბაზე. სამწუხაროდ, წელს ამისთვის ვერ მოვიცალე. იმედი მაქვს, მალე მოვიცლი და ვივარჯიშებ.

— აზარტული თუ ხარ და სპორტის რა სახეობის თამაში გიყვარს?

— ვგიჟდები მაგიდის ჩოგბურთზე. შემიძლია, დილიდან საღამომდე ვითამაშო.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— თავისუფალ დროს მეგობრები ვიკრიბებით ერთმანეთის ოჯახებში ან აგარაკზე.

— დასვენების რა ფორმა გიზიდავს ყველაზე მეტად?

— ყველაზე კარგად ვისვენებ, როცა ვზივარ ჩემთვის წყნარად აივანზე და წიგნს ვკითხულობ.

— ლაშქრობაში თუ დადიხარ?

— სკოლის პერიოდში ვყოფილვარ. დღეს კი, ლაშქრობაში არაფრით წავალ, რადგანაც ჩემთვის ძნელია უკომფორტობის ატანა.

— პიკნიკზე დადიხარ?

— საკმაოდ ხშირად. ვცდილობ, ზაფხულში, როცა თბილისში მყავს ბავშვები, ქალაქგარეთ, მცხეთაში მაინც გავიყვანო სუფთა ჰაერზე.

— დაბოლოს: რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?

— ჩავწერე რამდენიმე ახალი სიმღერა და ვიწყებ ახალ ალბომზე მუშაობას. მომავალში კი, ვგეგმავ ფილარმონიაში სოლო კონცერტს, რომელსაც ვფიქრობ, ოქტომბერ-ნოემბერში ჩავატარებ. ■

მე მხოლოდ მაშინ ვისვენებ, როცა ბავშვები თან არ მახლავს...

მზისა და ზღვის მოყვარული ნინა წკრიალაშვილი თურმე, მთაში 2 დღეზე მეტხანს ვერ ძლებს. უყვარს გარუჯვა, ვერ იტანს უკომფორტობას. მისი ოცნებაა, სამხრეთ ამერიკაში, ბრაზილიასა და ავსტრალიაში დასვენების საშუალება მიეცეს...

„ამ დროს მარგო დასასვენებლად ფიქრობდა და ისევ სხვა რამეზე...“

ეკა მინდაძე

— ნინა, სად მოასწარი გარუჯვა?

— ესპანეთში ვიყავი წასული 12 დღით და იქ გავირუჯე. ვგიჟდები „ზაგარზე“. ამ ბოლო დროს, თუ გარუჯული არა ვარ, მოკლემკლავიანს ვერ ვიცვამ. ამიტომ აპრილის ბოლოდან მოყოლებული, ყოველთვის გარუჯული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი — მზე კანს მაინცდამაინც არ უხდება.

— მერე არ იწვები?

— რა თქმა უნდა — ძალიან თეთრი კანი მაქვს და იმიტომ. ამის გამო თავდაპირველად, სოლარიუმში დავდივარ რამდენიმე დღე, შესაგუებლად. როცა კანი შეფერადდება, ამის შემდეგ მივდივარ ზღვაზე და ვირუჯები. ერთხელ ისე დავიწვი, რომ დამწვრობის მალამოების წასმაც კი დამჭირდა.

— მერე არ გეშინია ხელოვნურად გარუჯვის?

— არა, რატომ უნდა მეშინოდეს? ჩემი აზრით, რაც გიწერია, ის არ აგცდება. თუ ადამიანმა იფიქრა — სოლარიუმში რომ დავდივარ, კიბო გამიჩნდებაო, — შეიძლება, მართლა გაუჩნდეს. ხომ გაგიგონია: შეძახილმა ხე გაახმოო. რა ვიცი, ვფიქრობ, ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, რაც გინდა, ის უნდა აკეთო და არაფრის არ უნდა შეგეშინდეს.

— სად აპირებ ამ ზაფხულს დასვენებას?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ ვიდრე დასასვენებლად წავიდოდე, მანამდე მე და ირაკლი ნოზაძე ესპანეთში მივდივართ ფესტივალზე. იქ უნდა ვიმღერო დათო ფორჩხიძის სიმღერის — „როგორ მინდა, მოგეფერო“ — ახალი ვერსია. ამის შემდეგ, დაგეგმილია კონცერტები საქართველოში და ალბათ, მერე წავალთ მე და ჩემი შვილი ზღვაზე.

— დასასვენებლად მშობლის გარეშე პირველად რომ წახვედი, რამდენი წლის იყავი?

— ძალიან პატარა ვიყავი, როცა მშობლებმა ანსამბლში — „აი ია“ — მიმიყვანეს. 8 წლის ვიყავი, როცა პირველად მშობლის გარეშე, ანსამბლთან ერთად, ბულგარეთში მომიწია წასვლამ. იქ ფესტივალზე მიგვიწვიეს. ბუნებრივია, ისინი ძალიან განიცდიდნენ. არადა, მშობლების წაყოლა არ შეიძლებოდა, თორემ, დედა აუცილებლად გამყვებოდა. ასე რომ, მაინც წავედი ბულგარეთში მარტო, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ საერთოდ არ მომიწყენია, ისე ვერთობოდი ბავშვებთან. საოცარი ის იყო, რომ ჩამოვედი, დედასაც და მამასაც საჩუქარი ჩამოვუტანე: დედას ქვედაბოლო ვაჩუქე, მამას კი — მაისური. ჩემი მშობლები კინაღამ დაიშოკნენ.

— საზღვარგარეთ ნამყოფი თუ ხარ?

— რა თქმა უნდა, ანსამბლ „აი იას“ წყალობით, ბავშვობაში რამდენიმე ქვეყანა მაქვს მოვლილი. თუმცა, არც მერე დამკლებია უცხო ქვეყნებში სიარული. ნამყოფი ვარ: ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საბერძნეთში, ამერიკაში, ეგვიპტეში, კვიპროსში და თურქეთში; მოსკოვში, ლენინგრადში, ოდესაში.

— რომელ ქვეყანაში ისურვებდი წასვლას?

— პირველ რიგში, ძალიან მინდა, ვნახო სამხრეთ ამერიკა. არც ავსტრალიასა და ბრაზილიაზე ვიტყოდი უარს.

— საკურორტო რომანი არ გქონია?

— არ მქონია. ალბათ იმიტომ, რომ მე

ამას არასერიოზულად აღვიქვამ და ამიტომაც ვერიდები დასასვენებლად წასული, ვინმესთან ურთიერთობას. ამ დროს, მარტო დასვენებაზე ვფიქრობ და არა სხვა რამეზე.

— ლაშქრობაში თუ დადიხარ ხოლმე?

— არა. არ მიყვარს ლაშქრობები. ბევრჯერ წასულან ჩემი მეგობრები სალაშქროდ, მაგრამ მე არასოდეს გავყოლივარ. ალბათ იმიტომ, რომ მეზარება უკომფორტობაში ყოფნა.

— საქართველოს რომელი კუთხე არ გინახავს?

— არ მინახავს სვანეთი და ძალიან მინდა მისი დათვალიერება.

— პიკნიკზე სიარული გიყვარს?

— მართალი გითხრა, პიკნიკებზე სიარული ადრე უფრო მიყვარდა. დღეს კი, ეს აღარ მიზიდავს. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ ვატყობ, ძალიან შევიცვალე. მირჩევნია, საქმე ვაკეთო, ვიდრე უაზროდ ვხარჯო დრო.

— მთა უფრო გიყვარს თუ ზღვა?

— რა თქმა უნდა, ზღვა. ზღვა საოცრად მამშვიდებს, მთაში კი, 2 დღეზე მეტს ვერ ვძლებ. და თუ მაინც მომიხდა დარჩენა, მესამე დღიდან უკვე ნევროზი მეწყება.

მენატრება მარტო ყოფნა და დასვენება...

— სოფელი თუ გაქვს?

— სოფელი მაქვს, მაგრამ იქ არავინ დადის. გვაქვს „დაჩაც“ ატენის სიონის ზევით, ბობნევში. სახლი შუაგულ ტყეში დგას, ეზოში კი, მდინარე ჩამოედინება. იქ მართლაც, მშვენიერი ჰაერი და სილამაზეა, მაგრამ მე და ჩემს დას იქ სიარული არ გვიყვარს. სრული ვაკუუმია. არ იჭერს არც ტელეარხებს და არც მობილური ტელეფონი მუშაობს. იქ დიდი სიამოვნებით დადიან მამაჩემი და ჩემი ძმა.

— ცურვა იცი?

— კი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მაგრად ვცურავ, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ დავმხრჩვალვარ *(იცინის)*... ზღვაში ცურვას, აუზში ცურვა მირჩევნია, იმიტომ, რომ იქ უფრო დაცულად ვგრძნობ თავს. ვერ ვიტან, როცა ზღვაში შესულს, რაიმე მეხება. ეს პრობლემა ესპანეთში არ მქონია. იქ მართლაც, ძალიან სუფთა წყალი იყო. იმდენად ღრმად შევდიოდი წყალში, რომ ჩემი თავის მიკვირდა, რადგანაც საქართველოში არასოდეს ასე ღრმად არ გამიცურავს.

— შარშან სად ისვენებდი?

— შარშან მთელი ოჯახი ქობულეთში ვიყავით და ასე ვთქვათ, დიდი ოჯახური დასვენება მოვაწყვე.

— ყველაზე მეტად სად და რა ვითარებაში ისვენებ?

— სახლში, როცა ყველას სძინავს, მე კი ჩემს ტახტზე მოკალათებული, ან ტელევიზორს ვუყურებ, ან რაიმე წიგნს ვკითხულობ. მიყვარს სრული კომფორტი, როცა ტახტზე წამოწოლილი ვარ, იქვე აუცილებლად უნდა მედგას ტელეფონიც.

— არ ვარჯიშობ?

— სამწუხაროდ, არა, რადგანაც ამისთვის დრო არ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ვხვდები იმას, თუ რამდენად მჭირდება ვარჯიში. ადამიანმა ჩემი ასაკიდან უკვე ინტენსიურად უნდა ივარჯიშოს.

— როგორი მზარეული ხარ?

— სამზარეულოში ხშირად მიწევს საქმიანობა. თუ დამჭირდა, არაჩვეულებრივი კულინარი ვარ. აბსოლუტურად ყველაფრის კეთება ვიცი, დაწყებული ხაჭაპურით — დამთავრებული ხინკლით. შეიძლება, დიდად არ მიყვარს, მაგრამ იძულებული ვარ ხოლმე, სამზარეულოში ვიტრიალო... ამჟამად, ამ მხრივ ვისვენებ, რადგანაც ჩემი შვილი ჩემს მშობლებთან ერთად გორშია წასული. მეც სახლში მხოლოდ ყავა, შოკოლადი, ხილი და ყველი მაქვს.

— რატომ? დიეტას ხომ არ იცავ?

— არა. უბრალოდ, სიცხეში ჭამის სურვილი მეკარგება.

— საოჯახო საქმეებიდან ყველაზე მეტად რისი კეთება გიყვარს?

— თითქმის არაფრის, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ. სარეცხს ჩემ მაგივრად, სარეცხის მანქანა რეცხავს, დალაგებით კი, მე ვალაგებ. ერთადერთი, რაც მეზიზღება, ეს არის უთოობა. იმდენად მეზარება, რომ საუთოებელს ვაგროვებ და ერთ მშვენიერ დღეს, ერთბაშად დავუთოებ ხოლმე.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— იმის გამო, რომ ღამის კლუბები თბილისში თითქმის აღარ არსებობს, ხოლო რაც არის, არ ვარგა, მე უფრო ბარებში დავდივარ. ხშირად ვსტუმრობ „შარდენსა“ და „ივერიის ტერასას“. ვერ ვიტან რესტორნებში სიარულს. დაბადების დღეზეც, როცა დამპატიჟებენ რომელიმე რესტორანში, ძალით მივდივარ... თავისუფალ დროს, უმეტეს შემთხვევაში, ვცდილობ, სახლში ვიყო, რადგანაც მენატრება მარტო ყოფნა და დასვენება.

— დაბოლოს: რა სიახლეა შენს შემოქმედებაში?

— სულ ახლახან დავამთავრე სიმღერის ჩაწერა, რომელიც დათო ფორჩხიძემ დამიწერა. მალე კლიპის გადაღებასაც ვგეგმავთ. ■

უკვე ერთი წელია, რაც მანანა პორპოტაძე ვორონცოვის მოედანზე ტაქსის მძღოლად მუშაობს. როგორც თვითონ აღნიშნა, ყოველთვის ოცნებობდა იმაზე, რომ მთამსვლელი, გეოლოგი ან იურისტი გამხდარიყო, მაგრამ ეს ოცნება აუხდენელი დარჩა. ქალბატონი მანანა თავის შვილთან, ნიკასთან ერთად, ერთოთახიან ნაგირავებ ბინაში ცხოვრობს. დაძაბული სამუშაო გრაფიკი მისი ცხოვრებისთვის ჩვეული რიტმია, მის გარეშე მას ერთი დღეც ვერ წარმოუდგენია. ანაზღაურება შრომის მიხედვით რომ იყოს, ალბათ მილიონერი ვიქნებოდიო, — ამბობს ქალი, რომლის მთელ ქონებას მისი ავტომანქანა წარმოადგენს.

ცხონებულმა მამაჩემმა ხომ გაიგოს, მე თბილისში „ვტაქსაობ“, საფრავში ამოტრიალდება...

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲣᲢᲐᲠᲐᲛᲫᲘᲚᲘ

— ქალბატონო მანანა, რამდენად შესაფერისია ქალისთვის ტაქსის მძღოლობა?

— რატომ არ შეიძლება, რომ ქალმაც იმუშაოს ამ პროფესიით? ესეც ხომ შრომაა. რით ვართ მამაკაცებზე ნაკლები?!. დღესდღეობით მამაკაცები უფრო სუსტები არიან, შრომის თვალსაზრისით, ვიდრე სუსტი სქესის წარმომადგენლები. ცხოვრება ისეთი დაუნდობელია, რომ ვაჟკაცური უნდა იყო. თუ ცოტა მოიკოჭლე, გადაგივლის და გადაგთელავს... მადლობა უფალს, რომ ესეც შემიძლია. მიმაჩნია, რომ არც ერთი სამუშაო სათაკილო არ არის. დღესდღეობით თბილისში საკმაოდ დიდი მოძრაობაა და ისე ჭირს მანქანით მგზავრობა, რომ თუ პროფესიონალი არ ხარ, გაგიჭირდება უსაფრთხოდ მგზავრების გადაყვანა.

— ვინ გასწავლათ მანქანის მართვა?

— მე თვითონ ვისწავლე. თავიდანვე ვაჟკაცური ბუნების ადამიანი ვიყავი, თანაც ჩვენს ოჯახში მანქანა ყოველთვის იყო. მახსოვს, ბავშვობაში, „პობედაც“ კი გვყავდა. მამაჩემი შრომის გმირი იყო. სურამში, საგზაო მშენებლობის სამმართველოში მუშაობდა, ბულდოზერს მართავდა და სადაც ყველაზე რთული გზები იყო, ყველგან მამაჩემს აგზავნიდნენ. როდესაც გარდაიცვალა, იმდენად დიდ პატივს სცემდნენ, რომ ჩემი ძმა მე-9 კლასში იყო და ახალთახალი „ჟიგული-05“ აჩუქეს. ალბათ, მეც მამაჩემის ნიჭი გამომყვა, რომ შრომის ფასი ვიცი. უშრომლად ერთი დღეც არ შემიძლია. მამა ყოველთვის მიშლიდა მანქანის მართვას, არ მოსწონდა ჩემი ეს გატაცება, ამბობდა — მანქანა რა ქალის საქმეაო?!. სურამში დავიბადე და გავიზარდე. მახსოვს, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ველოსიპედით სიარული და მამა ამასაც მიშლიდა. ერთხელ, როცა სახლში არ იყო, ვიფიქრე — სანამ დაბრუნდება, „ვიკატავებ“-მეთქი და მეზობელს ველოსიპედი ვთხოვე. გავიხედე, მანქანა მომყვება უკან: თურმე, მამაჩემი არ მომდევს!.. მამა და ძმა იმ ღამით, პიატიგორსკში მიფრინავდნენ. სანამ სახლიდან არ წავიდნენ, ვიმალებოდი. ვფიქრობდი — იქიდან სანამ დაბრუნდება, სიბრაზე გადაუვლისმეთქი... ზამთარში გამომყვანდა და მარეცხვინებდა ხოლმე მანქანას, მაგრამ არ მათხოვებდა... ცხონებულმა მამაჩემმა რომ გაიგოს, მე თბილისში „ვტაქსაობ“, საფლავში ამოტრიალდება...

— ეს თქვენი პირველი მანქანაა?

— არა, ეს უკვე მესამეა. პირველი, „06“ მყავდა, შემდეგ — „გოლფი“ ვიყიდე და ახლა „07“ მყავს. თავიდან მანქანა ამ საქმიანობისთვის არ მიყიდია, უბრალოდ, ძალიან დავიღალე „მეშოკების“ ზურგით ზიდვით... გარეთ დახლი მქონდა და ხილბოსტნეულით ვვაჭრობდი. ჰოდა, მანქანით შევიმსუბუქე შრომა. შარშან, როცა გარე ვაჭრობა აკრძალეს, ვფიქრობდი, თუ რით მერჩინა თავი. ჰოდა, ფულის შოვნის ამ ხერხს მივმართე. აბა, რა უნდა მექნა?.. თავდაპირველად, ძალიან მერიდებოდა და მრცხვენოდა. ტრაფარეტს ჩუმად ვდგამდი მანქანაზე და ერთ კლიენტს რომ ავიყვანდი, მაშინვე ვხსნიდი...

— რომელ საათზე იწყებთ სამუშაოს?

— დილის 7 საათზე გამოვდივარ სახლიდან და 10 საათზე ვამთავრებ მუშაობას. ზაფხულში მთელი ღამე ვმუშაობ ხოლმე.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ან დაუყაჩაღებიხართ, ან კლიენტს ფული არ გადაუხდია?

— დაყაჩაღება არასდროს მომხდარა, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც მგზავრებს ფული არ გადაუხდიათ. თითქმის დაყაჩაღების ტოლფასია, როდესაც კაცი წყნეთში აგიყვანს და ფულს არ გადაგიხდის, თან — იმით სარგებლობს, რომ ქალი ვარ...

— როგორც ვხედავ, ტაქსების რიგში დგახართ. როგორც ქალბატონს, რაიმე შელავათს მამაკაცები არ გიწევენ?

— არა. ამ საქმეში არ განირჩევა კაცი ან ქალი... აქ რიგში ძლივს მოვხვდი, რადგან არ მაყენებდნენ. წადი, სხვაგან იმუშავეო, — მეუბნებოდნენ. შემდეგ დავუმაკაცდი და ჩამაყენეს.

— თქვენმა ბიჭმა თუ იცის მანქანის მართვა და როგორ აფასებს თქვენს საქმიანობას?

— არა, ნიკამ ჯერჯერობით არ იცის მანქანის მართვა და არც ძალიან იტაცებს. არც მინდა, რომ შეეჩვიოს ჩემსავით. ძალიან წყნარი ბავშვია, ძირითადად, სულ სახლში ზის ან ინსტიტუტშია... თავიდან, ნიკა ძალიან გამიბრაზდა, ტაქსის მძღოლად მუშაობა რომ დავიწყე: ბიჭია და მაინც ერიდებოდა, უბანში რომ გაიგებდნენ... ნელ-ნელა ყველა შეეჩვია ამას.

— პატრულთან თუ გაქვთ ხოლმე პრობლემები?

— კი. სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ გამოვიტანე საბუთები: წესრიგი დავარღვიე და ხუთლარიანი ჯარიმა გამომწერეს.

— ქალბატონო მანანა, დედათქვენი ცოცხალია?

— კი. დედა სურამში ცხოვრობს. ამას წინათ, თურმე, ტელევიზორში ვუნახავვარ და უთქვამს — ეს მომიკვდეს, ნახე, რას შვრებაო!.. რომელ დედას ესიამოვნება, რომ ქალიშვილი ტაქსის მძღოლი ჰყავდეს.

— რამდენ ხანს აპირებთ ამ საქმიანობას?

— არ ვიცი, ვნახოთ. მინდა, სადმე უცხოურ ფირმაში ვიმუშაო, სადაც მეტი ანაზღაურება იქნება და უცხოელები ვატარო. ■

ყველა ადამიანი გეგმავს თავის ახლო მომავალს. რა თქმა უნდა, ამ წინასწარ დასახულ გეგმაში არასოდეს შედის განსაცდელი, უსიამოვნო მოვლენები, რომელიც ხშირად, მოულოდნელად გვხვდება ცხოვრების გზაზე... ქალბატონი ჯუნა (სახელი შეცვლილია) 19 წლის ასაკში დიდი ბიზნესის აწყობაზე, გათხოვებასა და კარგი ოჯახის შექმნაზე ოცნებობდა. მაგრამ მის მიერ დასახული გეგმის განხორციელება რამდენიმე წლით გადაიდო. ქალბატონი ჯუნას შესახებ „გზის" ერთ-ერთი ნომერში, „გზავნილებში" ვწერდით და მაშინ შეგპირდით, რომ მის შესახებ უფრო ვრცლად გიამბობდით. რა დაღი დაასვა მას რუსეთის ციხეში გატარებულმა 4-მა წელიწადმა, რატომ დაუმალა მეუღლეს, რომ კაცი ჰყავს მოკლული და რატომ ატყვია ნაიარევი მარცხენა მხარზე, ამასა და მის ცხოვრებაში მომხდარ სხვა საინტერესო მომენტებზე თვითონ ჯუნა გვიამბობს.

"ტკივილი გულიდან იწყება, მთელ მკერდს მოეფება და მუცელში "გრეხვდება"

ანუ ბიზნესმენი ტინეიჯერი გოგოს საცირო მოგონებები

მარი ჯაფარიძე

— 10 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. სკოლა იქ დავამთავრე. ძალზე მკაცრი დედა მყავდა. ხომ იცით, რუსები თავისუფალი ხალხია, უკომპლექსო... დედაჩემი წარამარა მახსენებდა — შენს აქაურ მეგობრებს არ აჰყვე, არ დაგავიწყდეს, რომ ქართველი ხარ, მოკრძალებულად მოიქეცი. საღამოს 9 საათამდე შემეძლო, სადაც მინდოდა, იქ წავსულიყავი. ერთი წუთიც რომ გადამეცილებინა, სასტიკად მსჯიდა ხოლმე. ხანდახან, 2-3 დღით, ოთახშიც კი ჩავუკეტივარ. ამ დროს ძალზე ვნერვიულობდი, მაგრამ ჩემს გაღიზიანებას ვერ გამოვხატავდი, რადგან ვიცოდი, სასჯელის ვადას გამიზრდიდა... სკოლა რომ დავამთავრე, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. როცა სტუდენტი გავხდი, მამაჩემის ძმამ, რომელიც უკვე 40 წელია, მოსკოვში ცხოვრობს და მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, მაღაზია მაჩუქა. ეს დაახლოებით — 2 მილიონი დოლარის ქონებას უდრიდა. მშვენივრად ავუღე ალღო ბიზნესს. ერთ წელიწადში, დიდი მოგებაც ვნახე. ბიძაჩემმა სიტყვა შეასრულა და ერთი წლის შემდეგ, ეს მაღაზია ჩემს სახელზე გადააფორმა. რადგან დამოუკიდებელი ადამიანი გავხდი, მშობლები უკვე აღარ ერეოდნენ ჩემს პირად საქმეში. მეც მოვუხშირე შინ გვიან მისვლას. ტინეიჯერულ ასაკში ვიყავი და მომწონდა ღამის კლუბებსა თუ დისკოთეკებზე სიარული და გართობა. მშობლებმა გადაწყვიტეს, გავეთხოვებინე. თბილისელი, მდიდარი ოჯახის შვილი შემირჩიეს კიდეც. ქორწილი სექტემბრისთვის დავნიშნეთ. მე სულაც არ მინდოდა გათხოვება, მაგრამ მშობლების სურვილს დავყევი. ვიფიქრე, ქორწილამდე დარჩენილ დროს — მთელ 3 თვეს ნაყოფიერად გამოვიყენებმეთქი. ფულს დაუნანებლად ვხარჯავდი და საკუთარ თავს ნებისმიერ სურვილს ვუსრულებდი. ერთ საღამოს გადავწყვიტე, ორ მეგობართან ერთად დისკოთეკაზე წავსულიყავი. ჩემი მანქანა ფარეხში დავაყენე და მარინას „აუდით" წავედით. კარგად გავერთეთ. იქ მისვლისთანავე, ერთი ახალგაზრდა მამაკაცი გამომელაპარაკა, მთელი საღამო კავალრობას მიწევდა. გოგონები ადრე წავიდნენ, მე კი გვიანობამდე დავრჩი. როდესაც ღამის 2 საათზე წასასვლელად მოვემზადე, პაშამ გაცილება შემომთავაზა. უარი არ მითქვამს. მის მანქანაში მოვთავსდი და წამოვედით. გზაში მეუბნებოდა — მარტო ვცხოვრობ, ჩემთან ავიდეთ, ვიდეოს ვუყუროთ, ვისკიზე დაგპატიჟებო. ვუარობდი, მაგრამ მან მანქანა თავის კორპუსთან გააჩერა და დაჟინებით მთხოვდა, შინ გავყოლოდი. როცა მიხვდა, ხვეწნით ვერაფერს გახდებოდა, იარაღი ამოიღო. გვერდზე მომაბჯინა და მიბრძანა — გადადი მანქანიდანო! დავემორჩილე. შინ რომ შევედით, კარი საგულდაგულოდ ჩარაზა. ჯერ რბილი ხმით, ალერსიანად მიხმობდა თავისკენ, მაგრამ ჩემმა უარმა წონასწორობიდან გამოიყვანა. მეცა, ტანისამოსი შემომახია, იატაკზე დამაგდო და თან სახეში მირტყამდა. ფრჩხილებით ვპორჭყნიდი, როგორც შემეძლო, ვიგერიებდი, მაგრამ ორმეტრიან კაცთან გამკლავება გამიჭირდა. შემდეგ თვითონაც დაიღალა და შედარებით მოეშვა. იარაღი ისევ ქამარში ჰქონდა გარჭობილი. ვცდილობდი, მივწვდომოდი, მაგრამ ვერ ვახერხებდი. როგორც იქნა, მოვახერხე მისი ხელში ჩაგდება. გინება დამიწყო, ცდილობდა, ხელები გადაეგრიხა, მაგრამ მკერდზე მივადე და გავისროლე. კაცი ზემოდან მოწყვეტით დამეცა. ძლივს გამოვითავისუფლე თავი მისი სხეულისგან. სულ სისხლში ვიყავი მოსვრილი.

— **არ შეგეშინდათ?**

— არა, შიშის გრძნობა არ მქონია. მზად ვიყავი, გამარჯვების ყიჟინა ამეტეხა... სისხლი მოვიბანე, დახეული მაისური გავიხადე, გარდერობიდან მისი „საროჩკა" გამოვიღე და ჩავიცვი. სახლში ტელეფონი არსად იყო. ამიტომ მეზობელთან დავაკაკუნე და ვუთხარი — თქვენი კარის მეზობელი მოვკალი და მილიციას გამოუძახეთ-მეთქი. მაშინვე მომიხურა კარი. 15 წუთში მილიცია მოვიდა და დამაპატიმრა. მათ მოსვლამდე მიცვალებულს ჯიბეები მოვუჩხრიკე, საბუთები ვიპოვე და აღმოვაჩინე, რომ თურმე, თვითონაც მილიციის თანამშრომელი, მაიორი ყოფილა.

— **გაქცევა რატომ არ სცადეთ?**

— ეს იყო მკვლელობა თავდაცვის მიზნით. წესით, პატიმრობა არ უნდა მოესაჯათ ჩემთვის. სწორედ ამიტომ აღარ გავიქეცი. რადგან მოკლული, მილიციელი იყო, სწორედ ამის გამო გამომიტანეს უსამართლო განაჩენი — 6 წელი.

— **თავდაპირველად სად მიგიყვანეს?**

— ოთახში შემოცვივდნენ თუ არა, ორი მე მომვარდა, ერთი — მიცვალებულს. მისი საბუთები რომ ნახეს, იძახდნენ — Эта сука нашего убила-ო. იატაკზე დამაგდეს, ხელები შეშიკრეს, მერე სულ კინწისკვრით გამომაგდეს სახლიდან და მან-

ქანაში „ჩამტენეს“. განყოფილებაშიც ძალზე ცუდად მექცეოდნენ, საშინელ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. როგორც იქნა, გადამიყვანეს წინასწარი გამოძიების საკანში. პირველსავე დღეს, მე და ერთმა პატიმარმა ქალმა უბრალო რამეზე ვიჩხუბეთ. ამის მერე გამაცალკევეს და სასამართლომდე სულ მარტო ვიჯექი... 6 წელი – ეს იყო შოკი. ველოდი, რომ გამათავისუფლებდნენ. ქალების ზონაში წამიყვანეს. იქ დაიწყო ჩემი ტანჯვა. შემიყვანეს საკანში, სადაც ჩემ გარდა, კიდევ 6 პატიმარი იყო. ქალების უმეტესობა, ნარკოტიკების გასაღებისთვის, ქურდობისთვის, სახელმწიფო ქონების მიტაცებისთვის იჯდა. ამრეზით შემომხედეს და კუთხეში მიდგმული საწოლისკენ მიმითითეს. ოთახის შუაგულში გრძელი, რკინის მაგიდა იდგა, რომელზეც ჰურისა და საჭმლის ნარჩენები ეყარა. კუთხეში ონკანი იყო, რომელიც ცხიმისა და ჭუჭყისაგან გაშავებულიყო. ოთახში აქა-იქ რამდენიმე ჩალის სკამი, ტაბურეტი და ორსართულიანი „ნარები“ იდგა. ჩამოვჯექი ჩემთვის განკუთვნილ ადგილზე და ოთახს თვალი მიმოვავლე. გოგოები ერთ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ და ინტერესით მათვალიერებდნენ. როდესაც ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერე მზერა, თვალი ჩამიკრა და ტუჩებით ჰაეროვანი კოცნა გამომგზავნა. მს ვერა ერქვა... მითხრეს, რომ ამ ზონაში „ქურდი“ დეიდა ლუბა იყო, რომელსაც უნდა ვხლებოდი და მომეხსენებინა ჩემ შესახებ. მე მათ ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე და საწოლზე წამოვწექი. ჩემი გონება ციხის გარეთ იყო. რა მეშველება, ამ ყველაფერს როგორ უნდა გავუძლო-მეთქი?! – ვფიქრობდი. საღამო ხანს, კარი ასაკოვანმა, სანდომიანი გარეგნობის ქალმა შემოაღო და იკითხა – „რომელია ახალი?“ – მე-მეთქი, – ვუპასუხე და წამოვჯექი. – აბა, გამომყევით! – მიბრძანა. ეს ყოფილა ლუბა. ერთ ოთახში შევედით, სადაც ჩვენ გარდა არავინ იყო. დაბალ სკამზე დავჯდა, მეც მის პირისპირ დავჯექი, თვალებში ჩამაშტერდა და მითხრა: ახლა ყველაფერი მომიყევი და ჩემი მოტყუება არ სცადოო... დაუფარავად ვუამბე, რაც თავს გადამხდა. ვხედავდი, თანდათან როგორ ეცვლებოდა სახე. რამდენიმე კითხვა კიდევ დამისვა, ბოლოს მითხრა – წადი, თავისუფალი ხარ, შენისთანა გოგო ცოდვაა ციხეში მოსახვედრადო... კართან რომ მივედი, შემაჩერა. ქალწული ხარო? – მკითხა. თავი დავუქნიე. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე მითხრა – კარგი, ყველაფერს მე მივხედავო... ვგრძნობდი, რომ ჩემი მეზობელი და თანასაკნელი გოგოები ვერ მიტანდნენ. ის ვერა, მისი დაქალი და „შნირი“ – თავგადაპარსული მაშა – განსაკუთრებით... იქაურობას ცოტა რომ შევეჩვიე, ციხის თანამშრომელს ცოცხი და იატაკის საწმენდი ტილო ვთხოვე. ოთახი მთლიანად დავალაგე, მაგიდა გავხეხე, ნიჟარა ისე გავათეთრე, ახალი გეგონებოდათ. პირველი უსიამოვნება სწორედ ამის გამო მომივიდა. საქმეს რომ მოვრჩი, საწოლზე წამოვჯექი. ვერა და მაშა თავზე დამდგნენ. ხელში 2 წყვილი ფეხსაცმელი ეჭირათ. ოთახთან ერთად, ყოველდღე ამსაც გააპრიალებო. – მითხრეს. ხმა არ ამომიღია. გაგონილი მქონდა, რომ თუ თავიდანვე დაგიმორჩილებდნენ, მერე, სულ მათი მოახლე უნდა ყოფილიყავი. ვერა ამას რომ მეუბნებოდა, წელში მოხრილი, თვალებში მიყურებდა. ბოლოს ნიკაპზე თითიც ამომკრა, თვალი ჩამიკრა და ფეხსაცმელი საწოლთან დამიწყო... ღამით მათი ფეხსაცმელი „ბრიტვით“ დავჭერი და თავ-თავიანთ საწოლებთან დავუწყვე. დილით მათი კივილის ხმამ გამაღვიძა. ფეხზე წამოვხტი და თავდაცვისთვის მოვემზადე. მზად ვიყავი, მათთვის კბილებით გადამეღადრა ყელი. კარგა ხანს ვძიძგილაობდით. მერე ლუბა შემოვიდა და გაგვაშველა. თავისთან წამიყვანა და მითხრა – თურმე, არც ისეთი კრავი ყოფილხარ, როგორიც მეგონე, როგორ გაბედე, ფეხსაცმელი რომ დაჭერი? ხომ იცოდე, რაც მოჰყვებოდა მაგ ამბავსო!.. – არავის ვაპატიებ შეურაცხყოფას-მეთქი, – ვუპასუხე. ლუბამ კარგა ხანს თვალმოჭუტულმა მიყურა – მომეწონე, ამიტომ შენს მფარველად მიგულეო, – მითხრა და გამაფრთხილა: – იცოდე, სასტიკად იძიებენ შურს; ღამით არ დაიძინო, ფხიზლად იყავიო. მაინც ჩამეძინა. იმ ღამეს, რაღაც ჩოჩქოლმა გამაღვიძა. წამოვდექი და ჩემ თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა: ვერა და მაშა ერთ გოგოს თავზე დასდგომოდნენ, მაშა ხელებს უჭერდა, ვერა კი, საცოდავ გოგოს სკამის ფეხით აუპატიურებდა... ყველანი განაბულები იწვნენ. დარწმუნებული ვარ, ეღვიძათ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. შუქი ავანთე. მოძალადეებს წარბიც არ შეუხრიათ. ზურგზე მოვახტი ვერას, თმაში ვწვდი და იატაკზე გადმოვათრიე. ატყდა ერთი ვაი-შველებელი... ის სკამის ფეხი ვერას თავზე გადავამტვრიე. ისე გამოვედი წონასწორობიდან, რომ ყველა შეშინდა. ახლოს ვერავინ გამეკარა. მე კი უმოწყალოდ ვურტყამდი, ვიდრე ციხის თანამშრომლები არ შემოცვივდნენ... ცალკე კამერაში შემაგდეს, სადაც არც საწოლი იყო, არ სკამი და მთელი თვე ბეტონის იატაკზე ვეგდე. ამ დროს დედაჩემი მახსენდებოდა და მისი დასჯის მეთოდი. სწორედ მაშინ გავიგე, რა არის ტკივილი: ტკივილი გულიდან იწყება, მერე მთელ გულმკერდს მოედება, ქვემოთ ეშვება და მუცელში გროვდება. ეს საშინელი შეგრძნებაა. მთელი თვე ვფიქრობდი – ახლა, უკან რომ დამაბრუნებენ, როგორ მოვიქცე-მეთქი?.. ლუბასგან წერილები მომდიოდა. მამხნევებდა, მწერდა – უკან რომ დაბრუნდები, პირველსავე წუთიდან „პალაჟენიე“ დაყენეო... ის დღეც დადგა, როცა „ადინოჩკიდან“ გამომიყვანეს და საერთო ოთახში დამაბრუნეს. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ეს სიზმარი იყო... ციხის თანამშრომელმა, რომელსაც საკნიდან საკანში გადავყავდი, რაღაც პატარა შეფუთული ნივთი ჩამიდო ხელში და საერთო საკნის კარი გააღო...

დასასრული შემდეგ ნომერში

ინტიმური ტელეფონი

822-009-008
822-009-088
822-009-108



18 წლიდან
მომსახურება ფასიანია

ადამიანი დიდი გულით

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ადამიანი დიდი გულით

კეთილ, გულისხმიერ კაცზე იტყვიან „დიდი გული აქვსო“. მის გვერდით თავს ყველა კარგად გრძნობს, მაგრამ სამედიცინო თვალსაზრისით „დიდი გული“ სულ სხვა შინაარსს ატარებს. ცნობილია არაერთი დაავადება და მდგომარეობა, რომელთა დროს გულის ზომები მატულობს. ეს პათოლოგიაა და მკურნალობა სჭირდება.

ნორმალური გული მამაკაცებში 332 გ-ს იწონის, ქალებში – 253 გ-ს. ითვლება, რომ ადამიანის გულის ზომა მისივე შეკრული მუშტის ზომის ტოლია. გულის გადიდება ხდება გულის კუნთის ზრდის (მიოკარდიუმის ჰიპერტროფიის) ან გულის ღრუების – პარკუჭების გაფართოების ხარჯზე. ამის მიზეზი კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

სპორტსმენთა და წნევიანთა გული



არსებობს გულის გადიდების ბუნებრივი მიზეზები. მაგალთიად, თუ ადამიანი სპორტსმენია და ყოველდღიურად ვარჯიშობს, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა გულის უფრო აქტიურად მუშაობას მოითხოვს. ეს კი გულის კუნთის უჯრედების ზომაში მატებასა და გულის მასის ზრდას იწვევს – ყალიბდება ე.წ. „სპორტსმენის გული“. ამ შემთხვევაში გადიდებას ფიზიოლოგიური მიზეზები უდევს საფუძვლად, მაგრამ მეტისმეტმა გადატვირთვამ, სტრესულმა სიტუაციებმა და სხვადასხვა დაავადებამ შემდგომში შეიძლება ჰიპერტროფირებული გულის დაავადებამდე მიგვიყვანოს.

გულის გადიდების სხვა მიზეზები არის დაავადებები, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჰიპერტონიული დაავადებაა. სისხლძარღვებში წნევის მატებისას გულს მეტი დატვირთვით უხდება მუშაობა სისხლის გადასაქაჩად, ამიტომ ბუნებრივია, რომ გულის კუნთები გაძლიერებულად მუშაობს, ზომაში მატულობს და გული ჰიპერტროფირდება. იგი ფართოვდება, რათა წინ აღუდგეს მომატებულ წნევას და სისხლი სპაზმირებულ სისხლძარღვებში გადაქაჩოს.

გულის იშემიური დაავადებისას გულის კუნთის მკვებავი სისხლძარღვები ზიანდება და ირღვევა გულის კუნთის სისხლმომარაგება. ამის გამო კუნთის უჯრედები გადაგვარდება და მათ ჩანაცვლება შემაერთებელი ქსოვილი. ეს ქსოვილი კი არ არის ელასტიკური, არ შეუძლია შეკუმშვა, ამიტომ ხდება გულის ღრუების გაფართოება – ე.წ. დილატაცია.

„ხარის გული“

გულის ზომების ზრდა შეიძლება გამოიწვიოს გულის კუნთის ანთებამაც – კარდიტმა. ყველაზე ხშირად გვხვდება რევმოკარდიტი. ანგინის ან ქუნთრუშის გადატანის შემდეგ, ზოგჯერ ვითარდება გართულებები გულზე. თუ დაავადებას დროულად არ ვუმკურნალებთ, შეიძლება განვითარდეს ე.წ. „ხარის გული“ – დაავადებისაგან გამოფიტული გულის კუნთის ქსოვილი დუნდება და გულის ღრუები იმდენად ფართოვდება, რომ გული გულმკერდის ორივე ნახევარს იკავებს. რევმატიზმის ვერაგობა ისაა, რომ იგი ფარულად და დუნედ მიმდინარეობს, ადამიანი მხოლოდ სისუსტეს გრძნობს, რასაც გადატანილ გრიპს, ანგინას ან სხვა დაავადებას აბრალებს. ამასობაში კი რევმოკარდიტმა შეიძლება გულის მანკის განვითარება გამოიწვიოს. მეტად საშიშია ანგინა 7-9 წლის ბავშვებში, გარდატეხის ასაკში. რევმოკარდიტის ძირითადი პროფილაქტიკა ანგინის დროული მკურნალობაა ანტიბიოტიკებით. აგრეთვე საჭიროა შარდის ანალიზი, ელექტროკარდიოგრაფია და ედსის (Роэ-ს) კონტროლი ექვსი თვის განმავლობაში.

საკმაოდ ხშირად გვხვდება გრიპის შემდგომი მიოკარდიტები, რომლებიც ასევე იწვევს გულის კონფიგურაციის ცვლილებას. გულის გადიდებას შეიძლება იწვევდეს თანდაყოლილი მანკები, ალკოჰოლური ინტოქსიკაცია (სხვათა შორის, ადამიანი როგორც კი წყვეტს სმას, გულის ზომა გარკვეულ დროში თითქმის ნორმას უბრუნდება).

დიდი გულის საშიშროება

ერთი შეხედვით, რაც უფრო დიდია გული, მით უკეთესი. სინამდვილეში კი, ასე არ არის: იმის გამო, რომ გადიდებულ გულში კუნთოვანი ქსოვილის დეფიციტია, მისი კუმშვითი ფუნქცია ქვეითდება, შესაბამისად, ქვეითდება ტუმბოს ფუნქცია, იგი ნაკლებ სისხლს გადაისვრის ორგანიზმში და ცუდად ამარაგებს მას. ამის შედეგად ვითარდება გულის უკმარისობა. ამიტომ არის აუცილებელი, რომ გული საწყის მდგომარეობას დავუბრუნოთ. გულის უკმარისობის მოხსნა მეტად მნიშვნელოვანი მომენტია ჰიპერტონიითა და იშემიით დაავადებულ ავადმყოფთა მკურნალობაში.

დავუბრუნდეთ ნორმას

ასაკოვან ადამიანებში გადიდებული გულის მკურნალობა გულისხმობს ძირითადი დაავადების (იშემიის, ჰიპერტონიის) მკურნალობას. მეტად მნიშვნელოვანია ქოლესტერინის დონის მოწესრიგება სისხლში. ამისთვის კი საჭიროა უცხიმო დიეტის დაცვა. რაციონი მდიდარი უნდა იყოს მცენარეული საკვებითა და უცხიმო რძის პროდუქტებით. დადგენილია, რომ რძის ცხიმი მყისიერად შეიწოვება და ლაგდება სისხლძარღვთა კედლებზე. რეკომენდებულია უცხიმო ხორცი, თევზი, ხილი, ბოსტნეული. ცნობილია ისიც, რომ ბადრიჯანი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც აქვეითებს „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს სისხლში. გარდა ამისა, ორი ვაშლი დღეში „ასუფთავებს“ სისხლძარღვებს ანუ ხელს უწყობს სისხლძარღვთა კედლებზე დალექილი ქოლესტერინის გამოტანას. ასაკის მიუხედავად, აუცილებელია ზომიერი ფიზიკური დატვირთვა. არ შეიძლება ხანგრძლივად უმოძრაოდ ყოფნა, ტელევიზორთან ჯდომა. საჭიროა მსუბუქი საოჯახო საქმის კეთება, სეირნობა.

თუ გულის ზომების ცვლილება ჰიპერტონიულ დაავადებას უკავშირდება, მაშინ მისი პროფილაქტიკა ჰიპერტონიული დაავადების სწორ და დროულ მკურნალობას გულისხმობს. თანამედროვე ჰიპოტენზიური პრეპარატები მრავალმხრივი ეფექტით ხასიათდება: აქვეითებს წნევას, აუმჯობესებს გულის კუნთის კვებას და ამასთან ერთად, უბრუნებს გულს საწყის მდგომარეობას ანუ აქვს რემოდულაციის თვისება. დღეს

ფართოდ გამოიყენება აგფ-ინჰიბიტორთა ჯგუფის პრეპარატები: რენიტეკი, მონოპრილი, პრესტარიუმი, ენაპი, ენამი, დიროტონი. მათი ხანგრძლივი და მოწესრიგებული მიღების შემდეგ, გული უბრუნდება ნორმალურ, საწყის მდგომარეობას, მცირდება მისი ზომები.

გულის იშემიური დაავადების დროსაც ინიშნება აგფ-ინჰიბიტორები, რომლებიც გულის კუნთის უჯრედების – მიოციტების მუშაობას აუმჯობესებს. ამასთან ერთად, საჭიროა კორონარული (გულის მკვებავი) სისხლის მიმოქცევის აღდგენა. რისთვისაც ზოგჯერ საჭირო ხდება მკურნალობის თანამედროვე მეთოდები – შუნტირებისა და სტენტირების გამოყენება. საჭიროა აგრეთვე ნიტრატები (ნიტროგლიცერინის ჯგუფის პრეპარატები), გულის კუნთის გასამგრებელი პრეპარატები, რეჟიმი და დიეტა. ასეთი მკურნალობის შემდეგ გულის ჰიპერტროფია მცირდება.

რაც შეეხება რევმოკარდიტს, უწინ ამ დაავადებით ადამიანები იღუპებოდნენ გულის მეტისმეტად გადიდების გამო. დღეს კი არსებობს უამრავი პრეპარატი, ანტიბიოტიკები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს გართულებებს.

მიოკარდიტების მკურნალობა საკმაოდ რთულია, ამიტომ მნიშვნელოვანია ცხვირ-ხახის ინფექციების პროფილაქტიკა, იმუნიტეტის გაძლიერება და მათი დროული მკურნალობა. ■

სილამაზის სეზონი

ისე დიდხანს ველით ზაფხულის მზეს და შემდეგ ისე ხარბად ვეწაფებით ხოლმე, რომ ზოგჯერ ელემენტარული სიფრთხილის ზომები გვავიწყდება. ულტრაიისფერი სხივები კი მცირე დოზითაა სასარგებლო, თორემ ჭარბი ზემოქმედებისას კანის იმუნიტეტის დარღვევას, მის გამოშრობასა და საჭირო ვიტამინ-ანტიოქსიდანტების „წვას“ იწვევს. ყოველივე ეს კი, კანის დაბერების მიზეზი ხდება. ამიტომ დროულად იზრუნეთ იმაზე, რომ თქვენი ზაფხულის კოსმეტიკა (მათ შორის დეკორაციულიც), აუცილებლად შეიცავდეს მზისგან დამცავ ფილტრებსა და C, A, E, PP, ვიტამინებს. ვიტამინ-ანტიოქსიდანტთა დანაკარგის შევსებას ხელს უწყობს ბიოფლავონოიდების (მწვანე ჩაის, ყურძნის წიპწების, გინკგოს, კალენდულის ექსტრაქტების) შემცველი ფიტოკრემი. მზისგან დამცავ ყველაზე ეფექტურ ბუნებრივ ფილტრებს კი წარმოადგენს ალოე და გვირილა.

აუცილებელია კანის დაცვა განსაკუთრებულად ულტრაიისფერი სხივებისაგან, თუ იგი მიდრეკილია ჰიპერპიგმენტაციისა (ლაქების წარმოქმნისა) და გამონაყარის განვითარებისკენ. მზე არა მარტო აშრობს კანს და ჭორფლისა და მუქი ლაქების წარმოქმნის პროვოცირებას ახდენს, არამედ აძლიერებს ცხიმოვანი ჯირკვლების აქტიურობასაც. შედეგად კი მრავლდება ფერიმჭამელები და ჩირქოვანი გამონაყარი. ამიტომ შემოდგომაზე დერმატოლოგებს საქმე თავსაყრელი აქვთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზომიერი დოზით მზის სხივები, პირიქით, სასარგებლოცაა პრობლემური კანისათვის.

მომხიბლავი ნამზეურისთვის

თუ ყველაფრის მიუხედავად, მაინც გსურთ, გქონდეს მოდური ნამზეური, გახსოვდეთ, რომ ბევრი წამალი აძლიერებს კანის მგრძნობელობას ულტრაიისფერი სხივებისადმი. მათ შორისაა გაცივების საწინააღმდეგო ზოგიერთი საშუალება, შარდმდენი პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ალერგიის საწინააღმდეგო აბები, ტრანკვილიზატორები. მსგავსი ეფექტი აქვს პარფიუმერიას, რომლის შემადგენლობაშიც შედის სპირტი. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წამლების მიღებისას მთელ სხეულზე „იწვებიან“, პარფიუმერიული საშუალებების გამოყენებისას კი კანის მხოლოდ ის უბანი ზიანდება, რომელზეც სუნამოსა თუ ოდეკოლონს ისვამენ. ასე რომ, თუ მაინცდამაინც არ გხიბლავთ ლეოპარდის ნამზეურის პერსპექტივა, ჯობს, ბუნებრივად გაირუჯოთ. პიგმენტური ლაქების გაჩენა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ცილების ნაკლებობასთან. ჰიპერპიგმენტაციისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანებმა ზაფხულში უარი უნდა თქვან ხორცსა და თევზზე.

სასიამოვნოა მზიან ამინდში ყინულიანი ალკოჰოლური კოქტეილის წრუპვა ან ჩაცივებული ლუდის ყლუპვა, მაგრამ სამწუხაროდ, პიგმენტი მელანინი „დასანახავად“ ვერ იტანს ალკოჰოლს. რატომღაც ყველაზე ცუდად ირუჯებიან სუსტი ალკოჰოლური სასმლის (განსაკუთრებთ გაზიანის) მოყვარულები. სამაგიეროდ, არსებობს ისეთი საშუალებებიც, რომლებიც მუქი, მყარი ნამზეურის მიღებას უწყობს ხელს.

უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ყვითელ-წითელ-ნარინჯისფერი ხილი და ბოსტნეული. თუ გსურთ, ყველა გააოცოთ ნარინჯისფერი კანით, სვით ფორთოხლის, სტაფილოს, გოგრის, გარგარის წვენი. ეფექტის გასაძლიერებლად კი წვენს შეგიძლიათ 1-2 წვეთი ფორთოხლის, ლიმონის ან მანდარინის ეთეროვანი ზეთი დაამატოთ. მაგრამ ეს სასმელი პლაჟზე გასვლამდე ორი საათით ადრე ან პლაჟიდან დაბრუნების შემდეგ უნდა მიირთვათ, თორემ შესაძლოა, შედეგად ისევ პიგმენტური ლაქები მიიღოთ. ამასთან აუცილებლად გამოიყენეთ მზისგან დამცავი კრემი (თქვენი კანის შესაბამისი), კანის დამარბილებელი და დამატენიანებელი საშუალებები.

გადავდივართ წყლის პროცედურებზე

ზღვის წყლის შემადგენლობაში შედის ბევრი სასარგებლო კომპონენტი და მთელ ამ სიმდიდრეს ჩვენ კანის ფორებიდან და კაპილარებიდან ვისრუტავთ. მინერალებითა და მარილებით გაჯერებისას კანი უფრო ელასტიკური და მკვრივი ხდება, მცირდება შეშუპება. ზღვის წყალი განსაკუთრებულად სასარგებლოა პრობლემური კანისათვის: იგი ასუფთავებს პათოგენურ მიკროფლორას, კანის ზედმეტ ცხიმს, ჩამოფრცქვნის რქოვანა შრეს.

ზღვის წყალი „გამოჭედავს“ ჩვენს ფიგურასაც. სასარგებლო ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაცია ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების ინტენსიურ გამოდევნას. ამასთან, ტალღები მსუბუქ ანტიცელულიტურ მასაჟსაც აკეთებს. თუ წყალში ბანაობას სპორტულ თამაშებსაც შეუთავსებთ, ან უბრალოდ ენერგიულად იცურავებთ, მაშინ „ფორთოხლის კანი“ თვალსა და ხელს შუა გაქრება. სხვათა შორის იოდი, რომლითაც ზღვის წყალი და ჰაერია გაჯერებული, „ცხიმთა მწველი“ ეფექტით ხასიათდება. ■

რას გვეუბნება ხელები?

მას, ვისაც „ხელების ენა“ ესმის, ბევრი ინფორმაციის მიღება შეუძლია თანამოსაუბრის შესახებ. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ თითებითაც შეიძლება განისაზღვროს ადამიანის ხასიათი, მისი პიროვნული თავისებურებები და საყვარელ ადამიანთან შეთავსების შესაძლებლობები... მაშ ასე, როგორ ახასიათებს თავის პატრონს

სწორი, თლილი, ჩამოჭნილი თითები? ისინი, ვისაც ასეთი თითები აქვთ, ჭკვიანი, დინჯი და სერიოზული ადამიანები არიან. არ საუბრობენ ხმამაღლა თავიანთ გრძნობებზე, უჭირთ სიყვარულის გამოხატვა. რაც არ უნდა იმედგაცრუებულნი იყვნენ, სულით მაინც არ ეცემიან. უყვართ მოფერება, შექება, თავს ბედნიერად გრძნობენ, როცა მათზე ვიღაც ზრუნავს. პარტნიორებისგან დიდ სითბოსა და სიყვარულს იღებენ, მაგრამ თვითონ ნაკლებს გასცემენ. სამაგიეროდ, ვისაც ერთხელ შეიყვარებენ, სიცოცხლის ბოლომდე მისი ერთგულები რჩებიან.

თუკი არათითი საჩვენებელ თითზე გრძელია, თქვენ წინაშეა პატივმოყვარე, ამპარტავანი ადამიანი, რომელიც კარიერისკენ მიილტვის. მისი ცხოვრების კრედოა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. სიყვარულში მაქსიმალისტია — ის ყველაზე და ყველაფერზე მეტად უნდა უყვარდეთ.

თუკი არათითი საჩვენებელი თითის სიმაღლისაა, თქვენ წინაშეა ნატურა, რომელიც სითბოს, სინაზეს და მოფერებას მოითხოვს. სიყვარულში ფრთხილია, მზად არის, ბევრი რამ მოითმინოს, ოღონდ საყვარელი ადამიანი არ გაანაწყენოს. მისი კრედოა — „მიყვარს? ვუყვარვარ? — ე.ი. ვცოცხლობ!“

ლამაზი, პროპორციული, ოდნავ ბრტყელი ცერა თითის პატრონები, სანდო, ერთგული, თბილი ადამიანები არიან. სითამამესა და გამბედაობასთან ერთად, გამჭრიახი ჭკუა-გონებითაც გამოირჩევიან. უსაზღვროდ ეროტიკული ფანტაზია აქვთ — სექსი მათთვის მხოლოდ გართობა როდია. მზად არიან, სასურველი პარტნიორის მოსაპოვებლად იბრძოლონ და გამარჯვებულებიც ხშირად გამოდიან.

ძალზე მოკლე ცერა თითის პატრონი სუსტი ნებისყოფის, კომპლექსებით „დახუნძლული“ ადამიანია; დაბალი თვითშეფასების უნარით გამოირჩევა, აკლია თავდაჯერებულობა და სიყვარულსაც გაურბის.

როცა შუათითი ბევრად აღემატება დანარჩენებს, ე.ი. მისი პატრონი ენერგიული და ძალაუფლებისმოყვარე, სიყვარულში — პრინციპული, ამავდროულად, ეჭვიანი და ტრადიციების მოყვარულია. პარტნიორს არ ენდობა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ამოწმებს. ადვილად არ ტყუდება. თვითონ ერთგულია და პარტნიორისგანაც იმავეს მოითხოვს.

გრძელი, წაწვეტებული თითები სულიერად მდიდარ ადამიანებს — მხატვრებს, მწერლებს, მსახიობებს აქვთ. ისინი თავიანთ ერთგულებას ექსტრავაგანტურობის მიღმა მალავენ, თავიანთ მეორე ნახევრებს საგანგებოდ აეჭვიანებენ, ხან გულგრილობით, ხან ორაზროვანი ფრაზებითა და ქცევით აწვალებენ. მათ გვერდით ცხოვრება რთული, მაგრამ საინტერესოა.

მოუხეშავი, გაშლილი თითები პრაქტიკულ, საქმიან და თავდაჯერებულ ადამიანებს აქვთ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ბიზნესმენები და პოლიტიკოსები. მათ სიყვარულისთვის თითქმის არ სცალიათ და არც სერენადების სამღერად სცხელათ. არარომანტიკულები არიან, სექსი კი მათი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

რბილი, „მოუსვენარი“ თითების პატრონები გაქნილები და ძალზე მოხერხებულები არიან. ამგვარ ადამიანებს ნუ ენდობით, რადგან მათთვის ერთგულება უცხო ხილია. ალბათ ამიტომაც უჭირთ გარშემო მყოფთა კეთილგანწყობილების მოპოვება.

მარაოსავით გაშლილი თითები დიდი შუალედებით — ასეთი თითების პატრონებისგანაც შორს გირჩევთ თავის დაჭერას, მით უმეტეს, თუ საქმე სერიოზულ გარიგებას ეხება. მკვეხარები და ეგოისტები — რომელთაც შეუძლიათ უახლოესი ადამიანი თხასავით გაყიდონ — არც მეგობრობაში უქნია ღმერთს და არც სიყვარულში.

მოკლე მსხვილი და კოტიტა თითები, ადამიანის სიზარმაცის, დარდიმანდული ხასიათის გამომხატველი ნიშანია. ასეთები შესანიშნავი საყვარლები არიან, მაგრამ უპირატესობას ანგარებიან სიყვარულს ანიჭებენ. პარტნიორისგან გადამეტებულ ყურადღებას მოითხოვენ და ფუფუნების მონები არიან.

პროპორციული თითები კეთილ ნატურაზე მიუთითებს. ცხოვრების მოწყობა და კომფორტის შექმნა ასეთი ადამიანებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მათი ნდობა შეიძლება, რადგან უერთგულესი მეგობრები არიან. მათ განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა აქვთ და ჰაერივით სჭირდებათ სიყვარული.

ძალიან პატარა თითები სუსტი ნებისყოფისა და მერყევი ხასიათის ადამიანებს აქვთ. ნებისმიერ წარუმატებლობას მტკივნეულად განიცდიან. ხშირად მელანქოლია ეუფლებათ და ძალზე დეპრესიულები არიან. გამოუსწორებელი პესიმისტები, მომავალს შიშითა და ეჭვით უმზერენ. სიმარტოვე მათი უპირველესი მტერია. ■

ბოსტნეული	დასუნია ... პუპი	ერთგვარი ქუდი	..., ბანი, განი, დონი	მოვაჭრე, დახლიდარი	იგივეა, რაც ყლუპი	ლეილა აბაშიძე ფილმში
ჯოლოვანი		ანი		ანა		ბე

ფიცი მწამს, ... მაკვირვებს	ტროპიკული ხილი	გამარჯვების ქალღმერთი	იგივეა, რაც ფორტეპიანო	თევზის ჯიში	გადახდილი თანხის ნაწილი	დაწესებულ... ...ვრეულ...



ვასუფთავებთ, ვატენიანებთ, ვკვებავთ

თუ ზამთარში მკვებავ კრემს კანზე დილაობით ვისვამ-დით, ხოლო დამატენიანებელს ღამით, ზაფხულში ყველაფერი პირიქითაა საჭირო. საღამოს სახეზე შეგიძლიათ წაისვათ მკვებავი შრატი, რადგან ღამით რეგენერაციის პროცესები უფრო აქტიურია. ზაფხულში კანი საგულ-დაგულოდ უნდა გაისუფთავოთ მტვრისა და ჭუჭყისაგან, რომელიც ოფლიან ზედაპირზე ილექება. გამწმენდი საშუ-ალებები კანის ტიპის შესაბამისად უნდა შეარჩიოთ. სა-პონსა და სპირტიან ლოსიონებს სჯობს კოსმეტიკური რძე და უსპირტო ტონიკი. უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყ-ენეთ ლოსიონი სპირტის დაბალი შემცველობით. ცხიმ-იანი კანის გაწმენდა კარგია ყინულის კუბურით – ხილის, კენკრის გაყინული წვენით. ტენთან კანის ნებისმიერი კონტაქტის შემდეგ მასზე აუცილებლად უნდა წაისვათ მსუბუქი, ადვილად შესაწოვი კრემი.

რაღა თქმა უნდა, ნუ იტყვით უარს ბუნების ნობათზე, რომელსაც ზაფხული გვჩუქნის, გაანებივრეთ თქვენი კანი – მიირთვით ბევრი მწვანილი, კენკრა, ხილ-ბოსტნეული – ამ დროს ხომ ორგანიზმი ვიტამინებს მარაგად კი არ ინახავს, მთლიანად იყენებს დანიშნულებისამებრ.

დაბოლოს, ზაფხულში არაფერში გჭირდებათ ხელოვნური წარმოების მკვებავი ნიღბები. ცხიმიანი კანისთვის შეგიძლ-ია გამოიყენოთ შავი მოცხარის, ბოლოკის, პირშუშხას ნიღ-ბები. პრობლემურ კანს კი გახეხილი გარგარის ნიღაბი მოუხდება. ნებისმიერი კანისთვის დღესასწაულია მარწყვის, კიტრის, ვაშლის, ჟოლოს, პამიდვრის დამატენიანებელი ნიღ-ბი. პამიდორი მხოლოდ მატონიზებელი საშუალება როდია, იგი იცავს კანს მზის დამწვრობისაგან. მშრალი კანის შემთხ-ვევაში, კენკრასა და ხილს ზეითუნის ზეთს უმატებენ, ცხიმ-იანის დროს კი – ლურჯ თიხას ან კვერცხის ცილას. ნიღბის დადება უმჯობესია არა უშუალოდ სახეზე, არამედ მინერალური წყლით დასველებულ დოლბანდზე. ■

რამდენიმე რჩევა

კანზე პიგმენტური ლაქები რომ არ გაგიჩნ-დეთ, ზაფხულში უარი თქვით:

- კანზე ყოველგვარ ლაზერულ ზემოქმედებაზე (ეპილაცია, ხალებისა და ნაწიბურების მოშორე-ბა);
- პილინგზე (ქიმიურსა და ზედაპირულზე); გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სპეციალ-ური საზაფხულო პილინგი, რომელიც არ იწვევს კანის ტრავმირებას და ამზადებს მას იდეალუ-რად თანაბარი ნამზეურისათვის.
- პიგმენტური ლაქების მოშორების ნებისმიერ პროცედურაზე. ■

ფსილო - ბალზამი გელი

დიფენჰიდრამინის ჰიდროქლორიდი (დიმეთროლი)

ალერგიის საწინააღმდეგო არაპორმონალური პრეპარატი გარეგანი მოხმარებისთვის

- მწერის ნაკბენებზე ალერგიული რეაქციები
- მზით გამოწვეული დამწვრობა
- I ხარისხის დამწვრობა
- სხვადასხვა წარმოშობის კანის ქავილი
- კანის ალერგიული გაღიზიანება
- ჩუტყვავილა
- ჭინჭრის ცემა, ქავილით მიმდინარე ეგზემა
- კონტაქტური დერმატიტი (გამოწვეული მცენარეებთან შეხების შედეგად)

რეგისტრაციის № R 0001247

უკუჩვენება: კომპონენტებზე მომატებული მგრძნობიარობა

წურადღებით გაეცანით ინსტრუქციას
საშუალების გამოყენების ინსტრუქცია

| | | |

შეიძლება თუ არა „წმინდა წერილის“ საკუთარი ზრით განმარტება?

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს „წმინდა წერილის“ კითხვასთან დაკავშირებით. შეიძლება თუ არა „წმინდა წერილის“ ამა თუ იმ ადგილის ან რომელიმე ცალკეული წიგნის საკუთარი შეხედულებით განმარტება? თუ შეიძლება მოხდეს, რომ „წმინდა წერილის“ კითხვა, არა სასარგებლო, არამედ მავნებელი იყოს? ვიკითხოთ თუ არა არამართლმადიდებლურ რელიგიათა მიერ წმინდა წიგნებად მიჩნეული ლიტერატურა — მაგალითად, „ყურანი“?

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

წმინდა ეკლესია გვმოძღვრავს, რომ არ განვმარტოთ „წმინდა წერილის“ არც ერთი წიგნი თუ ცალკეული მონაკვეთი თვითნებურად, საკუთარი შეხედულებით. რადგან, სწორედ ასე დაედო სათავე მრავალ მწვალებლობასა და ერესს. „წმინდა წერილის“ ერთადერთი განმმარტებლები არიან მსოფლიო საეკლესიო კრებები და წმინდა მამები. ამიტომ უნდა დავჯერდეთ მათ განმარტებებს. რომელი წმინდა მამების განმარტებები შეიძლება გამოვიყენოთ „წმინდა წერილის“ კითხვისას, ამის შესახებ რჩევა უნდა ვკითხოთ სულიერ მოძღვარს ან ნებისმიერ გამოცდილ ღვთისმსახურს: „ნუ გაკადნიერდები თავად განმარტო „სახარება“ თუ „წმინდა წერილის“ სხვა წიგნები, სულიწმიდა განმარტავს მათ წმინდა მამების მეოხებით... ხოლო ღვთის სიტყვა, სიტყვა ხსნისა, კადნიერი განმმარტებლებისთვის იქცევა მომაკვდინებლად, ორლესულ მახვილად, რითაც ისინი განგმირავენ თავს მარადიული დაღუპვისთვის“, — ბრძანებს წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვი.

წმინდა ავგუსტინე, როდესაც „წმინდა წერილის“ განმარტების შესახებ საუბრობს, დიდ ადგილს უთმობს იმის ახსნას, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც შეუდგება „წმინდა წერილის“ განმარტებას: ვისაც მთელი გულით უყვარს ღმერთი და არ გააჩნია სიამაყე; ვისაც უნდა, რწმენით და მოწიწებითა და არა სიამაყით და სიხარბით, ჩასწვდეს ღვთის ნებას; ვისაც აქვს წმინდა გული, კვდება ამ სოფლისათვის, ვისაც არ ეშინია და არ ცდილობს ვინმეს ასიამოვნოს; ვინც არ ეძებს არაფერს, გარდა ღვთის შეცნობისა და ქრისტესთან ერთობისა; ვისაც ხარბად სწყურია უბიწოება; ვინც დაუღალავად მონაწილეობს მოწყალების და სიყვარულის საქმეებში... ასეთები მხოლოდ უმაღლესი სულიერების ადამიანები არიან, როგორებიც იყვნენ წმინდა მამები, რომლებმაც თავიანთი წმინდა ცხოვრებით მიიღეს მადლი სულისა წმიდისა და იქცნენ ღვთის სიტყვის ღირსეულ განმმარტებლებად, ამიტომაც იმის გასარკვევად და ჩასაწვდომად, თუ რას გვეუბნება „წმინდა წერილი“, უნდა ვუსმინოთ წმინდა მამებს და ნუ ვიფიქრებთ, რომ მათზე უკეთ შეგვიძლია განვმარტოთ ღვთის წმინდა სიტყვა ანუ „წმინდა წერილი“.

შეიძლება თუ არა მოხდეს ისე, რომ „წმინდა წერილის“ კითხვა, არა სასარგებლო, არამედ მავნებელი იყოს?

„წმინდა წერილის“ კითხვამ შესაძლოა, მართლაც მიაყენოს ზიანი ადამიანს. როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, ეს მაშინ ხდება, როდესაც ზოგიერთი ადამიანი უფლის სიტყვას საკუთარი ცოდვილი სურვილისამებრ განმარტავს თავის სასარგებლოდ ან თუ ადამიანი ყველაფერს კი არ კითხულობს „წმინდა წერილიდან“, არამედ მხოლოდ იმას, რაც მასში სინდისის ქენჯნას არ იწვევს და განმარტავს კიდეც თვითნებური მსჯელობით. აქედან მომდინარეობს მრავალი განხეთქილება და მკრეხელობა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ „წმინდა წერილისა“ თუ წმინდა ეკლესიის მიერ მიღებული სხვა საღვთისმეტყველო და სამოძღვრებო წიგნების კითხვა მაშინაა მაცხოვნებელი, როდესაც მათში ამოკითხულს ცხოვრებაში გამოვიყენებთ.

მისაღებია თუ არა მართლმორწმუნე ქრისტიანისგან სხვა რელიგიების აღმსარებლობითი ლიტერატურის თუ მათ მიერ წმინდა წიგნებად მიღებული წიგნების კითხვა?

მართლმადიდებელი, რომელიც განმტკიცებულია ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, მოძღვრის კურთხევით შეიძლება გაეცნოს განსხვავებულ — ე.ი. არამართლმადიდებლურ რელიგიურ ლიტერატურას, შემეცნებითი მიზნით, ასევე როდესაც მისი კითხვა სჭირდება კვლევითი საქმიანობისთვის. საერთოდ, უმჯობესია, მართლმორწმუნე ქრისტიანმა შინ არ იქონიოს არამართლმადიდებლური და ანტირელიგიური წიგნები.

გარდა „წმინდა წერილისა“, კიდევ რომელი წმინდა წიგნები უნდა იკითხოს მართლმორწმუნე ქრისტიანმა?

მართლმორწმუნე ქრისტიანმა შეძლებისდაგვარად, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, შეიძლება, იკითხოს ის საღვთო, წმინდა წიგნები, რომლებიც მოწონებულია და მიღებულია მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ — წმინდანთა ცხოვრება იქნება ეს, დაუჯდომლები, წმინდა მამათა თხზულებები თუ სხვა. მაგრამ საჭიროა, წმინდა წიგნების შერჩევა მოხდეს მოძღვრის კურთხევით და მისი მითითებების გათვალისწინებით, რადგან ადამიანმა შესაძლოა, თვითნებურად იმ წიგნების კითხვას მიჰყოს ხელი, რომელთა წაკითხვაც მისთვის ნაადრევია.

სად მივუჩინოთ ადგილი „წმინდა წერილსა“ და სხვა სასულიერო წიგნებს?

წმინდა წიგნებს, განსაკუთრებით „წმინდა წერილსა“ და ლოცვებს, ადგილი უნდა მივუჩინოთ სამლოცველო კუთხეში, სხვა სიწმინდეების გვერდით. თუ შინ დიდი რაოდენობით სასულიერო ლიტერატურა გვაქვს და ვერ ხერხდება სამლოცველო კუთხეში მათი მოთავსება, მათთვის შეიძლება, გამოვყოთ ცალკე კუთხე, სხვა მხატვრული ლიტერატურისგან განცალკევებით.

ვუკითხოთ თუ არა ბავშვებს „წმინდა წერილი“?

წმინდა მამები საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ბავშვებს ადრეული ასაკიდან (დაახლოებით 4-5 წლიდან) ვუკითხოთ „წმინდა წერილი“. „წმინდა წერილის“ გარდა, ბავშვებს შეიძლება ვუკითხოთ წმინდანთა ცხოვრებაც: „ნუ შეგეშინდება ენის სირთულე და თხრობის სიდიადე. ბავშვის სული აღინთება საღმრთო შურით მოსაგრეთა ღვაწლისა და მოწამეთა ტანჯვის შესახებ მოსმენისას, მათი წარმოსახვა აღივსება წმინდანების ნათელი სახეებით, მეხსიერება სათნოებათა გამოცდილებით და ბრძნული შეგონებებით გამდიდრდება. უწესო სამეგობრო მიუღებელი გახდება სულისათვის, რომელიც ფიქრითა და გულით წმინდანთა ერთობის თანზიარია“, — შეგვაგონებს ღირსსამღვდელო ამბროსი (არქიეპისკოპოსი ხარკოვისა).

თბილისში პირველი აფთიაქის საუკუნოვანი ისტორია ღვინის აღმართიდან იწყება და ქალაქის მუნიციპალიტეტის შენობაში დღემდე გრძელდება. სამუზეუმო ღირებულების მქონე აფთიაქში თანამედროვე პრეპარატებიც იყიდება და ინდივიდუალური მეთოდით წამლების დამზადებაც ხდება. საქართველოში ერთ დროს პრესტიჟული აფთიაქი, ახლა მხოლოდ წამლების დამზადების მეთოდით უწევს კონკურენციას მომრავლებულ ფარმაცევტულ დაწესებულებებს. წლების წინ, მას გამოჩენილი ქართველები სტუმრობდნენ და მის შთაბეჭდილებების წიგნშიც ბევრი საინტერესო ჩანაწერი დაუტოვებიათ. თბილისის აფთიაქის კოლორიტული მმართველი, სოკრატ სალუქვაძე ცნობილია, როგორც გამოჩენილი წამალმცოდნე, მკვლევარი და ადამიანთა იმ მცირერიცხოვანი ჯგუფის წარმომადგენელი, ვინც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“.

ქართული ფარმაცევტიკის ტრადიციები და მუზეუმად გამოცხადებული აფთიაქისთვის ზემოდან მაცქერალი ქალაქის თავები

ემა ტუხიაშვილი

– ამ აფთიაქში 15 წლის წინ დავიწყე მუშაობა და თითქმის იმავე დღიდან, მისი ისტორიის შესაქმნელად საარქივო მასალების კვლევა-ძიებას შევუდექი. რადიოგადაცემებში და საგაზეთო ფურცლებიდან, მათ, ვისაც თბილისის პირველი აფთიაქის შესახებ რაიმე ინფორმაცია ჰქონდათ, ვთხოვდი, დამკავშირებოდნენ. მართლაც დამიკავშირდა რამდენიმე ადამიანი, რომელთა ახლობლებიც ამ აფთიაქში დაარსების დღიდან მუშაობდნენ. ასეთები აღმოჩნდნენ გერმანელი წამალმცოდნეები ფრიდრიხ კარლ ჰაინი და ფერდინანდ ადოლფ ჰაინი, რომლებიც 1902-1920 წლებში მუშაობდნენ აქ. თუმცა ჩემთვის აშკარა იყო, რომ თბილისში პირველი აფთიაქის ისტორია უფრო შორი წარსულიდან იწყებოდა და კვლევა-ძიება სახელმწიფო ისტორიულ არქივში მუშაობით განვაახლე. მოკლე ხანში, არქივში მივაკვლიე კავკასიის უძველეს კალენდარს, სადაც აღნიშნული იყო, რომ 1879 წელს ღვინის აღმართზე, მოქალაქე აივაზოვმა, ყოფილმა პოლიციის პრაპორშჩიკმა, საკუთარ ბინაში გახსნა აფთიაქი. იგივე კალენდარი იუწყებოდა, რომ 1884 წელს, მეპატრონემ აღნიშნული აფთიაქი სომხური ბაზრის გვერდით მცხოვრები ვინმე ვატმანოვის ბინაში გადაიტანა. ხოლო კავკასიის კალენდრის ბოლო ცნობით, 1885 წელს, აივაზოვს აფთიაქი ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩაზე გადმოაქვს – ე.ი. სწორედ იმ მისამართზე, სადაც თბილისის №1 აფთიაქი დღემდე ფუნქციონირებს. ამრიგად, ჩვენს აფთიაქს 126-წლიანი ისტორია აქვს. ასევე მინდა გითხრათ, რომ შევისწავლე ყველა ჩემი წინამორბედის ბიოგრაფია, ასეთი კი, აფთიაქის არსებობის მანძილზე, სულ 12 იყო. აფთიაქის დამაარსებლის, ალექსანდრე გრიგორის ძე აივაზოვის ფოტოს ვერსად მივაგენი, მაგრამ ყველა სხვა პროვიზორის პორტრეტი დღესაც ამშვენებს აფთიაქის კედლებს. ცოტა რამ იმ შენობის შესახებაც მინდა გითხრათ, სადაც ქალაქის მუნიციპალიტეტი და №1 აფთიაქი დღემდე ერთად მუშაობენ. ეს საკითხიც ჩემს ინტერესთა სფეროში მოექცა და აღმოვაჩინე, რომ 1830 წელს, ამ ადგილას მავრიტანულ სტილში გადაწყვეტილი შენობა ააშენეს, სადაც პოლიციის კანცელარია განთავსდა. 1870 წელს, კონკურსში გამარჯვებული არქიტექტორის, შტერნის ხელმძღვანელობით, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, დააშენეს რატუშა და ორი სართული და აფთიაქთან ერთად აქ გადმოვიდა ქალაქის მერიის სამსახური.



— ბოლო დროს, ხშირად საუბრობენ ამ აფთიაქისთვის მუზეუმის სტატუსის მინიჭებაზე. საინტერესოა, საარქივო ფოტომასალის გარდა, რა სახის სამუზეუმო ექსპონატები გაქვთ აფთიაქში?

– როგორც კოლექციონერი, უკვე 40 წელია, სამედიცინო დანიშნულების სამუზეუმო ექსპონატებს ვაგროვებ. აფთიაქში წარმოდგენილია ჩვ.წ.აღ-მდე 3700 წლით დათარიღებული კერამიკული საინფუზორო აპარატის ასლი გველის გამოსახულებით, რომლის ორიგინალი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა ნაპოვნი და სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმშია დაცული. აფთიაქში შემოგვრჩა აგრეთვე, მისი პირველი მეპატრონეების ნაქონი სამედიცინო თუ სხვა დანიშნულების ჭურჭელი, მათი ინიციალებით. აფთიაქში ასევე შეგიძლიათ ნახოთ უძველესი ხელსაწყო, რომელიც საუკუნეების წინ, სისხლის ანალიზის ასაღებად გამოიყენებოდა. აქვე წარმოდგენილია არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უნიკალური სამედიცინო ტექნიკის ამსახველი ფოტომასალა, რომლის დანიშნულებას, ხშირ შემთხვევაში, მე განვსაზღვრავ. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ უმეტესად, დიდი მსგავსება შეიმჩნევა ძველ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ორაგულის კანისგან ტანსაცმელს კერავენ.
2. ქეთი დოლიძე ძმები არველაძეების დეიდაა.
3. ნიკოლ კიდმანი ავსტრალიაშია დაბადებული.
4. ესპანეთის ამჟამინდელი მეფე ფრანკოს აღზრდილია.
5. მაიკ ტაისონს რამდენიმე მილიონი დოლარი ვალი აქვს.
6. ზაპოროჟიელ კაზაკთა ფართო შარვალს შირავარი ერქვა.
7. როდენმა საკუთარი შემოქმედება ფრანგ ხალხს უსახსოვრა.
8. ჯორჯ ბუში ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტია.
9. გამოთქმა, „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“, ადამ სმიტს ეკუთვნის.



10. ჰარისონ ფორდის ჰონორარები დღეს რვანიშნა ციფრით განისაზღვრება.
11. „ია დრუგო“, – ამბობდა ლერმონტოვი, როდესაც მას ბაირონს ადარებდნენ.
12. როზა ბერე მოქანდაკე როდენის მოდელი და საყვარელი იყო. როდენს მასთან ვაჟი ჰყავდა.
13. გიო ხუციშვილი და მაია ჯაბუა ერთ კლასში სწავლობდნენ და ერთად ისხდნენ პირველ მერხზე.
14. „ალაჰის ჩრდილი დედამიწაზე“ – ასე მოიხსენიებენ აღმოსავლეთის ქვეყნებში მუსლიმანები სულთანს.
15. ალ პაჩინო, თავისი მუდმივი მეტოქის, რობერტ დე ნიროსგან განსხვავებით, როლების შერჩევაში მეტად ფრთხილია.
16. „ლომაიას „შუშანიკის წამება“ არ უნდა, ჩვენი წამება უნდა!“ – „ბრაზობდა“ „შაბათის შოუში“ მიშა ანდღულაძე.
17. „მსახიობების ქვეყანაში მსახიობს, მსახიობი პოლიტიკოსი ვერ მოატყუებს“, – განაცხადა ქართველ მსახიობებთან შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა.
18. ესპანეთის ელჩს, რომელმაც კუბის მთავრობის გაკრიტიკება გაბედა, ფიდელ კასტრომ 24 საათში დაატოვებინა ქვეყანა.
19. ობრაზცოვის თოჯინების თეატრის სახელგანთქმულ სპექტაკლში „კონცერტი“ კონფერანსიეს ზინოვი გერდტი ახმოვანებს.
20. ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთ-

სოკრატ სალუქვაძე (მარჯვნიდან მეორე) ტელეფილმების სტუდიის გადამღებ ჯგუფთან ერთად

და თანამედროვე სამედიცინო ტექნიკას შორის. უფრო მეტიც – გარეგნულად ძველი სამედიცინო იარაღები გაცილებით დახვეწილი და შთამბეჭდავია. სამწუხაროდ, ბევრი სამუზეუმო ექსპონატი თბილისში საომარი მოქმედებების დროს განადგურდა და მათი აღდგენა, ფაქტობრივად, ვერ მოხერხდა. ისტორიული ექსპონატების გარკვეული ნაწილი სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური ფარმაციის კათედრაზე განთავსდა, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ, ქართული ფარმაცევტიკის ტრადიციებს ეზიარონ.

— თუ მიგაჩნიათ, რომ შესაძლებელია აფთიაქმა, როგორც მუზეუმმა, დამთვალიერებლებიც მიიღოს და იმავდროულად, ჩვეულებრივი სააფთიაქო საქმიანობაც გასწიოს?

– მინდა გითხრათ, რომ ჯერ კიდევ 2000 წლის 12 მაისს, თბილისის მთავრობამ ჩემი წინადადების საფუძველზე გამოიტანა დადგენილება აფთიაქისთვის მუზეუმის სტატუსის მინიჭების შესახებ. აღნიშნული ინიციატივა ბრძანებით უნდა დაედასტურებინა ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრს, რაც 2000 წლის 17 აგვისტოს ავთანდილ ჯორბენაძემ გააკეთა კიდეც. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში, დაუფინანსებლობის გამო, მუზეუმად აფთიაქის გადაქცევის იდეა სისრულეში ვერ მოვიყვანეთ. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ შენობის კედლები სამუზეუმო ექსპონატების წარმოსაჩენად იქნას გამოყენებული, ხოლო დანარჩენი ფართობი მოქმედ აფთიაქს დაეთმოს. მაგრამ, როგორც ხედავთ, სტატუსი მხოლოდ ფორმალური რჩება, ვინაიდან ჩვენი აფთიაქის შენობას საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა აქვს და მავანნი მის ხელში ჩაგდებას ცდილობენ. სამწუხაროა, მაგრამ ამ საკითხის მიმართ ქალაქის ყველა თავი დღემდე ერთნაირად ტენდენციური იყო. ახლა ჩვენი იმედიანი მზერა გიგი უგულავასკენაა მიპყრობილი, ხონელი კაცია და არ უნდა დაგვაღალატოს... არ მესმის, რატომ არ უნდა შემოვინახოთ ქართული აფთიაქის ისტორია, მაშინ, როდესაც მოსკოვის პირველი აფთიაქის ისტორია ქართველმა კაცმა – ფარმაციის მაგისტრმა ივანე სოფრომის ძე ტყეშელაშვილმა დაწერა. სწორედ ტყეშელაშვილს აღმოუჩენია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ამ აფთიაქის დასაარსებლად იმპერატორ პეტრე პირველის მიერ გაცემული სიგელი. აქვე გეტყვით, რომ 304 წლის წინ გახსნილი აფთიაქი რუსეთში დღემდე მოქმედებს და რუსები მას თვალისჩინივით უფრთხილდებიან. სხვათა შორის, ყოფილა შემთხვევები, როდესაც უცხოელებს ჩვენს აფთიაქში დაცული სამუზეუმო ექსპონატების შესყიდვის სურვილი გამოუთქვამთ, მაგრამ იმას, რაც საკუთარი ხელით შემიქმნია და შემიგროვებია, ვერაფრით შეველევი.

— ქართული ხალხური მედიცინა უფრო შორეული წარსულიდან ილებს სათავეს. რა ცნობებია შემორჩენილი ჩვენამდე ძველი წამალმცოდნეების ან სახელდახელო აფთიაქების შესახებ?

– ჩვენ ვერ შემოვინახეთ თბილისში არსებული უფრო ძველი აფთიაქების ისტორია, ვინაიდან ცნობილია, რომ საქართველოს დედაქალაქი მტრების მიერ 36-ჯერ მაინც იყო აოხრებული. თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ 300 წლის წინ, ვახტანგ მეექვსეს საკუთარ კარზე ჰქონდა აფთიაქი. არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ 800 წლის წინ, აფთიაქი არსებობდა ვარძიაში. სხვათა შორის, ჩემამდე ამ საკითხზე 7 მკვლევარი მუშაობდა, თუმცა ჩემ მიერ ჩატარებულმა გეოლოგიურ-სპექტროსკოპიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღნიშნულ ადგილას მართლაც, იყენებდნენ მეტალური და მეტალოიდური წარმოშობის ელემენტებსა და ნივთიერებებს, რომლებიც კარაბადინებშია ჩამოთვლილი. აღნიშნულმა კვლევამ დაგვიდასტურა, რომ იმ დროს სამკურნალო პრაქტიკაში იყენებდნენ გოგირდს, რკინას, სპილენძს, ალუმინს და ა.შ. ქართული

ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება

ქვეყნად ბევრი რამ არის საინტერესო და ამოუცნობი. ადამიანი მრავალ რამეს ისმენ და კითხულობ, მაგრამ ეს ყოველივე მალე შეიძლება დავიწყდეს, თუ არ გაქვს ამ ინფორმაციის შეკრების სურვილი ან შესაძლებლობა. ჟურნალ „გზის“ მკითხველი უკვე ხუთ წელზე მეტია, ეცნობა რუბრიკას – „ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან“, რომელშიც მრავლადაა სამეცნიერო, პოპულარული, შემეცნებითი თუ იუმორისტული ინფორმაცია.

რუბრიკამ ბევრი მკითხველი დაინტერესა და ამიტომ „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლმა რუბრიკის ავტორთან ერთად გადაწყვიტა, ყოველივე ერთ წიგნად გამოეცა.

წიგნი ნებისმიერი ასაკის ადამიანს დაინტერესებს. აქ თავმოყრილია უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნებული ცნობილ პიროვნებათა ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და კურიოზული დეტალები; მსოფლიოს უნიჭიერეს გენიოსთა ფრაზები, გამონათქვამები და ასობით ახალი გამოუქვეყნებელი მინიატურა.

წიგნთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ ავტორს:

— ბატონო გოჩა, რამ გადაგაწყვეტინათ გეწარმოებინათ ე.წ. „უბის წიგნაკი“?

— ბავშვობაში, ჯერ კიდევ სკოლაში, მრავალ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა ჩვენი ისტორიის მასწავლებელი ბ-ნი ვანო ფანჯიკიძე, რამაც ჯერ კიდევ მაშინ გამიჩინა სურვილი, შემეგროვებინა საინტერესო ინფორმაციები.

— ძირითადად, საიდან იღებთ ინფორმაციას?

— ინფორმაცია შეიძლება მოვიპოვო როგორც წიგნიდან, ასევე ტელევიზორიდან, ქუჩაში, ადამიანებთან საუბრისას. ამით იმის თქმა მინდა, რომ საინტერესო ინფორმაცია შეიძლება ყველგან იპოვო. თუმცა ნებისმიერ ფაქტს საგულდაგულოდ ვამოწმებ და დეტალებს ვაზუსტებ.

— ძირითადად რა ჩანაწერები და ფაქტებია წიგნში მოყვანილი?

— აქ მრავლადაა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიული მოვლენების დეტალები და ამ ქვეყნებში გამეფებული უჩვეულო კანონები, ტრადიციები თუ წესები; ჩვენი დროისათვის აქტუალური საკითხები, ნაცნობი თუ უცნობი მოვლენები, საუკეთესო მინიატიურები, მრავალი საინტერესო ფაქტი და მათი კომენტარი. წიგნი ძალზე სახალისო საკითხავია. მისი კითხვა ნებისმიერი გვერდიდან შეგიძლიათ დაიწყოთ, რადგან ყოველი მინიატიურა და ჩანაწერი ცალკეული, დასრულებული აზრია და მათ არსში ჩასაწვდომად არ არის საჭირო წინა ან მომდევნო მინიატიურის წაკითხვა. ბევრ ჩანაწერს ჩემი კომენტარიც ახლავს, რასაც იმედია, მკითხველი მაპატიებს. ეს ჩემი შეფასებაა და შეიძლება ყველა არ დამეთანხმოს. უბრალოდ, ამით ჩემი პოზიციის დაფიქსირება მინდოდა ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით...

ი კ ი თ ხ ე თ ყ ვ ე ლ ბ ა ნ!

პრესის გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა დვალის *უბის წიგნაკიდან:*

ერთ წვეულებაზე ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ციმციმმა გააგიჟა და მას შემდეგ დაწერა ცნობილი ლექსი „საყურე“.

21. იაპონიაში შენობები ძირითადად ხისგან იყო აგებული, ამიტომ ამერიკელები II მსოფლიო ომის დროს იაპონიის ქალაქებს ცეცხლგამჩენი ბომბებით ბომბავდნენ. შედეგები საშინელი იყო. ასეთი დაბომბვების დროს 100 ათასამდე უბრალო მოქალაქე გამოიბუგა ცეცხლში.

22. მსოფლიოში არსებულ ქამელეონთა ნახევარი კუნძულ მადაგასკარზე ბინადრობს. ქამელეონი ცალი თვალით წარსულს, მეორე თვალით კი მომავალს ხედავსო, – ამბობენ მადაგასკარის მკვიდრი მალაგასიელები.

23. უკვე ათი წელია, რაც მსოფლიოს ბაზრებზე გენმოდიფიცირებული პროდუქტი გაჩნდა. გენინჟინრებმა პომიდვრის თესლშიც კი შეიყვანეს თეთრი დათვის უჯრედიდან აღებული ყინვაგამძლეობის გენი. მათი აზრით, რადგანაც თეთრი დათვის ხორცი იჭმება, არც ასეთი პომიდვრის ნაყოფია ჯანმრთელობისათვის საზიანო. ასეთი გენი ჭოპორტის პომიდორშიც არის შეყვანილი.

24. ამერიკაში გამოფენაზე, მიქელანჯელოს „ჯოკონდას“ გემით ტრანსპორტირებისას, უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული. ნახატი ტყვიაგაუმტარ ყუთში იქნა მოთავსებული, რომელსაც წყალზე ტივტივი შეეძლო. გემზე „ჯოკონდას“ არსებობა მცველებისა და კაპიტნის გარდა, არავინ იცოდა. კაიუტის წინ, სადაც ნახატი ინახებოდა, მცველი მოსამსახურისთვის გასაწმენდად ქალის ფეხსაცმელსაც კი ტოვებდა, რათა ყველას ჰგონებოდა, რომ კაიუტაში უბრალო მგზავრი იმყოფებოდა.

25. არსენა ოძელაშვილის თანამედროვე ყაჩაღი, ვინმე ფორაქიშვილი, იმ იმერელი მოვაჭრეების ძარცვაში იყო დახელოვნებული, რომლებსაც იმერეთიდან მწევრები გადმოჰყავდათ გლეხებში გადასაცვლელად. ასეთ მოვაჭრეებს არსენაც ძარცვავდა. ხშირად ტრაქტირში ღამის გასათევად გაჩერებულებს ათრობდა, აძინებდა და ოთახის გასაღებს ჰპარავდა, სადაც ყმა გოგო-ბიჭები ჰყავდათ გამომწყვდეული.

ფარმაცევტიკის ისტორიისთვის ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კასპის რაიონში, მდინარე კავთურის ხეობაში, მაღალაძეების საგვარეულოს ტერიტორიაზე აღმოვაჩინე ისეთივე თახჩებიანი აფთიაქი, როგორიც ვარძიაში იყო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა ფაიფურის ჭურჭელი, მალამოს წასასმელი ციცხვი და მინის ჭურჭელი. ძველი აფთიაქის თახჩებიანი ნაგებობა კი მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი წინაპრები თერმოლაბილურ პრეპარატებს გრილ და ბნელ ადგილას ინახავდნენ. აღსანიშნავია ასევე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: მსოფლიო ისტორია აღიარებს, რომ უძველესი აფთიაქი VIII საუკუნის ერაყში, კერძოდ – ბაღდადში არსებობდა. ამავე დროს, არსებობს აკადემიკოს დავით ხახუტაშვილის მოსაზრება უფლისციხეში არსებული თახჩებიანი ნაგებობის მწკრივის შესახებ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ იქ ან კარის ბიბლიოთეკა მდებარეობდა, ან აფთიაქი. თუმცა, ეს ისეთივე ნაგებობაა, როგორიც კავთურის ხეობაში აღმოვაჩინეთ, რაც უფლებამოსილს გვხდის განვაცხადოთ, რომ თუ ბაღდადში აფთიაქი VIII საუკუნეში არსებობდა, ჩვენთან ის უფრო ადრე, V საუკუნეში გაჩნდა.

— დღეს საქართველოში ფარმაცევტული ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ექიმი პაციენტს არა მზა პრეპარატს, არამედ დასამზადებელ წამალს უნიშნავს და როგორც ვიცი, თითქმის ყველა ასეთი პაციენტი თქვენი აფთიაქისკენ მოეშურება ხოლმე...

— როდესაც ქვეყანაში სახელმწიფო სააფთიაქო სისტემა მოიშალა, პირველ რიგში, ეს ბედი ე.წ. საასისტენტოებს – ანუ ინდივიდუალური წესით წამლის დამზადების განყოფილებებს ერგო, ჩვენ ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატეთ და შეიძლება ითქვას, რომ კბილებით ვიცავდით წამლის მომზადების ტრადიციულ მეთოდიკას. სწორედ ამის გამოა, რომ მთელი რიგი პრეპარატების მომზადების დაკვეთით, ამ აფთიაქს არა მხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდანაც აკითხავენ.

— აფთიაქის თავზე, ქალაქის მერის სამუშაო კაბინეტია. ქალაქის თავკაცები ალბათ ხშირად მოგმართავდნენ, როდესაც მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, თავის ტკივილი ან გულის ფრიალი აწუხებდათ, არა?

— ჩვენი და ქალაქის მერების თანაცხოვრების ისტორიას თუ გადაავლებთ თვალს, მგლისა და კრავის იგავი გაგახსენდებათ: შენ ზევითა ხარ, მე ქვევითო... თითქმის ყველა ქალაქის თავს ჩვენ მიმართ მტრული დამოკიდებულება ჰქონდა, ყველას თვალში ვეპატარავებით და რაღაცის წაკვნეტა-წაგლეჯას ცდილობენ. იყო მცდელობა, რომ აფთიაქი ხელოვნურად გაეკოტრებინათ და შენობა თავად ჩაეგდოთ ხელში... არსებობდა პრეზიდენტის ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, მერიის შენობის ნაწილში განთავსებული აფთიაქი უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე აფთიაქის ბუღალტერიას უნდა გასცემოდა. მაგრამ აღნიშნული ბრძანებულება არც ნიკო ლეკიშვილმა შეასრულა, არც ვანო ზოდელავამ და არც – აცხონოს ღმერთმა! – ბადრი შოშიტაიშვილმა... ქალაქის მუნიციპალიტეტი ისე გვიყურებს, როგორც დამშეული მიმინო გაპუნტულებულ მწყერს. როგორც კი ზურაბ ჭიაბერაშვილი ქალაქის მერად დაინიშნა, ჩამოვიდა აფთიაქში და გაგვეცნო, ხუმრობით გვკითხა – წამალი რომ დამჭირდეს, ხომ მაშოვნინებთო? თუმცა, პირადი ნაცნობობა მანაც მალევე დაივიწყა. ის კი არა, ჩვენ მაგივრად, აქ ტურისტული ბაზის საინფორმაციო ბიუროს გახსნა ჰქონდა განზრახული...

— როგორც ვიცი, მუზეუმზე არანაკლებ ღირებულია თქვენთვის ე.წ. შთაბეჭდილებების წიგნი. იქნებ გვიამბოთ, ვისი ჩანაწერების წაკითხვა შეგვიძლია მისი ფურცლებიდან.

— ამ წიგნში ამოიკითხავთ ნოდარ დუმბაძის, სიკო დოლიძის, შოთა ნიშნიანიძის შთაბეჭდილებების ამსახველ ჩანაწერებს. ბატონ რეზო ლაღიძეს ჩანაწერი ნოტებით აქვს გაკეთებული და „მიმღერის“: სოსოია *(ასე ეძახიან ბატონ სოკრატეს მეგობრები – რედ.)*, მე შენს მეტი ჯერ არავინ მყვარებიაო... წიგნში ასევე შეხვდებით მერაბ ბერძენიშვილის, პავლე ინგოროყვას, ლევან სანიკიძის, აკაკი შანიძის და სხვათა ჩანაწერებს. ყველაზე გამორჩეული და კალმით ნახატია ელგუჯა ამაშუკელის შთაბეჭდილებათა ფურცელი. ჩანაწერების ტრადიცია აფთიაქში დღესაც გრძელდება და იმედი გვაქვს, კიდევ არაერთ გამოჩენილ ქართველს ვუმასპინძლებთ. ■

ქალაქის მუნიციპალიტეტი ისე გვიყურებს, როგორც დამშეული მიმინო გაპუნტულებულ მწყერს...

არჩილ არველაძე – «ტრაბზონსფორის» ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერი

დაუვიწყარი ყიფიანი, ყველასგან განსხვავებული მიხიჩა და ღამეული ვარჯიში მატჩის წინ

გასულ წელს, თბილისის აწ უკვე ყოფილმა მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა არჩილ არველაძეს 35-ე საფეხბურთო სკოლის გაძღოლა შესთავაზა. ასე აღმოჩნდა ტყუპისცალი იმ სკოლის დირექტორი, რომლის დერეფნებსა და სავარჯიშო მოედნებზე თავის დროზე არაერთი დღე გაუტარებია. საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა დირექტორს სკოლაში უამრავი პრობლემა დახვდა, რომლის გადაჭრას იგი ქალაქის მერიისა და პირადი კონტაქტების ხარჯზე ცდილობს. არველაძეს აქტიურად ეხმარება მისი მოადგილე ნიკა ყიფიანი, რომელიც დავით ყიფიანის ვაჟი გახლავთ. მიუხედავად არდადეგების პერიოდისა, აჩიკო ყოველ დილით 11 საათიდან სკოლაშია და ჩვენც მას დირექტორის კაბინეტში ვეწვიეთ.

გიორგი ლანჩავა

„ავაზელი“ და თან „35-ელი“

— მე და შოთამ 6 წლის ასაკში მიხეილ მესხის მიერ დაარსებულ ბავშვთა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ აწ გარდაცვლილ ოთარ გიგოლაშვილთან დავიწყეთ ვარჯიში. თუმცა, ვიდრე 10 წელი შეგვისრულდებოდა, ყოველივე ამას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა და ბურთს ძირითადად ქუჩაში ვთამაშობდით, ხოლო სავარჯიშოდ ყოველდღე არ დავდიოდით. შემდეგ იმავე „ავაზაში“ წვრთნა ვილი გოგიჩაიშვილთან გავაგრძელეთ, რომელმაც ვარჯიში სავალდებულო გაგვიხადა და რამდენიმე წლის განმავლობაში, შინ გვაკითხავდა საკუ-

თარი ავტომანქანით, რათა ბაზაზე წავეყვანეთ. 13 წლის ვიყავით, როდესაც „ავაზიდან“ 35-ე სპეციალიზებულ საფეხბურთო სკოლაში გადავედით, რამაც ჩვენს ყოფილ მწვრთნელებსა და მიხეილ მესხიუფროსს, გული დასწყვიტა. დედაჩვენს არ უნდოდა, რომ სპორტულ სკოლაში გვევლო, რადგან მისი აზრით, სწავლას მოვწყდებოდით. მამა კი მესხთან ურთიერთობის გაფუჭებას დარდობდა. 35-ე სკოლის ყოფილმა დირექტორმა ანდრო თურქიამ ყველა პირობა შეგვიქმნა სწავლისა და ვარჯიშისთვის. ჩვენი გუნდი, რომელიც 1973 წელს დაბადებული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და მას ნიკა დოლიძე წვრთნიდა, თითქმის ყველა ტურნირს იგებდა. მე-11 კლასში ვიყავი, როდესაც პირველი სერიოზული ტრავმა მივიღე. მეგობარს მოტოციკლეტი გამოვართვი და ავტომობილს დავეჯახე. თვით შეჯახება კატასტროფული არ ყოფილა, რადგან შარვალიც კი არ გამხევია, მაგრამ ფეხი მოტოციკლეტის საჭეს მივარტყი და მუხლის ჯვარედინი იოგის დაზიანების გამო, ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. იმის შემდეგ, საფეხბურთო კარიერის მანძილზე, კიდევ 5 ოპერაცია გადავიტანე და ყველა ერთმანეთზე რთული იყო.

შოთას გატანილ თერთმეტმეტრიანზე დაგვიანებული აჩიკო

– 35-ე სკოლას ვამთავრებდით, როდესაც 1990 წელს, თბილისის „დინამოს“ მაშინდელმა მთვარმა მწვრთნელმა დავარჩილ არველაძე საქართველოს ნაკრების შეტევის ხაზში

ით ყიფიანმა მამას დაურეკა და გუნდის ორმხრივ თამაშზე დაგვიბარა. იმ პერიოდში, სერიოზული საბაბის გარეშე სკოლის დატოვება ცოტა პრობლემატური იყო და გაპარვა გადავწყვიტეთ სამედიცინო კაბინეტიდან, რომლის ფანჯარასაც გისოსი არ ჰქონდა. კაბინეტში შესულებმა ფანჯარა გამოვაღეთ და მედდას ვუთხარით – გვცხელა-თქო, არადა, გარეთ თოვლი იდო. ამ დროს, შოთამ გადახტომა მოასწრო, ხოლო მე სკოლიდან უფრო მოგვიანებით გამოვაღწიე. ტაქსით დიღმის საწვრთნელ ბაზას რომ მივუახლოვდი, ვიღაცამ მითხრა: თამაშში ანგარიში უკვე გაიხსნა და გოლი შოთამ გაიტანაო. გაკვირვებულმა ჩემთვის გავიფიქრე, ნეტავ, როდის მოასწრო-მეთქი?!. თურმე, თამაში 3 წუთის დაწყებული ყოფილა, როდესაც თერთმეტმეტრიანი დანიშნულა და ყველას შოთასთვის უთქვამს – შენ დაარტყიო... არადა, მაშინ „დინამოში“ ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ: ცხადაძე, ჭედია, არზიანი, გურული, კარს კი ზაურ ხაპოვი იცავდა. ჩემი ძმა პენალტის ნიშნულთან რომ მისულა, ხაპოვისთვის დაუძახია: ზაურ, „ვირუჩაი“ – ე.ი. ბურთი გამატანინეო. იგი „დინამოსთან“ ერთად პირველად ვარჯიშობდა და ბუნებრივია, თავის გამოჩენა სურდა. მართლაც, ხაპოვს ბურთის მოგერიებით თავი დიდად არ შეუწუხებია და შოთამაც გოლი უპრობლემოდ გაიტანა... იმავე წელს, როდესაც მე უკვე ტრავმირებული ვიყავი, დავით ყიფიანმა და რეზო ძოძუაშვილმა შოთა „დინამოსთან“ ერთად ლესელიძეში შეკრებაზე წაიყვანეს. იმ პერიოდში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საბჭოთა კავშირისას გამოეყო და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტა. ძოძუაშვილი ლესელიძიდან თბილისში დაბრუნდა, რათა იმ პირებისთვის, ვინც ასეთი ნაბიჯი გადადგა, ეთხოვა, რომ „დინამოსთვის“ საბჭოთა კავშირის კიდევ ერთ ჩემპიონატში თამაშის ნება დაერთოთ. მაგრამ ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მაინც საქართველოს ჩემპიონატის ჩატარება ისურვეს. სწორედ მაშინ, კოტე გაბაშვილმა, რომელიც, თუ არ ვცდები, განათლების მინისტრის მოადგილე იყო, 35-ე სკოლის ბაზაზე თბილისის „მართვე“ ჩამოაყალიბა. ამ გუნდთან ერთად მე და შოთამ, როგორც საქართველოს პირველობის მეორე ლიგაში, ასევე თასზე, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, რასაც ჩვენი „დინამოში“ გადაყვანა მოჰყვა.

ისეთივე სიმბოლო, როგორიც დროშა და ჰიმნია...

– თბილისის „დინამოში“ თამაში ჩემთვის და შოთასთვის დიდი ხნის ნატვრის ასრულება იყო, მით უმეტეს, მუშაობამ ისეთ მწვრთნელებთან მოგვიწია, როგორებიც დავით ყიფიანი და რეზო ძოძუაშვილი გახლდნენ. ჩემი აზრით, „დინამოს“ ქართული სპორტისთვის ისეთივე სიმბოლური დატვირთვა აქვს, როგორიც ქვეყნისთვის დროშასა და ჰიმნს. ვერასოდეს გავუგებ ადამიანს, ვინც „დინამოს“ არასერიოზულად უყურებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ გუნდის დუბლშემადგენლობის ფეხბურთელებს დიღმის საწვრთნელი ბაზის საცხოვრებელ კორპუსში შესვლის უფლება არ ჰქონდათ. კარგად მახსოვს, როდესაც „დინამოში“ ვარჯიში დავიწყე, ამ შენობის სიახლოვეს ჩავლის სურვილიც კი არ გამჩენია, ისეთი რიდით ვუყურებდი მას. ვიცოდი, რომ იქ თავის დროზე, უდიდესი ქართველი ფეხბურთელები ცხოვრობდნენ. გუნდში ისეთი წესრიგი იყო, რომ არც რეჟიმს არღვევდა ვინმე და არც ვარჯიშზე აგვიანებდა. შემდეგ, „დინამოს“ წიგნაკები რომ დაგვირიგეს, მართვის მოწმობის

ტყუპისცალი გერმანულ „კიოლნში“

არქონის გამო, ავტოინსპექტორებს ამ წიგნაკს ვუჩვენებდით და უპრობლემოდ გვიშვებდნენ ხოლმე. „დინამოში“ მისვლის პირველსავე დღიდან, კლუბში თავი უცხოდ არ გვიგრძნია, რადგან იქ ძველი ნაცნობები – ჯამარაული და ნემსაძე დაგვხვდნენ. თან ორნი ვიყავით და ბუნებრივია, ადაპტაცია გაგვიადვილდა, შემდეგ, უფროსი ძმაც – რეზოც დაგვემატა. იმ პერიოდში კლუბის შიდაგანაწესის მიხედვით, სასადილოში ჯერ გამოცდილი ფეხბურთელები უნდა შესულიყვნენ, გარდა ამისა, გუნდის ძველი წევრები 5-5 მწიფე ვაშლს რომ იღებდნენ, ჩვენ თითო-თითო მკვახე გვხვდებოდა... სხვათა შორის, კლუბის მზარეულმა მურთაზმა პირველად რომ მკვახე ვაშლი მომცა, არაფერი ვუთხარი, მაგრამ როდესაც ამან სისტემატური ხასიათი მიიღო, ერთხელ შევეკითხე: სამზარეულოს ღუმელი ცხელია-მეთქი? ვერ მიხვდა, ამას რატომ ვეკითხებოდი და დადებითი პასუხი გამცა. მე კი ვუთხარი: ვაშლი გამომიცვალე, თორემ, სახეს ღუმელზე დაგადებინებ-მეთქი. ამის გამგონემ, თავისთვის ჩაილაპარაკა: ერთი აფციაური წავიდა და სამი მოვიდაო. ამ შემთხვევაში მე და ჩემი ძმები აწ გარდაცვლილ მამუკა აფციაურს შეგვადარა, რომელიც უნიჭიერესი ფეხბურთელი, მაგრამ „ქუჩის ბიჭი“ იყო...

ყველასგან განსხვავებული მიხიჩა

– რეზო ძოძუაშვილს ფეხბურთის მიმართ ყველასგან განსხვავებული მიდგომა აქვს. ის მოთამაშის შერჩევის არაჩვეულებრივი ალღოთი გამოირჩევა და სწორედ მისი წყალობით, ბევრმა ფეხბურთელმა საკმაოდ მაღალი დონე უჩვენა. მიხიჩა რომ სხვა მწვრთნელებისგან რადიკალურად განსხვავდება, ამის დასადასტურებლად ერთ მაგალითს მოვიყვან. 1991 წელს, ლანჩხუთის „გურიას“ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდა. ეს ის კოლექტივი იყო, რომელმაც წინა წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგიდან უმაღლესში გადასვლის უფლება მოიპოვა. ჩვენ ლანჩხუთელებთან თამაშის წინ, დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, შეკრებაზე ვიმყოფებოდით. მახსოვს, თბილისში ძალიან ცხელოდა და არ მეძინებოდა. საღამოს 11 საათი იყო, როდესაც ჩემი საცხოვრებელი ოთახის აივანზე გამოვედი და დავინახე, რომ ძოძუაშვილი სავარჯიშო მოედნის გაზონზე ჩაფიქრებული იჯდა. აივნიდან დავუძახე: არ გეძინება-მეთქი?!. არაო, – მიპასუხა. – მე ვუთხარი: აბა, სასტვენს ჩაჰბერე და ყველა ფეხბურთელი დაბლა ჩამოვა-მეთქი. ვიცოდი, რომ ჩემ მსგავსად, არც დანარჩენებს ეძინათ. მართლაც, 15 წუთში ყველანი დაბლა ჩავედით და ღამის თორმეტის ნახევრიდან პირველ საათამდე ფეხბურთი ვითამაშეთ. მეორე დღეს, „გურიას“ 4:1 მოვუგეთ...

შეხვედრა სასადილოში

– მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ახლობელი მყავს, დავით ყიფიანი ჩემთვის ხატივითაა – როგორც პიროვნება და როგორც მწვრთნელი. მას ბევრჯერ დავუტუქსივარ, თავშიც წამოურტყამს, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერი იყო იმასთან შედარებით, რასაც ყიფიანთან ურთიერთობა მმატებდა. დროთა განმავლობაში, „დავიდიჩთან“ ისეთი ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, როდესაც ის ბელგიის „მეხელენში“ მუშაობდა, შემეძლო, ჰოლანდიიდან ჩავსულიყავი მასთან სტუმრად და ერთი-ორი დღე დავრჩენილიყავი. ყიფიანიც მსტუმრობდა ხოლმე ჰოლანდიაში... „დინამოში“ ორი-სამი თვის გადასულები ვიყავით. ხანდახან ისე ხდებოდა, რომ საჭმელი არ გვყოფნიდა და ვახშმიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ისევ გვშივდებოდა. მოგეხსენებათ, ახალგაზრდას უფრო მეტი მოთხოვნილება აქვს და თან, მაშინ მხოლოდ 67 კილოგრამს ვიწონიდი. მე და შოთა, როდესაც ჭამა მოგვინდებოდა, ღამით სასადილოს კარის საკეტს დანით გავაღებდით და შიგნით შესულები, მეორედ ვვახშმობდით... ერთხელ, სასადილოს დახლის იქით ჩაცუცქულები, ხაჭოსა და არაჟანს ვჭამდით, ამ დროს ვიღაცის ნაბიჯების ხმა შემოგვესმა და შოთას ვუთხარი – ახლა კი გავებითმეთქი. თან ვფიქრობდით – ყიფიანი იყო სასადილოში შემოსული თუ ძოძუაშვილი?.. მიხიჩა იმ დროს მეორე მწვრთნელი გახლდათ და გვერჩივნა, მას ვეპოვეთ, რადგან ძოძუაშვილთან უფრო უშუალო ურთიერთობა გვქონდა; ყიფიანს, როგორც მთავარ მწვრთნელს, თავი მაინც უფრო ოფიციალურად ეჭირა... ამ ფიქრში ვიყავით, რომ ყიფიანი მოგვიახლოვდა, ორივეს თავზე ხელი მოგვკიდა და გვკითხა: რას აკეთებთო? ქვემოდან ავხედე და ვუპასუხე – მშია-მეთქი. ყიფიანმა შემოგვხედა და გვითხრა: აიღეთ, რაც გინდათ და თქვენს ოთახში ჭამეთო.

თორეღლუ – მტერი და მოამაგე

– დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, თბილისის „დინამომ“ ევროპის ჩემპიონთა ლიგაში 1993 წელს იასპარეზა. მაშინ ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდი“ შეგვხვდა და ისე ვიყავით განწყობილნი, ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის დავუპირისპირდებოდით. გვეგონა, რომ მოედანზე გამოვიდოდით და ნებისმიერ მეტოქეს დავამარცხებდით. მიუხედავად იმისა, რომ „ლინფილდს“ მხოლოდ 2:1 მოვუგეთ, ანგარიში მოედანზე არსებულ ძალთა თანაფარდობას რეალურად არ ასახავდა, ვინაიდან „დინამო“ იმ თამაშში უდიდეს უპირატესობას ფლობდა. მომდევნო წრეში, დანიის „კოპენჰაგენი“ გველოდებოდა, რომელსაც სტუმრად დავამარცხებდით თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ თბილისში 70 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, აუცილებლად მოვუგებდით. მაგრამ, როგორც იცით, „ლინფილდთან“ თამაშის შემდეგ მატჩის არბიტრმა, თურქმა ერმან თოროღლუმ უეფას ოფიციალურ დელეგატს განუცხადა, რომ „დინამოს“ ერთ-ერთმა სპონსორმა, ბადრი ნინუამ მას ქრთამი შესთავაზა... უეფამ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მოგვისაჯა. სხვათა შორის, სწორედ თოროღლუმ ჩაიტანა ჩემსა და შოთას შესახებ ინფორმაცია თურქეთში. მას „ტრაბზონსფორის“ წარმომადგენლებისთვის უთქვამს – ლეგიონერებს სად ეძებთ? აქვე საქართველოში არის ორი ნიჭიერი თავდამსხმელიო. იმ წელს, „დინამო“ ტრაბზონში მიიწვიეს, სადაც „ტრაბზონსფორის“ მეორე გუნდს 6:1 მოვუგეთ. თამაშის შემდეგ, მე, შოთას და რეზოს ამ გუნდში დარჩენა შემოგვთავაზეს. რეზომ უარი თქვა და ძმების თათბირზე გადავწყვიტეთ, რომ მე და შოთა დავრჩებოდით. რეზომ თბილისში დარეკა და მშობლებს უთხრა ამის შესახებ. მამაჩემი გაგიჟდა: სად ტოვებ, ჩემს შვილებს ოსმალეთში რა უნდათო?!. რამდენიმე დღეში, ტრაბზონში შოთას მეუღლე, თამუნა და აწ გარდაცვლილი ჯემალ ჩიმაკაძე ჩამოვიდნენ. მინდა გითხრათ, რომ ჩიმაკაძე თურქეთში

მამის მაგივრობას გვიწევდა. იგი ჩვენთან ცხოვრობდა და არც ერთ თამაშს არ აცდენდა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ისე ვერ ვთამაშობდით, როგორც საჭირო იყო, ჯემალს პირველი ტაიმის შემდეგ, სანამ გასახდელში შევიდოდით, ჩვენთვის მითითება მიუცია და მეორე ტაიმში, სულ სხვაგვარად გამოვიყურებოდით. თურქები ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ პირველ ტაიმში ცუდად განზრახ ვთამაშობდით, რათა ჩიმაკაძისთვის „რეკლამა გაგვეკეთებინა“... „ტრაბზონსფორში“ ასპარეზობისას, მე და შოთამ ხუთჯერ მოვიგეთ თურქეთის თასი. თან ფინალში ორჯერ – „გალათასარაი“, ორჯერ – „ბეშიქთაში“ და ერთხელ – „ფენერბახჩე“ დავამარცხეთ. თურქეთში პირველსავე წელს საუკეთესო დებიუტანტებად, ლეგიონერებად და ფორვარდებად გვაღიარეს. გარდა ამისა, მე და შოთა „ტრაბზონსფორის“ ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერებად ვართ აღიარებულნი, შოთა კი, როგორც ვიცი – თურქეთის ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერად. ამასთანავე, შოთა რამდენჯერმე ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ტრაბზონში გულშემატკივრებს ჩვენზე სიმღერა ჰქონდათ დაწერილი, რომელსაც მეტოქე გუნდს უმღერდნენ. მისი შინაარსი ასეთი იყო – შოთა და აჩი დედას გიტირებენო...

საუკეთესო დებიუტანტები ჰოლანდიაში

– სანამ შოთა ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდოდა, ჩვენი მიწვევა ჰოლანდიის „ეინდჰოვენსაც“ უნდოდა. მაგრამ ამ კლუბის წარმომადგენელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ფრენკ არნერენმა ჩვენს მენეჯერს ივან ბენეშს ბოლოს უარი უთხრა, რადგან როგორც ჩანს, ქართველ ფეხბურთელებს სათანადოდ ვერ აფასებდა. იმ პერიოდში, ბათუმში მოლდავეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართული მატჩისას, ჩვენი თამაშის სანახავად, „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი მორტენ ოლსენი იყო ჩამოსული. როდესაც ამსტერდამულ კლუბში შოთას წაყვანა გადაწყვიტა, ბენეშმა ოლსენს ჩემი თავიც შესთავაზა. მორტენმა მას განუცხადა, რომ ჯობდა, ცოტა ხანს სხვა ჰოლანდიურ კლუბში მეთამაშა და „აიაქსში“ შემდეგ გადავეყვანე. ასე აღმოვჩნდი „ბრედაში“, რომელსაც ჰელბერტ ნიმანი წვრთნიდა. პირველსავე სეზონში შოთამ „აიაქსის“ შემადგენლობაში 37 გოლი გაიტანა, ხოლო მე „ბრედაში“ – 18. ორივენი, ჰოლანდიის ლიგის საუკეთესო დებიუტანტებად დაგვასახელეს და წლის სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდით. საუკეთესო ფეხბურთელთა ჩამონათვალში, რომელიც ჰოლანდიის ჩემპიონატში ჩატარებულ თითოეულ თამაშში მიღებული შეფასების შედეგად დგებოდა, პირველ ადგილზე ფრანკ დე ბური გავიდა, მეორეზე – იარი ლიტმანენი, მესამეზე – მე, ხოლო მეოთხეზე – შოთა. შემდეგ სეზონშიც ორივენი, წლის სიმბოლურ ნაკრებში შეგვიყვანეს. „ბრედაში“ წარმატებული თამაშის შემდეგ, „გლაზგო რეინჯერსი“ მიწვევდა, რომელსაც იმხანად დიკ ადვოკაატი ჩაუდგა სათავეში და მას მარჯვენა ფორვარდად ვჭირდებოდი. მაგრამ ჰოლანდიელებმა 7 მილიონ დოლარად შემფასეს, „გლაზგო“ კი, 4,5 მლნ დოლარზე მეტს არ იხდიდა. ბოლოს და ბოლოს, ჩემ მაგივრად, შოტლანდიელებმა ანდრეი კანჩელსკისი გადაიბირეს. ამ დროს, „აიაქსიდან“ ოლსენიც გაუშვეს და მოვლენები ისე განვითარდა, რომ „ბრედაში“ დავრჩი. სხვათა შორის, როდესაც თურქეთიდან ჰოლანდიაში ჩავედი, ნიმანმა მითხრა, რომ შესაძლო იყო, იქ ჩემ მიმართ ხალხს ისეთი სიყვარული არ გამოეხატა, როგორსაც ტრაბზონში ვგრძნობდი. მაგრამ „ბრედაშიც“ პოპულარული ვიყავი და ხშირად, ქუჩაში ჩემთვის ავტოგრაფიც ჩამოურთმევიათ. უბრალოდ, თურქეთისგან განსხვავებით, ჰოლანდიაში გულშემატკივრები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ მაწუხებდნენ. „ბრედას“ თავკაცი ნიმანი, გერმანული „კიოლნის“ მთავარ მწვრთნელთან, ევალდ ლინენთან მეგობრობდა და „კიოლნში“ ჩემი გადასვლა ამანაც განაპირობა. ახალ კლუბში პირველ სეზონში 26 თამაში ჩავატარე და 8 გოლი გავიტანე, მეორეში კი, ტრავმის გამო, მხოლოდ სამჯერ გამოვედი მოედანზე. 2001 წლის შემდეგ, ოფიციალური თამაში აღარ ჩამიტარებია, ტრავმებმა მაიძულა, 28 წლის ასაკში დამემთავრებინა კარიერა.

საქართველოს ნაკრების წარუმატებელი წარმატებები

– საქართველოს ნაკრებმა ყველაზე უკეთ 1996 წლის ევროპის და 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ ციკლებში იასპარეზა. ორივე შემთხვევაში, ჯგუფში მესამე ადგილი დავიკავეთ. პირველ შესარჩევში, ჯგუფში მომავალმა ევროპის ჩემპიონმა – გერმანიის ნაკრებმა გაიმარჯვა, ხოლო მეორე ადგილი 1994 წლის მსოფლიო პირველობის მეოთხე ადგილზე გასულმა, ბულგარეთმა დაიკავა. რაც შეეხება მეორე შესარჩევს, იქ მხოლოდ იტალიამ და გერმანიამ გვაჯობა. ცხადია, 1996 წლის ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირი ყოველთვის მემახსოვრება, რადგან საქართველოს ნაკრებმა ასეთი დონის ტურნირში პირველად იასპარეზა. მართალია, მაშინ პირველი იმედგაცრუებაც განვიცადეთ, როდესაც მოლდავეთის ნაკრებთან საკუთარ კედლებში დავმარცხდით... აღნიშნულ შესარჩევ ტურნირებში გამოსვლისას ძლიერი გუნდი გვყავდა, მაგრამ გამოცდილება გვაკლდა – როგორც ფეხბურთელებს, ასევე მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს. საქართველოს ნაკრბში ყველანი მეგობრები ვიყავით, რაშიც რუსული ტელეკომპანია □□□-ს ჟურნალისტებიც დარწმუნდნენ: ისინი ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშს რომ დესწრნენ, მითხრეს, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდზე სულ სხვა ინფორმაცია ჰქონდათ და რეალურად სხვა რამ ნახეს. მათი თქმით, რუსეთის ნაკრებში ფეხბურთელები ერთმანეთს „ჭამდნენ“ და ტელეჟურნალისტებმა მკითხეს – თქვენთან ნაკრებში სულ ასეთი კარგი სიტუაციაა? ვუპასუხე: ხვალაც მოდით და ნახეთ-მეთქი. სხვათა შორის, ამ ჟურნალისტებს ჩვენთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ და ქართველ კოლეგებზე მეტად ისინი გვაქებდნენ. რაც შეეხება ნაკრებში ჩემ მიერ ჩატარებულ შეხვედრებს – მათ შორის საუკეთესოდ, თბილისში პოლონელებისა და იტალიელების წინააღმდეგ თამაში მიმაჩნია. პოლონეთს 3:0 მოვუგეთ და შოთამ საუცხოო პასი მომცა, რომლის შემდეგაც რამდენიმე მეტოქეს ავუარე გვერდი და გოლი ისე გავიტანე. თამაშის დასრულებისას, შოთამ მითხრა: იმდენ პოლონელს გასცდი, ჩემი გადაცემა არც კი დაფასდაო... იტალიელებთან ეროვნულ სტადიონზე ფრე – 0:0 ვითამაშეთ და ჩემი აზრით, კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე კარგი შეხვედრა ჩავატარე. ■

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სკოლის დირექტორი

ძალიერის ძალები

ლუბა ელიავილი

(დასაწყისი „გზა“ №28)

ჟურნალისტი მარიანა ნიორაძე, მეტსახელად ნორა, რომელსაც „გზის“ მკითხველი შარშან გამოქვეყნებული დეტექტივიდან — „ძვირფასი მკვლელი და ჩიპოლინო“ — იცნობს, ახალ ფათერაკში ეხვევა. ჟურნალ „რეიტინგიდან“ მას ახლა რადიოში გადაუნაცვლებია, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი და ამ კომპანიის ერთ-ერთი მოწილეც გამხდარა, რომლის მთავარი დამფუძნებელი, ასევე „ჩიპოლინოს“ პერსონაჟი, მაგდა კრიხელია. თავად მაგდა ამერიკაშია წასული და მარიანა დროებით მის სახლში, მთაწმინდაზე ცხოვრობს, მის ძაღლს ბონის, კატას საფოსა და თევზებს უვლის.

სწორედ ბონის უეცარი დაკარგვით იწყება ნორას ახალი თავგადასავალი. ჟურნალისტი მას მიწაზე დავარდნილს, დასისხლიანებულს იპოვის, დაჭრილი ძაღლის გვერდით კი, ადამიანის მოჭრილი თავი აგდია... მარიანა თავის უფროსს, ირაკლი მაღრაძეს ურეკავს, რომელიც მეგობარ გამომძიებელთან, ალეკო ბალაშვილთან ერთად მოდის და ოპერატიულ ჯგუფსაც ჩართავს საქმეში. მაგრამ ამაოდ — პოლიციელები ადამიანის თავს ვერ პოულობენ, რაც ირაკლისა და ალეკოს გულისწყრომას გამოიწვევს: მათ მიაჩნიათ, რომ ნორას გამუდმებით რაღაც ელანდება, რადგან ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, ჟურნალისტ ქალს მოპირდაპირე სახლის სახურავზე მოჩვენება გამოეცხადება. ამავე დროს, რაღაც ჩხაკუნი მოესმება და სახლში შუქიც ჩაქრება. მარიანა, ცეცხლის საჩხრეკი რკინის ჯოხით ხელში, სახლის მეორე სართულზე ადის. მის უკან კიბის საფეხური გაჭრიალდება, შემდეგ წვივზე მწარე ტკივილს იგრძნობს და კიბეზე დაგორდება. გონს მოსული დაინახავს, რომ მას თავზე პოლიციელები წამოსდგომიან.

— შუქი გამოირთო თუ არა, სიგნალიზაცია ამუშავდა. ხუთ წუთში თქვენთან გავჩნდით, — მომახსენეს და მოწმობები მაჩვენეს.

— თუ დენი წავიდა, სათადარიგო გენერატორი ავტომატურად რატომ არ ჩაირთო? — გავიკვირვე მე.

— „პრობკები“ ამოცვივდა და ამიტომ გამოირთო, მაგ დროს გენერატორი ვერაფერს გახდება. ეტყობა, რაღაც ისეთი ჩართეთ, სისტემა ძალიან გადატვირთეთ, — ელექტროტექნიკაში შესაშური ცოდნა გამოიჩინა ახმახმა პოლიციელმა.

— არაფერიც არ ჩამირთავს, — ჩავიბუტბუტე მე და კეფაზე წამოზრდილი კოპი მოვისრისე. — კიბეზე რატომღა წავიქეცი? — დავსვი სულელური შეკითხვა.

— ალბათ, სიბნელეში საფეხურს წამოედეთ. აგერ, წვივებზე, როგორი წითელი ზოლი გეტყობათ. — როგორც ჩანს, სამედიცინო სფეროში უფრო კომპეტენტური, მეორე, შედარებით დაბალი პოლიციელია. მექანიკურად დავხედე წვივებს და ახლაღა მივხვდი, რომ მუხლამდე მაქმანიან, ვარდისფერ პიჟამაში გამოწყობილი და ფეხშიშველი, უცხო სტუმრების მისაღებად მზად არ გახლდით. საკინძე გავისწორე და თვალი გავაცეცე. თითქოს მიმიხვდაო, ახმახმა პოლიციელმა კიბეზე ჩემი ყურცქვიტასყურებიანი ფაჩუჩები იპოვა და მომიტანა.

— თუ წამოდგომა შეგიძლიათ, მე მოგეშველებით და საწოლთან მიგიყვანთ, — შემომთავაზა მან.

— ჩემით წავალ, — ვიუკადრისე მე და მოაჯირს დავეყრდენი.

— ქალბატონო მარიანა, წუხელ, უკანა კარი ღია დაგრჩენიათ, ყურადღებით გმართებთ ყოფნა. როცა თქვენ სახლში ხართ და კოდს აკრებთ, სიგნალიზაცია ღია კარზე აღარ რეაგირებს. შუქის გათიშვაზე კი, მაშინვე მივიღეთ სიგნალი. ასე რომ, კარის ჩარაზვა არ უნდა დაგავიწყდეთ, — მენტორული ტონი გაურია ხმაში ტანდაბალმა პოლიციელმა. ძალიან არ მომწონს, ასე რომ მელაპარაკებიან, თითქოს გონებაჩლუნგი ბავშვი ვიყო და ნათქვამის აზრს ვერ ვწვდებოდე. ენის ზედმეტი მოჩლექა შეურაცხყოფას მაყენებს.

— კარგად მახსოვს, კარი როგორ დავკეტე ღილაკით, გასაღები ვერ ვიპოვე და იმიტომ, — გავჯიუტდი მე.

— გასაღები საკეტში იყო ჩატოვებული, ალბათ, აღარ გახსოვთ. დილით აუცილებლად გამოუძახეთ ექიმს, თავი ნამდვილად ძლიერად გაქვთ მირტყმული, — დამიყვავა მედიცინაში ჩახედულმა, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველმა.

ვიდრე „ტვინშერყეულ სულელს“ დამიძახებდნენ, ჯობს, მათი ვიზიტი შევწყვიტო, — გავიფიქრე და ნაზად გავიღიმე:

— კარს კარგად დავკეტავ და შუაღამისას კიბეზე აღარ ვირბენ, — ვუპატაკე პოლიციელებს და კარისკენ გავუძეხი. ალბათ, წესით, ბოდიშიც უნდა მოვუხადო შეწუხებისთვის და ჭიქა ჩაითაც გავუმასპინძლდე, მაგრამ შილიფად ჩაცმული ახალგაზრდა ქალის მხრიდან, ორ უცხო მამაკაცთან ერთად ღამის ტრაპეზის გამართვა ლამაზი არ იქნებოდა. ამიტომ მხოლოდ მადლობით შემოვიფარგლე და ილია და აკაკი — არ გაგიკვირდეთ, სწორედ ასე ერქვათ პოლიციელებს — ცენტრალური გასასვლელიდან გავისტუმრე. როგორც კი თვალს მიეფარნენ, უკანა კარისკენ გავქანდი. ის კარგად იყო ჩაკეტილი და საკეტში გასაღებიც ჰქონდა გაყრილი, თუმცა, გაუგებარია, როგორ გაჩნდა იქ. თავი ძალიან მტკიოდა და ვეღარ ვაზროვნებდი. სერიოზული კვლევა, ჯობს, დილიდან დავიწყო. ხვალ მოჩვენების ამბავსაც გავარკვევ, უბაწში ალბათ, ეცოდინებათ, ვინ ცხოვრობს მოპირდაპირე სახლში. მეზობლებთან დაახლოების საუკეთესო საშუალება, ბონისთან ერთად სეირნობაა — გადავწყვიტე იმ დაწყევლილ ღამეს და თავიც დავიღუპე. მაშინ რომ მცოდნოდა, რა უსიამოვნებებში გავეხვეოდი, იქნებ, არც კი მომეკიდა ხელი ამ უთავბოლო გამოძიებისათვის. მაგრამ პოლიციელების გაცილების შემდეგ, კედელზე ახალთავმირტყმულს, ეს იდეა ძალზე მომხიბლავად მომეჩვენა. ერთხელ, მაგდას სახლში გადასვლის პირველსავე დღეს,



უკვე გავასეირნე ბონი მთაწმინდის კლდეებზე და უამრავ ადამიანს წავაწყდი: ზოგი ძაღლს ასეირნებს, ზოგიც — ფეხით ადის წყაროსთან და იქ ვარჯიშობს. თბილისელების დიდმა ნაწილმა არც იცის, რომ მთაწმინდაზე უამრავი წყაროა და ადრე ახალი გზის სახელით ცნობილი, ამჟამად პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩის თავზე შესანიშნავი სასეირნო ადგილებია, საიდანაც ფუნიკულორამდე ფეხით ასვლა, ერთი სიამოვნებაა. დაძინება კი დავაპირე, მაგრამ არაერთი მცდელობის მიუხედავად, სასურველ შედეგს ვერ მივაღწიე. ძილი გამიტყდა და ღამის დარჩენილი ნაწილი ტატოს ყოფილ კაბინეტში გავატარე. იქ ახლა ბიბლიოთეკაა. მძიმე და მოუხერხებელი, ძველებური საწერი მაგიდის ნაცვლად, ოთახში კომპიუტერის მსუბუქი მაგიდა დგას. სივრცეც მეტია და ინტერნეტში მუშაობაც — სასიამოვნო. გამახსენდა, რომ ამერიკაში ახლა საღამოა და ჩვეულებისამებრ, მაგდას დავუკავშირდი, მესიჯებით ვისაუბრეთ. ჰალუცინაციის ამბავი მოვახსენე. ძალიან დაინტერესდა და მეზობლებზე მოკლე ცნობებიც მომაწოდა:

— ჩვენ ზემოთ, კლდეზე, ქალბატონი ერინგი ცხოვრობს, კაქტუსების ცნობილი კოლექციონერი. მისი ეკლიანი ბაღი ბუნების ნამდვილი სასწაულია. მოხუცი მარტოხელაა, რადგან შვილები და შვილიშვილები ისტორიულ სამშობლოში — გერმანიაში გაემგზავრნენ. ასე რომ, ახალგაზრდა მთვარეული მისი სახლიდან ვერ გადავიდოდა სახურავზე.

უახლოეს დრომდე, ჩვენს ფერდობზე სულ ათიოდე ოჯახი ცხოვრობდა და ყველა ერთმანეთს იცნობდა. პრესტიჟული მშენებლობები აქ მას შემდეგ დაიწყო, რაც ვერასა და მთაწმინდაზე იტალიის საკონსულომ, საფრანგეთის საელჩომ და სხვა მსგავსმა დაწესებულებებმა დაიდეს ბინა. პრესტიჟის მატებასთან ერთად, მერიის მიერ უთავბოლოდ გაცემული ნებართვების საფუძველზე აგებულმა უგემოვნო კორპუსებმაც იმატა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ავლაბრის მხრიდან, მტკვარზე გადმოკიდებული სახლების ფანჯრებში ახლა მამადავითის გუმბათიღა მოჩანს და მთაწმინდის მთაზე შეფენილი კოპწია სახლების ნაცვლად, ღამის ნუცუბიძის პლატოს ტყუპისცალი ხედი იშლება.

„აიჭრა უბანი რა! ადრე კარს არ ვკეტავდით და მანქანაზე სიგნალიზაციას არ ვაყენებდით“, — ალმაცერად გახედავენ ხოლმე ახალაშენებულ კორპუსებს ძველი მთაწმინდელები.

სახლი, რომელშიც მაგდა ცხოვრობს, გამოჩენილი მოქანდაკისა და რარიტეტების კოლექციონერის, ანტონ დარჩიას აშენებულია. მისი გარდაცვალების შემდეგ, ქვრივმა სახლი კრიხელებს მიჰყიდა და თვითონ უცხოეთში გაემგზავრა. მომიჯნავე სახლი კი, რომლის სახურავზეც მოჩვენება დავინახე, მაგდას თქმით, ლევან მანჯავიძეს ეკუთვნის, სხვათა შორის, ასევე მოქანდაკეს. მას გულით ავადმყოფი მეუღლე და 22 წლის ქალიშვილი ბაია ჰყავს, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი. ადრე მანჯავიძეები და დარჩიები ახლობლობდნენ. მას შემდეგ, რაც სახლის პატრონი მაგდა გახდა, მეზობლები სახლს ვეღარ სტუმრობენ. ლევან მანჯავიძეს ჰქონდა მაგდა კრიხელთან დაახლოების მცდელობა, მაგრამ მაგდას თვალში არ მოუვიდა, მოუცლელობა მოიმიზეზა და კეთილმეზობლური ურთიერთობა მხოლოდ „კაი გამარჯობის“ და ერთიმეორის ზრდილობიანად მოკითხვის დონეზე დატოვა.

— როგორც ამას წინათ გავიგე, დარჩიებსაც ჰყოლიათ მანჯავიძეების გოგონას ტოლი ქალიშვილი, ნინიკო. ბავშვები ერთად გაიზარდნენ. ექვსი წლის წინ კი, დარჩიების ოჯახში ტრაგედია მომხდარა — ნინიკოს გაურკვეველი მიზეზით მოუკლავს თავი. ვენები გადაუჭრია და თბილ აბაზაში ჩაწოლილი დაღუპულა. ნაზიკოს თუ დავუჯერებთ, ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ, დარჩიებს და მანჯავიძეებს ურთიერთობა გასცივებიათ. ისე, სამეზობლოს ამბებს, ჩემზე უკეთესად, ნაზიკო გიამბობს, — დამემშვიდობა მაგდა.

მე გადავწყვიტე, რომ ჩვენი საუბრის ჩანაწერი ყურადღებით შემესწავლა და ცალკე ფაილში შევინახე, სახელწოდებით — „მოჩვენება“. დღეიდან ყველაფერს, რასაც ჩემი უცნაური ხილვის შესახებ შევიტყობ, ამ ფაილში ჩავდებ. რა იცი, იქნებ, საინტერესო მასალაც გამოვიდეს და იმასაც მივხვდე, თუ რას მოასწავებს მოჩვენების გამოჩენა. ეტყობა, მართლაც, ტვინის შერყევა მაქვს, თორემ, ჩემისთანა რეალისტსა და ცრურწმენებისაგან თავისუფალ ადამიანს, რომელიც ცხოვრებაში მკითხავთანაც კი არ ყოფილა, ასეთი სულელური აზრები არ უნდა აწუხებდეს. მისტიკური ბოდვებისაგან თავის დასაღწევად გადავწყვიტე, მაქსიმალური ინფორმაცია მომეპოვებინა მოჩვენებების შესახებ და ინტერნეტში ძრომიალით ისე გავერთე, რომ ნაზიკოს მოსვლა ვერც კი გავიგე.

— მაკო, წამო, ჩაი დალიე, „ბლინები“ მოგიმზადე სულგუნით. რაფრა შეიძლება ამდენი მუშაობა?! სულ გიპარპალებს თვალები, — ზრუნავს ჩემს ჯანმრთელობაზე ნაზიკო, რომელიც თავისი დაბრაწული ლოყებით და პუტკუნა სხეულით, სამზარეულოს თბილი სიმყუდროვისა და შინაურული გარემოს ნამდვილი სიმბოლოა. ის ისეთი თავდადებით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, თითქოს მაგდას მშობელი დედა იყოს. მეც, როგორც მაგდას სტუმარი და მეგობარი, მისგან განსაკუთრებულ ყურადღებას ვიმსახურებ: საუზმეზე ცხელცხელი „ბლინებითა“ და ათქვეფილი, თაფლიანი ყავით მანებივრებს. გემრიელი კვება და კარგი განწყობილება დღეს განსაკუთრებით მესაჭიროება, რადგან დილას ირაკლი მაღრაძეს და მე სერიოზული შეხვედრა გვაქვს სარეკლამო კომპანიის წარმომადგენლებთან. რეკლამა, როგორც მოგეხსენებათ, თავისუფალი მასმედიის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ამიტომ ამგვარ საკითხებზე გამა-

რთულ შეხვედრებს განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. მართალია, მაღრაძის სოლიდურობა მომავალ პარტნიორებზე, როგორც წესი, მაგიურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ არ შეიძლება, მე, როგორც დამფუძნებელმა, გამოუძინებლობისა და დაღლილობის გამო, მის უზადო იმიჯს ჩრდილი მივაყენო. მძიმე მდგომარეობის გამოსწორების უებარ საშუალებად, კონტრასტული შხაპი და ნაზიკოს გაკეთებული ქაფიანი ყავის დიდი დოზა მივიჩნიე, მაგრამ ჩემი კედელზე მიბრახუნებული თავისათვის გამოფხიზლების ორივე ზემოხსენებული საშუალება ზედმეტად ექსტრემალური აღმოჩნდა. ყურები უცნაურად დამიგუბდა და ისე საშინლად ამტკივდა თავი, რომ როგორც კი აბაზანიდან გამოსულმა, ყავის პირველ ყლუპს სიგარეტის ჩვეული ნაფაზი მივაყოლე, შუბლზე ხელები მოვიჭირე და დავიკვნესე. შეშფოთებულმა ნაზიკომ, როგორც კი ჩემი წუხანდელი თავგადასავალი შეიტყო, ნამდვილი განგაში დასცა და სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნახევარ საათში დედაჩემი — ირა აბრამიშვილი მეახლა, დედოფლის გოროზი გამომეტყველებით და სამეფო ამალის სრული შემადგენლობით.

— ოცდახუთი წლის ქალი ხარ, შენს ასაკში უკვე დროა, მშობლებისადმი ინფანტილურ პროტესტს თავი დაანებო. რამდენჯერ გითხარი, როცა რამე გიჭირს, უნდა შემატყობინო!.. — პროფესიონალის კატეგორიული ტონით მაუწყა ფსიქოლოგმა დედამ და საწოლის თავთან გამაგრდა. ჩემი მამინაცვალი, თორნიკე ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და მზეს მიფიცხებულ საფოს დაუწყო ფერება. მას ძალიან ეუხერხულება დედაჩემის აღმზრდელობით რეიდებში მონაწილეობა, მაგრამ ირასთვის წინააღმდეგობის გაწევა არ არის იოლი. მით უმეტეს, ისეთი მგრძნობიარე და შემოქმედებითი ნატურისათვის, როგორიც თორნიკეა. მეც დიდსულოვნად მივუტევებ მას, დედაჩემის მოწყობილ სკანდალებში პასიურ მონაწილეობას, რის გამოც იგი ჩუმ-ჩუმად ჩემი პოზიციების განმტკიცებაში მეხმარება.

— მეტი რა ექნა ბავშვს, გამოძინება გვაცალა და დილას ყველაფერი შეგვატყობინა, — სიტყვა შემაწია თორნიკემ.

— რა ქნას და ჩვენთან უნდა გადმოვიდეს, ვიდრე არ გამოჯანმრთელდება, — „დაბეჭდა“ ირამ. — ვერ ხედავ, რა დღეშია?!. აშკარად კომოციოს ნიშნები აქვს. — სამედიცინო წრეებში ხანგრძლივი ტრიალის გამო, დედაჩემი თავს ვალდებულად თვლის, კომპეტენტურობა გამოამჟღავნოს და სასწრაფოდ დამისვას დიაგნოზი. თუმცა, ამჯერად მარტო არ იყო და საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად, თან მოიყვანა თავისი მეგობარი, ნევროპათოლოგი ადა, რომელიც საწოლთან მეჯდა და კაუჩუკისთავიან ჩაქუჩს მიღერებდა. ყველაზე მძიმე, შექმნილ სიტუაციაში კი ის იყო, რომ მისაღებ ოთახში ირას დაგეგმილი ღონისძიების მეორე რაუნდისათვის, გამომძიებელი ალეკო ბაღაშვილი და ირაკლი მაღრაძე ემზადებოდნენ. ჩემდა ჭირად, ნაზიკოს არაფერი დავუმალე, მოჩვენების და უცნაურად გამქრალი და ისევ გაჩენილი გასაღების ამბების ჩათვლით. შედეგად კი ის მივიღე, რომ დედაჩემმა ჩემი გადარჩენის ოპერაციაში ერთდროულად ჩართო ჯანდაცვა და გამოძიება.

— ძალიან კარგად მახსოვს, გასვლისას, უკანა კარი დავკეტე და გასაღები ეგერ, კედელზე მივაკიდე, — უმტკიცებდა ნაზიკო გამომძიებელს... მედშემოწმების გავლის შემდეგ, მეც მათ შევუერთდი და წუხანდელი ამბის დეტალების განხილვა ახლა უკვე, კრიმინალური კუთხით განვაგრძეთ. ორსაათიანი სჯა-ბაასით ბევრი ვერაფერი გაირკვა, ყველაზე კარგი, რაც ამ შეხვედრაზე ითქვა, ადას დასკვნა იყო: დედაჩემის ვერსია, ჩემი ტვინის შერყევის შესახებ, მისმა სპეციალისტმა დაქალმა არ დაადასტურა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მე ორკვირიან წოლით რეჟიმს გადავურჩი. ამის მიუხედავად, ირა ცოტა ხანს კიდევ ცდილობდა ჩემს დაყოლიებას და თავის ბინაში გადაყვანას, იმ მიზეზით, რომ ამ სახლში მარტო დარჩენა საშიშია, მაგრამ ნაზიკო და მე მედგრად ვიცავდით ჩვენს პოზიციას.

— აბა, რას ბრძანებ, ქალბატონო?! აი სახლი თლათ სიგნალიზაციაზეა დაყენებული. მაგდა შინ არ არის და დაცვა იმიტომ დეითხოვა, მაინც აფერი საქმე არ ქონდათ, იჯდენ თელი დღე უაზროდ. ქალბატონი მარიანა ჯერ ცოტა ხამადაა, არა უჭირს, მალე შეეჩვევა აქაურობას. თავიდან მეც მეშინოდა, მარა მერე მივხვდი, მე ვის რა ჭირად ვუნდივარ!.. ყველამ იცის, რომ სახლში ფული არაა, ბანკშია. თუ მოტაცებაა, მაგდა უნდა მოიტაცონ. მე გამოსასყიდს არავინ გადამიხდის. მარიანასაც რას გამორჩებიან?..

— ჯერ ერთი, მაკომ ჟურნალისტური გამოძიებისათვის სოლიდური პრიზი მიიღო, რაც საყოველთაოდ ცნობილია, — გააღიზიანა ირა, ნაზიკოს გლეხურმა პირდაპირობამ, — მეორეც, დანაშაულის ჩასადენად, მატერიალური დაინტერესების გარდა, სხვა უამრავი მოტივი არსებობს. ხომ ცხადია, რომ სახლში ვიღაცამ შემოაღწია.

— თუ გნებავთ, განცხადებით შემოდით და სახლში უცხო პირის სავარაუდო შემოჭრის ფაქტზე საქმე აღვძრათ. თუმცა, შესაძლოა, გაგვიჭირდეს ამის გაკეთება, რადგან მაკო დაბეჯითებით ვერ ამტკიცებს, რომ სახლში ვინმე იყო. დაცვის პოლიციაც არ დაგვიდასტურებს ამ ფაქტს, — გამოგვიცხადა ალეკო ბაღაშვილმა.

— არავინაც არ ყოფილა, უბრალოდ კიბეზე წავიქეცი, — დავიჟინე მე, თუმცა, მაშინვე მივხვდი, რომ თვითონ არ მჯერა ჩემი ნათქვამის.

— როგორც გენებოს, — გაბრაზდა დედაჩემი. — მაგრამ ორივეს კატეგორიულად გთხოვთ, კარი ღია ნუ დაგრჩებათ! მოგეხსენებათ, ქალაქში მანიაკი დადის, რომელმაც უკვე ორი მკვლელობა ჩაიდინა! — ირას ეს განცხადება უფრო მუქარას ჰგავდა, ვიდრე თხოვნას. მისმა ტონმა ნაზიკო დააფრთხო და შეპასუხება გადააფიქრებინა.

— ორი ქალი ამ სამ თვეში მართლაც, უცნაურ ვითარებაში მოკლეს, მაგრამ მანიაკის ვერსია მე უფრო პრესის გამონაგონი მგონია. არ ვიცი, მე ამ საქმეს არ ვიძიებ. ყოველი შემთხვევისათვის, იცოდეთ, თუ რამე საშიში შენიშნოთ, ნუ მოგერიდებათ, მაშინვე დამირეკეთ. — თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა გამომძიებელმა ნაზიკოს. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, იმის გასარკვევად, თუ რომელ უცნაურ მკვლელობებს გულისხმობდა ალეკო, მაგრამ დედაჩემის გასტუმრების პერსპექტივამ ისე მომხიბლა, შეკითხვები სამომავლოდ გადავდე და ჩემი სავალალო მდგომარეობით გულაჩუყებულ მაღრაძეს სამსახურში დაგვიანების უფლება გამოვტყუე, თან იმის პირობაც მივიღე, რომ „რეკლამშიკებს“ უჩემოდ შეხვდებოდა. გავიხარე. სტუმრები გავიგულეთ თუ არა, მე და ნაზიკო დავსხედით და კიდევ ერთხელ გავარჩიეთ ჩემს თავს გადამხდარი ამბავი.

სახლში, რომლის თავზეც მოჩვენება დავინახე, ჯოგლიძეს საეჭვო რამ არასდროს შეუნიშნავს, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას: მაგდას წასვლამდე ერთი კვირით ადრე, ნაზიკომ ჟოლოს ბუჩქებში ჩამალული, შეშლილი ახალგაზრდა ქალი იპოვა. იგი ტიროდა და ჭუჭყ-

იანი მუშტებით იწმენდდა ცრემლებს.

— რაცხანაირად გოუგებრად ლაპარაკობდა, ხელებზე დემეკონწიალა და მეხვეწა, მამაჩემს არ გააგებინო, აქ რო ვარ, თორე, სიცოცხლეს გამიმწარებსო. ჯერ ვერ ვიცანი, ვინცხა მათხოვრის ქალი მეგონა, მერე მივხვდი, ჩვენი მეზობელი იყო, სამხატვროს სტუდენტი... „ციგნის“ გოგოს გავდა, მანამდე ქუჩაში თუ შემხვდებოდა, „გამარჯობის“ თქმა ეზარებოდა. ტრ-ზე ბუზს არ ისვამდა... მამამისი რომ არ მოსულიყო, ვერც ვიცნობდი, იმფერი მოთუთხნული იყო. მერე, იმ ლევანა მანჯავიძემ გამანდო — ავად არის და ამისთანა მოვლენები ემართებაო. იმფერი წივილ-კივილი ატეხა, არ მიყვებოდა. მარა მამამისმა რაცხა ნემსი უჩხუტა და წაათრია. თლად გიჟია, ეგ უბედური... ნამდვილად მაი იქნებოდა „კრიშაზე“ ამძვრალი. გოგო, რას ამბობენ თუ იცი? მაი სულელი ბაღანა იმ გადარეულ მხატვარს ყვარობს, კლდის წვეროზე რო ადის დილ-დილობით და რაცხას ვარჯიშობს, ჩემი თვალით მყავს ნანახი, იქანე, წყაროს თავზე... რო შევხედე, ავი სული მეგონა. რამსიგრძე თმა აქვს, ტყისქალივით წელამდე გაშლილი, სულ ქარი უფრიალებდა თმას, მიწაზე იჯდა ფეხებგადაკვანჭილებული, ხელები წინ ქონდა გამოშვერილი და ცაში იყურებოდა. გული კიღამე გამისკდა...

— მოიცა, შენ ამბობ, რომ მანჯავიძეების ბაიას თავისი კოლეგა, მხატვარი უყვარს და ეს მხატვარი სავარჯიშოდ მთაწმინდის კლდეებზე დადის? — ნაზიკოს კუთხურ კილოს ყურშეჩვეულმა, მისი აბდაუბდა მონათხრობიდან აზრი გამოვიტანე.

— აპა! — მოკლედ დამიდასტურა მან და მეტი დამაჯერებლობისათვის ტუჩები მაგრად მოკუმა. ამ უკანასკნელმა ცნობამ კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ საიდუმლოს გასაღები მთაწმინდის ფერდობებზე უნდა ვეძებო. ამ საქმეს აუცილებლად გავარკვევ. ძალიან არ მომწონს, ჩემს მეგობრებს მატყუარა და ფანტაზიორი რომ ვგონივარ, — გადავწყვიტე მტკიცედ და სამსახურში წავედი.

— კარგი, რა, ჩიპ, სად დაიკარგე? ტელეფონიც გამორთული გაქვს, ჯერ დღევანდელი გადაცემის თემაც კი არ შეგვითანხმებია, — მსაყვედურობს ჩემი დაგვიანებით შეწუხებული გამომშვები რედაქტორი, მედეა კოპაძე. — რამდენიმე საკითხი მოგიმზადე. დროზე აირჩიე და ანონსს მივცემ.

მედეა ჩემი ძველი მეგობარია. მეც ზოგჯერ, ბოროტად ვსარგებლობ მისი კეთილგანწყობით და ვანერვიულებ.

— რატომ ღელავთ, ქალბატონო მედეა? თემაც მოფიქრებული მაქვს და წუხელ მთელი ღამე ინტერნეტში ვიჯექი, ამ საკითხზე ინფორმაცია რომ მომეპოვებინა.

— რა საკითხზე? — გაიკვირვა მედეამ და ჩემთვის გამოწვდილი ფურცელი ხელში შეაცივდა.

— დღევანდელი გულახდილი საუბრის თემაა — „მე მოჩვენებამ შემაშინა“.

— კაი, რა, ჩიპო, რა დროს შაყირია! დრო აღარ იცდის, ანონსი თუ არ მივეცი, ეთერში მარტო ის მსმენელი დარეკავს, თავისი შეყვარებულისთვის მოკითხვის გადაცემა რომ უნდა და პროგრამა ჩაგივარდება.

— არაფერსაც არ ვშაყირობ, ჩემი თვალით ვნახე მოჩვენება მთაწმინდის მთვარის შუქზე,მერე სახლშიც შემოიპარა და კიბეზე დამაგორა. დეტალებს მოგვიანებით მოგიყვები. ახლა გაიქეცი, თემა გამოაცხადე და ისეთი მუსიკა აარჩიე, მოჩვენებას რომ მოუხდება. ნუ გეშინია, დამრეკავი ბევრი იქნება. ალბათ, სხვებსაც უნახავთ მთვარის შუქზე სახურავზე მოსეირნე თმაგაშლილი ქალები. არ წაგიკითხავს ყვითელი პრესა? გადაჭრელებულია მაგისთანა ამბებით.

მედეა გაოგნებული მიყურებს და ხმას არ იღებს. როგორც ჩანს, ღამის კოშმარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა... აბა, სხვა რა მაიძულებდა მის ასეთ შოკში ჩაგდებას?..

— სტუმრად ვინ მოვიყვანო? — ამოღერღა ბოლოს, „გულახდილი საუბრების“ მარად კომპეტენტურმა რედაქტორმა.

— რა ვიცი, ათასი მჩხიბავი, ექსტრასენსი და ენერგეტიკული ველის გაწმენდის სპეციალისტია, გაზეთებში დარეკე და გაგანათლებენ, — მოკლედ მოვუჭერი მე. კარგად ვატყობ, სახეზე აწერია, ნორმალურად არ მთვლის, მაგრამ არც მეწინააღმდეგება. მხრებჩამოყრილი და საგონებელში ჩავარდნილი გავიდა ოთახიდან. მე კომპიუტერს ჩავუჯექი. ცოტა ხანში, „გულახდილი საუბრების“ ანონსის მუსიკის ფონზე, მისი ზედმეტად ხალისიანი ხმა შემომესმა რადიოდან: „თუ ვინმე, ოდესმე, მოჩვენებამ შეგაშინათ ან რაიმე უჩვეულო შეგიძლიათ გვიამბოთ იმ ქვეყნიდან მობრუნებული ბუნდოვანი არსებების, ალქაჯების, კუდიანების, ვამპირების, ჭინკების, ოჩოპინტრესა და თმაგაშლილი ტყისქალის — ალის შესახებ, ნუ დაიზარებთ, დარეკეთ ეთერში და მოგვიყევით თქვენი საოცარი ამბავი. არ გაგიკვირდეთ, „შეხვედრა მოჩვენებასთან“ — სწორედ ესაა ჩიპოლინოსთან გულახდილი საუბრის თემა. გელით, გახსოვდეთ, ჩვენი გადაცემა თქვენი მონაწილეობის გარეშე ვერ შედგება“.

ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ჩიპოლინო ჩემი საეთერო „ნიკია“ — ანუ, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე და შერქმეული მეტსახელის კომერციალიზაცია შევძელი. რეჟისორი ჩემს ხმას ეთერში ოდნავ კორექციას უკეთებს და მულტფილმის გმირისას ამსგავსებს. ეს ძნელად საცნობს მხდის, გადაცემას კი, მეტ ხალისს მატებს. მთელი ღამე ინტერნეტთან ჯდომამ შედეგი გამოიღო, ჩემი ტექსტი კარგად მოვამზადე და ეთერში ერთი სულის მოთქმით ჩავაბულბულე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ცნობილი მომღერალი, მიუზიკლის მეფის, ენდრიუ ლოიდ უებერის ყოფილი მეუღლე მსმენელს მალე ახალ ალბომს — „ჰარამხანა“ წარუდგენს. სხვათა შორის, რუსეთში მას სხვა საქმეებიც ელის...

სარა ბრაიტმანი: კისმისში რუსეთთან ერთად! საყმოვნებით!

„მე 60-იანი წლების ჭეშმარიტი შვილი ვარ. ჩემი მშობლები ჰიპები იყვნენ, ისინი გრძელი თმითა და თეძოებზე ჩამოკიდებული ზანზალაკებით დადიოდნენ... გასაკვირი არ არის, რომ მათ სრული თავისუფლება მომანიჭეს“.

როდესაც მშობლებმა საკუთარ პირმშოში მუსიკალური ნიჭი აღმოაჩინეს, ქალიშვილი ჯერ საბალეტო სკოლაში შეიყვანეს, შემდეგ კი სამეფო მუსიკალურ კოლეჯში გაგზავნეს. 13 წლის გოგონას დებიუტი ჯონ შლეზინგერის სპექტაკლში „მე და ალბერტი“ შედგა. 70-იან წლების ბოლოს კი უკვე მოცეკვავეთა ჯგუფის Hot Gossip სოლისტი იყო.

სწორედ ამ დროს, უკვე საქვეყნოდ ცნობილმა კომპოზიტორმა ენდრიუ ლოიდ უებერმა მოხეტიალე კატებზე მიუზიკლის დადგმა ჩაიფიქრა. მათი შეხვედრა სწორედ კასტინგის დღეს შედგა. ცისფერპარიკიანი, თვალებანთებული გოგონა გასინჯვაზე ფურიასავით შემოიჭრა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი აღგზნების მიზეზი მხოლოდ საქვეყნოდ ცნობილ კომპოზიტორთან შეხვედრა როდი იყო; კასტინგამდე 10 წუთით ადრე, მისი მანქანა ბოძს შეასკდა და სარა გარდაუვალ სიკვდილს გადაურჩა. ეს ამბავი ენდრიუმ, რა თქმა უნდა, არ იცოდა და ახალგაზრდა ტალანტის ექსპრესიით მოხიბლულმა, სარას მიუზიკლში Cats როლი მისცა.

მშვიდი განშორება

მას უკვე ყველაფერი ჰქონდა: ფული, დიდება, მოსიყვარულე ცოლი და ორი შვილი, მაგრამ ენდრიუს თავდავიწყებით შეუყვარდა. ბრაიტმანის ხმის გაგონებისთანავე სარა-პირველისადმი (უებერის პირველ ცოლს ტაბლოიდებში სწორედ ასე მოიხსენებდნენ) მისი გრძნობა თვალსა და ხელს შუა ქრებოდა. იმ პერიოდში ნორჩი მომღერალიც დაოჯახებული იყო. მისი მეუღლე ენდრიუ-პირველი (როგორც მას მოგვიანებით სარამ შეარქვა) ხმის ჩამწერ სტუდიაში მუშაობდა. „ცოლ-შვილს ვაღმერთებ, მაგრამ მე და სარას საჩქაროდ დაქორწინება გვსურს. საშინელებაა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს“, — არწმუნებდა უებერი ჟურნალისტებს. 1984 წელს შეყვარებულებმა წინა ქორწინებები გააუქმეს და საქორწინო ბეჭდები გაცვალეს.

„ცნობილი კომპოზიტორი ახალგაზრდა ცოლს თვითმფრინავს ჩუქნის! ენდრიუ უებერის ახალ ცოლს უინძორის ჰერცოგინიას ძვირფასეულობა აშშვენებს!“ — პრესა ახალი მუსიკალური ოჯახის ურთიერთობათა მხოლოდ ამ მხარეს აშუქებდა და სარა ბრაიტმანის შესანიშნავ ხმაზე არაფერს ამბობდა, მაგრამ მიუზიკლმა „ოპერის აჩრდილი“ ისინი სხვაგვარად აალაპარაკა. კრისტინას პარტია ენდრიუმ სპეციალურად ცოლისთვის დაწერა. ამ როლმა სარას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. კრისტინას პარტიის შესრულების შემდეგ პრესა სარა ბრაიტმანს მუდამ ისე მოიხსენებს, როგორც კრისტინას აჩრდილი — მას „მუსიკის ანგელოზი“ შეარქვეს.

მას შემდეგ, რაც უებერმა ცოლისადმი სიყვარული შემოქმედებაში განასხეულა, მისი გრძნობები ნელ-ნელა განელდა. ამას ისიც დაემატა, რომ სარას ბავშვების გაჩენის შესახებ საუბარიც არ სურდა. ენდრიუს ჟოკეი

მიუზიკლის „კატები“ პარტნიორებთან ერთად. ყოფილი მეუღლის ამ ქმნილებას სარა ყველაზე მეტად აფასებს



ენდრიუ ლოიდ უებერთან ერთად. ისინი ერთმანეთს 1990 წელს გაშორდნენ, მაგრამ მეგობრობა შეინარჩუნეს

მომღერალი და მსახიობი. მისი თაყვანისმცემლები თვლიან, რომ სარა ბრაიტმანი გარდასახვის განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული

შეუყვარდა. მედლინიც უებერის მსგავსად შვილებზე ოცნებობდა. როდესაც უებერის საყვარელი დაორსულდა, მან ცოლს ყველაფერი გაუმხილა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს მშვიდად დაშორდა. ჟურნალისტები ქორნების გაყოფის სკანდალურ პროცესს სულმოუთქმელად ელოდნენ, მაგრამ იმედი მწარედ გაუცრუვდათ. სარამ მეუღლისგან 6 მლნ გირვანქა სტერლინგი მიიღო. ბრაიტმანმა დღესაც არ იცის, რა მოუხერხოს ამ ქორნებას და ყოფილ მეუღლეს თანხის უკან დაბრუნებაც კი შესთავაზა.

ოჯახური კავშირის რღვევას შემოქმედებითი კავშირის გაწყვეტა არ მოჰყოლია. „განქორწინებით გამოწვეული ალიაქოთი დიდხანს თან მდევდა, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას ფიქრობენ სხვები. ერთი მაგათი...!“ ამ შეძახილში ნათლად ჩანს სარა ბრაიტმანი, სწორედ ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია.

Time To Say Goodbay
უისინათლო ტენორთან, ანდრეა ბოჩელისთან ერთად ჩაწერილმა ალბომმა რამდენიმე ქვეყანაში ოქროს სტატუსი მოიპოვა

განქორწინებიდან 2 წლის შემდეგ პრესას საჭორაოდ ახალი მიზეზი მიეცა. სარას მამა, გრენვილ ბრაიტმანი საკუთარ მანქანაში გამონაბოლქვი გაზით გაგუდული იპოვეს. ბუნებით გაუწონასწორებელი გრენვილი, გაკოტრებისა და სარას დედასთან განქორწინების შემდეგ სულით დაეცა, დეპრესიაში ჩავარდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. „მამის თვითმკვლელობამ, რა თქმა უნდა, დამამწუხრა, მაგრამ შემდეგ სიხარულიც კი ვიგრძენი იმის გამო, რომ მივხვდი – მამა ისე მოიქცა, როგორც საჭიროდ თვლიდა“, – მშვიდად განუცხადა სარამ ჟურნალისტებს.

პროექტების Enigma და Gregorian პროდიუსერის ფრენკ პეტერსონის გაცნობის შემდგომ სარა ბრაიტმანის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. „ჩემი „მე“ – მუსიკა და ფრენკია. ჩვენ ერთმანეთი იმდენად ძლიერად გვიყვარს, რომ სხვა არავინ გვჭირდება“, – აღიარებს მომღერალი და როგორც ჩანს, შვილების გაჩენას კვლავაც არ აპირებს. ვის აქვს უფლება გაკიცხოს ქალი, რომელმაც მთელი თავისი არსება მუსიკას მიუძღვნა?! სარა ბრაიტმანის ალბომები ერთიმეორის მიყოლებით, ზედიზედ გამოდის. ერთი მათგანი Time To Say Goodbay სარამ უსინათლო მომღერალ ანდრეა ბოჩელისთან ერთად ჩაწერა. ალბომმა კანადაში ოქროს სტატუსი მიიღო, აშშ-ში დიდხანს ლიდერობდა, გერმანიაში კი გაყიდული ეგზემპლარების რაოდენობით დღესაც პირველ ადგილს იკავებს. პლასიდო დომინგოსთან, რიკარდო კოჩანტესა და ხოსე კარერასთან ერთად გამართულმა კონცერტებმა სარა ბრაიტმანი მსოფლიო დიდების მწვერვალზე აიყვანა. მან ყველა ჰიტაღლუმზე ტოპადგილი მოიპოვა და სამომავლოდ კიდევ უფრო გრანდიოზულ გეგმებს ისახავს. „მე კოსმოსში გაფრენაზე ვოცნებობ – იქ, სადაც თავისუფალი სივრცე ნამდვილ ვარსკვლავთა კაშკაშს ახშობს. ასე მგონია, იქ ნათლად შევიგრძნობ, თუ როგორი იქნება სამყარო მაშინ, როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით. როგორც გავიგე, ამგვარ მოგზაურობაში გამგზავრება რუს კოსმონავტებთან ერთად ყოფილა შესაძლებელი. როდესაც რუსეთში ჩავალ, ამას იქ გავარკვევ“, – განუცხადა სარამ ჟურნალისტებს.

■

ლენი კრავიცი ამპლუას იცვლის

ცნობილმა გიტარისტმა და მომღერალმა ლენი კრავიცმა სადიზაინერო კანტორა გახსნა და ახალ ასპარეზზე საქმიანობას დიდი ენთუზიაზმით შეუდგა. სადიზაინერო სიახლეების ძიებისადმი ლენი კრავიცის სიყვარული, საზოგადოებისთვის კარგა ხანია ცნობილია: მისი სახლის ინტერიერის ფოტოსურათები გამუდმებით იბეჭდება ცნობილ ჟურნალებში რუბრიკით – „აი, როგორ უნდა ცხოვრება!“ თავდაპირველად, ლენი მხოლოდ საკუთარი ბინის კეთილმოწყობით გახლდათ დაკავებული, მაგრამ როცა მეგობრებისა და ახლობლებისაგან შეკვეთების წვიმა წამოვიდა, მიხვდა, რომ საკუთარი გატაცების წყალობით, უპრობლემოდ შეძლებდა

წარმატებული ბიზნესის აწყობას. ამიერიდან სადიზაინერო ბაზარზე ახალი, ძლიერი მოთამაშე – კომპანია Kravitz Design გამოჩნდა. „ყოველთვის ვცდილობდი, რომ ჩემი საცხოვრებელი ბინა თანამედროვედ და ლამაზად მომეწყო, – ამბობს ლენი. – საგასტროლო ტურნეებში მოგზაურობამ კი არქიტექტურის სიყვარულიც გამიღვიძა“. ჟურნალისტების თქმით, მუსიკოსი კლიენტებისათვის ისეთი ორიგინალური სადიზაინერო ელემენტების შეთავაზებას გეგმავს, რომლებიც ადრე არავის გამოუყენებია. ახალგამომცხვარი დიზაინერის თქმით, მისი კომპანია თვით ყველაზე ნატიფი და დახვეწილი გემოვნების მქონე შემკვეთთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას შეძლებს.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-პარამეტებით

ჯიმი ჰენდრიქსი – მუსიკოსი და მხატვარი

ლეგენდარულ გიტარისტს ჯიმი ჰენდრიქსს, მუსიკის გარდა, სხვა გატაცებაც ჰქონია – თურმე, ნუ იტყვით და, ის შესანიშნავი მხატვარიც ყოფილა. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცის. ამ ცოტა ხნის წინ, აღმოაჩინეს მუსიკოსის მიერ აკვარელში შესრულებული 48 ნახატი, რომელიც მოკლე ხანში წარდგება ფართო საზოგადოების სამსჯავროს წინაშე. ცნობილია, რომ შემოქმედი ადამიანები იშვიათად იფარგლებიან ხელოვნების ერთ რომელიმე დარგში მოღვაწეობით – ამ მხრივ გამონაკლისს არც ჯიმი ჰენდრიქსი წარმოადგენდა. თუმცა გიტარისტის სიცოცხლის მანძილზე მისი ამ გატაცების შესახებ თითქმის არავისთვის იყო ცნობილი და მისი ნახატებიც არავის ჰქონდა ნანახი. სპეციალისტების თქმით, რომლებმაც უკვე იხილეს ჰენდრიქსის მემკვიდრეობა, გიტარისტი სულ ტყუილად იქცეოდა ასე, რადგან მისი ნახატები ჭეშმარიტად მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა. აწ გარდაცვლილი გიტარისტის ნახატების გამოფენა კლივლენდის როკ-ენ-როლის დიდების მუზეუმში მოეწყობა, შემდეგ კი ამ კოლექციის ჩვენებას მანჰეტენზე, Morrison Hotel Gallery-ში გეგმავენ. ■

ბრიტნი სპირსი მომავალი დედმის ჩაცმულობაზე იზრუნემს

ბრიტნი სპირსმა, რომელიც ამჟამად ექვსი თვის ორსულია, საზოგადოებას ამცნო თავისი სამომავლო გეგმების შესახებ. მომღერალი მომავალი დედებისთვის მოსახერხებელი და ამასთანავე ლამაზი, თანამედროვე ტანსაცმლის გამოშვებას აპირებს. მისი სიტყვებით, ორსულობისას ის ჩაცმულობასთან დაკავშირებულ პრობლემებს წააწყდა: ერთდროულად ლამაზი და ამასთანავე, მოსახერხებელი სამოსის შერჩევა მან პრაქტიკულად ვერ შეძლო – ძირითადად, მას ხან ერთი და ხან მეორე კომპონენტით დაკმაყოფილება უხდებოდა. „ჩემთვის გაუგებარია! – ამბობს ბრიტნი – მხოლოდ იმიტომ, რომ ორსულად არიან, რატომ უნდა ატარონ მომავალმა დედებმა უშნო ტანსაცმელი? სპეციალურად მათთვის, რატომ არ უნდა შეიქმნას უფრო საინტერესო და თანამედროვე მოდელები? ამის თაობაზე რაღაც ორიგინალური იდეები მომივიდა თავში და ვეცდები, ეს იდეები ცხოვრებაში განვახორციელო“. შეგახსენებთ, რომ ბრიტნი თავის პირმშოს ოქტომბრის თვეში ელოდება, რომლის მამაც მოცეკვავე კევინ ფედერლაინი გახლავთ. ■

კამერონ დიასი სასამართლოში ჩვენემას მისცემს

კამერონ დიასი მოწმის სახით დაიკითხება ფოტოგრაფ ჯონ რატერის სასამართლო პროცესზე, რომელსაც მსახიობის ნახევრად შიშველი ფოტოსურათების გამოქვეყნების მცდელობაში ედება ბრალი. ზემოთ აღნიშნული ფოტოსურათები გადაღებულია 1992 წელს, იმაზე ორი წლით ადრე, ვიდრე ფილმი „ნიღაბი“ გამოვიდოდა და მსახიობი პოპულარობას მოიპოვებდა. ფოტოებზე ვარსკვლავი ნახევრად შიშველ მდგომარეობაშია აღბეჭდილი. კამერონი იწმუნება: მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ძალა არავის დაუტანებია და ფოტოგრაფის წინაშე საკუთარი ნებით ვპოზირებდი, რატერისთვის მათი გამოყენების უფლება არ მიმიცია და არც არანაირ ხელშეკრულებაზე მომიწერია ხელი; იმ დოკუმენტზე კი, რომელსაც რატერი ფლობს, ჩემი ხელმოწერა გაყალბებულიაო. სასამართლომდე საქმე მას შემდეგ მივიდა, როცა 2003 წელს რატერმა დიასს მიმართა და საკუთარი „სადო-მაზოხისტური თემატიკის“ ფოტოების გამოსყიდვა 3,5 მლნ დოლარად შესთავაზა. რატერის წინადადება დიასმა „ფულის გამოძალვის მცდელობად“ მონათლა და სასამართლოს მიმართა. ფოტოგრაფის მხარდამჭერები სრულიად განსხვავებულად აფასებენ მომხდარს. მათი თქმით, რატერს ამ ფოტოებზე ყველანაირი უფლება აქვს. უბრალოდ, როცა მან ერთ-ერთი ცნობილი ევროპული ჟურნალისგან ამ ფოტოსურათების გამოქვეყნების წინადადება მიიღო, მოისურვა, დიასს პატიოსნად მოჰქცეოდა და საკუთარი ფოტოსურათების გამოსყიდვა ჯერ მას შესთავაზა. ■

ლეონარდო დი კაპრიოს ახალი პროექტები

გავრცელებული ხმების თანახმად, ლეონარდო დი კაპრიოს ყველა შანსი აქვს ჰოლივუდის ყველაზე შრომისმოყვარე ვარსკვლავის ტიტულის მოსაპოვებლად – მსახიობი პრაქტიკულად არ ჩერდება და ერთიმეორის მიყოლებით ახორციელებს ახალ-ახალ პროექტებს. ამ ცოტა ხნის წინ, ცნობილი გახდა, რომ დი კაპრიოს საპროდიუსერო სტუდია კურტ ვონეგუტის ფანტასტიკური ჟანრის რომანის – „კატის აკვნის“ – ეკრანიზაციას მოჰკიდებს ხელს. წიგნის სიუჟეტის მიხედვით, მოქმედება მომავალ დროში ხდება – კაცობრიობას ახალი სუბსტანცია „ყინული-9“ ემუქრება, რომელსაც მთელ პლანეტაზე არსებული წყლის (ოკეანეები, ზღვები, ტბები, მდინარეები და სხვ.) გაყინვის ძალა შესწევს. ჯერჯერობით უცნობია, ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებს თუ არა თავად ლეონარდო, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია: მომდევნო ორი წლის მანძილზე სამუშაო მას ისედაც თავზე საყრელად აქვს. ამჟამად სკორსეზე მას იღებს თავის პოლიციურ ტრილერში Departed. ამას მოჰყვება ფილმები: For Whom The Bell Tolls, The Chaneellor Manuscript და Cardener Of Even. გარდა ამისა, მსახიობი არც თავის საპროდიუსერო სტუდიას აკლებს ყურადღებას და იქაც აქტიურად მოღვაწეობს. ■

Volkswagen-ი Variant-ს გვთავაზობს

ევროპელ ავტომოყვარულებს შესაძლებლობა აქვთ, დაუკვეთონ ახალი უნივერსალი – Volkswagen Passat, რომლის საბაზო მოდელი გახლავთ VW Passat Variant (1,6 ლ მოცულობისა და 102 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი). მისი ფასი 22.900 ევროა, რაც თითქმის არ განსხვავდება „პასატის“ წინამორბედი თაობის ღირებულებისგან, მიუხედავად იმისა, რომ მანქანა ტექნიკური მახასიათებლებითაც უკეთესია და ზომითაც – უფრო დიდი. მისი სიგრძეა – 4,77 მ (9,2 სმ-ით მეტი), სიგანე – 1,82 (7,4 სმ-ით მეტი), სიმაღლე – 1,52 მ (1,9 სმ-ით მეტი).

ეს უნივერსალი ყოველთვის სარგებლობდა პოპულარობით, რადგან ის ძალზე ფუნქციონალურია: მის ხალვათ საბარგო განყოფილებაში მსხვილგაბარიტიანი საგნების გადაზიდვაა შესაძლებელი. ახალი Variant-ის საბარგულის ზომა 603 ლ-ა (წინამორბედი მოდელისა 495 ლ-ს შეადგენდა), უკანა სავარძლების დაკეცვის შემთხვევაში კი, 1731 ლ-მდე იზრდება. გაიზარდა აგრეთვე საწვავის ავზის მოცულობა – ის 70 ლ-ს შეადგენს. მანქანის საბაზო კომპლექტაციაში შედის: მასტაბილიზებელი ელექტრონული პროგრამა ESP, კონდიციონერი, უსაფრთხოების 6 ბალიში, 16-დუიმიანი საბორბლე დისკები, ცენტრალური საკეტი, წინა ფანჯრების ელექტროამწეები, საჭის გამაძლიერებელი, ელექტრონული სადგომი მუხრუჭი. ოპციის სახით მომხმარებელს სთავაზობენ: რეგულირებად კლირენსს, უკანა (საბარგულის) კარის ელექტროამძრავს. Passat Variant 5-ნაირი ძრავათი აღიჭურვება. ბენზინის ძრავების სიმძლავრე, 102-დან 200 ცხ.ძ-მდე დიაპაზონშია, დიზელისა კი – 105-დან 170-მდე დიაპაზონში. შემოდგომაზე მათ 250 ცხ.ძ. სიმძლავრის (3,2 ლ მოცულობა) აგრეგატი – FSI შეემატება, რომლითაც ახალი „პასატის“ სრულამძრავიანი ვერსია აღიჭურვება. ■

მეომარი, რომელსაც Bristol ენოდება

ბრიტანული ფირმა Bristol ექსკლუზიური სპორტული ავტომობილებითაა ცნობილი. მათ ინდივიდუალური შეკვეთით აწარმოებენ. ამ ცოტა ხნის წინ, ფირმამ ახალი მოდელი – Fighter S შეიმუშავა, რომელიც V ტიპის 10-ცილინდრიანი, 8 ლ სამუშაო მოცულობისა და 660 ცხ.ძ. სიმძლავრის (წინამორბედ მოდელზე – Fighter-ზე – 110 ცხ.ძ-ით მეტი) ბენზინის ძრავათია აღჭურვილი. ამ მონაცემების წყალობით, ახალი მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 338 კმ/სთ-ს აღწევს.

გარეგნულად Fighter S წინა მოდელისგან პრაქტიკულად არაფრით გამოირჩევა, მაგრამ მასზე გაცილებით ძვირი – 378 ათასი ევრო ღირს. მოდიფიკაცია – Fighter R 28 ათასით მეტი ეღირება: მომხმარებელს სწორედ ამდენი დაუჯდება მსუბუქი მეტალისგან ჩამოსხმული საბორბლე დისკები და მოდერნიზებული საკიდარი. დაბოლოს, ვერსია C მაქსიმალურად დაბალი კლირენსითა და გაუმჯობესებული აეროდინამიკით გამოირჩევა. ■

Opel ჯიზისიდან გამოდის

ამერიკულ კორპორაცია „ჯენერალ მოტორსში“ შემავალი გერმანული კომპანია „ოპელი“ თანდათან სძლევს კრიზისს და როგორც ამ ცოტა ხნის წინ მისმა თავკაცმა, ჰანს დემანტმა განაცხადა, ავტობაზარზე მისთვის სასიკეთო ტენდენციები შეინიშნება. წლევანდელი წლის პირველი 4 თვის შედეგებით, გერმანიაში ფირმის 113500 მანქანაა გაყიდული, რაც ამავე პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელს 5,9%-ით აღემატება. წლის პირველ 4 თვეში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რეალიზებულია 182876 Opel Astra, რომელიც ამჟამად კომპანიის წამყვან მოდელს წარმოადგენს. „ოპელმა“ უკვე მოახერხა, რომ მნიშვნელოვნად დაეძლია ამ მანქანის მთავარ კონკურენტთან – Volkswagen Golf-თან დაპირისპირებისას ადრე არსებული ჩამორჩენა.

ფირმა დიდ იმედებს ამყარებს აგრეთვე კომპაქტური ვენის – Zefira – ახალ თაობაზე. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 2006 წელს ამ მოდელის რეალიზაციის მოცულობა 240 ათასს მიაღწევს. ■

ნარკომანიის პრობლემაზე სერიოზულად, შეერთებულ შტატებში პირველად, 1930 წლის გაზაფხულზე დაფიქრდნენ, რის შედეგადაც ქვეყანას მოევლინა ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური ბიურო (FBN) — პირველი სამსახური, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა გახლდათ. დროთა განმავლობაში, ბიურომ ტრანსფორმაცია განიცადა და ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლი თანამედროვე სამსახური, დღესდღეობით DEA-ს სახელითაა ცნობილი. DEA-მ წინამორბედთა უამრავი ნაკლის დაძლევა მოახერხა, მაგრამ მის წინაშე კვლავინდებურად დგას ძირითადი პრობლემა: როგორც აღმოჩნდა, ნარკომანიასთან საბრძოლველად ფონდების მოპოვება ბევრად უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მის წინააღმდეგ ბრძოლა.

„აშშ-ის ყველაზე საშიში მტერი"

ჯვაროსნული ლაშქრობა ნარკოლიკების წინააღმდეგ

დასაწყისი იხ. „გზა", №28

რაც დრო გადიოდა, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა, სულ უფრო და უფრო მეტ პოლიტიკურ პრობლემას ქმნიდა. „ნარკოხელმწიფე" ჯერომ ჯაფეს მოღვაწეობამ ნიქსონის პოპულარობას ვერაფერი შესძინა: პროფესორმა ვიეტნამის ომში წასვლა გადაწყვიტა, ეს ომი კი, რბილად რომ ვთქვათ, ამერიკელებში არანაირ ენთუზიაზმს არ იწვევდა. როცა „ნარკოხელმწიფემ" სენატის დამოუკიდებელი კომისიისაგან შეიტყო, რომ ვიეტნამში მყოფი ლამის ყოველი მეათე ჯარისკაცი ჰეროინის მომხმარებელი იყო, გადაწყვიტა, ვიდრე არ განიკურნებოდნენ, ნარკომანი ჯარისკაცები ჯუნგლებიდან არ დაებრუნებინა. მისი ამ გადაწყვეტილების წყალობით, ასობით დემობილიზებულმა ჯარისკაცმა შინ დაბრუნების შესაძლებლობა დაკარგა. იმხანად ნარკომანებს ერთი მეთოდით მკურნალობდნენ: ჰეროინის მომხმარებლებს მეტადონს უკეთებდნენ და ფაქტობრივად, ერთ პრეპარატზე დამოკიდებულებას მეორეთი უცვლიდნენ. ამ სიტუაციაში ყველაზე უარესი მაინც ის იყო, რომ პაციენტთა უმრავლესობა ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენელი გახლდათ — იძულებითი მკურნალობა ძალზე ჩამოჰგავდა სეგრეგას (რასობრივი დისკრიმინაცია), ეს კი საკმაოდ სახიფათო იყო. საბოლოოდ, ნიქსონმა პროფესორ ჯაფეს თავიდან მოშორება და ყველა ანტინარკოტიკული სამსახურის ერთ სუპერუწყებად შერწყმა გადაწყვიტა. ახალი სუპერუწყების ძირითადი ბირთვი BNDD-ს თანამშრომლებიდან შეარჩიეს, საბაჟო სამსახურმა კი მას თავისი 500 თანამშრომელი დაუთმო.

ჯორჯ ბუში-უფროსი პირდაპირი სატელევიზიო გამოსვლისას მაყურებელს კოკაინიან პაკეტს უჩვენებს

ასე რომ, 1974 წელს, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი რამდენიმე სამსახურის ბაზაზე, საბოლოოდ ერთიანი ანტინარკოტიკული ადმინისტრაცია (DEA) ჩამოყალიბდა. ახალი სტრუქტურა საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით აღიჭურვა და მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა, მისი მეთაური ფაქტობრივად, თეთრი სახლის ადმინისტრაციის წევრი გახდა (ეს ამჟამადაც ასე გახლავთ).

უწყების სახელწოდების შეცვლის მიუხედავად, ენსლინგერის ტრადიციები დავიწყებას არ მისცემია: 70-იანი წლების განმავლობაში, სიტყვა — „კანაფი" საერთოდ ამოღებული გახლდათ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან და ოფიციალურ ლექსიკონშიც თითქმის არ გამოიყენებოდა. როცა კანაფის ლეგალიზაციის ერთ-ერთი მხურვალე ენთუზიასტი ჯეკ ჰერერი სმიტსონის სახელობის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმში (სადაც 142 მლნ ექსპონატია დაცული)

ამ მცენარის ნიმუშების მოძიებას შეეცადა, აღმოჩნდა, რომ „ბალახის“ ნიმუშები საექსპოზიციო სტენდებიდანაც კი ჩამოეხსნათ. ჰერერის შეკითხვაზე – თუ რატომ გაკეთდა ეს? მუზეუმის კურატორმა უპასუხა: „ბავშვებმა კანაფის შესახებ არაფერი უნდა იცოდნენ. ისინი შესაძლოა, ამან შეაცბუნოს“.

ახალი უწყების შექმნამ, შესაძლებელი გახადა მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება; ამასთან, წლების განმავლობაში დამკვიდრებული უარყოფითი იმიჯის პრობლემაც გადაიჭრა. ერთი რამ კი უდავო ფაქტი გახლდათ, სახელმწიფოს DEA-ს შენახვა მის წინამორბედ უწყებაზე იაფი სულაც არ უჯდებოდა: მისი ბიუჯეტი 1975 წელს 74,9 მლნ-დან 140,9 მლნ დოლარამდე გაიზარდა, მაგრამ ქუჩებში ნარკოტიკული ნივთიერებები კვლავინდებურად უხვად იყიდებოდა.

მარიხუანის აკრძალვას ყველა ამერიკელი როდი უჭერს მხარს.

„თეთრი სახლი? კი, მაგრამ სად არის ეს?“

ნიქსონის შემდეგ, ნარკოტიკებთან ომი კარგა ხნით მიივიწყეს, რადგან უოტერგეიტის საქმესთან დაკავშირებულ სკანდალში გახვეული პრეზიდენტი საკმაოდ არაპოპულარულ ადამიანად იქცა. მის სახელთან დაკავშირებულ პროგრამებსაც იგივე ბედი ეწია. ქვეყანაში ძალას იკრებდა მარიხუანის ლეგალიზაციის მოძრაობა – NORML, ხოლო კარტერის ადმინისტრაციის კულუარებში კოკაინის ლეგალიზაციის შესაძლებლობაზეც ალაპარაკდნენ. სახელმწიფოს მაღალ ეშელონებში გამოჩნდა ხალხი, რომელიც ჯერომ ჯაფეს მსგავსად საკუთარ თავს „ნარკოხელმწიფედ“ მოიაზრებდა და თანაც, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაზე ამ ხალხს DEA-ს ხელმძღვანელობისგან სრულიად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი მაღალჩინოსანი კურატორები დიდი მოხერხებულობითაც გამოირჩეოდნენ. პირველი „ნარკოხელმწიფე“, ვინც ამ ასპარეზზე იწვნია მარცხი, გახლდათ პიტერ ბურნი – პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, რომელიც მარიხუანისა და კოკაინის ლეგალიზაციას უჭერდა მხარს. პრესაში გამოჟონა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ დიპლომირებული ექიმი ბურნი, მეტაკვალონის (ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება) ყალბი რეცეპტებით ამარაგებდა თავის მეგობარს. ცნობილი გახდა ისიც, რომ მოძრაობა NORML-ის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო საღამოზე, ის სახალხოდ ყნოსავდა კოკაინს. კარტერმა სასწრაფოდ თავიდან მოიშორა ბურნი, მაგრამ „ლეგალიზაციის“ მომხრე მაღალჩინოსანთა თამაშები ამით არ დამთავრებულა. კარტერის საარჩევნო შტაბის უფროსს – ჰამილტონ ჯორდანს ჟურნალისტები მაშინ წაადგნენ თავს, როცა ის ერთ-ერთ ბოჰემურ დისკოთეკაში – Studio 54 კოკაინის ყნოსვით გახლდათ გართული. ამის შემდეგ, კარტერის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, პრესაში გამუდმებით მუსირებდა აზრი, რომ თეთრი სახლი დიდ ნარკობუნაგად გადაიქცა.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რონალდ რეიგანი ნარკომანიის საბოლოო დამარცხების მიზნით, მასთან შეურიგებელი ბრძოლის პოლიტიკას დაუბრუნდა და DEA-საც კვლავ ოქროს ხანა დაუდგა. რეიგანმა მოახერხა ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ სამხედრო ნაწილების გამოყენების კანონის მიღება. DEA-ს ბიუჯეტი კი, მისი პრეზიდენტობის მხოლოდ პირველი ვადის ამოწურვამდე სამჯერ გაიზარდა. ამიერიდან DEA-სთვის მეტოქეობის გაწევა მხოლოდ CIA-ს შეეძლო, რომელთანაც ანტინარკოტიკულ უწყებას ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და სხვა რეგიონებში უხდებოდა თანამშრომლობა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროისათვის სპეცსამსახურის ხელმძღვანელები უკვე დაუფლებულნი იყვნენ ერთმანეთთან საერთო ენის

DEA-ს აგენტების მიერ აღმოჩენილი ნარკოტიკების დიდი პარტია

ამშ-ის ყოველ პრეზიდენტს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში საკუთარი წვლილი შეჰქონდა. ჯიმი კარტერმა კინაღამ მათი ლეგალიზება მოახდინა

გამონახვის ხელოვნებას.

ენსლინგერისაგან განსხვავებით, რომელსაც თავად პრეზიდენტისთვისაც კი შეეძლო უარის თქმა, ახალი ხელმძღვანელობა უფრო კორექტული ქცევის გზას დაადგა. ამან საშუალება მისცა უწყებას, არა მარტო სახელმწიფო აპარატის ნაწილი, არამედ სახელმწიფო პროპაგანდის უშუალო წარმმართველი გამხდარიყო. სწორედ ამის წყალობით მოხდა ის, რომ 1989 წლის 5 სექტემბერს პირდაპირი სატელევიზიო ეთერით გამოსვლისას, ჯორჯ ბუშმა-უფროსმა მაყურებლის თვალწინ კოკაინიანი პაკეტი ხელში შეათამაშა და განაცხადა: „ამ რამდენიმე დღის წინ, ეს კოკაინი თეთრი სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე პარკში იქნა ამოღებული. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ჰეროინი ყოფილიყო“. პრეზიდენტი, რომელიც ამერიკელთა წინაშე ნარკომოვაჭრეთა თავხედურ საქციელზე ხაზგასმას ცდილობდა, სულაც არ ტყუოდა: DEA-ს თანამშრომლებმა მართლაც თეთრი სახლის მოპირდაპირე მხარეს შეიძინეს კოკაინი ნარკომოვაჭრისგან. მაგრამ ამ სიტუაციაში იყო ერთი რამ, რაც პრეზიდენტისთვის არ გახლდათ ცნობილი: ცრუმყიდველი სპეცსამსახურის თანამშრომლები კარგა ხნის მანძილზე არწმუნებდნენ განწირულ დილერს, რომ ნარკოტიკი მათთვის სწორედ ამ უცნაურ ადგილას მიეყიდა. გაზეთ Washington Post-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული ვერსიით, ნარკომოვაჭრემ შენიღბულ აგენტებს თურმე ისიც კი ჰკითხა: „თეთრი სახლი? კი, მაგრამ სად არის ეს?“

მომდევნო წლებში, არაერთსახოვანი და ცვალებადი მტრის მიმართ, DEA-მ კიდევ რამდენიმე მიმართულებით გააჩაღა ბრძოლა. უწყების აკრძალვა შეეხო კვების იმ პროდუქტებს, რომლებიც კანაფის ექსტრაქტს შეიცავდა, მათ შორის, ჩიტების საკენკსაც, რომელშიც ასევე შედიოდა კანაფის თესლი, რასაც ლამის საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა, როცა 1999 წელს DEA-ს აგენტებმა კანადური ფირმის – Kenex – კუთვნილი ტვირთის (ჩიტების საკენკი) კონფისკაცია მოახდინეს. მიუხედავად ზემოთქმულისა, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა გასაოცარ მოქნილობას ავლენდა. 2001 წელს, DEA-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ინდიელთა ტომების მიერ პეიოტლის გამოყენების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, ვინაიდან ეს ინდიელთა რელიგიის ტრადიციული საკულტო შემადგენელი ნაწილი გახლდათ. თუმცა ყველასათვის ცნობილი იყო ის, რომ კაქტუსი პეიოტლი უძლიერეს ჰალუცინოგენს – მესკალინს შეიცავს.

დღესდღეობით, DEA ერთ-ერთი უმსხვილესი ორგანიზაციაა არა მარტო აშშ-ში, არამედ მთელ მსოფლიოში. ტონობით ნარკოტიკული ნივთიერების ამოღება და ასობით ნარკომაფიოზის დაკავება, სწორედ მისი აგენტების დამსახურებაა, მაგრამ რაც უფრო მეტად სარისკო ხდება „კაიფით“ ვაჭრობა, მით უფრო მეტი შემოსავალი მოაქვს მას. ■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომ-ბარათებითაც

„შაბათის შოუს“ ბიჭებმა რომ მითხრეს, გოჩა თანდარაშვილი ძალიან მაგარი მსმელია და კარგი თამადაც არისო, ვერ დავიჯერე და ამის გასარკვევად თავად გოჩას შევხვდი. მოკრძალებული ფიზიკური მონაცემების მიუხედავად, გოჩა თურმე მართლაც ძალიან ბევრს სვამს და იმდენად კარგად იტანს, რომ მაგრად ნასვამს, მათგან განსხვავებით, ვინც საკუთარ სახლსაც ვერ აგნებს, მას ცოლის შერთვაც კი მოუხერხებია!..

გოჩა თანდარაშვილი სიმთვრალეში გაბედნიერდა

ნინო ჯავახიშვილი

— გოჩა, მართალი მითხრეს შენზე, ბევრს სვამსო?

— მართალი უთქვამთ. ეს ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ასეთი გამხდარი ვარ. პირველი ჭიქის დალევამდე, რის ჭამასაც ვასწრებ, ეგ არის — მერე, რომ ვსვამ, უკვე ვეღარ ვჭამ, არ შემიძლია. ხშირად მიწევს ქეიფი, რადგან ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და მიყვარს კიდეც, ხომ არ დავმალავ?! კვირაში ორჯერ მაინც ვსვამ. საქეიფოდ, რა თქმა უნდა, ღვინოს ვამჯობინებ. ისე კი, ძალიან მიყვარს ლუდი.

— თუ გახსოვს, პირველად როდის დალიე?

— მეცხრე კლასში ვიყავი, პირველად რომ დავლიე, სკოლაში თანაკლასელ ბიჭებთან ერთად. მერე მთვრალები მთაწმინდაზე ავედით და თოვლში ვიკოტრიალეთ. სახლამდე ძლივს მივაღწიე. დილით მამაჩემი დამადგა თავზე — „ბორჯომი" ხომ არ გინდაო?

— **მაინც რამდენის დალევა შეგიძლია?**

— გაჩნია ღვინოს. რამდენიმე წლის წინ, ზუგდიდში ვიყავით მე და ჩემი მეგობრები. სუსტი ღვინო იყო და უზომოდ ვსვით, სამი პარტია ხალხი დავთვრეთ. ჩვენ არ გვეკიდებოდა სასმელი. გადაირივნენ მეგრელები — მანამ არ გაგიშვებთ, სანამ არ დაგათრობთო. ბოლოს, იძულებული გავხდით, თავი მოგვემთვრალებინა, რომ გამოვეშვით...

— **თამადობა ხშირად გიწევს? როგორი სტილის თამადა ხარ?**

— თამადობა ხშირად მიწევს. „ღამის შოუს" და „შაბათის შოუს" ბიჭებს ტრადიცია გვაქვს, რომ თვეში ერთხელ რესტორანში ვიქეიფოთ და დათოს *(გოგიჩაიშვილის. — ავტ.)* სურვილით, ყოველთვის მე ვთამადობ. სიტუაციის მიხედვით ვირჩევ, თუ რა სტილის თამადა ვიყო. შეიძლება, ძალიან ტრადიციული სადღეგრძელოები ვთქვა და წესი და რიგი დავიცვა. მაშინ, როდესაც მეგობრებთან ერთად ვქეიფობ და არა მაქვს იმის კომპლექსი, რომ შეიძლება, ვინმეს ჩემი ნათქვამი არ მოეწონოს, უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს...

— **მკაცრი ხარ თამადის ამპლუაში?**

— რა, თამადა მკაცრი არ უნდა იყოს? რა თქმა უნდა, ზომიერად მკაცრი. როდესაც ლაპარაკობ და ვინმე არ გისმენს, ეს, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელია. არ მიყვარს, სასმლის დაძალება. სასურველია, თამადას ეხერხებოდეს სიმღერა, ლექსი, იუმორი; სიმღერა არ მეხერხება, მაგრამ ჩემი მეგობრები კარგად მღერიან და მათთან ქეიფი ძალიან მიყვარს. ერთხელ სიმთვრალეში მათ სიმღერაში ავყევი. ვიფიქრე, ყველამ იცის, რომ არ ვმღერი და ხალხს გავაცინებ-მეთქი. შენ წარმოიდგინე, მოეწონათ — შენ თურმე მღერი კიდეცო! — მითხრეს.

— **რომელ სადღეგრძელოს ამბობ სუფრაზე აუცილებლად?**

— ყოველთვის ვამბობ საქართველოს სადღეგრძელოს და უნივერსიტეტის სადღეგრძელოს: უნივერსიტეტმა ბევრი რამ მასწავლა. ამ სადღეგრძელოს ალბათ, იშვიათად თუ ამბობს ვინმე.

— **განსხვავებული სასმისით დალევა მოგწონს?**

— უცნაური რამეებით როგორ არ დამილევია, გაჩნია, რა ხასიათზე ვარ. ერთხელ, ყანწების გარდა, რაც სახლში ვიპოვეთ, ყველაფრით დავლიეთ — კვერცხის ნაჭუჭით, „შტეფსელით" და ა.შ. აი, პატარძლის ქოშით ნამდვილად არ დამილევია.

— **სიმთვრალეში ჩადენილი საქციელის არ შეგრცხვენია?**

— ცუდი საქციელი ჩამიდენია, მაგრამ შერცხვენით არ შემრცხვენია. ეს ამბავი ფეხბურთს უკავშირდება; ინგლისმა წააგო და მისი გულშემატკივრები ცუდ ხასიათზე გახლდით. ერთი ჩვენი მეგობარი კი ამაზე შაყირობდა და შუაღამისას სახლიდან გავაგდეთ. საბურთალოდან სოლოლაკში ფეხით წავიდა... ერთხელ, მაღაზიის შუშებიც ჩავამტვრიეთ. შუქი ჩაქრა და ნაცნობის მაღაზიაში ფეხბურთის საყურებლად ჩავედით. იქ ვიღაცები იყვნენ, არ შეგვიშვეს, თანაც ის თამაში „ლივერპულმა" წააგო და გამწარებულებმა მაღაზიის შუშები ჩავამსხვრიეთ.

— **ზარალი აუნაზღაურეთ?**

— არა, გავიქეცით. აბა, ფეხბურთი რომ არ გვყურებინეს, კარგი იყო?!. სხვათა შორის, ცოლი სიმთვრალეში მოვიყვანე. მეგობრის ქორწილში მეჯვარედ ვიყავი. დილიდანვე დავთვერი. ჩემი და მაიკოს ამბავი „გაიწელა" — აი, დღეს დავქორწინდეთ, აი, ხვალთქო... საშველი აღარ დავგადგა. ჰოდა, მაიკოს ვუთხარი — მოდი, ბარემ დღეს წამოდი ჩემთან-მეთქი. ვიფიქრე — თან, მის გაცილებას ავარიდებ-მეთქი თავს... ჩემი დაც იქ იყო. დედაჩემს დაურეკა — გილოცავ, შვილი გაგიბედნიერდაო! დედამ არ დაიჯერა, — კარგი, ახლა, მეძინება და დამაძინეთო. მაშინ უკვე მარტო ვცხოვრობდი, ნაქირავებ ბინაში. დედაჩემმა დამირეკა — რას შვრები, როგორ ხარო? რატომ არ მილოცავ? ცოლი მოვიყვანე-მეთქი! — ვუთხარი. უიმე, მეგონა, მეხუმრებოდითო, — შეიცხადა.

— **მაიკო ხომ არ გეჩხუბება ხოლმე — არ დალიოო?**

— ზოგჯერ მეჩხუბება — რა ამბავია ამდენი სმაო?! მაგრამ ცუდი ხასიათი არ მაქვს, ჩხუბისთავი არ ვარ და მიტანს...

■

ტესტი ერუდიციაზე

1. რა ჰქვია ჩოგბურთში დაგალ და ძლიერ დარტყმას?

ა) სმეში;
ბ) დრაივი;
გ) სეტი.

2. რისგან ამზადებდნენ რუსეთში წკეპლას (ე.წ. „როზგს")?

ა) ცხენის ძუისგან;
ბ) ტირიფისგან;
გ) ღორის ტყავისგან.

3. რას ნიშნავს ლათინური სიტყვა „ულტიმო", რომლისგანაც წარმოიშვა „ულტიმატუმი"?

ა) უკანასკნელს;
ბ) პირობებს;
გ) შესათანხმებელს.

4. ჩაის სმის დროს სიჩუმის დარღვევას იაპონელები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიწყნარებენ, თუ საუბარი შეეხება...?

ა) ბუნებას და ხელოვნებას;
ბ) ქალებს და საუნას;
გ) ფულს და სახელმწიფოს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

უეინ რუნის გარშემო ატეხილი სკანდალები ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა ხდება, როგორიც მის მიერვე გატანილი გოლები. „მანჩესტერ იუნაიტედის“ 19 წლის ფორვარდის ცხოვრება სულ უფრო ემსგავსება პოლ გასკოინის ყბადაღებულ წარსულს. განსაკუთრებულად ეს რუნისა და მისი მეგობრის, კოლინ მაკლაფლინს შორის დამოკიდებულებაში იგრძნობა.

„ველური რუნის“ ზღვარი

ცოტა ხნის წინ, მანჩესტერის ღამის კლუბში მათ შორის მომხდარი ინციდენტი წყვილის სკანდალური ცხოვრების მორიგ ეპიზოდად იქცა. გასართობი დაწესებულების სტუმრები, რომელთა შორისაც, „ნორვიჩთან“ 0:2 წაგების შემდეგ, კლუბში დასალევად შესული, „მანჩესტერის“ რამდენიმე მოთამაშეც იყო, კოლორიტული სცენის მომსწრენი გახდნენ: რუნი იქ გამხეცებული შევარდა და მაგიდასთან მჯდომ კოლინს თმაში სწვდა, რის შემდეგაც, სასმლით სავსე ჭიქას სტაცა ხელი და შეყვარებულს თავზე გადააპირქვავა. ამას მცირე გარჩევა მოჰყვა, რომლის კულმინაციურ მომენტად ის იქცა, რომ უეინმა გელფრენდს ხელი გაარტყა. თვითმხილველთა თქმით, მანამდე, მაკლაფლინმა რუნის ის პერიოდი გაახსენა, როდესაც ეს უკანასკნელი, შეყვარებულისგან საიდუმლოდ, საროსკიპოებს აკითხავდა („მკვლევარებს“ ბორდელში ფეხბურთელის 10-ჯერ სტუმრობა აღუწერიათ). თუმცა, რუნი მხოლოდ ამით როდი გამოუყვანია წონასწორობიდან 18 წლის კოლინს. ყველაზე იაფფასიან მეძავებთან დადიოდი და მათ შემდეგ, ათასგვარი მიკროორგანიზმით დამასნებოვნეო! – უთქვამს უენისთვის გაკაპასებულ მეგობარს. სწორედ ამის შემდეგ გაურტყამს მისთვის „მანჩესტერის“ ვარსკვლავს, რაც საკუთარი თვალით უნახავთ რიო ფერდინანდს, უეს ბრაუნსა და რიო კეროლს. უფრო მეტიც, გააფთრებული ფორვარდი თანაგუნდელებს შეუჩერებიათ, თორემ, ალბათ უფრო უარეს დღეში ჩააგდებდა საყვარელს. ამ ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე, ყვითელი პრესის ყურადღების ცენტრში უეინი ერთი სტუდენტი ბიჭის ცემისთვის მოექცა.

სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ არც თავად კოლინ მაკლაფლინი წარმოადგენს სათნოების განსახიერებას. სწორედ „მანჩესტერისა“ და „ნორვიჩის“ მატჩის შემდეგ,ის კვიპროსზე უნდა გამგზავრებულიყო, სადაც ფოტოსესიაში მონაწილეობასა და მზის აბაზანების მიღებასაც აპირებდა. თამაშიდან შინ დაბრუნებული რუნი კი ელოდა, რათა კვიპროსზე საყვარლის გამგზავრებამდე, მასთან სექსით დამტკბარიყო (სწორედ ამის გამო არ გაჰყოლია ფორვარდი თანაგუნდელებს იმ ღამის კლუბში, სადაც შემდეგ, მაკლაფლინიც შეეფეთა)... ერთი სიტყვით, მოლოდინით გაღიზიანებულ ფეხბურთელს ისღა დარჩენოდა, ისევ მეგობრებთან ერთად გაექარწყლებინა, „ნორვიჩთან“ მარცხით გამოწვეული ბოღმა, ბარში მისულს კი, საყვარელი იქ რომ დახვდა, ნერვები ვეღარ მოთოკა.

ადრე მაკლაფლინმა ჩინებულად გაატარა დრო ტენერიფეზე, სადაც ადგილობრივ ბარმენებთან ფლირტზე უარი არ უთქვამს. პაპარაცებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ ისინი ხელიხელჩაკიდებული დადიოდნენ, ხალხის თვალწინ თაყვანისმცემელი უკანალზეც ეფერებოდა კოლინს, ხანდახან კი, რუნის საცოლე ბარში მის მოვალეობასაც ასრულებდა. ტენერიფეზე კოლინის თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. შეზარხოშებულმა მაკლაფლინმა ბრიტანელ მეგობართან ერთად ესპანელებთან ხელჩართული ბრძოლაც გამართა. „ველურ უეინს“ კი (სწორედ ასე მოიხსენიებენ ფეხბურთელს ბრიტანეთში), შეყვარებულის თავგადასავლების შესახებ ინფორმაციის მიღება ნებისმიერ, მეტ-ნაკლებად ცნობილ ტაბლოიდში შეეძლო. ასე რომ, „მანჩესტერელს“ გაცხარების მოტივი ნამდვილად აქვს.

ბარში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, კოლინი ღამის გასათევად დედასთან გაეშურა, თან თქვა, რომ უეინს აღარასოდეს დაუბრუნდებოდა. ისე კი, მაკლაფლინს ასეთი რამ პირველად არ უთქვამს. ამიტომ არავის გაჰკვირვებია, როდესაც კვიპროსზე სამდღიანი ვიზიტის შემდეგ, კოლინი თავდავიწყებით ეხვეოდა და კოცნიდა „ველურ უეინს“. ბულვარული პრესის წარმომადგენლებს არც ის გამოჰპარვიათ მხედველობიდან, რომ ამ მომენტში რუნი მის მოშორებას ცდილობდა. შეიძლება, ახალგაზრდა ვარსკვლავი ფიქრობს კიდეც – უღირს თუ არა ასეთ გოგონასთან ერთად ყოფნა. ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ეს მაკლაფლინი?! ერთი ჩვეულებრივი თავქარიანი ტინეიჯერია, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ „მანჩესტერის“ ფორვარდთან განშორებისთანავე, მის ფუფუნებით ცხოვრებას წერტილი დაესმება. ■

მარია შარაპოვა შეყვარებულია

მარია შარაპოვა პირველად მიიღებს მონაწილეობას ტრადიციულ საჩოგბურთო ტურნირში – „კრემლის თასის“ გათამაშებაში. შეჯიბრება 9-დან 16 ოქტომბრამდე გასტანს. შეგახსენებთ, რომ ადრე, მარია თავს იკავებდა „კრემლის თასის“ გათამაშებაში გამოსვლისაგან. ამას წინათ, რუსი ლამაზმანი კალიფორნიაში ESPN-ს დაესწრო, რომელსაც ტრადიციულად, „პლეიბოი“ ატარებს. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში, სპორტსა და გასართობ ინდუსტრიას შორის ზღვრის გავლება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ამიტომ ანალოგიურ ღონისძიებებზე სპორტის ვარსკვლავთა გამოჩენაც აღარავის უკვირს.

ESPN Awards-ზე სერენა უილიამსი ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარეს. საერთოდ, ამ ცერემონიაზე ყურადღების ცენტრში ჩოგბურთელები იმყოფებოდნენ. ჟურნალისტებს არც ის გამოჰპარვიათ, რომ მარია შარაპოვამ მთელი საღამო თავის კოლეგასთან, ენდი როდიკთან ერთად გაატარა. თანაც, რუსი სექსსიმბოლო ფოტოკამერების წინაც დიდი სიამოვნებით პოზირებდა. ყვითელი პრესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მარიას, ენდი როდიკთან რომანი აქვს. აქვე გაცნობებთ, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით, საუკეთესო სპორტსმენ მამაკაცად ველოსიპედისტი ლენს არმსტრონგი დაასახელეს, წლის საუკეთესო სპორტსმენ გოგონად გოლფისტი ანიკა სორენსტამი აღიარეს, წლის გუნდად კი, ბეისბოლისტთა კლუბი „ბოსტონ რედ სოკსი“. კალათბურთელმა დუეინ ვეიდმა („მაიამი ჰიტი“) გაიმარჯვა ნომინაციაში „გარღვევა“, ხოლო რეჯი მილერის („ინდიანა პეისერსი“) ბოლო მატჩი წლის ყველაზე დასამახსოვრებელ მომენტად მიიჩნიეს. რაც შეეხება მარია შარაპოვას, იგი შვეიცარიელ როჯერ ფედერერთან ერთად, ჩოგბურთის სამყაროს საუკეთესო წარმომადგენლად დაასახელეს. წლის მოკრივედ კი, საშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ბერნარდ ჰოპკინსი მოგვევლინა. ■

ჯიჯა დროს არ ჯარგავს

რონალდო ჯერ დანიელა ჩიკარელისაც არ დაშორებოდა, რომ უკვე მისი ახალი გელფრენდის შესახებ ალაპარაკდნენ. კიჭამ 21 წლის მოდელთან, რაისა ოლივეირასთან გააბა რომანი. ცოტა ხნის წინ, ის სამშობლოში ატარებდა არდადეგებს, სადაც 178 სმ სიმაღლის შავგვრემან ლამაზმანთან ერთად არაერთხელ იხილეს. გარდა ამისა, „რეალის“ ვარსკვლავი სან-პაულუში გამართულ ჩვენებაზეც შენიშნეს, რომელშიც რაისაც მონაწილეობდა. თავად ფეხბურთელი ამ მითქმა-მოთქმაზე კომენტარს არ აკეთებს. აი, ოლივეირა კი, უფრო თამამი აღმოჩნდა, თუმცა რონისთან ახლო ურთიერთობას მაინც უარყოფს: „ჩვენ უბრალოდ მეგობრები ვართ, რონალდო ძალიან საინტერესო ადამიანია და მის გვერდით ყოფნა სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ საყვარლები ვართ“.

რა თქმა უნდა, სკანდალებზე მონადირე ჟურნალისტებს ოლივეირას ნათქვამის ნაკლებად სჯერათ. მათ ხომ კარგად იციან რონალდოს ტემპერამენტის შესახებ, რომელიც ლამაზმანთან უბრალოდ მეგობრულ ურთიერთობას არ დასჯერდება. ამიტომ რაისასაც გაუჭირდება, წინ აღუდგეს მომდევნო რონალდინიად (სწორედ ასე უწოდებენ ბრაზილიაში კიჭას ქალებს) ქცევის ცდუნებას. ■

აგასის პოლიტიკოსობა არ ხიბლავს

ანდრე აგასიმ პოლიტიკურ კარიერაზე უარი განაცხადა. ყოფილმა პოლიტიკოსმა, ჯილ ეისნერმა ჩოგბურთის ვარსკვლავს ნევადის შტატიდან კონგრესის არჩევნებში მონაწილეობა შესთავაზა. ეისნერის აზრით, სპორტსმენის კანდიდატურა ზედგამოჭრილია პოლიტიკური კარიერისთვის – აგასი პოპულარულია, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ქველმოქმედებასაც ეწევა. „ჩემთვის დიდი პატივია, ასეთი წინადადება, მაგრამ პოლიტიკოსობა განზრახული არ მაქვს, – ამბობს ანდრე, – საჩოგბურთო კარიერის გაგრძელებას ვაპირებ, გარდა ამისა, უფრო დიდი ყურადღება მინდა დავუთმო ოჯახსა და საქველმოქმედო ფონდს.“ ■

მოტომრბოლელს ქორწილისთვის დრო არ რჩება

ცნობილი ესპანელი მოტომრბოლელი, ფონსი ნიეტო არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა. მას ოქტომბერში, ცნობილ ესპანელ მოდელ არიადნა არტილაისზე დაქორწინება ჰქონდა დაგეგმილი, რომელიც არაერთი ცნობილი ჟურნალის ფოტოსესიაში მონაწილეობს, მაგრამ ეს ქორწინება აღარ შედგება, ფონსი ნიეტოს სპორტული კარიერის გამო: ის Dacari SC Caracchi-ს ღირსებას იცავს და გენერალურ კლასიფიკაციაში 24 ქულით მე-17 ადგილზეა. მრბოლელი მეტისმეტად დაკავებულია. ამიტომ ის საცოლესთან ერთად, თავის გადატვირთულ გრაფიკში თავისუფალ დღეებს ეძებს, რათა ქორწინების თარიღი დანიშნოს. ერთი კია, მოტომრბოლელს ჯერჯერობით მამობა არ სურს. „ბავშვები ძალიან მიყვარს და მათაც ვუყვარვარ, მაგრამ ჯერ მამობისთვის მზად არ ვარ“, – ამბობს ნიეტო, რომელიც თავის ყოფილ გელფრენდს, ელზა პატაკის ვერ ივიწყებს: „სამწუხაროა, რომ ის ჩემს ქორწინებას ვერ დაესწრება. მე ძალიან მოხარული ვიქნებოდი“. ■

პროდიუსერი, პროდიუსერს ეძებს

რას ნიშნავს გქონდეს მოდური პროფესია, იყო პროდიუსერი ან პრომოუტერი? ვინ არიან ან რას საქმიანობენ ამ პროფესიის ადამიანები, მატერიალური თვალსაზრისით რაოდენ ხელსაყრელია პრომოუტერის კარიერა, არსებობენ თუ არა საქართველოში მოდური მომღერლები, ვარსკვლავები და რამ შეიძლება გამოიწვიოს ჟურნალისტის პროფესიის უარყოფა? — ამ და სხვა კითხვებზე პრომოუტერი, ზვიად შელია გვიპასუხებს.

ლიკა ქაჯაია

— თავიდან, თეატრალური უნივერსიტეტის თეატრმცოდნეობისა და ტელეჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ მერე სხვა ფაკულტეტზე მომიწია გადასვლამ და დღეს სპეციალობით, საგანმანათლებლო საქმის მენეჯერი ვარ. აქედან გამომდინარე, მე-5 კურსზე სწავლის დროს, სადიპლომო ნამუშევრისთვის მოვაწყვე საღამო „ელიტ-კლუბში“, რომელშიც მონაწილეობდნენ: ქეთა თოფურია, ანრი ჯოხაძე, ჯგუფი „სთეისი“, სალომე გასვიანი, აჩი ფურცელაძე და სხვები; ის ადამიანები, ვინც მაშინ დამწყებ მომღერლებად ითვლებოდნენ, დღეს კი პოპულარულები არიან...

— რას ნიშნავს იყო პრომოუტერი?

— სიტყვა „პრომოუტერი“ მოდაში ახლა შემოვიდა. ის ნიშნავს მომღერლის ან რაიმე პროექტის პრომოუშენის უზრუნველყოფას. პრომოუტერობაზე პრეტენზია არ მაქვს. მე უფრო პროდიუსერი ვარ, მაგრამ რატომღაც, სხვადასხვა კლუბის მენეჯერები სწორედ პრომოუტერს მეძახიან... ჩემი საქმიანობა — ე.ი. საღამოს, კონცერტის ორგანიზება ძალიან შრომატევადია, მაგრამ იმდენად საინტერესო, რომ ამ საქმიანობის მიტოვება (როცა მისი გემო იცი) გაგიჭირდება.

— ჯერჯერობით არც ერთი მომღერლის პროდიუსერი არ ხარ. რა არის ამის მიზეზი?

— როცა მომღერლის ხმის ტემბრს გავიგებ, უკვე ვიცი, რომელ ჟანრში უნდა იმღეროს, როგორ შეიძლება გახდეს პოპულარული. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა დაწერილა ახალი სიმღერა და მითქვამს — ეს სიმღერა ამა და ამ მომღერალს მოუხდება-მეთქი. მართლაც, თუ ის ადამიანი ასრულებდა ამ სიმღერას, წარმატება გარანტირებული ჰქონდა. მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ ის მომღერლები, რომელთა პროდიუსერობაც მსურდა, რატომღაც თავს იკავებდნენ და პირიქით, ვინც მე არ მომწონდა, ისინი არ მეშვებოდნენ... სულ მალე, ჩემი „პროდუქციაც“ გამოჩნდება.

— კონკრეტულად?

— ერთი მომღერლის მაგალითზე ხალხს დავანახვებ, თუ რისი გაკეთება შემიძლია...

— რამდენად ხშირად ტარდება შენ მიერ ორგანიზებული საღამოები?

— უკვე 5 წელია, ამ სფეროში ვსაქმიანობ. თავიდან, დიდი ინტერვალებით ვაწყობდი საღამოებს, ახლა ამან სისტემატური სახე მიიღო და თუ ყოველ კვირა რაღაც არ გავაკეთე, „ლომკა“ მეწყება. ამ მხრივ შარშან საოცრად ნაყოფიერი წელი მქონდა. კვირაში ერთხელ ვაწყობდი კლიპის პრეზენტაციას, ჩვენებას, საიმიჯო საღამოს. მქონდა მთავრობის მიერ დაკვეთილი კონცერტები ბათუმში, ქობულეთში...

— მიუხედავად ამისა, შენი სახელი ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოებისთვის...

— ჩემი, როგორც პრომოუტერის მთელი კარიერის მანძილზე, საკუთარი თავისთვის რეკლამა არ გამიკეთებია — ჩრდილში ყოფნა მერჩივნა. მაგრამ ვხვდები, რომ ასე იმდენს ვერ მივაღწევ, რამდენსაც სხვები... ერთი მეგობარი მყავდა — პროფესიით ბუღალტერი. დავეხმარე და რაღაც საღამოები ჩავატარებინე. დღეს პრომოუტერობაზე აქვს პრეტენზია და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემზე მეტად წარმატებულია.

— რომელი იყო ყველაზე წარმატებული საღამო შენს პრომოუტერულ კარიერაში?

— ყველაზე წარმატებული?.. კი, მქონდა ასეთი. შარშან, კლუბ-რესტორან „პიკნიკში“ სიყვარულის დღესთან (14 თებერვალი) დაკავშირებით საღამო მოვაწყვე, სადაც მოწვეული მყავდა პროფესიონალი, მაგრამ უცნობი მომღერლები. ამ კლუბში შეკრებილი ელიტური საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს.

— ე.ი. შენ მიერ მოწყობილ საღამოებზე, სცენაზე ხშირად ჩნდებიან უცნობი სახეები...

— ეს იმიტომ, რომ დაპრომოუშენებულ მომღერალს კონცერტებზე ისედაც იწვევენ, მაგრამ არის ნიჭიერი ხალხი, რომელსაც გასაქანი არა აქვს. მე მინდა, მათ დავეხმარო და ისინი საზოგადოე-

საკუთარი თავისთვის რეკლამა არ გამიკეთებია — ჩრდილში ყოფნა მერჩივნა

ბას წარვუდგინო.

— 5 წლის განმავლობაში, მარცხი არ გიგემია?

— არა. ასეთი რამ არ მახსოვს. თუმცა, შარშან აჭარაში ერთთვიანი ტურნეს შემდეგ, რამდენიმე ჟურნალისტმა აიღო ჩემგან ინტერვიუ და ყველა მათგანი ჩემს წარუმატებლობაზე მეკითხებოდა. არადა, ეს ტურნე წარუმატებელი არანაირად არ იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კონცერტს, რომელიც უამინდობის გამო ჩაგვშალა. ეს ტურნე მომგებიანი იყო ჩემთვისაც და მომღერლებისთვისაც — როგორც კომერციული, ისე სხვა თვალსაზრისითაც... წელსაც ვაპირებ აჭარაში

დაპრომოუშენებულ მომღერალს კონცერტებზე ისედაც იწვევენ, მაგრამ არის ნიჭიერი ხალხი, რომელსაც გასაქანი არა აქვს

ტურნეს მოწყობას, მაგრამ ერთკვირიანი იქნება. თითო-თითო კონცერტს ჩავატარებთ: ურეკში, ქობულეთში, ბათუმში, კვარიათში. იქ იქნებიან როგორც უფროსი, ასევე ახალი თაობის მოდური მომღერლები. ამ კონცერტის საშუალებით მინდა, დავეხმარო ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს, რომლებიც ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს პირველ რიცხვებამდე აჭარაში ისვენებენ და ასევე ბათუმის უდედმამო ბავშვთა სახლს. ამ ბავშვებს თავად მომღერლები გადასცემენ საჩუქრებს — ტანსაცმელს, საჭირო ნივთებს; ცნობილ ხალხთან ერთად გადაიღებენ სურათებს. მათთვის მოვაწყობ ე.წ. სადილს და ა.შ.

— რას ნიშნავს მოდური მომღერლები?

— ეს არის მომღერალი, რომლის სიმღერაც ჰიტად იქცა, მისი კლიპი სხვადასხვა არხზე ტრიალებს და ტინეიჯერებს მოსწონთ... ზოგი ასეთი მომღერალი შეიძლება არ მომწონდეს, მაგრამ მათი მიწვევა კონცერტებზე კომერციული თვალსაზრისით მომგებიანია.

— შენი საქმიანობიდან გამომდინარე, ალბათ ბევრი კურიოზის მოწმე თუ მონაწილე გახდებოდი...

— კარგი, ერთს მოგიყვები. შარშან, ტურნეს დროს, ბათუმში, ორსართულიანი სახლი გვქონდა დაქირავებული, სადაც 17 კაცი — 10 მომღერალი და ტექნიკური პერსონალი ვცხოვრობდით. შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი შეყვარებულთან ერთად იყო წამოსული. ამ წყვილმა რაღაცის გამო იჩხუბა და ბიჭი, ფაქტობრივად სახლიდან გააგდეს. ვცდილობდი, უკან დამებრუნებინა, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდნენ. ამ ამბიდან ნახევარი საათის შემდეგ, თავს პატრული წამოგვადგა და გვეჩხუბა: ასეთ მდგომარეობაში კაცს ქუჩაში და ისიც მარტოს, რატომ უშვებთ? პორტთან დავიჭირეთ — ზღვაში ხტებოდა, თავს იხრჩობდაო!.. პატრულმა წყვილს პირობაც კი დაადებინა, რომ აღარასდროს იჩხუბებდნენ... ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს გათამაშებული იყო. სანამ გავიგე, რა მოხდა, გული გამიჩერდა.

— ზვიად, შენ თუ გყავს შეყვარებული?

— მყავს. ჩემს პროექტში, რომელიც წელან ვახსენე, ე.ი. პროდიუსერულ საქმიანობაში, სწორედ ეს ადამიანი ფიგურირებს. ის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ არაჩვეულებრივი მომღერალია. ორივენი ვცდილობთ — სიყვარული და საქმიანობა ერთმანეთს შევუთავსოთ.

— რა შემთხვევაში შეეშვებოდი პრომოუტერობას?

— როგორც უკვე გითხარი, თეატრმცოდნეობასა და ტელეჟურნალისტიკაზეც ვსწავლობდი. ამ დროს ბევრ ჟურნალ-გაზეთთან ვთანამშრომლობდი. ვხარჯავდი ბევრ ფიზიკურ ენერგიას, გონებრივ შრომას ვეწეოდი, მაგრამ ჰონორარი საკმაოდ დაბალი იყო. ამიტომაც, დავანებე თავი პრესის ჟურნალისტიკას, რომელშიც ჯერჯერობით ჩემი სიტყვა არ მითქვამს. ტელევიზიის ჟურნალისტობაზე პრეტენზია არ მაქვს, პრესას უფრო საინტერესო სფეროდ ვთვლი... პრომოუტერობას იმ შემთხვევაში შევეშვებოდი, თუ გამოჩნდებოდა ნიჭიერი პროდიუსერი, რომელიც ჩემში მუსიკალურ ნიჭს აღმოაჩენდა და მომღერლად, ვარსკვლავად მაქცევდა...

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. „მე თუთუნისა წევითა ვერ გადავივლი მთასაო, ეგრე რომ გოლი მიყვარდეს, გუნდარში შევრგავ თავსაო“. რომელმა მწერალმა უპასუხა ასე რაჭველ მასპინძლებს, რომლებმაც სტუმარს სიგარეტი შესთავაზეს?

ა) ილია ჭავჭავაძემ;
ბ) აკაკი წერეთელმა;
გ) ვაჟა-ფშაველამ.

2. როდიდან ირიცხებოდნენ იაპონელი კამიკაძე მფრინავები ოფიციალურად მკვდრებში?

ა) როგორც კი კამიკაძეების რიგში ეწერებოდნენ;
ბ) როგორც კი სწავლების სპეციალური კურსის გავლას იწყებდნენ;
გ) პირველი საბრძოლო დავალების მიღებისას.

3. როგორ მთავრდება ერთ-ერთი პატარა ევროპული ქალაქის შესასვლელში აღმართული სტენდის წარწერა: „დაბრუნდეთ სიჩქარე, ჩვენთან არ არის...“?

ა) „...კარგი გზები“;
ბ) „...საავადმყოფო“;
გ) „...პოლიცია“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

შუამავალი სულხანსა და თიხას შორის

რამდენიმე დღის წინ, გალერეა TMS-ში კერამიკოს პაპუნა პაპასკირის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სახელწოდებით — „წერილები“. აქ წარმოდგენილი სურათები, რამდენიმე სერიისგან შედგება: „წერილები“, „ხე და ღრუბელი“ და აბსტრაქტული ნამუშევრები, რომლებმაც ხელოვნებათმცოდნეების მოწონება დაიმსახურა.



ლიკა ქაჯაია

— ქალაქ სოხუმში დავიბადე. სამხატვრო განათლებაც ჯერ ამ ქალაქში მივიღე, შემდეგ კი — თბილისის სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე სწავლა და უკვე 6 წელია, რაც დამოუკიდებლად ვმოღვაწეობ.

— ეს შენი პირველი პერსონალური გამოფენაა?

— არა. პირველი პერსონალური გამოფენა 1999 წელს მოვაწყვე. სწორედ მაშინ, როცა სამხატვრო აკადემია დავამთავრე. იქ ძირითადად წარმოდგენილი მქონდა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი...

— მაგრამ, როგორც გავიგე, კერამიკამ უფრო გაგიტაცა?

— კერამიკაზე მუშაობა ძალზე საინტერესოა. აქ უფრო მეტი მოულოდნელობის ფაქტორი არსებობს, ვიდრე ფერწერაში ან გრაფიკაში. ბევრი რამ დამოკიდებულია გამოწვაზე, მუშაობის პროცესზე. შენ შუამავლის როლს ასრულებ ცეცხლსა და თიხას შორის. ხშირ შემთხვევაში, რაც ჩაფიქრებული გაქვს, იმისგან რადიკალურად განსხვავებული რამ გამოგდის. ამიტომაც, კერამიკაზე მუშაობის პროცესში, არ ღირს მის დასრულებულ სახეზე წინასწარ ფიქრი... 10 ნამუშევრიდან, 5 უვარგისია, 5 — კარგი... აქ ძირითადად, წარმოვადგინე შარშანდელი და წლევანდელი ნამუშევრები. სხვათა შორის, მათი ნაწილი ზამთარში, გამოფენილი იყო „ცენტრ პოინტის“ გალერეაში.

— შენი ნამუშევრების ნაწილი დასათაურებული გაქვს, როგორც „წერილები“...

— „წერილების“ იდეა, ძველი, ლურსმული დამწერლობიდან წამოვიდა. ყოველთვის მომწონდა იეროგლიფები, მნიშვნელობა არა აქვს ის შუმერული იქნება თუ ეგვიპტური. მართალია, მისი შინაარსი მეც არ მესმის, მაგრამ მხატვრული მხარე ძალზე საინტერესოა. გამოგიტყდებით იმაშიც, რომ წერილების წერა საერთოდ არ მიყვარს. მომწონს დაჯღაბნილი ნაწერები, შავი ნამუშევარი, ისეთი, რომელიც ნახატის დონემდე შეიძლება დაიყვანო. როცა რაიმეს ვწერ, ჩემთვის მნი]შვნელოვანია მისი მხატვრული მხარე — ხაზი, ფერი და ამ დროს, ყოველთვის მახსენდება სტროფი ვისოცკის ლექსიდან: „არ მიყვარს, როცა უცხოელები კითხულობენ ჩემს წერილებს“... რაც შეეხება სერიას „ხე და ღრუბელი“, ჩემთვის ეს განმარტოების, სიმშვიდის სიმბოლოა.



— დაგეხმარა თუ არა შენი ნამუშევრები რაღაც ახლის პოვნაში?

— გამოფენის გახსნის დღეს, ენათმეცნიერმა — რამაზ პატარიძემ შემდეგი კითხვა დამისვა: ამ წერილებს როგორ წერდიო? მარჯვნიდან მარცხნივ და შემდგომ პირიქით-მეთქი. — მართლა ასე იწერებოდაო. მე ეს არც კი ვიცოდი, ინსტინქტს მივყვებოდი...

— ამ გამოფენამ, ბიზნესის თვალსაზრისით წარმატება მოგიტანა?

— საკმაოდ. სხვათა შორის, ბევრი ნამუშევარი გაიყიდა, თუმცა... პრომოუშენს და რეკლამას, რა დონის მხატვარიც არ უნდა იყო, ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. მე კი, ჩემი ნამუშევრების რეკლამირებით დიდად ვერ დავიტრაბახებ.

— უახლოეს მომავალში რას შემოგვთავაზებ?

— ჯერჯერობით არაფერს, რადგან ცოტა ხანი უნდა დავისვენო. ჩაფიქრებული მაქვს ახალი პროექტი (კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან თავადაც არ ვიცი — რა როგორ იქნება), რომლის განხორციელებას 1 წელი მაინც სჭირდება. ■

როდის შეიჭრათ თმა?

აღმოსავლური ასტროლოგია ყურადღებას აქცევს ადამიანის ნებისმიერ მოქმედებას, რომელსაც ცხოვრების შეცვლა შეუძლია. ჩვეულებრივ თმის შეჭრასაც კი ძალუძს, შეცვალოს თქვენი ბედი. უძველეს ჩინურ ტრაქტატებში მითითებულია მთვარის დღეები, რომლებიც პოზიტიურ ან ნეგატიურ გავლენას ახდენს თმის შეჭრის (წვერის გაპარსვის) პროცესზე. ასე რომ, უმნიშვნელო სულაც არ არის, თუ როდის შეიჭრით თმას.



1-ლი დღე – ახალმთვარეობისას თმის შეჭრას, სიცოცხლის შემოკლება შეუძლია.

მე-2 დღე – კამათისა და სიძნელეების მომტანი იქნება.

მე-3 დღე – ხელსაყრელია, ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას.

მე-4 დღე – დისკომფორტს შეგიქმნით. შესაძლოა, უმნიშვნელო, გაუცნობიერებელი შიში და თავის ტკივილი გამოიწვიოს.

მე-5 დღე – თმის შეჭრა და ახალი ვარცხნილობის გაკეთება თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს.

მე-6 დღე – არ არის სასურველი, ამან შესაძლოა, თქვენს გარეგნობაზე არცთუ ისე დადებითი გავლენა მოახდინოს.

მე-7 დღე – არაფრით შეიჭრათ თმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპირისპირებები და კონფლიქტები არ აგცდებათ. შესაძლოა, საყვარელ ადამიანსაც წაეჩხუბოთ.

მე-8 დღე – კარგი შედეგის მომტანია, გაგიუმჯობესებთ ჯანმრთელობას და გაზრდის თქვენს სიცოცხლისუნარიანობას.

მე-9 დღე – შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვიოს.

მე-10 დღე – ძალზე სასიკეთოა, რადგან ეს ორგანიზმის საერთო მდგომარეობას გააუმჯობესებს.

მე-11 დღე – პოზიტიური დღეა; ინტუიციის გამახვილება და აზროვნების პროცესის მოწესრიგება – აი, რა შეიძლება მოჰყვეს ამ დღეს თმის შეჭრას.

მე-12 დღე – მოსალოდნელია, უსიამოვნო შემთხვევები და ტრამვებიც კი მოჰყვეს.

მე-13 დღე – თუ ამ დღეს ესტუმრებით პარიკმახერს, არ წააგებთ, რადგან ეს თქვენს გარეგნობასა და იმიჯს ძალზე წაადგება.

მე-14 დღე – სასიკეთო იქნება, თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც დადებითად იმოქმედებს.

მე-15 დღე – სავსემთვარეობას თმის შეჭრას შესაძლოა, ფსიქიკის დარღვევა და თავის ტკივილები მოჰყვეს (ამ დღეს, მასაჟიც კი მავნებელია, განსაკუთრებით – თავის არეში).

მე-16 დღე – მოსალოდნელია, თქვენი ნეგატიური ჩვევების გააქტიურება მოხდეს, რაც ხელს შეგიშლით წინსვლასა და წარმატების მიღწევაში.

მე-17 დღე – ეს დღე მეტ-ნაკლებად დადებითია; თუ პარიკმახერს ესტუმრებით, ყოველ შემთხვევაში, არ წააგებთ.

მე-18, მე-19 და მე-20 დღეს თმის შეჭრა ერთნაირად არასასურველია.

21-ე დღე – რეკომენდებულია პარიკმახერთან სტუმრობა, ამის შედეგად გაცილებით ლამაზი გახდებით.

22-ე დღე – მოსალოდნელია, რომ ამ დღეს თმის შეჭრამ თქვენს გახდომას შეუწყოს ხელი და წონის პრობლემაც მნიშვნელოვნად მოგიგვაროთ.

23-ე დღე – ძალზე პოზიტიური დღეა. ეს თქვენი სახის ფერს გააუმჯობესებს და შესანიშნავ ხასიათზეც დაგაყენებთ.

24-ე დღე – კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ამას შესაძლოა, ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის გაუარესება მოჰყვეს.

25-ე დღე – შესაძლოა, თვალისშიდა წნევის მომატება და მხედველობის გაუარესება გამოიწვიოს (განსაკუთრებით მათთვის, ვისაც თვალის დაავადებები აწუხებს).

26-ე დღე – სიხარულსა და ბედნიერებას მოგიტანთ.

27-ე დღე – პოზიტიურია, გააძლიერებს თქვენს იმუნიტეტს.

28-ე დღე – შეგმატებთ მომხიბვლელობას და შარმს. ვარცხნილობას გარშემო მყოფები მოგიწონებენ, რაც თქვენს წინსვლას შეუწყობს ხელს.

29-ე დღე – არავითარ შემთხვევაში არ შეიჭრათ თმა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი უსიამოვნება შეგხვდებათ.

30-ე დღე – პარიკმახერთან სტუმრობამ შესაძლოა, თქვენი ავტორიტეტის დაქვეითება და თქვენი მტრების გააქტიურება გამოიწვიოს. ■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(21 - 27 ივლისი)

ვერძი – 21/III-20/IV

ეს კვირა თქვენთვის მნიშვნელოვანი, თუმცა, დაძაბულიც იქნება. გირჩევთ, ნებისმიერ საქმიან წინადადებას ყურადღებით მოეკიდოთ. იაქტიურეთ, არ ჩამორჩეთ ცხოვრების ტემპს. თქვენი ხასიათის ყველაზე უარყოფითი თვისება – იმპულსურობა, ამჟამად ნაკლებად გამოვლინდება. ურთიერთობები პოზიტიურია მშვილდოსანსა და მერწყულთან, ნეგატიური – მარჩბივსა და კირჩხიბთან. **პოზიტიური დღეები:** 21, 24, 27. **ნეგატიური დღეები:** 22, 25.

კურო – 21/IV-21/V

იწყება ერთთვიანი წარუმატებელი პერიოდი, ამიტომ მოერიდეთ სერიოზულ ცვლილებებს. ნუ აჩქარდებით, ყველა საქმეს ცალ-ცალკე მოჰკიდეთ ხელი და ეტაპობრივად მოაგვარეთ. გახსოვდეთ, ნებისმიერი იმპულსური მოქმედება შესაძლოა, მარცხის მიზეზი გახდეს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და ქალწულთან, ნეგატიური – სასწორსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 22,23,25. **ნეგატიური დღეები:** 26, 27.

მარჩბივი – 22/V-21/VI

ჰაერის სტიქიის ნიშნებიდან ყველაზე პოზიტიური პერიოდი, ტყუპის ნიშნით დაბადებულ ადამიანებს ელით. შესაძლოა, ისეთმა ადამიანმა გაგიწიოთ თანადგომა, რომლისგანაც ამას არ ელით. ნაკლებად იჩენს თავს თქვენთვის დამახასიათებელი გაორება. ურთიერთობები პოზიტიურია მერწყულსა და თევზებთან, ნეგატიური – ვერძსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 22,24, 26. **ნეგატიური დღეები:** 21, 23.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

პოზიტიური პერიოდი დამთავრდა, თუმცა, ინერციით, წარმატებით დაასრულებთ დაწყებულ საქმეებს. გამოიჩინეთ ყურადღება ოჯახის წევრების მიმართ, ისინი ძალზე საჭირო თანადგომას გაგიწევენ. ეცადეთ, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდგეთ და რაც მთავარია, შეინარჩუნოთ სიმშვიდე – ამგვარად, მრავალ უსიამოვნებას აარიდებთ თავს. ურთიერთობები პოზიტიურია კირჩხიბსა და თევზებთან, ნეგატიური – ლომსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 21,25,27. **ნეგატიური დღეები:** 22, 24.

ლომი – 23/VII-23/VIII

დაიწყო ერთვიანი სასიკეთო პერიოდი. ამიტომ მთელი ენერგია, დრო და სახსრები თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას უნდა მიუძღვნათ. გარკვეული სიფრთხილე გმართებთ ფეთქებად და აალებად ნივთიერებებთან შეხებისას. ურთიერთობები პოზიტიურია სასწორსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – ღრიანკალსა და თხის რქასთან. **პოზიტიური დღეები:** 23,24,26. **ნეგატიური დღეები:** 21, 25.

ქალწული – 24/VIII-23/IX

უამრავი სასარგებლო შეხვედრა გელით. ამ პერიოდში, ძველი მეგობრებიც შეგეხმიანებიან და ეცადეთ, მათი თხოვნა უყურადღებოდ არ დატოვოთ, რადგან მომავალში, თავად დაგჭირდებათ მათი თანადგომა. შესაძლოა, პრობლემებთან მარტო ჭიდილმა გადაგღალოთ. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – მერწყულსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 22, 23, 25. **ნეგატიური დღეები:** 24, 26.

სასწორი – 24/IX-23/X

ეს პერიოდი ნაკლებად წარმატებულია. შესაძლოა, რომელიმე ძველ ნაცნობთან კონფლიქტი მოგვიდეთ. ნუ აჰყვებით მცირე გაუგებრობას. ეცადეთ, წაახალისოთ თქვენი კოლეგები და ხელქვეითები – ეს მნიშვნელოვნად გაგიადვილებთ მათთან ურთიერთობებს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და ლომთან, ნეგატიური – კუროსა და ღრიანკალთან. **პოზიტიური დღეები:** 21, 24, 27. **ნეგატიური დღეები:** 23, 25.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იქნება, ამიტომ ნუ გამოიჩენთ დიქტატორულ ჩვევებს, პირიქით – იყავით გულისხმიერი და თბილი – ეს საქმეების მოგვარებასა და იმ ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებაში დაგეხმარებათ, ვისთანაც ადრე ეს უბრალოდ, შეუძლებელი იყო. ურთიერთობები პოზიტიურია მშვილდოსანთან და თევზებთან, ნეგატიური – კუროსა და მერწყულთან. **პოზიტიური დღეები:** 23,25,26. **ნეგატიური დღეები:** 21, 22.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

დაუღალავი შრომა გმართებთ, რათა გადაჭრათ ის პრობლემები, რომლებიც დაგიგროვდათ. მომავალი კვირიდან, სულ სხვა, ახალი პრობლემების გადაჭრა მოგიწევთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მგზავრობის დროს. ურთიერთობები პოზიტიურია ვერძსა და სასწორთან, ნეგატიური – კირჩხიბსა და თევზებთან. **პოზიტიური დღეები:** 22, 24, 27. **ნეგატიური დღეები:** 21, 23.

თხის რქა – 22/XII-20/I

უმნიშვნელო წინააღმდეგობები შეგექმნებათ და ეს ძირითადად, ოჯახურ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, გირჩევთ, მოთმინება და თავშეკავება გამოიჩინოთ, როგორც ფულის ხარჯვისას, ისე სესხება-გასესხების დროს. ურთიერთობები პოზიტიურია კუროსა და კირჩხიბთან, ნეგატიური – ვერძსა და მარჩბივთან. **პოზიტიური დღეები:** 21, 25, 27. **ნეგატიური დღეები:** 22, 24.

მერწყული – 21/I-19/II

გრძელდება წინა კვირიდან გადმოყოლილი უარყოფითი ტენდენციები. გირჩევთ, მოერიდოთ მკვეთრ ცვლილებებს პირად ცხოვრებაში და მიჰყვეთ დინებას. განსაკუთრებით ნეგატიური იქნება კვირის შუა პერიოდი. ეცადეთ, ამ დროს, ადამიანების (განსაკუთრებით, ოჯახის წევრების) მიმართ მეგობრული დამოკიდებულება გამოიჩინოთ. ურთიერთობები პოზიტიურია მარჩბივსა და მშვილდოსანთან, ნეგატიური – კუროსა და ლომთან. **პოზიტიური დღეები:** 23, 24, 26. **ნეგატიური დღეები:** 21, 25.

თევზები – 20/II-20/III

ახალ კავშირებსა და ახალ ადამიანებთან ურთიერთობებს გააბამთ – ძირითადად, უცხოელებთან. ნუ მიეცემით ფანტაზიებს და ნუ მოხვდებით ილუზიების ტყვეობაში – გამოიჩინეთ გონიერება და ორგანიზებულობა, რათა ხელიდან არ გაუშვათ ის შანსები, რომლებიც გაგიჩნდებათ. ურთიერთობები პოზიტიურია ღრიანკალსა და თევზებთან, ნეგატიური – ვერძსა და მშვილდოსანთან. **პოზიტიური დღეები:** 21, 22, 23. **ნეგატიური დღეები:** 26, 27.

სახელმწიფო აფრიკაში
სიტყვათა წარმოქმნის მანერა
რაიმე კონკურსის ნაწილი
კონტინენტი
ეკვადორის დედაქალაქი
სულიერი გაწმენდა
ერთგვარი გულიანი ნამცხვარი
სარწმუნოება
შლიმანის აღმოჩენა
... დეკარტი
მშვიდი, გაბმული საუბარი
ყაჩაღი გურიაში
სხვისი ტანჯვით სიამოვნების მიღება
ბრძოლის ველი
ფიცარი ფანჯრის ძირში
ნელი, უჩქარველი
მხრის ორთავა კუნთი
ტროსი
ფრანგი მწერალი
თევზის ძალი
მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა
ბულიტ. მრავალიარუსიანი კოშკი
სახელმწიფო აფრიკაში
ნივთიერების რაოდენობის საზომი
ნაკეცები ქსოვილზე
მუდმივი განახლების სიმბოლო
ღვარძლიანი დაცინვა
მოჩვენება უდაბნოში
მგალობელი ფრინველი
მშვილდის ბაწარი
საჭიდაო ხალიჩა
ლუდამაშელი
ძველებური თოფი
ზღაპრული გოლიათი
ღარიბული სახლი
აშშ-ის შტატი
დიდი ნელსი
დამჟავებული პურის ცომი, საფუარი

53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა; 4-ა.
57-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ.

ანეკდოტები

***

თვითმფრინავი გურჯაანი-ძველი ანაგა მორიგ რეისს ასრულებს.

— შტურმანო ზალიკო, მომახსენე ჰაერის მდგომარეობა ატმოსფეროში, — ეუბნება პილოტი.

შტურმანი თავს გარეთ ჰყოფს:

— „სკვაზნიაკში“ ვართ, ზახარიჩ, მე მაგი დედა ვატირე!

***

მადლიერი პაციენტი ექიმს მაგიდაზე ულაგებს კონიაკს, შამპანურს, ხიზილალას...

ექიმი:

— ვინ მოგცათ ჩემი ფულის ფლანგვის უფლება?

***

— თქვენ რა, თანახმა ხართ, ჩემს ქალიშვილზე მზითვის გარეშე იქორწინოთ?

— დიახ, თქვენგან არაფერი მინდა.

— არა... არა.. არ მოგათხოვებთ — რად მინდა იდიოტი სიძე!..

***

რობინზონ კრუზოს ეროტიკული დღიური: 22 დეკემბერი — პარასკევა, 23 დეკემბერი — პარასკევა, 24 დეკემბერი — უჰ, ისევ პარასკევა...

***

ებრაული წყევლა: „ისეთი მდიდარი გამხდარიყავი, რომ შენი ქვრივის მეორე ქმარს სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად ეცხოვროს“.

***

სვანი იყიდის ფეხსაცმელს, ორი ზომით პატარა აჭვს. დგას და იჭმუხნება. ეკითხებიან:

— შენი ზომის რატომ არ იყიდე?

— ჩემი ზომა ძვირი ღირდა!..

***

— ჭიჭიკია, შენ და შენს ცოლს შორის რამე უკმაყოფილება ხომ არ არის? — ეკითხება ჭიჭიკია ბიჭიკიას.

— რა ვიცი, ჯერ ქე ვაკმაყოფილებთ ერთმანეთს და აწი რა იქნება, მაგი არ ვიცი!

***

ახლომხედველ კაცს ქარმა შლაპა მოხადა. კაცი დაედევნა.

— რას შობი, რას! — უყვირის მეორე სართულის ფანჯრიდან ქალი.

— ჩემს შლაპას მივდევ, ქალბატონო.

— მაგი შლაპა კი არა, ჩემი შავი დედალია.

***

კახელების მარადიული პრობლემა:

გშია — ხაშლამა გინდა, შასჭამ და — მუშაობა არ გინდა.

***

— რაზე აბარებდი, ბიძიკო?

— ფიზკულტურულზე, მაგრამ ჩეივჭერი.

— რაში ჩეიჭერი?

— ცურვაში.

— რავა, დეიხრჩვი თუ?!

***

გიდი ტურისტებს უხსნის:

— ეს ნაკადული აქ იკარგება. აი, იქ კი, სამიკიტნოსთან, ისევ მორაკრაკებს.

— ჩემი ქმარივითა ყოფილა, — აღმოხდა მაყვალას.

***

კახელმა ვირი დაკარგა და პოლიციაში განაცხადა.

— ყოველგვარ ზომებს მივიღებთ, ოღონდ, დილამდე უნდა დაიცადოთ, — უპასუხეს პოლიციაში.

კახელი გაბრაზდა:

— დილამდე ხალხში გაერევა და რა ჩემ ფეხებს იპოვით, ვნახოთ...

***

ფეხში დაჭრილ ვალოდიას ქირურგი სინჯავს.

— რა გინდა, რას მერჩი, სენი წილიმე, ასე რატომ მიჭერ ხელს?

— ტყვიას ვეძებ.

— ასე გეთქვა... სე კაცო, ტყვია აგერ მაქვს, ჯიბეში.

***

კარზე აკაკუნებენ:

— ვინ ხარ? — კითხულობს უშანგი.

— სიკვდილი ვარ, სიკვდილი, შემომიშვი.

— რა გინდა, ბიჯო სიკვდილია, ამ შუაღამისას?

— რაი და ვიხალისოთ, ქელეხის სია ჩამოვწეროთ.

***

ცოლი დასტირის მომაკვდავ ქმარს.

— ვერ გავძლებ უშენოდ. მეც მალე გამოგყვები.

— ნუ იჩქარებ... იქ მაინც დამასვენე.

***

— ექიმო, სხვა დაავადება მომიძებნეთ, ამას ვერ შევწვდები...

***

— გეფიცებით, ბატონო მოსამართლევ, დამნაშავე არა ვარ.

— ადრე ნასამართლევი ხართ?

— არა, ეს ჩემი პირველი ჭურდობა იყო.

***

სარეკლამო განცხადება: იყიდება თირკმლები, 1975 წლის გამოშვება, გარბენი — 14256 ლიტრა ლუდი, ნორმალურ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.

***

ქალმა, რომელსაც ქმარი მოუკვდა, საფლავის ქვაზე გააკეთებინა წარწერა: „ამ დანაკლისს ვერ გადავიტან“. რამდენიმე თვის შემდეგ, იგი გათხოვდა და წარწერას, 3 წერტილის მერე, კიდევ ერთი სიტყვა მიამატა: „...მარტო“.

***

გეოგრაფიის გაკვეთილზე:

— ანზორა, რავა არ გრცხვენია? შენს ასაკში ყველა ქვეყანა ზეპირად ვიცოდი.

— მაშვინ ცოტა ქვეყნები იყო, მაყვალა მასწ!

როგორია თქვენი პედაგოგიური იდეალი?

1. თქვენი შვილი ძალზე ცელქი და ონავარია, უამრავ საზრუნავს გიჩენთ: ხან ჩალურჯებული თვალით ბრუნდება შინ და ხანაც დახეული შარვლით:

ა) თქვენ გამოჰკითხავთ მომხდარის თაობაზე, გაუკერავთ შარვალს და მტკივან ადგილზე ცივ კომპრესს დააფენთ – 3;

ბ) თავდაპირველად, დახმარებას აღმოუჩენთ, შემდეგ კი დატუქსავთ და ეტყვით, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ამგვარი ცელქობა ცუდად დამთავრდება – 0;

გ) საერთოდ არ მიაქცევთ ყურადღებას, საკუთარ თავს თვითონ მიხედოს – 5.

2. თქვენს შვილს ჰყავს მეგობრები, მაგრამ ისინი ურჩი, გაუგონარი და ცუდად აღზრდილი ბავშვები არიან:

ა) ამის თაობაზე დაელაპარაკებით მათ მშობლებს – 2;

ბ) შინ მიიპატიჟებთ შვილის მეგობრებს და ეცდებით მათზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას – 5;

გ) მიუთითებთ შვილს მეგობრების ნაკლზე და აუხსნით, რომ ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ მას – 0.

3. თქვენს შვილს უყვარს თამაში, მაგრამ ატყობთ, რომ წაგების დროს ემოციების მოთოკვას ვერ ახერხებს:

ა) არანაირ ზომას არ მიმართავთ, დაელოდებით, როდის ისწავლის წაგებასთან მშვიდად შეგუებას – 0;

ბ) უარს იტყვით მასთან თამაშზე, ვიდრე ის ასე მტკივნეულად განიცდის წაგებას – 3;

გ) შეგნებულად შეუქმნით ისეთ სიტუაციას, რომლის დროსაც ის წაგებაზე ნორმალურ რეაგირებას ისწავლის – 5.

4. თქვენი შვილი მზად არის, 24 საათი ითამაშოს. საღამოობით დაძინების არანაირი სურვილი არ აქვს:

ა) თქვენ აუხსნით, რაოდენ აუცილებელია ორგანიზმისთვის ძილი – 3;

ბ) უფლებას მისცემთ გვიან დაიძინოს, მაგრამ დილას ჩვეულ დროს გააღვიძებთ – 5;

გ) განსაზღვრულ დროს აწვენთ დასაძინებლად და მარტო ტოვებთ. ზღაპარს მხოლოდ მაშინ უყვებით, როცა დღისით კარგად იქცევა – 0.

5. თქვენი შვილი საბავშვო გადაცემებით აღარ კმაყოფილდება და ტელევიზორის ყურების სურვილი მთელი დღის განმავლობაში აქვს:

ა) საბავშვო გადაცემის დამთავრებისთანავე თქვენ დასაძინებლად აწვენთ მას, ტელევიზორს კი მხოლოდ მისი დაძინების შემდეგ რთავთ – 0;

ბ) ცდილობთ აუხსნათ, რისი ყურება შეიძლება მისთვის და რისი არა, თანაც ისე, რომ მისთვის გასაგები იყოს – 2;

გ) შეურჩევთ მას მისთვის შესაფერის ტელეგადაცემებს – 3;

დ) წინასწარ შეუთანხმდებით, რამდენი საათის განმავლობაში აქვს მას ტელევიზორის ყურების უფლება; აი, რას და როდის უყუროს, ამას თავად ბავშვი არჩევს – 5.

6. საკმაოდ თავხედი შვილი გყავთ და უკმეხ პასუხებსაც იძლევა:

ა) განუმარტავთ, რომ ასეთი საქციელი მიუღებელია და ამისთვის ყველა გაკიცხავს მას – 5;

ბ) ასე მოქცევას აუკრძალავთ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მკაცრად დასჯით – 0;

გ) ყოველდღიურად, როცა კი წესიერად მოიქცევა, წაახალისებთ მას – 3.

7. მართალია, თქვენი შვილი ჯერ კიდევ პატარაა, მაგრამ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებით დაინტერესებას ატყობთ:

ა) მიგაჩნიათ, რომ ამგვარი გატაცებები ასეთ ასაკში სრულიად უწყინარია და თავს არაფერზე იწუხებთ – 3;

ბ) ბავშვური სიყვარულის აღკვეთას მაშინვე ეცდებით – 0;

გ) აუხსნით, თუ რა არის სიყვარული და როგორი ურთიერთობები უნდა ჰქონდეთ ქალსა და მამაკაცს – 5.

8. სხვა ბავშვები ავიწროებენ თქვენს შვილს – სცემენ და დასცინიან მას:

ა) ასწავლით, რომ თავი უნდა დაიცვას და ვალში არავის დარჩეს – 5;

ბ) მოჩხუბარი ბავშვების მშობლებს დაელაპარაკებით – 3;

გ) საკუთარი შვილის ცხოვრების ისე მოწყობას ეცდებით, რომ ამ ბავშვებთან, რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი ჰქონდეს – 0.

9. უფროს შვილს ყველა აუცილებელ პირობას უქმნით, მაგრამ ის ამას სათანადოდ ვერ აფასებს და უმცროს დას (ძმას) გამუდმებით ერჩის:

ა) უმცროსების თანდასწრებით კეთილგონიერი საქციელისაკენ მოუწოდებთ უფროსს – 5;

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ის უფროსია, მას ყველაზე მეტ ყურადღებას დაუთმობთ – 3;

გ) შვილების ურთიერთობაში საერთოდ არ ჩაერევით – 1.

10. თუკი თქვენი შვილი უხეშად ექცევა თანატოლებს, თანაგრძნობას არ იჩენს მათ მიმართ და თავს ესხმის მათ:

ა) თქვენ მიგაჩნიათ, რომ ისევე უნდა მოექცეთ შვილს, როგორც ის ექცევა თანატოლებს, რათა მან საკუთარ ტყავზე გამოსცადოს ყველაფერი, რასაც სხვებს უკეთებს – 0.

ბ) ეცდებით, იმაზე მეტი ყურადღება დაუთმოთ მას, ვიდრე აქამდე უთმობდით – 5;

გ) აუკრძალავთ ისეთი ფილმების ყურებას, სადაც ძალადობის დემონსტრირება ხდება – 2.

ტესტის შედეგები

0-18 ქულა: საკუთარი მაგალითის გათვალისწინებით, თქვენ ისეთივე ცხოვრებისთვის ზრდით შვილს, როგორიც თავად გქონდათ და გაქვთ; უგულებელყოფთ იმას, რომ ის სხვა თაობის წარმომადგენელია. მიგაჩნიათ, რომ თქვენი დამჯერი და უფროსების პატივისმცემელი შვილი საუკეთესო თვისებებითაა აღჭურვილი. მაგრამ გავიწყდებათ, რომ მესამე ათასწლეულში სხვა თვისებებია უმთავრესი: საკუთარი თავის რწმენა, დამოუკიდებლობა და შემოქმედებითი უნარი. ეს თვისებები მომავალში აუცილებლად დასჭირდება თქვენს შვილს, მაგრამ სამწუხაროდ, თქვენ არ ცდილობთ მათ განვითარებას. ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ცხოვრება წინ მიდის და ყველაფერი იცვლება?!

19-35 ქულა: ჯერ კიდევ გიჭირთ სრულყოფილად იმის გაანალიზება, თუ როგორ გარემოში მოუწევს თქვენს შვილს ცხოვრება. მაგრამ ერთ რამეს ვერავინ დაგიკარგავთ: თქვენ ცდილობთ, იყოთ უფრო თანამედროვე, არ იყენებთ აღზრდის სტერეოტიპულ მეთოდებს, გარკვეული დოზით ბავშვს დამოუკიდებლობას აჩვევთ და არ ცდილობთ საკუთარი ავტორიტეტით მის დათრგუნვას.

36-50 ქულა: ღრმად გწამთ, რომ თქვენს შვილს ისეთ გარემოში მოუწევს ცხოვრება, სადაც დაფასებული იქნება ინიციატივა, მაგრამ მკაცრად გაიკიცხება ეგოიზმი, სადაც პატივს მიაგებენ დამოუკიდებელ აზროვნებას, გულწრფელობასა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას. უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ ღირსეული პედაგოგიური პოზიცია გახლავთ. გვინდა, გვჯეროდეს, რომ მომავალში სამყარო მართლაც ამ იდეალების მატარებელი გახდება.

თვითმფრინავი ავტომანქანის სახურავზე დაეშვა

გერმანიის ქალაქ ბიტბურგის მცხოვრებმა, ერთ მშვენიერ დილას, თავისი საყვარელი ავტომობილით – „პორშეთი" გასეირნება გადაწყვიტა. ჩინებულ გუნებაზე მყოფი მამაკაცი საჭეს მიუჯდა და ვინაიდან ტრასა თითქმის თავისუფალი იყო, მანქანის სისწრაფისა და გამძლეობის გამოცდა გადაწყვიტა. 160 კმ-სთ სიჩქარით მიმავალ 55 წლის გერმანელს, უეცრად ყურისწამღები გუგუნი მოესმა. შეშინებულმა მძღოლმა მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა. შემდეგი მოვლენები კი ისე ელვის უსწრაფესად განვითარდა, რომ მძღოლმა აზრზე მოსვლაც კი ვერ მოასწრო: მისი ავტომობილის სახურავზე თვითმფრინავი დაეშვა, მერე გვერდზე გადაქანდა და ტრასაზე დაენარცხა. მიუხედავად ავიალაინერის შთამბეჭდავი ზომებისა, „პორშე" მასზე გაცილებით მსუბუქად დაზიანდა. რაც შეეხება შეშინებულ პილოტსა და არანაკლებად დაზაფრულ ავტომობილის მძღოლს, უვნებლად გადარჩნენ.

პოლიცია, რომელიც მომხდარის მიზეზებს ადგენს, ვარაუდობს, რომ ავარია პილოტის დაუდევრობამ და უპასუხისმგებლობამ გამოიწვია, რადგან მან დისპეტჩერთან შეუთანხმებლად, თვითნებურად აირჩია დასაჯდომი ბილიკი.

ამჟამად ავიაკომპანიის ხელმძღვანელობა ახსნა-განმარტებით ბარათს ადგენს იმ სადაზღვევო კომპანიაში წარსადგენად, რომლის კლიენტიც არის „პორშეს" მფლობელი. საქმე ის გახლავთ, რომ საგენტოს თანამშრომლებმა თავიანთი კლიენტის მონათხრობი არ დაიჯერეს და შესაბამისად, ფულად კომპენსაციაზეც უარი განუცხადეს. ■

მთვრალი „ტარზანი" ხიდან ჩამოვარდა

კარგა გვარიანად შეზარხოშებული 66 წლის რუმინელი სტეფან სტრისკი, რომელიც კვლავ სასმლის მოსატანად წასვლას ლამობდა, მეუღლემ ოთახში ჩაკეტა. თუმცა, სტრისკმა გამოსავალი მალევე მოძებნა: ის ფანჯრიდან ხეზე გადაძვრა და გადაწყვიტა, თავისი საყვარელი გმირის – ლეგენდარული ტარზანის მსგავსად, ხიდან ხეზე ხტომით მიეღწია უახლოეს მაღაზიამდე.

რასაკვირველია, ეს ორიგინალური წამოწყება, რამდენიმე წუთშივე კრახით დამთავრდა. გულადი სტეფანი 5 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და ძირს ხმაურით დაენარცხა. ხელფეხმოტეხილი „ტარზანი" საავადმყოფოში გააქანეს.

ახლა სტეფან სტრისკი ამ თავგადასავალს სიცილით იხსენებს. „ვერც კი წარმომედგინა, რომ ტოტიდან ტოტზე გადახტომა ასეთი რთული იქნებოდა. ჩემი საქციელის მიზეზი, მხოლოდ დალევის სურვილი არ ყოფილა – მინდოდა, ჩემი საყვარელი გმირისთვის მიმბაძა." თუმცა უნდა ითქვას, რომ სტეფანმა ვერ გაითვალისწინა ერთი გარემოება: ტარზანი თავისი რთული ტრიუკების შესრულების პერიოდში, ჯერ ერთი – ფხიზელი, მეორეც – საკმაოდ ახალგაზრდა იყო. ■

ჩინელი მამაკაცი გინესის რეკორდსმენი გახდა

გინესის წიგნის ვერსიის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანი, ჩინეთის რეგიონში – შიდა მანგოლიაში მცხოვრები, 2 მ და 36,1 სმ (7 ფუტი და 8,95 დუიმი) სიმაღლის, 54 წლის ჩინელი სი შუნია. ახალი რეკორდსმენი, რომელსაც მხოლოდ 160 სმ სიმაღლის დედა ჰყავს, ტინეიჯერულ ასაკამდე თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა. 16 წლიდან კი, კატასტროფული სისწრაფით დაიწყო ზრდა. მან ამჟამად ყოფილი რეკორდსმენის – 236 სმ სიმაღლის ტუნისელი რადხაუ ჩარბიბის რეკორდი გაუუმჯობესა. ვიდრე რეკორდს ოფიციალურად დაადასტურებდნენ, გინესის წიგნის წარმომადგენლებმა, ქალაქ ჩიფენის საავადმყოფოში, მინიმუმ ექვსჯერ გაზომეს სი შუნის სიმაღლე.

„ნამდვილად სასიხარულოა ისეთი ადამიანის აღმოჩენა, რომლის სიმაღლე 7 ფუტი და 8,9 დუიმია, თანაც აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს და შესაშური ჯანმრთელობითაც გამოირჩევა – მით უმეტეს, რომ ის ისეთი მიყრუებული რეგიონის მკვიდრია, როგორიც შიდა მანგოლიაა", – ამბობს გინესის წიგნის რედაქტორი – კეგ ლენდეი. ■

მოლაპარაკე თუთიყუშმა მძარცველები დააბეზღა

მოლაპარაკე თუთიყუში, რომელმაც შესაშური გამჭრიახობა გამოიჩინა და სამართალდამცავებს მძარცველების შესახებ ამცნო, ცენტრალურამერიკული პატარა რესპუბლიკის – ელ სალვადორის ნამდვილი ვარსკვლავი გახდა.

მძარცველთა ჯგუფმა, რომელმაც ქალაქ სან-სალვადორში ერთ-ერთი ბინა გაძარცვა, გართობის მიზნით, ნაძარცვ ნივთებთან ერთად, მოლაპარაკე თითუყუშიც გააყოლა ხელს. ბოროტმოქმედები უკვე უსაფრთხო ტერიტორიაზე იყვნენ, ამიტომ საპატრულო პოლიციამ როცა მათი მანქანა გააჩერა და შიგ მსხდომთ დოკუმენტები შეუმოწმა, არავინ აღელვებულა. მართლაც ყველაფერი ბოროტმოქმედების სასიკეთოდ დასრულდებოდა, რომ არა თუთიყუშის მოულოდნელი წამოძახილი: „ძარცვაა, ძარცვაა!".

პოლიციელებს რაღაც ენიშნათ და მანქანის დათვალიერება გადაწყვიტეს. „მე და ჩემი მეგობრები გაოცებული ვართ თუთიყუშის საზრიანობით, მან საჭირო მომენტში თავისი პატრონის ის სიტყვები გაიმეორა, რომელსაც ის, ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე, ბოროტმოქმედთა შეიარაღებული ბანდის თავდასხმისას გაიმეორებდა", – ამბობს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი. მძარცველები უმალ დააკავეს. ადგილობრივი გაზეთების გარეკანზე მოთავსებული თუთიყუში კი, ნამდვილი ნაციონალური გმირი გახდა. ■

ფოტოკუთხეები

б 92/14

№15(101) 21.VII.-3.VIII.05

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

კონიუნქტივიტი და ქუთუთოს დაავადებები

ბავშვი და ზაფხული

ექსუდაციური დიათეზი

ამინდის მსხვერპლნი

მთავარი თემა: მიოკარდიუმის ინფარქტი

სპაზმოფილია

როგორ მოვიშოროთ კოჟრები

ნინარემენსტრუალური სინდრომი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის